ქართველის მწერლობის მოყვარეთა გამოცემა.



(ᲥᲠᲔᲑᲣᲚᲘ)

# II.

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ:


1. ჰომერის ილიადა (თარგმანი) მ. ოვაჩელისა. 1
2. პირველი ნაბიჯი, რომანი გ. წერეთლისა. 29
3. ⁂ ლექსი. სალოვანისა. 178
4. ⁂ ლექსი. მ. ოვაჩელისა. 179
5. მეზობლები (სურათი სოფლის ცხოვრებიდან) სალოვანისა. 181
6. ქალელეს ჩამოდგა ოსი და მდვალი (ხალხური) გაგონილი ს. დათუაშვილის მიერ. 191
7. სვანურიდან (გადმოყვანილი) გ. წერეთლის მიერ. 192
8. მეფე ციმბელინი (თარგმანი) ს. ყიფიანისა. 194


ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ.
სტამბა ნ. ი. გამრეკელოვის
1890

*Дозволено цензурою, 24 Февраля 1890 г. Тифлисъ.*

# ჰომერის ილიადა[1]

## (ბუნდანი კნ. ბაბო შარვაშიძის ქალს).

მგოსანთა ღმერთო, შეამკე აქილეს[2] პელეიანი[3],
მწყრალი, ეინც აქაველებსა ათასი მისცა ზიანი,
მრაველად დახოცა მებრძოლნი; ამოხადა რა სულები,
წყვდიადს აიდში[4] შთააგდო; სახელოვანთა ლეშები
საზრდოდ ძაღლთა და ყორანთ ჰყო: აღსრულდა ზეესის[5]
ბრძანება. *)
იმ დღიდან, რაც აიშალენ, ატყდა მათ შორის ყოველრება,
ხალხთ მწყემსი მეფე ატრიდი[6] და აქილ კეთილშობილი.
რომელმა ღმერთმა უკედაეშა წაჰკიდა ორი ძმობილი?

ძე მეხთა-მტეხის და ლეტის,[7] მეფეზე მწყრალი თვით ფები[8]
ბოროტ პირს ხალხზე მოავლენს: სწყდება ურიცხვად ჯარები
სასჯლად ატრიდის, რადგანაც შეურაცხ ჰყო მან ბეერთანა
ქრიზი,[9] ქურუმი,[10] მოსული ფრთოსანთა ხომალდებთანა
ბამოსასყიდლად ტყვე ქმნილის ქალისა არგოსლებისგან;
თან მოაქეს ოქრო ურიცხვი, ჯერ აწონილი ვერეისგან.
ხელთა აქეს კვერთხი ოქროსი, ზედ ჯილა აპოლონისა[11]

---

*) ლექსანში:) რისცა, ჰე ღმერთო, შეეეკ აქილეს პელეიანსა
მწყრალი, ეინე აქველებსა ათასსა ბაადგმს ზიანსა,
ბრაველთაც დახოცს მებრძოლთა: ამოსდგეს რა მათ სულებსა,
წყვდიადს აიდში შთააგდეს; საბეელოვანთა ლეშებსა
საბრდოდ ძაღლთა და ყორანთ ჰყოფს: სრულდება ზეესის ბრძანება.

და ეეედრება ცრემლ-დენით ყოველს კაცს აქაელისას,
ჯართ მწყობრთა მოურეველთა, ატრიდის ძეთა ფეხ-მალთა
ცრემლებით ვედრის მძლეველთა:

,,ოჰ, თქვენ გწყალობდესთ ღმერთები, ოლიმპის[10] მთაზე
შეებულნი,
,,დაგემხოთ ციხე პრიამის და სახლად გამარჯვებულნი
,,მიქცეულ იყვნეთ; ქალწული თქვენ ჩემი დაევიბრუნეთ,
,,მიმადლეთ ღმერთსა შორ-მტყორცნსა და სასყიდელი მიი-
ღეთ''.

ერთობ თანხმობა წარმოსთქვეს ყვირილით აქაელებმა:
პატივი ვსცეთო ქურუმსა, რომ შეგვიწყნარონ ღმერთებმა;
მხოლოდღა ატრიდ მეფის გულს არად იამა ეს ხმები;
ქურუმი წყრომით განდევნა და უთხრა მწარე სიტყვები:
,,მოხუცო, აწ აღარ გნახო მოსული ჩვენთან სათხოვრად!
,,აქ რას უდგეხარ? წა, გასწი! ეს მითქომს შენთვის სახსოვრად,
,,თორემ შენ ვერას გიშველის სკიპტრა, პორფირი შენისა,
,,სულს გაეყრები, წაწყმდები მოყვასი შენის ღმერთისა.
,,ქალს თავისუფალ არა ვყოფ, ის ტყვეობაში დასჭკნება
,,არგოსის ჩვენს სასახლეში, შენგან კი შორად იქმნება;
,,ძველსა დაიდგამს, ჩაუბეჭს, ხან ჩემთან ტახტზედ განსცხრება.
,,წა, ნუ მარისხებ, თუ გსურდეს მშვიდობით შინ დაბრუნება''.

წარსთქვა მან, და შიშენეული მღვდელი, ბრძანების მორჩილი,
წარხდა უსიტყვოდ ზღვის პირ-პირ, რომლის უმცდარი ჩიეილი
შორს განისმოდა; მოხუცმა, ნაეთ დაშორებით მწუხარემ,
შეეედრა მეფე აპოლონს, ლეტას ძეს, გულით მდუღარემ:

,,ოჰ, ღმერთო, ვერცხლ-მშვილდოსანო, რომელიც იცავ და
უვლი
,,ქრიზას[11] და წმინდა ქალლასა, მიეედრე გამწარებული,

,,სმინდენო! თენედოსზედა შენ მეფობ მძლაერი, უკედაეი!
,,თუ მე საყდარი შემემკოს შენი, წყალობა მიყაეი;
,,თუმცა მე შენთვის დამეწოს თხათა მსუქანი ფერდები
,,და ხბოთა, ეს აღმისრულე, ისმინე ჩემი სიტყვები:
,,მათ ნუ შეარჩენ მოხუცის მონისა შენის ცრემლებსა.
,,შენი მომწყველელი ისრები შესტყორცე აქაელებსა''.

ესრედ შესტირნა ლოცვითა მოხუცმა მაღალ-ხმიანმა
და უსმინა თვის ქურუმსა აპოლონ ვერცხლ-შეილდიანმა.

მყის ოლიმპისა წვეტით აპოლონ გარდმოხდა რისხვით აღტყინებული,
მშეილდ-კაპარჭი აქეს ისრებით საესე, მოხდენით მხარზედ გადაგდებული;
ბეჭზე დასტოკვენ, დასიბრიალებენ ისრები, ფრთებით გამართულები.
მიელინების დროს ღვთისა მრისხანის ბნელს ჰგავს სიჩუმით მისი ბიჯები.
დაჯდა ბოლოს დროს ნავების წინა, ისერის ფრთოსანსა დასწორებულსა,
საზარო ხმასა აოხრებინებს მშვილდსა, ვერცხლებრივ გაბრწყინვებულსა.
პირველ დახოცა ზანტი ჯორები და ძაღლნი, ცუდად მოტანტალენი,
შემდეგ ხალხსაცა მიმოუსია მწყველელი ისრები მისი მწარენი.
მკვდართა ლეშების დასაწვავათა ბანაკში მრავლად აღინთებიან
ბოლონნი დიდნი და მათი ალნი თითონ ზეცასა მიუწვდებიან.

ცხრა დღეს ისმოდა ვით წვიმა ჯარებზე იმ ღვთის ისრები;
მეათეს პელიდ რჩევისთვის შეკრიბა აქაელები.

ეს აზრი მას შთააგონა ღმერთმა მპყრობელმა ზეცამ";
ის შეაწუხა აქაელთ ამდენი ქლეტის ცქერამა.
სისწრაფით ხალხი თავს იყრის და, როცა ერთად შეგროვდენ,
პირველად პელიდ ფეხ-მალმა სიტყვა სთქვა, ყურსა უპყრობდენ:
,,უნდა, ატრიდ, როგორც ვხედავ, ზღვა უკანვე გარდავიდეთ,
,,დაეებრუნდეთ სახლთა ჩვენთა, თუ სიკვდილსა წავეუვიდეთ;
,,შეცარი ჰირი, ბრძოლა ღუპავს და სწყვეტს აქაენეთ;
,,მო, ერთიცა გამოესცადოთ, ეკითხოთ ქურუმთ, თანამცოდნეთ,
,,ან ამხსნელებს სიზმრებისას (ისიც ზეესისგან იქმნება),
,,ცათა მცხოვრები აპოლონ, შეგვიტყონ, რაზე გვიწყრება?
,,აგებ აღთქმისთვის ცუდ-ქმნილის ას ზვარაკეულ სხვერპლისა
,,შეწირვას უნდო კრავების, თუ არჩეულის თხებისა
,,მოითხოეს ღმერთი ხსნისათვის ჰირისგან არგოსლებისა''?

ეს რა სთქვა, დაჯდა აქილი, წამსვე იმ კრებათაგანი
წარმოსდგა ქალხას-ფესტორიდ[15], პირველი ფრთოსანთ მისანი;
რაც არს, იყო, ან იქმნება, ამა ბრძენმა სულ იცოდა,
და აქაელთ ნავთა ზღვა-ზღვა ილიონში მიუძღოდა;
წინად ცნობის ზეგარდამო ნიჭი ფებმა მას გარდმოსცა;
მან აღესილმან მაღლის აზრით სთქვა და კრება გააოცა:
,,მეფეე აქილეს! მიბრძანე ცნობა, სანდომო ზეესისა,
,,სამართლიანად გაწყრომა ჩვენზე შორ-მტყორცნის ღმერთისა,
,,მე ვიტყვი, მაგრამ შემფიცე ღვთაებითა და ზეცითა,
,,რომ დამიფარო ყოველითურთ შემძლებლობითა შენითა.
,,ვშიშობ, რომ არ გავარისხო კაცი, ვინც აღემატება
,,ყოველ მეფეთა, რომელსაც აქელნი ემორჩილება;
,,მეტად შემძლეა ხელმწიფე და, ვისაც გაურისხდება,
,,ბულის სიფიცხეს პირველვე თუმცა არ დაემონება,

,,მაგრამ შურის კი ფარულის აღსრულებისა მზრახველი
,,დროს ელოდება. ბასინჯე და რქეი, თუ მყეეხარ მფარეველი?

სიჩქაროთ პასუხსა აძლევს აქილი კეთილშობილი:
,,მენდე და თამამადა სთქეი, რაც იყოს შენგან ცნობილი!
,,აპოლონს, ზევსის საყვარელს, ეფიცავ, რომელს შენ ლოცულობ,
,,ქალხასო, და მით დანაელთ ზესთა ნებასა მიუთხრობ;
,,არავინ არის ისრეთი ნავთა წინ, არც ვინ იკნება,
,,ბფიცავ, რომ ხელი შეგახოს, მე თუ კვლავ სული მედგმება.
,,დაასახელე თუნდ ატრიდ, დღეს ჯარის ბრძანებლობითა
,,ყველაზე მეტი, ავსილი იგი ამპარტავნებითა''.

სთქვა და გაბედვით წინ-მეტყვემა ამცნო ხალხს მან უცოდველმა:
,,არ ცუდის აღთქმის, სხვერპლისთვის, ვიცი მისმა მლოცველმა,
,,ბეირისხდება ჩვენ აპოლონ: ქრიზისთვის მისის ქურუმის,
,,რომელიც უპატიურ ჰყო აღამემნონმა ქალისთვის;
,,ფებმა მის გამო დაგესაჯა და კვლავაც უფრო გეაწვალებს,
,,დამამხობელის პირითა ჩვენ სხვაზე ხელს არ ვიღებს,
,,ვიდრე მამას არ მიგვრიან უფასოდ თავისუფალსა,
,,და წმინდა ქრიზი არ ნახავს მიგზავნილს ჩვენგან თვის ქალსა;
,,ამისა შემდეგ მწყრალ ღმერთსა სხვერპლი ას ზვარაკეული
,,შევსწიროთ, თანაც ეევედროთ, შეგვინდოს დანაშაული''.

სთქვა სიტყვა, დაჯდა ფესტორიდ; კრებიდგან აღსდგა ცხებული,
შემძლე, მეფე ერცლად-მპყრობელი, მხნე აღამემნონ ქებული.
რისხვით ამღვრეულს გული აქვს აღსავსე ბოროტებითა;

თვალები ცეცხლსა ისერიან. ქალხასს პირველად წყრომითა
სასტიკად უკქერს ატრიდი და ეუბნება ენითა:
,,შბედურების წინ-მთქმელო! კარგსა არროდეს ქადაგებ,
,,სჩანს, გიხარიან, როდესაც შენის თქმით ხალხსა აწუხებ?!
,,ძეთილი სიტყვა არროდეს არ გითქვამს, რაებს მოროტავ?
,,და ეხლაც შენს ცუდ აზრებსა ღმერთთა ბრძანებად მო-
ბოდავ!
,,მითქო ხალხზედა შორს-მტყორცნი ¡შები ვაებას მოაელენს,
,,შურს ძიობს, რადგან ჭრიზორის სახსრად ქალისა ძვირფას
ძღვენს
,,არ დაეხარბე და გულით მსურდა ქალწული შავ-თვალი
,,სახლად მეველინა. ძლიტემნესტს მას ვარჩევ, გითხრა მართალი;
,,თუმც ის უბიწო შემირთავს, მას ჭრიზეიდა სჯობია
,,ჭკვა და გონებით, სიტურფით, მომხიბველელობით მეტია,
,,მაგრამ თანხმა ვარ დაცავსთვო, თუ არს სარგებელ ნამდვილი,
,,შეორო მსურს ხალხი დაეხსნა, ვიდრე ვისრულო წადილი.
,,თქვენ კი მე დღესვე მომგვარეთ ნაცვალი ჯილდო ბანაკში
,,არგოსელების, მარტო მე რცხვენილ არ დაერჩე მთელ
ჯარში;
,,ამას თქვენც ხედავთ ყველანი, რომ ხელისაგან მისხლტება
,,მე ჯილდო წილად ხდომილი, აწ მსგავსი რაღა შემხვდება?

პირველ მას აძლევს პასუხსა ფეხ-მალი აქილ, ზე მდგარი:
,,სვითა ამაყო ატრიდო! ხარ მეტად ხარბი, ანგარი.
,,სად პოონ შენთვის სხვა ჯილდო აქვანთ გულ-კეთილებმა?
,,არა გვაქვს არსად დაცული ჩვენ საზოგადო ქონება.
,,რაცა აკლებულ ქვეყნებში ვიშოვეთ, დავიდეთ წილ ი
,,და, რაც ვისა ხვდა, წართმევა იქნება მეტი სირცხვილი.
,,სჯობს, შენი დავეუბრუნო საამოდ ღვთისა; შემდეგში

,,ერთს სამეულად მოგიზღავთ ჩვენ, აქაელნი, შენ ხელდრში,
,,თუ ხელსმა მოგეცა შეძლება, ავიღეთ ციხე-კოშკები,
,,და ტროადისა დაელეწეთ შეუმუსრავი ,ედლები''.
მყის მიუბრუნდა პასუხით მას ალამემნონ მორჯმული:
,,პელიდ! უკედავთა თანსწორო, რაც არ ხარ მბნე, შეძლებული,
,,ნუ-კი ცულლუტობ, შეცდენა ჩემი არ მოგიხერხდება;
,,ბსურს, თითონ ფლობდე ჯილდოსა, და მე კი თუმცა მაკლდება,
,,ჩუმათა ვისხდე? თან მირჩევ, დავსთმო მე ქალი შვენება!
,,დე ეხლავ ,მაყოფილი მყონ აქაელებმა ნაცვლითა,
,,მსრედვე გულის სანატრით, შვენებით მისვეწმსგავსითა;
,,თუ უარს ჰყოფენ, მე თვითონ მიეალ კარვებში და შენსას
,,ბამოვიტაცებ ჯილდოსა, ან აიაქს,[6] ოდისეისას[7]
,,მე წამოვიყვან და ვაი მას, ვის წინ ჩვენ თვითონ წარესდგებით;
,,მაგრამ ამაზე ბაასსა, ვგონებ, რომ კელავც მოვესწრებით,
,,ეხლა კი შაეი ხომალდი ჩაეუშოთ წმინდა ზღვაშია,
,,მენავეები მოვნახოთ, კმა ლონე ჰქონდესთ მკლავშია,
,,და მიუყვანონ ქრიზედსა ქალი ბროლ-ბადახშეული,
,,ივაში ჩაჯდეს უფროსად კაცი აქაენთ რჩეული,
,,ოდომენეი, ოდისე, გინდ აიაქს ტელემონისა,[9]
,,ანუ შენ თვითონ, პელიონ, გმირო, საზარო ბრძოლისა,
,,მიბრძანდი და მოგვეილბუნე მწყრალ გული აპოლონისა!''

რისხვით მცქერი, ფეხებ-მალი აქილი მას ეუბნება:
,,მეფეე, ურცხვო და მცბიერო, მარად ქრთამი გელანდება!
,,ვინ იქნება აქაელთგან, მოგისმინოს ეს ბრძანება?
,,ვინ ილაშქრებს დღეის იქით, ანუ მტერთა შეებმება?

,,ვეკე არ მოსულვარ მე ჩემით საბრძოლად ტროადლებისა,
,,მათ ჩემთან მტრობა არა აქვთ; არც მათთა ვაჟკაცებისა
,,მტაცებლობით რამ დამკლია; ჯოგი ცხენთა და ზვარაკთა
,,უზრუნველადა სცხოვრებენ, ველებში სძოვენ ბალახთა;
,,ბედნიერს ჩემსა შიაში'ᲐᲐ, ხალხ-მრავალ, ნაყოფიერში,
,,ᲣᲐᲜᲔᲑᲘ ᲐᲠ ᲒᲐᲣᲥᲔᲚᲐᲕᲗ; ᲢᲧᲘᲐᲜᲘ ᲛᲗᲔᲑᲘ ᲩᲕᲔᲜ ᲖᲚᲕᲠᲔᲑᲨᲘ
,,სდგანან და ორად გაჰყოფენ ზღვასაცა ზეირთნი მღელვარნი.
ᲐᲠᲐ, ᲩᲕᲔᲜ ᲨᲔᲜᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲡᲣᲚᲕᲐᲠᲗ, ᲒᲐᲚᲮᲔᲜᲗ ᲢᲠᲝᲐᲓᲔᲚᲗ ᲛᲓᲔ
ᲕᲐᲠᲜᲘ;
,,მენელაისა ვეძიებთ სისხლსა, და შენ კი ძაღლურად
,,ᲐᲛᲐᲔᲑᲡ ᲣᲪᲥᲔᲠ ᲡᲘᲖᲘᲖᲚᲘᲗ, ᲐᲠᲪ ᲡᲗᲔᲚᲘ ᲞᲐᲢᲘᲕᲐᲓ, ᲓᲐᲡᲢᲣᲠᲐᲓ!
,,შენვე მექადი, ამხადო მე ჯილდო, მოპოებული
,,ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲗ ᲓᲐ ᲨᲠᲝᲛᲘᲗ ᲝᲛᲔᲑᲨᲘ, ᲐᲥᲐᲔᲚᲗᲐᲒᲐᲜ ᲠᲩᲔᲣᲚᲘ,
,,ჩემთვის პირადად ჩემგანაც დიდ-რამედ დაფასებული;
,,ᲐᲒᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲢᲧᲝᲑ ᲣᲫᲚᲣᲠ ᲕᲐᲠ, ᲐᲜ ᲚᲝᲜᲔ-ᲓᲐᲡᲣᲡᲢᲔᲑᲣᲚᲘ?!
,,შენსწორი ჯილდო მე დღემდის არც ერთხელ არ მღირსებია;
,,ᲗᲣᲛᲪ ᲐᲧᲕᲐᲕᲔᲑᲣᲚ ᲢᲠᲝᲐᲓᲡᲐ ᲠᲐᲪ ᲐᲥᲐᲔᲚᲜᲘ ᲨᲔᲑᲛᲘᲐ,
,,ᲗᲕᲘᲗ ᲣᲓᲘᲓᲔᲡᲘ ᲡᲐᲡᲯᲔᲚᲘ ᲩᲔᲛ ᲛᲫᲠᲔᲑᲡᲐ ᲣᲢᲕᲘᲠᲗᲔᲑᲘᲐ,
,,ᲨᲔᲜ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲩᲕᲔᲜᲘᲡ ᲭᲚᲔᲢᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲨᲝᲠᲘᲓᲐᲛ ᲒᲘᲧᲣᲠᲔᲑᲘᲐ.
,,ᲓᲐ ᲗᲣ ᲐᲥᲐᲔᲚᲗ ᲫᲐᲚ-ᲚᲝᲜᲔᲛ ᲛᲢᲔᲠᲗᲐ ᲥᲐᲚᲐᲥᲘ ᲐᲘᲚᲝ,
,,ᲛᲐᲨᲘᲜ ᲨᲔᲜ ᲣᲜᲓᲐ ᲣᲨᲠᲝᲛᲚᲐᲓ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲯᲘᲚᲓᲝ ᲬᲐᲘᲚᲝ!
,,ᲛᲔ ᲙᲘ, ᲓᲐᲚᲚᲘᲚᲘ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲗᲐ, ᲛᲪᲘᲠᲘᲗᲐᲪ ᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲕᲐᲠ.
,,ᲙᲛᲐᲠᲐ ᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲛᲐᲡᲮᲠᲝᲑᲐ, ᲔᲮᲚᲐ ᲨᲘᲐᲨᲘ ᲛᲘᲔᲓᲘᲕᲐᲠ,
,,ᲨᲔᲣᲓᲐᲠᲔᲑᲚᲐᲓ ᲣᲢᲙᲑᲔᲡᲘ ᲐᲠᲡ ᲩᲔᲛᲗᲕᲘᲡ ᲩᲔᲛᲘ ᲡᲐᲮᲚᲝᲑᲐ,
,,ᲨᲠᲗᲝᲡᲐᲜ ᲒᲔᲛᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲕᲛᲐᲠᲗᲝ, ᲓᲐ ᲨᲔᲜ ᲙᲘ ᲒᲠᲩᲔᲑᲐ ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲐ;
,,ᲩᲔᲛᲘᲡᲐ ᲒᲐᲚᲐᲜᲫᲚᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲔ ᲡᲣᲚᲐᲪ ᲐᲠ ᲛᲡᲣᲠᲡ ᲛᲢᲔᲠᲘᲡᲐ
,,ᲡᲐᲠᲪᲔᲐ, ᲒᲚᲔᲯᲐ ᲓᲐ ᲐᲙᲚᲔᲑᲐ ᲯᲘᲑᲔᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲜᲘᲡᲐ.

ᲛᲡᲬᲠᲐᲤᲚᲐᲓ ᲨᲔᲡᲫᲐᲮᲐ ᲛᲔᲛᲜᲝᲜᲛᲐ ᲮᲐᲚᲮᲗ ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲔᲚᲛᲐ: ᲐᲠ ᲛᲯᲔᲠᲐ!
,,ᲠᲐᲐ, ᲒᲐᲘᲥᲪ, ᲗᲣ ᲒᲜᲔᲑᲐᲕᲡ, ᲛᲔ ᲐᲠ ᲛᲡᲣᲠᲡ ᲨᲔᲜᲘ ᲓᲐᲥᲔᲠᲐ,

,,ჩემთვის რომ დარჩე, არა გთხოვ; სხვები, ეიმედობ, ყველანი
,,პატივსა მცემენ, და ზეესი, ჩვენის ბედისა მწერალი,
,,მეტსა მომიელენს წყალობას; შენ-კი, მწყურვალე შეოთისა,
,,ყველაზედ საძულველი ხარ ჩემთვის ამ მეფეთ შორისა,
,,რომელთაც ზეესი მფარველობს! შენ მხოლოდ გიყვარს წყეული
,,აშლა, ჯახი და ბრძოლები. რაა?.. მზნეობით განთქმული
,,თუ ხარ, ეგ ღმერთთა ნებაა... წადი, სახლადვე დაბრუნდი,
,,შენი ჯარებით, გემებით თესალიაში მისცურდი,
,,იქ იბრძანებლე, არ ეზრუნავ შენზე, ვარ მთქმელი მართლისა
,,და შენსა რისხვა-ქადილსა ესთვლი თავხედობად ბავშისა.
,,ჩემგან აპოლონ თხოულობს, რომ დაეუბრუნო ქრიზიდა;
,,ბავგზავნი ქალწულს ხომალდით, ჯარსაც ეაახლებ-რა გინდა?
,,შენთან კი მე გიახლები კარავში და ბრიზეიდსა
,,თვით წამოვიყვან, რომ ცხადათ გაგაგებინოს შენ ბრიყვსა,
,,რავდენ უფლებით შენზედ მე ვარ ხელმწიფე-მაღალი,
,,რომ ჩემსა შემოდარებას ვერვინ ბედვიდეს ოცხალი!

წარსთქვა, და პელიდს უ'მიშარ გულზე დაესხა ნაღველი.
თმიანი მკერდი მღელვარებს, ორ აზრთა შუა მზრახველი:
ან დაუყოვნად გაიძროს ქარქაშით ხრმალი მომსვრელი,
წინ შემოყრილნი განფანტოს, მოკლას ატრიდი მპყრობელი!
ან მძვინვარება დააცხროს, ასდვას აღვირი წყენასა.
წამს რა გონებით არჩევდა ამ გვართა ფიქრთა სრბოლასა,
აღმოიხადა მახვილი საზარო, შემაშფოთარი, —
ზურგით გაუჩნდა ათინა'Ო, წასტაცა ხელი მაგარი
მას ხუჭუჭ თმებში; ბერასგან, ოქროვან ტა'ტზე მჯდომელის,
მოგზავნილ იყო ზეციდამ, ორთავე გმირთა მფარველის.

პელიდი მხოლოდ ხედვიდა, სხვა ვერვინ წყვრი კრებისა;
შეკრა..., რა იცნა მინერვა, ასული მეხთა-მტეხისა;
უკუსდგა იგი, ღმერთასა თვალთაგან ცეცხლი სცვიოდა;
მას მიუბრუნდა აქილეს და ფრთოსან სიტყვებს ეტყოდა:
,,ძალიშვილო ეჰიოსის, ოლიმპიდამ რათ მოსულხარ?
,,თუ ატრიდის ნახვა გინდა, სიგიჟესა მისსა სწუხხარ?
,,მაგრამ ვიტყვი—და ნათქვამი ჩემი მალე აღსრულდება:
,,ეს ვაქკაცი ამაყობით თავს წააგებს, მოცაჰკვდება!''

პელიდსა ეტყვის ასული ზევსისა, სხივთა მფრქეველი:
,,მშფოთარი წყრომა დაანცხრე, თუ ხარ უკვდავთა მცნობელი;
,,ცით გარდამოველ, მომგზავნა ზერამ, ტახტ-ოქროიანმა;
,,ორნივ თანასწორ უყვარხართ, სურს გიხსნასთ ელვებიანმა;
,,ჯარსა დაეხსენ, პელიონ, აკმაყოფილე მწყრალ გული;
,,მწარე სიტყვებით დაშხამე, ხრმალს ნურად ხმაროობ ქებული;
,,მე წინვე გეტყვი და ადრე თვით ნახავ ამა საქმესა:
,,მალე სამგზის მეტს მდიდარსა ძღვენსა, საჩუქრებს საქებსა
,,აქვე მოგიზღვენ, დასწყნარდი, ემონე ჩვენსა სიტყვებსა''.

ქელაე მოახსენებს ათინას აქილეს ფეხებ-მალია:
,,ოჰ, ღმერთავ! თქვენის ბრძანების სრულ ყოფა ჩვენი ვალია.
რაც ცეცხლი გულს არ მედება, შფოთს ვარჩევ მოთმინებასა;
ვინც უკვდავთ ემორჩილება, უსმენენ შეევედრებასა''.
წარსთქვა, და ვერცხლის ხრმლის ტარი ძლიერის ხელით მოსწურა,
ხრმალი ქარქაშში ჩააგო, ბრძანება დაადასტურა;
პალადის რჩევას ემონა, იგი ოლიმპზე აღფრინდა,
ეჰიოს მამის სადგურში, ცად მსუფევთ წრეში შევიდა.
მაგრამ ფეხ-მალმა ხელახლავ მიმართა მქისის სიტყვებით

ატრეის შვილსა და წყრომა არ შეაკავა სრულებით:
,,ლოთო, შეაქერით მურისა მსგავსო, სულით კი კურდღელო!
,,შენ ფიცხელ ომში აროდეს ამხედრებულხარ, მცარცველო;
,,ვერც წასვლა ერთად დარაჯში გმირებთან ჩვენის ჯარისა
,,მყრალ გულით გაგიბედნია. ეგ შენ სიკვდილის მწარისა
,,თანასწორად გჩანს; ეს გზობით უადვილესი ყოველისა
,,არის ბანაკში მიმოსვლა, რბევა და ცარცვა ხალხისა,
,,ჯილდოს წართმევა იმათი; რომელიც წინ აღგიდგება.
,,მეფევ, შემთქმელო ხალხების! სკან, მხოლოდ შენ გვმონება
,,ერი საზიზღი, ან, ატრიდ, დღეს ბოლო ბოროტებისა
,,მოგველებოდა; მაგრამ კელავ გეტყვი და ვფიცავ ჩემისა
,,სულის უმაღლეს საფიცარს, ამ სკიპტრას მამა-პაპისა,
,,რომელიც აწ ვერ გამოსცემს შტოებსა, ვერცა ფოთოლთა,
,,ერთხელ მოშორდა რა ძირსა ქედზედა მთათა მაღალთა;
,,იმას ლესულმა სპილენძმა გასძარცვა ტყავი და ხელთა
,,ეხლა უპირავსთ მსაჯულთა, ზევსისა სჯულთა დამცველთა.
,,სკიპტრა ეს აქვსთ წინაშე ნიშნავს უდიდეს საფიცსა;
,,დრო მოვა, დანაელები მოინატრებენ პელიდსა
,,უველანი უმცირესამდი; შენ კი, დასჯილი გონებით,
,,უძლურ იქნები მათ არგო, როცა ვაჟთ-მჭლეტის მკლავებით
,,წინ გამოირეკს ჰექტორი, მტერად აქცევს ჩვენსა ჯარებსა;
,,ატრიდო, ღონე მიხდილო, მაშინ ჩამოყრი ცრემლებსა.
,,თავს ემდუროდე: აქაელთ უპირველესი მებრძოლი
,,შეურაცხ ჰყავი; აწ ვნახოთ, სხვა თუ ვინმე გყავს მისტოლი.''

ეს რა სთქვა, სკიპტრა ძვირფასი, ოქროს ლურსმნებით შემკული,
მიწასა დაჰკრა, დაბრძანდა ხალხთაგან შეყვარებული.
პირის პირ ალამემნონი მძვინარეობდა;—ნესტორი

წარმოსდგა პილოსიისა: ენა მოქნილი, რიტორი
ამბობს ვით წყარო თაფლისა ტკბილსა და შესაგონებსა.
მის თვალ წინ ორი-თაობა მოულეია დროებსა;
წასულან მისი თან ზრდილნი, შეყვარებულნი გრძნობითა,
დღეს მესამეზე ბრძანებლობს, აღვსილი გონიერობითა;
ოთხთავ მიმართავს ეს ბრძენი რჩევით და დარიგებითა:
,,ღმერთნო! აქაელთ ქვეყანას ემუქრის უბედურება;
,,ო.... პრიამს თავის ტომითურთ რა რიგად გაუხარდება,
,,ყველა ტროადის მცხოვრებნი უსაზღვროდ გამხნევდებიან,
,,თუ მათ შეიტყეს, რომ თქვენში უთანხმობანი ხდებიან!
,,დანაელთ შორის თქვენა ხართ პირველნი ქებით, პატივით,
,,მაგრამ დამითმეთ, ძლიერნო, უხუცესი ვარ თქვენზედ ხნით.
,,ყველა მინახავს უმეტეს თქვენზე განთქმულნი გმირები
,,და მათაც არ აუვდიათ ჩემგან ნაკადრი რჩევები.
,,არა, მათ მსგავსსა გმირებსა ვერ ვნახავ, არცა მინახავს!
,,მებრძოლთ, ვით იყო პორფეი,'' და დრიადს ვინ გამოსახავს!
,, მრისხანე მექსიდ, ძონეი, პოლიუენ, მსგავსი ზე არსთა,
,,და მგვისგან შობილი თეზეი, სწორი უკვდავთა.
,,ესე კაცები მძლეველნი, სახელნი ქვეყნად შობილთა,
,,იყვენ მიუმსგავსებელნი,—ებრძოდენ გამოხმობილთა
,,მძვინვარე შვილთა მთებისას, და ხოცდენ ძლეულთ, ლტოლ-
ვილთა.
,,ბარნა მათთანაც მეგობრად გახლდით, დავსტოვე რჩეული
,,სამშობლო შორის აპაიის,—მათგანვე ვიყავ წყეული;
,,იქ, რაც ძალ-მედვა, ვიღეწოდი, მხოლოდ მათ შედარებასა
,,ვინ გაბედვიდა, ვინც ეხლა ღირს ქმნილა წუთ ცხოვრებასა?
,,მაგრამ ისინიც ჩემს სიტყვებს ისმენდენ, ყურსა უპყრობდენ.
,,მაშ შეიგონეთ თქვენც, გმირნო, ღღეს შემძლებელნი რაც ოდენ

,,არ იყოთ, რჩევა არ გავნებსთ, მოიტანს კეთილს ნაყოფსა.
,,შენ, ალამემნონ, აქილესს ნუ ართმევ ტურფა ქალწულსა;
,,იგი მიართვეს შრომისთვის მას ჯილდოდ აქაელებმა,
,,ეით უგბარსა მებრძოლსა, ნიშნად ახეველრეს გმირებმა.
,,შენ, აქილესო! უკადრის პასუხს ნუ აძლევ მეფესა,
,,მსგავსი დიდება ჯერ ქვეყნად მოუხვევია არც ერთსა,
,,მპყრობელს-ქებულსა, სკიპტროსანს, ვინც ზევსსა უყურთხებია.
,,აქილ, მხნეობით განთქმულო, ღმერთ-ქალი შენ გდედებია!
,,მაგრამ უფროსი აქ არის, ფრიქნეთა ერთა მბრძანები;
,,დამშვიდდი, ალამემნონო, მოხუცი შეგეეედრები;
,,ნუღარ უწყრები ბელად გმირს—მას მძლესა ყოველთ მძლეველთა,
,,ზღუდეა მისაყრდნობელი ის ჭირში აქაელებთა.

სიჩქარით პასუხსა აძლევს მას ატრიდ, გმირთა მბრძანები:
,,ბეშმარიტია, მოხუცო, შენი ძვირფასი სიტყვები;
,,მაგრამ ხედავ, რომ ამ კაცსა უნდა ყველაზე მეტობა?
,,ბრძანებლობის სწადს უფლება და ჯართა მეუფროსობა;
,,ბანკარგულებდეს, ესა სურს, მაგრამ მე ვერ ვეთანხმები;
,,ესთქვათ, უსწორო მხნედ დაბადეს, სწყალობენ კვლავაც ღმერთები;
,,ამისთვის ვითომც ნება აქვს გამლანძღოს ცნობა მიხდილმა
,,მე ამ კრებაში? არ მჯერა, ეს შესძლოს ასმა აქილმა''.

მრისხანე აქილ წაართმევს სიტყვას და ეტყვის ნაცვალსა:
,,სიმართლით დამიძახებდენ მაშინ ყველანი მშიშარსა,
,,რომ შენი რისხვა, ქადილი გარდამეტანა მოიმენით,
,,ეს მოითხოვე სხვათაგან, მაქცარო ამპარტავნებით.
,,მე კი ნურასა მიბრძანებ, არ მსურს შევუშვა ის ყურში,
,,სხვა ნაირს გეტყვი სიტყვასა და დაიმარხე შენ გულში:

,,ქალისთვის იარაღითა ჩხუბსა არავის გავუწევ,
,,არც შენ და არც სხვებს; წამართვით, რაც მოგიციათ, არ
დავსდევ;—
,,და რაც სხვა რამ მაქვს საჭურჭლე ჩემ შავ გემებში დაცული,
,,მიმედობ, ვერეინ წამტაცოს, თუ ებრალება მას გული.
,,ჩემ უნებურად იქ დებულს შენ ხელს ვერასა შეახებ!
,,ბნებავდეს—სცადე, და ნახონ, სიცოცხლეს რა რიგ წააგებ,
,,წამსავე შენსა შავს სისხლსა ჩემ შუბის წვერსა მოვაცხებ!''

ესრედ ერისა წინ მძღოლნი ერთმანეთ შორის ჩხუბობდენ,
წამოდგენ, კრება დაშალეს, თავ-თავისათვის წავიდენ.
მეფე აქილ გაემართა თვის გემებსა, ჩქარად მფრენსა,
მირმიდონელთ ჯართ უფროსი მენეტიდი[3] ახლავს მხნესა.
აღამემნონ მსუბუქ ხომალდს დააცურებს ზღვის ზვირთებზე;
ოცს აარჩევს მენავურსა, სამსხვერპლოსაც დასდგმენ გემზე
მეფის შების შესაწირად. თვით ქრიზიდა მსგავსი მზისა
შიგვე ჩასვა, ზედ ბრძანებლობს ოდისეი, ჭური ჭკვისა.
მსწრაფლ გაჭრინდენ ზღვის სარკეზე, ტროადისკენ მიელენ გზასა,
იმა დროსვე ატრიდ ბრძანებს აქაელთგან განბანასა;
ლაშქარმაცა განიბანა, ნაბანევი მისცეს ზღვასა,
მერმე მეფის შებისათვის მისდგენ სხვერპლის შეწირვასა.
თხა და ზვარაკი მრავლობით დაუწვეს ზღვისა კიდესა,
იმათი კომლის სუნნელი ცათამდის აღავიდესა.
ასრე შრომობდენ აქელნი, მაგრამ ატრიდი სწყრებოდა,
პელიდზე შურის ძიება ჯერცა არ დავიწყებოდა.
მოიხმო თვის წინ ტალბია[4] და გმირი ევრიპატისა,
ერთგულნი მისი მხლებელნი, მცნობელნი ყოვლის ამბისა:
,,წაბრძანდით, მოციქულებო, აქილესისა ბანაკში,

,,ხელი მოჰკიდეთ ბრიზეიდს, მოიგვარეთ ჩემსა კარავში.
,,თუმცა არ მოგვეცეს, წამოდით, მე თვითონ ძალით წავსტაცებ,
,,იქ მოვალ ჩემის მხედრობით და ურჩსა მეწარეთ ვანანებ''.

ესრედ წარმოსთქვა, უბრძანა სხვაც რამ სიტყვები მწყრალები;
წარვიდენ კაცნი უნდომლად, ზღვის პირსა სცემდენ ტალღები,
რა მიუახლდენ კარვებსა, სადა გემები მდგომარე
იყო, იქ ნახეს პელიონ, თავის კარვის წინ ვჯდომარე.
მოსულთა ნახვით აქილი არ აჩენს მეტად ლაჩენასა,
ძრთებიან მეფის შეხედვით, სდგანან, ვერა სძერენ ენასა;
ვერც შემოთვლილი აცნობეს, ვერცა მას ჰკითხეს რაები.
ბულით მიუხედა პელიონ, უთხრა მათ ესე სიტყვები:
,,მშვიდობა თქვენდა, ეაქკაცნო, ღვთის და კაცთ მოციქულებო!
,,ახლოს მოდექით უშიშრად თქვენ, ყოველად უბრალოებო;
,,ეიცი, მეფემან მოგგზავნათ ბრიზეიდისთვის მშვენისა.
,,ძეთილშობილო მოყვარეე, პატროკლ, წადი და შენ ისა
,,ამათ გარდაეც, მიჰგვარონ; მაგრამ მოწმენი ამისა
,,იქმენით ხალხთა წინაშე, ღვთისა და იმა მეფისა,
,,ვინც უგუნურად გატარებსთ, ატრიდის გაუმაძღრისა.
,,დრო მწარე მალე მოაწევს, ისევ საჭირო ვავხდები,
,,დაეიხსნა სირცხვილეულის სიკვდილისაგან ჯარები.
,,ის ეხლა გიყობს და ხელობს, სიბრაზით ჰკვა-წართმეულმა
,,ვერ მოახერხა ასწონოს, თუ შემდეგ დამარცხებულმა
,,ვით მოარჩინოს აქელნი მტერთაგან ამოწყვეტასა,
,,ბემები ჩვენი—გარდაწვას და ხალხი—მთლად გაქლეტასა.''
სთქვა და მენეტისიანმა მოიმადლა მეგობარი,
ხელი წააელო, გამოყავს ქალი უებრო, წყაზარი,
მოციქულთა ჩააბარა, ისინიცა შენაზარნი
აქაელთკენ წაემართენ, შიშისაგან ანაჩქარნი.

ამისა შემდეგ აქილეს ეეღარ იმაგრებს ცრემლებსა,
მარტოდ გაიჭრა წყვდიადში, გაექცა გულის მოყვრებსა;
ზღვისა უფსკულსა წაადგა, უცქერს ქაღარა ზვირთებსა,
ხელნი აღმართნა, დედასა სთხოეს, ეტყვის თვისსა დარდებსა:
,,ოჰ დედაე! როცა შენ მშობე ამ ქვეყნად მოკლე დროებით,
,,შეეემკე მაინც ზესთა მხედს ვმირისა სახელოვნებით.
,,ზეესო ეჰიოს! მაგრამ მე არ მიყო ერთი წყალობა!
,,ამაყმა უდიდესობით აღამეშონშა მტერობა
,,ხედავ რა მიყო? ბრძოლებში სისხლის ღვრით მოპოებული
,,ქალი წამართვა, თვითონ ფლობს, მე ერჩები გაწბილებული!

მტირალი ესრედ ყვირიდა, ხმა მისი დედამ ისმინა,
ზღვათა უფსკრულში მსუფევემა, სადა არს ნერეის'' ბინა;
ქაფიან ზღვიდან მსუბუქი, ვითა ღრუბელი, აღმოხდა,
ახლოს მიუჯდა საყვარელს შვილსა, რომელიც სტრემლოდა;
ნაზად უძახდა ალერსით, ხელითა ეფერებოდა:
,,ოჰ, შვილო ჩემო, რათ სტირი, რა მწუხარება გწვეია?
,,მითხარ, რომ ორთავ ვიცოდეთ, შენს ნორჩ გულს რა შე-
მთხვეია?

მას მძიმე ოხერით მიუგო აქილეს დაუფარველად:
,,დედაე, რა უნდა გიამბო, შენ ისეც იცი უთქმელად.
,,ჩვენ წმინდა ფიეში'' ქალაქი ეტიოქველთა ავიღეთ,
,,ავიკლეთ ციხე, სოფლები, რაც ვპოვეთ, შინ წამოვიღეთ.
,,აქაელთ შვილთა ჩვეულებრ ერთმანეთ შორის გავიყეთ:
,,ატრეის ძესა ქრიზოსის ქალწული წილად დავუდეთ.
,,მალე ქრიზოსი მიხრწნილი, ღედელთ-მწყემსი ღვთისა ფებისა,
,,შავ ხომალდებთან მოვიდა არგოსელთ გულმაგრებისა;
,,სახსარიც ბევრი მოზიდა გამოსასყიდლად ქალისა:
,,ხელთ ეპყრა კვერთხი ოქროსი, ზედ ჯიღა აპოლონისა.

,,ეედრებოდა ცრემლებით ჯაჭვ-ცმულთა აქაენელთა,
,,შორო ატრიდელთ მძლეველთა, ჯართ-მწყობრთა მოურეველთა.
,,ყველა დასთანხმდა, ყვირილი შექმნეს, ბუკისა სადარი,
,,პატივი ეს[illegible]ეთო ქურუმსა, მიეიღოთ მისგან სახსარი.
,,მარტო ატრიდელთ მეფესა არ მოეწონა ეს ხმები,
,,მოხუცი წყრომით განაძო და უთხრა ცხარე სიტყვები.
,,ძურუმი უკან მიიქცა, მაგრამ აპოლონ ციერი
,,მხურვალ ეედრებას უსრულებს, უყვარდა თვისი ბებერი,
,,და წარმოგზავნა ჩვენზედა ისრები ამომწყვეტელნი.
,,ხალხი გრო-გროზე სწყდებოდა, ებრძოდით ამისა მხედველნი.
,,ცით გაბრძნობილმა ქალხასმა მაშინ ღვთის ნება გვაცნობა.
,,პირველმა მე ესთქვი ჩვენზედა მრისხანე ღმერთის დატკბობა.
,,აღენთო გულით მემნონი, წამოხტა გამხეცებული,
,,მემუქრებოდა სიტყვითა—და იქმნა აღსრულებული.
,,ქრიზის ხუცესის ასული აქაენელთა თან მიყავთ
,,მსუბუქის ნავით და ღვთისთვის შესაწირავიც შიგა აქვთ;
,,მაგრამ შემდეგ ჩემს კარავში მოვიდენ მოციქულები
,,და ბრიზეიდა წამგვარეს, ის ჩემგან შენაყვარები!''

,,ადექ, თუ რამ შეგიძლია, აწ უშველე შენსა ძესა,
,,ეხლავ აფრინდი ოლიმპზე, შეეეედრე მძლეველ ზევსსა,
,,თუ მისთვის გიმსახურნია სიტყვითა ანუ საქმითა;
,,ხშირად ჩვენს სახლში მსმენია ყმაწვილობისას ლხენითა,
,,ხშირადაც თვით ქებულობდი, რომ ზევსსა ღრუბელთ მბძანებსა
,,მე ერთი უკვდავთაგანი ვაშორებდიო მტერებსა,
,,როცა ოლიმპის ღმერთებსა უნდოდათ მისი მოსპობა:

,,ბერას, პასიდონს, პთინას გარდაეწყვიტათ შეპყრობა.
,,შენ კი, ო ღმერთაე, მიხველ და დაამხვე მათი მუხთლობა,
,,თან მოიწვიე ᲮᲡᲮᲔᲚᲘ და სთხოვე მას შემწეობა,
,,რომელსაც, ვითა ღმერთ კაცსა, ქვეᲜᲔᲒᲔᲝᲜ ᲑᲠᲘᲔᲠᲘ.
,,საზარო იგი ტიტანი, თავის მამაზე ძლიერი,
,,ᲥᲠᲝᲜᲘᲓᲡᲐ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲗ ᲓᲐᲣᲡᲔᲘ, ᲕᲐᲔᲑᲐ, ᲨᲔᲣᲞᲝᲕᲐᲠᲘ;
,,რა ღმერთთა ნახეს, გაიქცენ; ზეესი კელავ, მამა მთავარი,
,,მბრძანებლად დარჩა; ᲥᲠᲝᲜᲘᲓᲡᲐ ᲔᲡᲔᲜᲘ ᲛᲣᲮᲚᲖᲔ ᲙᲝᲪᲜᲘᲗᲐ
,,შენ მოაგონე, ეეედრე ცრემლებითა და ლოცვითა,
,,რომ მან პერგამლებს[7] ძლევა სცეს არგოსელთ ᲭᲚᲔᲢᲐ-ᲮᲝᲪᲕᲘᲗᲐ.
,,მაგრამ, როდესაც არგელნი ხომალდებამდის მიდენონ
,,ᲡᲔᲛᲘᲗ და ᲬᲧᲕᲔᲢᲘᲗ, მაშინ მათ თავიანთ მეფეს შეხედონ,
,,და უგუნურმა მეფემ იხილოს თვისის თვალებით,
,,ᲗᲣ რა რიგ შესცდა აქაელთ გმირისა შეურაცხებით''.

შვილს ეუბნება პასუხსა ᲨᲔᲢᲘᲓᲐ ᲪᲠᲔᲛᲚᲘᲗ ᲬᲗᲝᲑᲘᲚᲘ:
,,შვილო, უბრალოდ აღგზარდე შენ უბედური შობილი;
,,ᲦᲛᲔᲠᲗᲛᲐ ᲘᲜᲔᲑᲝᲡ, ᲜᲐᲕᲔᲑᲗᲐᲜ ᲣᲪᲠᲔᲛᲚᲝᲗ, ᲣᲓᲐᲠᲓᲔᲚᲐᲗᲐ
,,ᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲚᲘᲧᲝᲗ; მოკლეა შენი ცხოვრება ქვეყნათა.
,,ᲓᲦᲔᲡ შენ ყველაზე ბედკრული და უფრო უხანური ხარ,
,,ᲑᲝᲠᲝᲢᲡᲐ ᲬᲔᲚᲨᲘ, ᲨᲕᲘᲚᲝ-ᲯᲐᲜ, ᲔᲮᲔᲓᲐᲕ, ᲠᲝᲛ ᲓᲐᲛᲑᲐᲓᲔᲑᲘᲮᲐᲠ.
,,მაგრამ აღცავალ ᲝᲚᲘᲛᲠᲘᲡ მრავალქედიან მთაზედა,
,,ᲛᲚᲔᲗᲐᲗ-ᲛᲢᲧᲝᲠᲪ ᲖᲔᲔᲡᲡᲐ ᲕᲐᲪᲜᲝᲑᲔᲑ, ᲐᲒᲔᲑᲘᲡ ᲘᲡ ᲙᲐᲠᲒᲡ ᲒᲣᲚᲖᲔᲓᲐ
,,ᲛᲜᲐᲮᲝ, ᲛᲘᲡᲛᲘᲜᲝᲡ, და შენ კი აქ დარჩი ხომალდებთანა.
,,შური ღრმად გულში დაფარე, მხოლოდ საბრძოლად მტერთანა
,,ᲐᲚᲐᲠ ᲒᲐᲮᲕᲘᲓᲔ. ᲥᲠᲝᲜᲘᲓᲘ ᲝᲙᲔᲐᲜᲘᲡᲐ ᲔᲠᲪᲔᲚ ᲬᲧᲚᲔᲑᲖᲔ
,,ᲣᲙᲕᲓᲐᲔᲗ ᲙᲠᲔᲑᲘᲗᲣᲠᲗ ᲬᲐᲕᲘᲓᲐ ᲔᲗᲘᲝᲢᲔᲚᲗᲐ[8] ᲛᲔᲯᲚᲘᲨᲖᲔ;
,,მეთოთხმეტესა დღეს მოვა ᲝᲚᲘᲛᲠᲖᲔ დაბრუნებული;

,,და მაშინ სპილენძ-ჭედილსა ზევსისა სახლსა ვებული
,,მივალ, წინ დავუვარდები, მისმენს — ეარ დარწმუნებული.

სიტყვა შესწყდა, გადიკარვა, სევდა სწყვლიდა შეილის
გულსა,
იგონებდა უცხო ქალსა, წითლის სარტყლით მოკაზმულსა,
ატრიდისგან წატაცებულს; ამა დროსვე ქრიზეულსა
ოდისეი მრავალ-ბრძენი მიახლოვდა ნავსადგურსა.
წმინდა სამსხვერპლო შებისთვის მიაქვს, და შუილ-ხრიალით
მსუბუქი გემი შევრინდა მის უფრსკულ წყლებში სრიალით.
ელქნები მოხსნეს, დაკეცეს, შავ ხომალდს ანძა მოაძერეს,
მოიწოდინეს სიჩქარით, თოკებით ძირს ჩამოუშვეს
და ნავი მძლავრად სადგურში შიგ შეაცურეს ნიჩბებით.
იქ იმათ რკინა ჩააგდეს, ნავი დაბეს საბლებით;
ჯარით ნაპირზე გადმოხდენ, ზვარაკი გარდამოასხეს,
სამსხვერპლოც აპოლონისა, შემდეგ ჭრიზიდა გარდმოსვეს
მამათ მიწაზე; ოდისეს მაშინ საყდრისკენ ქალწული
მიყავს და მამას ხელთ აძლევს; მოხუცი გახარებული
ეხვევა შვილსა, მას ეტყვის ოდისე, სიბრძნით ქებული:

,,ფების მსახურო! გიგზავნის ალამემნონი მგლობელი
,,საყვარელს ქალსა, ღვთისთვისაც სხვერპლი გვაქვს შესაწირველი
,,დანაელების სახსნელად; აგების ღმერთმა წყალობით
,,მოგვხედოს, გვიხსნას ჭირისგან, ვეედრით ლოცვით და გა-
ლობით''.

მოხუცი გულში ჩაიკრავს ქალსა და სხვერპლსა მიიღებს;
იმ დროსვე კრავნი არგელთა ტრაპეზსა შემოუმწკრივეს,
ხელი იბანეს, მარილი და ქერი მუქით აილეს.

ხმამაღლა ჭრიზი ლოცულობს. ზემოთ აღაპყრა ხელები,
შეეეედრება ღმერთს ზებსა, თეთრ წვერს უსველებს ცრემლები:
,,აპოლონ ვერცხლ-შვილდოსანო, რომელიც ული, პატრონობ
,,ჭრიზას და წმინდა ქალლასა, Oენედოსზედა შენ მეფობ:
,,ჩვეულებრივად ისმინე ხმა ჩემი მოწყალებითა,—
,,შენ არ გამითქვი სახელი აქაველების ენებითა?
,,ეხლაც კეთილად მომხედე, ივედრე შენი მოხუცი:
,,ეყოფათ, აწ მოაშორე აქაელთ ჭირი დამხოცი!''

ესრედ შეეედრა აპოლონს; უსმინა ვერცხლ-შვილდიანმა,
სხვრეპლს მოაყარა მარილი და ქერი იმ მადლიანმა;
შემდეგ თავები მოკვეთეს, გახადეს, მოსპრეს ფერდები,
ერთად დააწყვეს, ნედლ ხორცსა გადააფარეს ტყავები;
იმათზე წითელი ღვინო მოასხეს, დასწვეს ცეცხლზედა,
ირგვლივ ბავშები ჩანგლებით უცქერდენ მდგომნი ფეხზედა.
ბვერდები შესწვეს, იგემეს თირკმელნი დაკლულებისა,
რაც დარჩა, დასპრეს წვლილ-წვლილად, ააგეს შამფურებზედა.
სწვენ გაფრთხილებით ცეცხლზედა; მზა როცა გახდა, გარდიღეს;
რა დაასრულეს ესენი, აქაელთ სუფრა გააწყვეს.
ყველა ლხინობდა მეჯლისზე, არვის კლებია საჭმელი,
და როცა მადა მოიკლეს, მაშინ ყმაწვილთა სასმელი
საესე ჯამებით მარჯვენიდამ ჩამოატარეს მარცხნამდის.
აქენნი მთელ დღეს ლხინობდენ, ხმათა აწვდენდენ ცათამდის.
ბალობის ხმითა მაღლითა აპოლონს შესხმით აქებდენ;
მას ისარმტყორცსა ესმოდა უცხო ეს ხმები, ალხენდენ.
მზე ძლივს ჩავიდა, და მიწა ღამისა ბნელმა შემოსა;
ძილსა მიეცენ მცურავნი იქვე, ხომალდის ახლოსა.
ბასჩნდა თუ არა ცისკარი, მახარობელი დილისა,

ბზასა გაუდგენ, დაბრუნდენ ალარა მდომნი ძილისა.
მათ მოსცა შებჭა ნიაღი, არ ელალებათ მკლავები,
დირეული დასდგეს, გაშალეს თეთრ-თეთრი იალქნები,
ბაბერა ქარმა საშვალი, მიფრინავს ნავი, სრიალებს,
ზეირთნი ეალერსებიან, ზღვა წითელ ფერად ტრიალებს:
მიეშურება ხომალდი, ტალღებზე სტოვებს ნახნავსა.
რა მიაწიეს ბანაკთან, ეწიწებიან ხომალდსა;
ამოათრიეს ფერდოზე, ქვეშეთ დაუდეს ჯირკები,
თეით გაიფანტენ კარვებში, ვისაც სად ყაიდა მოყვრები.
ის დაშთობილი გემებთან სჯაეროობდა, იგინებოდა,
ზეესის ნაზარდი პელიდი, აქილ ფეხ-მალი სწყრებოდა,
რჩევებში განთმულ კაცებთან არც ერთხელ დაესწრებოდა,
არც იყო სასტიკ ბრძოლებში, სად სისხლი მოიღერებოდა,
უქმადა იჯდა და სულით ომი კი ენატრებოდა.

აჰა, გაეიდა ბოლოს დროს ის დღენი მეთორმეტენი,
ბრწყინვალ ოლიმპზე მობრძანდენ უკვდავ-უხრწნელი ღმერთები,
წინ მიუძღოდა მათ ზეესი და კრება თან მიყვებოდა;
ფეტიდას თავის მტირალი ვაჟი არ ავიწყდებოდა.
ჭაფიან ზღვიდამ აღფრინდა პირველი ცისკრის ლრუბლებთან,
აღვიდა დიდსა ოლიმპზე უკვდავი ის უკვდავებთან;
ის მარტოდ ზეესსა იხილავს, ელვათა მიმომტყორცნელსა,
მრავალქედიან ოლიმპის უმაღლეს წვეტზე მჯდომელსა;
სიჩქარით გვერდით უსხდება, მუხლებზე შემოეხვევა,
მარჯვენა ხელსა სინაზით წვერზე მოავლებს, ემთხვევა
და ეუბნება საბრალოთ, ამ რიგად ებაასება:
,,თუ როდესმე, მამაე ჩვენო, შენთვის ვიყავ საამური,
,,სიტყვით ანუ მოქმედებით გამეწიოს სამსახური,

,,აღმისრულე ერთი თხოვნა, ო ქრონიდო! მიგდე ყური:
,,დანაელთგან სუყველაზე ჩემი შვილი უბედური
,,უწინ არის მოსაკვდავი, და ის ხალხთა მბრძანებელმა--
,,აღამემნონ შეურაცხ-ჰყო; ჯილდო მისი გულით ხელმა
,,წაგვარა და თვითონა ყავს; აჰა, გვედრი, ამის ნაცვლად
,,აქაელნი მიეც ხელთა ტროადლებსა დასახოცლად,
,,სანამდისაც ატრიდ თვისი არ ინანოს უმეცრება
,,და ჩემ შვილს არ შეეედროს შეკოდების მოტევება''.

ესრედ ვედრიდა ფეტიდა, მაგრამ ღრუბელთა მჭანტველი
დიდხან მდუმრობდა, ქალი კი მუხლზე ეხვევა მთხოვნელი,
არ ეშვებოდა და ისევ ეუბნებოდა ენითა:
,,მომეც უფეი პირობა, მაჩვენე წმინდა ნიშნითა,
,,ან უარ მყავი, გამაგდე და დამარწმუნე მხვეწნელი,
,,რომ მე ვყოფილვარ უკვდავეთა ღმერთებში უკანასკნელი''.

ღრმად სულთა-ითქვნა და პასუხს აძლევს მას მეხთა-
მტეხელი:
,,ძნელ საქმესა მთხოვ; ამაზე შეუპოვარი, ფიცხელი
,,ბერა ასტყდება, დამიწყებს უკარდისითა სიტყვითა
,,შვედრებას, უკვდავეთ კრებაში აღვსილი გულის წყრომითა;
,,შამისოდაც ის ხშირად წივის, კაპასობს, ჯავრდება,
,,რომ ტროადელთა ვითომც მე მივეც მტერთ ჯობნის შეძლება!
,,მაგრამ ეხლა კი გაქარდი, არ დაენახო ბერასა!
,,დანარჩენს, რაც არს საჭირო, მე ვიქმ საქმესა ყველასა.
,,შეურე, თავსა გარდვაქნევ, და იყავ დარწმუნებული,
,,მს ჩემგან უკვდავეთ ღმერთთათვის ნიშანი არის, დებული
,,საქმის საფუძვლად. სიტყვები ისინი არ განქრებიან
,,შკუნით უკუნისამდე და მთლათაც აღსრულდებიან''.

წარსთქვა და ნიშნად აღთქმისა შეეხმუხნა შავი წარბები...
მყის აებუძგენ ქრონიდსა კეთილ-სუნნელი ბალნები
ირგელივ უკვდავის თავისა, ყველაფრის მცოდნის, მბრძანების,
და შეარყია ოლიმპის ძირი ქედის და გორების.

რჩევასა მოარჩენ, დაშორდენ. დაჩქარებითა ფეტიდა
ზღვისა უფსკრულში ჩაიკრა მნათის ოლიმპის მთებიდამ;
ზეესი დარბაზში შებრძანდა, ღმერთები ფეხზე წამოდგენ:
თავიანთ მძლეველ მამისა მიგებებასა სჩქაროდენ.
მათგან ვერც ერთი ბედეიდა იმის მოსვლის დროს ჯდომასა,
არამედ მეტად ისწრაფოდენ ყველანი წინ შეხდომასა.

იქ ზეესი ტახტზე დაბრძანდა, მაგრამ ბერა კი მპყრობელი
ყველას ამჩნეედა, ხედავდა, რაც საქმის იყო მთხოვნელი
უფსკრულთ მოხუცის ასული, ფეხ-ვერცხლა, პელის მშობელი,
და სწრაფად ქრონიდს მიმართა სიტყვები, გულის მომწყველნი:
,,რომელი უკვდავთაგანი ბოროტ რჩევებსა კრძალულად
,,ბაძლეედა? ვიცი, შენ გიყვარს, ჩემგან ფიქრები ფარულათ
,,რომ იქონიო; არც ერთხელ შენის საკუთარ ნებითა
,,არ გითქვამს ჩემთვის განზრახვა, რაცა გაქეს მოაზრებითა''.

მის მბრძანებელმა ღმერთების და კაცთა ბამამ მიუგო:
,,ბერა! ნუ სცდილობ, ყოველი განზრახვა ჩემი გაიგო:
,,მძიმე იქნება ეგ შენთვის, კეთილსა ვერას მოგაგებს;—
რაც აკრძალული არ არის, შენზე წინ ვერვინ გაიგებს—
ვერც მიწიერი ცხოველი და ვერცა კრება ციერთა;
და თუ მე ღმერთთა გარეშე ვისურვებ რასმე საქმესა,
შენ ნურას მკითხავ ამაზე, ნურცა ეძიებ ამბებსა.

ზეესსა შეკიელა ბერამა, ანათებს ხარის თვალებსა:
,,ღრუბელთ მფანტველო, მიბრძანებ რა რიგ უწყალო სიტყვებსა?!

,,მე არაოდეს მიკითხაეს შენთვის და არც თვით მდომნია,
,,ბამეკო საიდუმლონი, რაც ნებით მოგიხდენია...
,,მე ეხლაც ერთსა ვიშიშვი: არ დაგითანხმოს ზღვის ქალმა,
,,შეხ-ვერცხლიანმა შეტიდამ, პელიონისა დედამ.
,,ადრე მოგიჯდა ის გვერდით, მუხლებზე მოგეხვეოდა,
,,შენ მას აღუთქვი თხოვნისა სრულ-ყოფა, შეგემჩნეოდა,
,,აქაელების დახოცა მათთავე ხომალდთა წინა.
,,ამაზე შეეკრთი, დაეღონდი: გაესტყდები—დიდათ მეწყინა''.

წამსვე მიუგო პასუხი ღრუბელთ-მუანტველმა ჩვეულებ:
,,საოცარია! ყველაფერს მამჩნევ და მათვალიერებ!
,,მაგრამ ვერასა გახდები, მხოლოდ უმეტეს ჩემს გულსა
,,მოიცილებ და ინანებ შემდეგ საქმესა წასულსა.
,,თუ რამ მომხდარა, იცოდე, უთუოდ ასრე მნდომია.
,,შენ ჩუმად იჯექ, სიტყვებსა ჩემსა ისმენდე, სჯობია.
,,თორემ შენ ვერას გიშველის ოლიმპის ყველა ღმერთები,
,,თუმცა ვიხმარე მე შენზე მოურეენელი ხელები''.

წარსთქვა რა, შიშით აღიესო ღმერთა, ის ტურუად მზერალი,
სიტყვა-კმედილი დაბრძანდა, სძლო გულის თქმათა ღელვანი.
ჩუმად ზევსისა დარბაზში ოხვრენ ღმერთები ყველანი;
აქ ოლიმპისა ოსტატმა ბეფესტმა'' იწყო შველანი;
საყვარელს დედას ერთგულათ შეკადრა ბროლ-მხრებიანსა:
,,ამგვარი საქმე არ ვარგა, უკილოდ მოგვცემს ზიანსა:
,,თუმცა თქვენ მომაკედავთათვის ესრე ნაირად იჩხუბებთ,
,,თუმცა თქვენ ღმერთთა კრებაში აღრეულობას მოახდენთ,
,,ბანქრება ლხინი მეჯლისში მცირე მიზეზთა აყოლით.
,,დედავ! გარწმუნებ, თუმცა შენ ჩემზე ბრძენი ხარ ასზომით,

,,ზეეს-მეფეს დაუმორჩილდი, რომ რისხეით არ დაგვაქციოს,
,,არ დაიქექოს და ლხინი გლოვათ არ გადაგეიქციოს;
,,თუმც მოისურვა მამამა, ელვებით მნათმა ოლიმპზე,
,,ყველას ტახტიდამ გადაგეყრის: შემძლებელია ის ჩვენზე.
,,დედილო! სცადე, მძლეველი მოალბო ტკბილის ენითა;
,,დაუყოვნებლივ მოვეხედავეს ქრონიდი მოწყალებითა''.

ასე სთქვა, ხელთა აიღო თასი მან ორ ძირიანი,
საყვარელს დედას მიართვა და ისევ ურჩევს ჭკვიანი:
,,ძვირფასო! დასთმე, რაც ოდენ არ იყოს გულის სატკენი,
,,არ დაანახო შენს ვაჟსა, რომ მოგველინოს საწყენი
,,რისხვა ზეცისა. უძლურ ვარ: თუმცაღა გულით მინდება
,,ბიშველო, მაგრამ ძნელია ქრონიდის გამოჯიბრება.
,,ბახსოეს, ერთხელაც შენთვისვე გამოვეჭანე შორიდამ?
,,მან ფეხზე ხელი წამაველო, გამსტყორცა ცის კამარიდამ.
,,მთელს დღეს მიეჭროდი სიერცეში, და მზე რომ იქმნა დახრილი,
,,დავეარდი საღმრთო ლემნოსზე, ძლიეს სული მედგა ტანჯული.
,,იქ სინიისა'' მცხორებთა მიეილეს მეგობრულათა''.

ამაზე ბერა გაღიმდა, შეიქმნა მპიარულათა.
უპდება ღმერთას სიცილი ნათელსა, ბროლ-მხრებიანსა;
შეილს თასსა ართმეეს ბრწყინვალეს ვერცხლისას, ნექტარიანსა;
მან სხვებსაც ცისა მცხოვრებთა მარჯვნიდამ წამოწყებული
ჩამოუტარა ნექტარი, ჯამიდამ ამოღებული.
ასტყდა უთქმელი სიცილი ცის არსთა შორის ნეტართა,—
ნახეს, რომ თასით ბეფესტი დასტრიალებდა მარდათა.

ესრედ მთელსა დღეს ღმერთები მზისა დასვლამდის ზედ ზღვაზე
ლხინობდენ, გულსა იტკბობდენ ამ საზოგადო სუფრაზე—

აპოლონისა ხელთაგან ჩანგის საამო ჟღერითა,
მაზედა მუზთა სიმღერით, მშვენიერისა ხმებითა.

. . . . .

მაგრამ რა მზისა ბრყწინვალის სხივები ზღვაში ჩავიდენ,
ღმერთთ განსვენება მოუნდათ, თავ-თავის სახლში წავიდენ,
სადაც ცათ მცხოვრებთ ყველასა უდგასთ Ოლიმპზე სახლები,
ძოკლის ბეუესტის ბრძენისგან შემოქმედებით ნაგები.
ზეესი ძლიერი საწოლში შებრძანდა დაუყოვნებლათ,
სადაცა განისვენებდა ყოველთვის დასაძინებლად;
აბრძანდა ტახტზე Ოლიმპის მნათობი, ელვებიანი,
საკარძელზედა დაეშო, და მასთან ბერა ბრწყინვალე
ხარისა თვალებიანი.

ოვიდი.



## ჰომერის პოემის „ილიადის“ სახელთა და წოდებათა ახსნა.

1. ჰომერი—ელინთა (მერძენთა) უდიდესი პოეტი, ორი ათასის წლის წინით ძრ. დაბ., რომელსაც ევროპიელები პოეტიის ღმერთად უწოდებენ.

2. აქილი—პირველი გმირი ელინთა ჯარში; მეფე, ქალ-ღმერთის შვილი.

3. პელეიანი—პელეის შვილი.

4 აიდი—ჯოჯოხეთი.

5. ზევსი —მამა-ღმერთი; ბინადე სახელებია: ჭიოს, კრონიდ, ღრუბელთ-მფანცველი, მეხთა-მცემი და სხ.. .

6. აცრიდ—იგივე აღამემნონი, აცრეის მფლობელი, უდიდესი მეფე საბერძნეთში.

7 ლეტა—ფეების (აპოლონის) დედა.

8. ფები—ღმერთი ხელოვნებისა. მუზთა მფარველი, შორმცეცორცი და სხ.....

9. ქრიზი,—ქრიზოსი, ფების ტაძრის უფროსი ქურუმი ტროადში

10. ქურუმი –კერპთა-მღვდელი, დეკანოზი, მღვდელმთავარი.

11. აპოლონ—იგივე ფები.

12 ოლიმპი—უდიდესი მთა საბერძნეთში, რომელზედაც ფიქრობდენ მაშინდელი მერძნები, რომ ბაზედ ღმერთები სცხოვრებენო.

13. ქრიზა, ჯალლა და თენედოსი კუნძულებია.

14. ბერა—დედა-ღმერთი, ზევსის ცოლი, კრონის ქალი.

15. ჯალხასი—ოესტორიდის შვილი, ელინთ პირველი ქურუმი, თანაც მისანი

16. ალალსი—შეუდარებელი გმირი აქილს შემდეგ.

17. ოდისე—იფაკის კუნძულის მეფე, დიდი ქკუიანი, ბრძენი და სერსიანი კაცი.

18. ტელემონისა—ტელემონის შვილი.

19. ფია—აქილესის სამეფო.

20. ათინა—სიბრძნისა და მსნეობის ღმერთი, ზეუსისა და გერას ქალიშვილი, ქალაქ ათინის მფარველი.

21. ჰეკტორი—ტროადის მეფის, პრიამის, უფროსი ვაჟი, ტროადელთა სარდალი.

22. პორფეი, დრიადი, ექსიდი, ბონეი, პოლიფენ, თეზეი იყვენ მერძენთა ბეელი გმირები.

23. მენეტიდი—პატროკლის მამა.

24. ტალთია—გმირი ეერიპაციისა, აღამეენონის პირველი მსლეველი.

25. ნერეი—ოეტიდას მამა, ერთი ზღვათა ღმერთთაგანი.

26. ფეივი—ერთი მაზრა ტროადის სამეფოში.

27 პერგამლეში—აგიეე ტროადლეში.

28. ეთიოტი—ატლანტიკის ოკეანეშია.

29. გეფესტი—ცეცხლის, მჭედლობის, ზანიკლობის ღმერთი (ტეხნოლოგი), ზეუსისა და გერას ვაჟი.

30. სინია—ქალაქი ლემნოსის კუნძულზე.

# პირველი ნაბიჯი

## რომანი გ. წერეთლისა

იყო დრო, როცა ქალაქის ფოთის ნაესადგურში პირველად იწიელა ცეცხლის გემმა. მისმა წიეილმა პირველად განუურთხო ძილი მტრისგან მოუძლურებულს საქართველოს ერს. ეს იყო ახალი დროის მამლის ყიეილი დასაელეთ საქართველოში. ფოთი აღინიშნა შაეი ზღეის კიდეზე ძაეკასიის ბოლაზათ. სამეგრელოში ატყდა დიდი ფაცა-ფუცი. დიდი და პატარა ყველა ფოთისკენ გარბოდა. იმ დროს ერთად-ერთი ფულის მოსაგები კუთხე ფოთი შეიქნა. მალე გაიკეერა ძაეკასიის შუაგულზე ქეეყნის საეაჭრო გზატკეცილი. დასაელეთით ფოთი შეიქნა ძაეკასიის საეაჭრო ყურე, ეერაპისკენ მიქცეული, და აღმოსაელეთით ბაქო—მეორე საეაჭრო ყურე, აზიისკენ მიქცეული. დადგა მეორე ხანა კაცობრიობის მოძრაობისა და კელაე მოუბრუნდა იმედი ძაეკასიას; მასთან საქართველოსაც განუახლდა ძველითგანვე დაკარგული სასოება, რომ ხელმეორედ გამხდარიყო კაცობრიობის განათლების გზათ და ხიდათ. იმ დროს უცხო ქეეყნების ნაწარმოებს დაშლა არ ქონდა ძაეკასიის ნიადაგზე შემოტან-გატანისა. ფოთში უცხო ტომის კაცები იმ დროს ჭიანჭველასაეით ირეოდენ. ისინი ყიდულობდენ ძაეკასიის ნაწარმოებს იაფ ფასად და გაჰქონდათ უცხო ქეეყნებში. იმ დროს თქვენ აქ, მდინარის რიონის შესართაეთან, ბერძენსაც შეხვდებოდით, ინგლისელსაც, ფრანგსაც, გერმანელს, ამერიკელს, ოსმალელს

და სლოვენის ტომის სხვა-და-სხვა გვარობას. ამათ ჰქონდათ ევროპის სხვა-და-სხვა სახელმწიფოსთან, აგრეთვე სპარსეთთან ინდოეთამდის ეაჭრული დამოკიდებულება, გაჰქონდათ ზღვით და ხმელეთით ნიგვზის კუნძები, ბზა, ურთხველი, ყოველნაირი ხე-ტყე, მატყლი, აბრეშუმი, სიმიდი, პური, ღვინო, ბეწვეულობა, საქონლის ტყავები, თიეთიკი, ლეკის შალები, ნაბდები და ნუხური ხალები. მრავალი მათგანი ამ ნაწარმოებში სცელიდა უცხო ქვეყნიდან მოტანილ ფართალს, აბრეშუმის ქსოვილებს, მაუდებს, სხვა-და-სხვა კოლონიის საქონელს და წერილმანს საფაფუკო *), სადიდკაკო ავეჯეულობას. ეს ის დრო იყო, როცა შავ ზღვაზე ახლად დაარსდა რუსის საეაჭრო და ცეცხლის გემის საზოგადოება, როდესაც ახალ ფეხადგმული რუსის ინჟინრები ადგენდენ პროეკტებს, სხვა-და-სხვა საშვალებით გაეკეთებიათ ფოთში პორტი, მაგრამ პორტის გაკეთების მაგიერათ აუარებელი ხე-ტყე გამოახერეევინეს ზღვის ჭიას და თეითონაც აუარებელი ფული გამოხრეს ხაზინებში. იმ დროს ფული ბჟირიეით იყო. ქაცის ხელი უფრო ძვირად ფასობდა. მაშინ მეგრელისათვის რომ გეკითხა: ,,სო მეურქო'' (სად მიხვალო)?— ,,ფოთიშა მეეურქ, პატონი'' (ფოთს მივდივარ, ბატონო)—მოგიგებდა: ,,ეგება ჟირიოდე ფარა ეშუა'' (ეგება ორიოდე ფარა ვიშოვოეო).

ამ შესანიშნავ დროს ბახვა ფულავა იყო პაწია ათი წლის ბიჭი. ის თეკლათის ტყეებში დატანტალობდა გაცვეთილ ხამის პერანგს-ამარა, თავ-შიშველი, ფეხ-შიშველი და წელ ქვემოთ დედაშობილა; ათიოდე თხა ებარა და მათ ერეკებოდა. ხელში

---

*) საფაფუკო— галантерейный.

ეჭირა მუდამ კოდალ-ბზეკალი (შეილდ-ისარი). საღამოს შინ ისე არ დაბრუნდებოდა, რომ ორი, სამი ჩიტი, კოდლით მოკლული, უბეში არ სდებოდა. ბახვა ყოველ მზის ჩასვლისას მორეკდა შინ თავის თხებს, დაამწყვდევდა წნულ სათხებოში, მერე შეიჭრებოდა სახლში, იქ დედა მიაგებებდა ცივ ღომს. ბახვა თავის მოკლულ ჩიტებს შამფურზე წამოაგებდა, ცეცხლზე დაუფიცხებდა, ცივ ღომს ნაკვერცხლებზე შეაფიცხებდა და მადიანათ შეექცეოდა ვახშამს.

სანამ დედა-მისი თხებს მოწველიდა, ბახვას ერთი დიდი დოქი წყალი უნდა მოერბენინებია: ესეც ბეგრათ ჰქონდა დადებული ოჯახში. დღე-და-ღამის გაყრისას დედა დაუგებდა ლოგინზე მის სიგძე ნაბდის ქეჩას, ხის სასთუნალზე დაწვირიანებულს შილის ყურბალიშს მიუგდებდა, მერე ეტყოდა ბახვას: დაწექი, და ზედ დაფარატინებულს შილის საბანს წააფარებდა. სანამ სოფლის ვახშჰობა შეიქნებოდა, ბახვას ერთი პირი ძილი გასრულებული ჰქონდა.

როგორც კი განთიადი მოაწვედა, ის ზეზე იყო, შემოირტყამდა პერანგზე თავის ძველ ქამარს და, დედა-მისი რომ ქათმებს გასძახებდა: ,,რრუ, რრუ, რრუ!'' ბახვა გამოხტებოდა სახლიდან და მიწიწინებდა კოდის წყაროზე პირდასაბანათ; ეშინოდა, მზის პირველმა შუქმა პირდაუბანელს, ნამძინარევს არ დამხვდოს და არ მაჯობოსო, ჩხიკვმა ან გუგულმა პირდაუბანელს არ დამძახოს, თორემ ის დღე უბედურათ ჩამიელისო: ან თხები გადმემალებიან, ან ჩიტებს ვეღარ მოეკლავ, ან ვინმე გამლახავსო. ასე იყო დედისაგან შეგონებული. რაკი ღმერთი ისე შეეწეოდა, რომ პირდაბანას შემდეგ გუგულის ხმას გაიგონებდა, მაშინვე სამჯერ მიაძახებდა: ,,მიჯობნია, მიჯობნია,

მიჯობნიაო!'' ამას შემდეგ სულ ხტომით ამოირბენდა კოდის წყაროდან გორაზე, სადაც მისი სახლი იყო გადმოჭიმული.

დილის გამარჯვებით ბახვას გული ჰქონდა განებივრებული, საუზმესაც მხიარულად მიეგებებოდა და მეწველ თხებსაც სიამოვნებით დაუჭერდა დედას. ორტოტა ხელები რქებში ჰქონდა თხისათვის ჩაჭიდებული და საწველ ქოთანში ფეხის ჩაკერას არ გააბედვინებდა. ამგვარის ერთგულებისათვის დედაც არ რჩებოდა თაეის ვაჟს უმადურად. დედა-მისს ყოველთვის ჰქონდა მომზადებული საგძლათ ნახევარი კეცის მჭადი და ახალ ამოყვანილის ყველის ჭიპი.

წნული სათხებო ოთხ მაღალ ბოძზე სახლს უკან იყო მიდგმული. სათხებოს ერთი დაჭდობილი ძელი კიბეთ ქონდა მიკეთებული.

დამწყვდეული თხები ცისიერზე იგრძნობდენ ბახვას მოსვლას და შორიდგანვე მიეგებებოდენ ,,პეტელითა'' და ,,ფრუტუნითა''. ბააღებდა ბახვა თუ არა საგდულით ჩაკეტილს ლასტის კარს, თხები თითო-თითოთ გამოხტებოდენ სათხებოდან და კენტრიშით ჩამოირბენდენ ძელის კიბეზე, მერე გაიფანტებოდენ ეზოში; ერკემლები ერთმანეთს დაეჯახებოდენ, თითქოს სურდათ, დედალ თხების წინაშე თავი მოეწონებიათ.

ამ დროს თხებს გარდა ეზოში იმყოფებოდენ მაყურებლებათ: თაემომწონე მამალი, რომელიც დეზებ-შემოსილი და ბიბილებ-ჩამოშვებული მიაძახებდა გაბნეულ დედლებს: ,,ჰეიჰა! ჰეიჰა!! აქეთ წამოდით, თხები არ დაგეტაკოსთო!'' იხვები, რომელნიც ფრთების ფართქუნით თითქოს ტაშს უკრავდენ და მოწონების ნიშნათ იძახოდენ: ,,ეახ, ეახ, ეახ!!!''...

ამ დროს ბახვაც წერილის ხმით შესძახებდა: ,,ბელაჰ, ბელაჰ''!.. ერკემლებს კარგათ ესმოდათ მისი ხმა და მაშინვე ჭიდილს თავს დაანებებდენ. ოცი მათგანი, უფრო მოარჩილი ერკემლები, გასწევდენ წინ გზის საკვლევათ, მოხუცებული ეაცი კი უკან ჩამოარჩებოდა, შვაში დედალ თხებს ჩაიყენებდენ თავიანთ თიკნებიანათ და ამრიგათ ჩაირბენდენ სერს, საცა ბიბურული იყო უზარმაზარი წიფლარი.

ბახვა გადიგდებდა მხარ-თქოზე თავის ბზეკალს (შვილდს), კოდალი (ისარი) ხელში ექირა, კალთაში საგზალი ჰქონდა გამოხვეული და სრულებით არ დარდობდა, რომ მისი ტოლი მწყესი გოგოები ჩაუვარებელს წელს ქვევოთ მის სიმდიდრეს უკერდენ. ის ხტომით ჩაირბენდა ქოჩორა ტყით დაჩრდილულ სერსა, წინ თხები თიკნებიანათ მიეინტრუშებდენ. მის წკრიალა ხმას და ,,რირა ორირას'' მღერას ხეურმისა და თხმელის დობილოიანი *) ხეები ბანს აყოლებდენ. ჩიტები, თავის ვერაგის ბტრის დანახვაზე გაოცებულნი, ცქრიალით და ყლიეილით იწყებდენ გადაფრენ-გადმოფრენას. მომეტებულათ შაშვი უკრთხოდა ბახულიას. შეშინებული წამოიძახებდა: ,,უუუ! ეაი, დაეილუპეო!'' ფრთქიალით ჩამოეშვებოდა ხიდან და შეგოგდებოდა ეკლიან ჩირგვნალში, რომ თავი მოერიდებია იმის კოდალ-ბზეკლისათვის.

თხებმა კარგა ძალზე წაუსწრეს წინ ბახვას, გაეიდენ მინდერათ და შოედენ ნეკრიანს თხილის ჯაგებს ლორთქოტოტების საკვრეხათ.

---

*) ლეშაკი შაღლარია, სხვე ეკეიული ეკეესა.

ჩირგვებით გარემოცულ მინდორში დაუხვდენ ბახულიას თავის ტოლი გოგო-ბიჭები, რომელნიც ორ ხეს შორის გაბმულს ყურძნის ვაზზე ქანაობით თავს იქცევდენ. ბახულიამ დაადგა ხის ძირას კოდალ-ბზეკალი, იქვე ბალახებში ჩააწყო თავისი საგძალი, მერე შურიანათ გასწია საქანაოსკენ, ჩამოაგდო ზედ შემჯდარი მწყესი გოგონა, შესკუპდა საქანელაზე და დაიწყო თეითონ ქანაობა.

## I.

მდინარე Сიეი მოშორებით მიშხუოდა. ბალმით Თეკლათის კალდეში მოჩანდა უზარმაზარი ქვის სამტერეი; იქ მუშები ჭიანჭველასავით ირეოდენ; დროგამოშვებით მოისმოდა ნალმის გრიალი. Იქიდან მოკიდებული შორს მინდორზე ორი ალმასის გველივით თანტოლათ მიიკლაკნებოდენ რკინის ზოდები.

ამ დროს მატარებლის მაშინამ იწივლა. ბახვა მაშინვე გადმოხტა საქანელადან, გავარდა მდინარე Сიეს გალმა და მიაშურა მუშებს, რომ მატარებლის მოსელაზე იქ დასწრებოდა. Ეს პირველი იყო მისგან რკინის გზის მატარებლის ახლოს ნახვა, თუმცა მისი სტვენა და შორიდან მისი ვეშაპნაირი სრიალი რკინის ზოდებზე ხშირათ ეყურებინა.

Იმ დროს ამ ალაგას Თეკლათის ქვის ცემენტი მზადდებოდა. ზედ ქვის სატეხში რკინის გზა იყო შეყვანილი, რომ აქედან ცემენტის ფქვილი და ქვის ლოდები წაეღოთ Შოთს პორტისათვის. ძიდეც მივიდა ბახულია ქვის სატეხში და მატარებელიც გაჩერდა. მუშებმა გაჩქარებით დაუწყეს ზესადგრებს (პლატფორმებს) დატვირთვა. როგორც კი შეხედა გაკვირვებულს ბახვას ერთმა მუშამ, მაშინვე უთხრა:

—პაწია ბიჭო, მოგვეხმარე ქვის ზიდვაში და მაშინაზე დაგსვამ.

ბახვამ გაიღიმა და კრძალვით დაუწყო პატარა ქვებს ბოკვა. ოერი საათის განმავლობაში რკინის გზის მატარებლის ზესადგრები ყველანი დატვირთულნი იყვენ. მუშამ მოაველო ხელი ბახვას და შესვა ზესადგარზე, მერე თვითონაც ზედ შეხტა. იწიელა მატარებელმა და პაწია მწყესი გზას გაუყენა. ბახვას ძალიან მოეწონა რკინის გზაზე გასეირნება.

თეკლათიდან მოკიდებული დიდ გზამდის, შვიდი ვერსის სიგძეზე, რკინის გზის ტოტი იყო გაკეთებული. იქ, დიდ გზაზე, დატვირთულ ზესადგრებს სხვა მატარებელს მოუბამდენ და გაისტუმრებდენ ფოთისკენ; მაგიერათ ცარიელი ზესადგრები ისევ ბრუნდებოდა თეკლათის ქვის სატეხში დასატვირთავათ.

ბახვამ დიდ გზაზე სხვა მუშებიც ბევრი ნახა და ერთი უფროსი ინჟინერიცა. ამ კაცს ძალიან მოეწონა ბახვას ცოცხალი სახე და უთხრა მუშას: იქნება ეს პაწია ბიჭი დამიქირავო ხელზე მოსამსახურეთო. იმ დღეს ბახვას კარგათ აჭამეს, ასვეს და, მზე რომ გადიხარა, ისევ თეკლათის ქვის სატეხში დააბრუნეს.

—ბიჭო, ის აპელატებიანი ინჟინერი ხომ მოგეწონა?- კითხა მუშამ.

—ჰი, მიუგო ბახვამ.

—იმას ბევრი ფული აქვს—განაგრძო მუშამ:—თუ წახვალ და დადგები მასთან, კარგათ ჩაგაცვამს და დაგხურავს, კარგათ

გასმეკს და გაკმეეს, შეილსაეით მოგიელის და ბეერ ფულსაც მოგცემს. ییი ღომის კამას და ეგრე უნიჯხოთ ტანტალს ის არ გირჩეენია, იმ ინჟინერთან ბატონიშეილეეით იყო?—

ბახვას მოაგონდა თაეისი დედ-მამა, თხები, საყეარელი კოდალ-ბზეკალი, ამხანაგი მწყესები, მისტოლი გოგო-ბიჭები, ,,რირა-ორირას'' გაძახილი, ჩიტების ყლიეილი, მათზე ნადირობა—და საჩქაროდ თაეი გაიკნია უარის სათქმელათ. მერე ჩაფიქრდა, ხმა აღარ ამოუღია, მაგრამ მუშის კითხვა მაინც თაეიდან არ სცილდებოდა, და მეტი არ შეიძლება, ისე აღტაცებული და გაბარებული იყო იმ დღის მგზაერობით. Ისეთი საქმელები აკამეს, ისეთი ღეინო დაალეევინეს!.. ინჟინერმა ორი კამფეტიც აჩუქა. Იმ დღის სადილის გემო ჯერაც არ გამოსცლოდა პირიდან.

Ის ყოველთეის სითეალხარბით იგონებდა თაეის ბიძაშეილის შეენიერ ტანსაცმელს და ეერცხლით გაწყობილ ქამარ-ხანჯალს... მისი ბიძაშეილი მართლაც ორ-სამ წელიწადს სახლს მოშორებოდა და ფოთში ემუშაენა. შინ რომ დაბრუნდა, ბახვამ ეერც კი იცნო პირველ შეხედვაზე. ასე ეგონა, თითქო ეინღაც ბატონისშეილი მოსულიყოს იმის მამის ოჯახში.

Ერთხელ საალდგომოთ მისმა ბიძაშეილმა მედიდურათ შემოაღო მათი სახლის კარები. მას ტანთ ეცვა სირმიანი ჩოხა, სირმით მოქარგული წულები, წელზე ერტყა ეერცხლით გაჭედილი ქამარ-ხანჯალი, მხარ-ბეჭზე ჰქონდა კოხტათ გადაგდებული სირმით გაწყობილი ყაბალახი. Ეს ნახეული სურათი უეცრად წარმოუდგა ბახვას გონების თეალწინ და ამასთანაეე უცებ ძირს დახარა თაეი და დააცქერდა თაეის ტალახიან ფეხებს და შეჩუთრულ

წვიეებს: არ მოეწონა. მას თან-და-თან იტაცებდა მისი მომაჯალ ბედნიერების სურათი; მერე თითქოს კიდეც დაიწყო გულში ნანობა: მუშის რჩევას ასე აჩქარებით უარი რად ვუთხარიო?..

როცა მატარებელი Oეკლათის ქვის სატეხში დაბრუნდა, მზე ჩადიოდა. ბახვა გადმოსვეს ზესადგრიდან. მას მხოლოდ ახლა მოაგონდა ლეთის ანაბარათ მიგდებული თხები, კოდალ-ბზეკალი და საგძალი. მაშინვე მოკურცხლა მინდვრისკენ, საცა ეაზის საქანელა ეგულებოდა. მაგრამ იქ იმას აღარც გოგო-ბიქები დაუხვდენ და ვეღარც კოდალ-ბზეკალი იპოვნა. მან ერთ ლანდზე შემოირბინა ჩირგვები, მთელი ის არე-მარე, ბოლოს გადვიდა კლდიან ადგილებში, საცა მის თხებს და თიკნებს უყვარდათ პოტინი და მაღლიდან გადმოყურება. ბოლოს მორთო კივილი და ძახილი; ერთბანს თხებსაც უძახოდა: ბელაჰ! ბელაჰ!!!— მაგრამ ხმა არსაიდან აღარ მოესმა, ვეღარც თხების ფაჩუნი გაიგონა კლდიან ჯაგებში. ბახვა მიეცა სრულ სასოწარკვეთილებას, დავარდა იქვე მიწაზე და მორთო ხმამაღლა ტირილი.

აბა, ტირილი რას უშველიდა? მზე კარგა ხანი ჩასული იყო, ბინდიც შემოიპარა. აი, ახლა კი გამოერკვა ბახვა. ის ჩაეარდა ორ შიშს შუა. ცალ მხრით ღამის კუდიანების ეშინოდა, მეორეს მხრით შინ მისვლასაც ვეღარ ბედავდა ხელცარიელი. მაგრამ კუდიანების ხელში ჩავარდნას ისევ დედის კალთაში არჩია თავის მიყრდნობა. წამოდგა ზეზე და ბანცალით დაადგა გზას შინისაკენ. ამასობაში კიდეც დაბინდდა.

მამა-მისი დიდი ხანია შინ დაბრუნებულიყო მუშაობიდან.

— ბახვა სად არის ამდენ ხანს?—წამოიძახა დედამ გულგახეთქილმა მამამ არა უპასუხა-რა, წამოდგა ზეზე, გავიდა გარეთ და მორ-

თო ხმამაღლა ძახილი, იქნება ხმა მაინც მიეაწვდინოთო. ის სულ წინ მიიწევდა, ტყისაკენ. თან ყვიროდა, ბაბეას უძახოდა. მისი ძახილი თან-და-თან სუსტდებოდა, ამისგამო შინ დედას გული თან-და-თან უფრო ულელდებოდა. ის გახურებულ კეცებზე მჭადებს აკრავდა, ქმარ-შვილს ვახშამს უმზადებდა; მაგრამ ვაი ამ მომზადებას! ნახევრად თავის გონზედ აღარ იყო...

—მაი შენს დედას, შვილო! ვაი თუ რამე გიჭირდეს?!...

ამ დროს ბახვა შემოიპარა ქოხში უკანა კარიდან. მამის ძახილი ის თავითვე გაიგონა, მაგრამ შიშისაგან პასუხს ვერ აძლევდა.

დედამ შეასწრო თუ არა თვალი, მაშინვე საკეცე გააგდო ხელიდან და შვილისკენ გაიქანა.

—ბახვა, შვილო, აქამდის სად იყავი? ცუდი ხომ არა დაგმართია-რა, თხები ხომ არ დაგკარგვია?..

ბახვა ხმას არ იღებდა. დედამ ჩაიკრა შვილი გულში. თხები კი არა, იმ წუთს სახლ-კარიც რომ დასწვოდა, მაინც არაფრად მიიმჩნევდა, რაკი მისი ბახულია შინ დაუბრუნდა უვნებლათ. დედის ალერსმა ბახულიას თითქოს სინიდისი გაუღვიძა, და, რადგან თავის გასამართლებელი პასუხი ვერ ეპოვნა, მორთო ტირილი.

—მაი, შენს დედას, თხები დაკარგე განა?...

ამ ლაპარაკზე მამამ შემოდგა ქოხში ფეხი და მწარედ შეწუხებულისა და ნაღვლიანის ხმით წამოიძახა:

— რამდენი არ ვუძახე, ვერ გავაგონე; უნდა წავიდე საძებრათ. მერე მოტრიალდა ცოლისკენ და, ბახულია რომ დაინახა დეღის კალთაში სულგანაბული, მხიარულად შესძახა:

—აგერ არ ყოფილა!.. ბიჭო, სად იყავი აქამდის? შენმა ძებნამ მომკლა ამ უმთავარო ღამეში.—მოკიდა ხელი სიყვარულით და წინ დაიყენა. ბახვა უნდობრათ მიეიდა მამასთან. იცოდა, კარგი არა დაემართებოდა-რა, როცა მამა შეიტყობდა თხების ამბავს. მამამ დაიდგა ცეცხლი-პირს სკამი, დაჯდა ზედ და შეილი კალთაში ჩაისვა. შვილის ნახვის სიამოვნებამ მამას თხების ამბავი იმ წუთას სულ გადააავიწყა. დედამაც გაკრა სუნგალი, გადმოდგა საკეცით გახურებული კეცი ძირს და ზედ მჭადის გუნდა დააკრა. ცოტა რომ მოისვენა მამამ, მერე მიუბრუნდა შვილს და კითხა:

—თხები ხომ ყველა მოდენე?...

ბახვამ ჩაღუნა თავი და ხმას არ იღებდა.

—ბიჭო, რატომ ხმას არ იღებ, თხები სად არიან?

ბახვა ხელმეორედ აღრიალდა.

მამა დარწმუნდა, რომ თხები დაკარგოდა, და გაჯავრებულმა ერთი ლაზათიანათ სტკიცა ბახვას ლოყაზე. დედა მიეარდა უცბათ და გამოგლიჯა შვილი ხელიდან.

—რა ღმერთი გიწყრება?—შეუტია ცოლმა.

—ხანჯლით უნდა მოეკლა ეგ ეშმაკის შვილი!

—ბანა იმას არ მადლობ ღვერთს, რომ შვილი ცოცხალი დაგიბრუნდა?...

ბახვამ კარგა ხანს იტირა ლოგინზე განართხულმა, სანამ ღრმათ არ ჩაეძინა. დედამ აიყვანა და თავის ქვეშსაცებში ჩაწვინა. მეორე დღეს ბახვა ცისიერზე ფეხაკრეფით გამოვიდა გარეთ და თეკლათის ქვის სატეხისაკენ გაუდგა. მიირბინა თუ არა, მაშინვე მოძებნა თავისი მეგობარი მუშა და უთხრა: ინჟინერთან წასვლა მინდაო... ახლავე გამგზავნე, თორემ დედამამა მომნახავს და ალარ გამიშვებსო.

ამ დროს რკინის გზის მატარებელიც დაიძრა. ბახვა შესვეს ზესადგარზე და ფოთს გაუყენეს...

## II.

ბახვა იყო ერთად-ერთი შვილი მარტოხელის გლეხისა. მამა-მისს მახლობელ სერზე ამოერჩია სამოსახლო, რადგან დაბლობში მის მეზობლებს ცივებ-ცხელება არ აყენებდა; ის გამოყოფოდა თავის ძმებს და იქ დასახლებულიყო.

მისი ცოლი, ბახულიას დედა, თუმცა კარგი მეოჯახე ქალი იყო, მაგრამ რძლები გადაკიდებოდენ ერთმანეთს. სანამ ბახულიას მამა ძმებთან ერთად იყო, შვილი არ რჩებოდა. თუმცა ის ძმებზე უფროსი იყო, მაგრამ ამათ ორლ-სამსამი ეაჟი კარგი მუშა ბიჭები გაგზავნილი ყავდათ ფოთს ფულის მოსაგებათ. ივათგან თავიანთ დედ-მამებს ფულები მოდიოდათ. რძლები მუდამ საყვედურში იყვენ: ჩვენი შვილების ფული ოჯახში მარტოხელა მაზლზე იხარჯებაო.

ბახვას მამა ამაყი გულის პატრონი იყო. რძლებმა ორჯერ, სამჯერ გააგონეს უნასი ლაპარაკი. ბოლოს ივან შეკრიბა უმცროსი ძმები და ასე უთხრა: მე თქვენთან დგომა აღარ მარგიაო, იქნება რასმე მამადლიდეთ, და მე დამადლებული არა მინდა-რაო, ჩემი წილი უნდა გამოვიყო და გაგეცალოთო. უმცროსი ძმები ბევრს ეხვეწენ, მაგრამ ივან აღარ ქნა: ერთ'ელ გატეხილი პური აღარ გამთელდებაო. ამასთანავე გულშიც ფიქრობდა, იქნება ახალ სამოსახლოზე უფრო ბედნიერათ ეიცხოვროთო, ერთი პაწია ეაჟი დამრჩენია, იქნება ის მაინც გამეზარდოსო. აიღეს ძმებმა ბაწრები, დაკრეს მთასა და ბარს და გაშორდენ ერთმანეთს.

ბახვას მამას ერგო ხუთი ქცევა სახნავი მიწა, შვიდი ქცევა ქოჩორა ტყე და ქცევა-ნახევარი დობილო (მაღლარი ვენახი), სახლებს შორის ბოსელზე მიდგმული ერთი ფიცრული ოთახი, რომელსაც ორი საჟენი სიგძე ჰქონდა და საჟენ-ნახევარი განი, ერთი ხულა (პაწია ბეღელი), ერთი პატარა სალორე, ერთი ხბოიანი ძროხა, ცალი ხარი, ხუთი თხა, ოთხი თიკანი, ერთი ბოტი (დაკოდილი ეაცი), ორი წლის ჰაკი კვიცი, ექვსი ქათამი, ერთი მამალი, ერთი წეზვი ლორი, ორი ათ-ჩაფიანი ქვევრი, ორი ქოთანი, ხუთი ხის ჯამი, ერთი კარდალი (მორჩილა ქვაბი), ერთი კინთი, კბილებ-ჩამტვრეული საჩეჩელი და ერთი ჩიხრიხი (ბამბის გასარჩევი). ამას გარდა რაც წლის ჭირნახული ჰქონდა, მესამედი გამოიყო, შეიწია ორი. დღით მუშა ხარ-ურმიანი, სულ ათი კაცი, რომელთაც ეს მთელი მისი ხაბაკ-ბუბაკი გადუტანეს და დაუდგეს სერზე. იმ დროს ბახვა იყო ოთხის წლისა. მექვსის წლის განმაელობაში ჯაფის ამტანის დედაკაცის წყალობით ეს ახალი განაყოფი ოჯახი მოლონიერდა.

ბახვას მამამ ცულდის ხელი იკოდა, ფიცრებს ფიცრებზე ლამაზათ აკდობდა და ძელურს აშენებდა. ამით მეზობლები ძალიან მომადლიერებული ყავდა, ასე რომ თავის სახლ-კარის გადმოტანა და სერზე გადმოკიმვა ბევრად არ დაჯდომია. მეზობლებს, რომელნიც მუშათ ეხმარებოდენ, დაუკლა ერთი თხა და ორი ბათმანი მკადი შეაკამა.

მის სახლ-კარს ცალ მხრით უფარებდა ქოჩორა ტყე და მეორე მხრით დობილო (მაღლარი). შორიდგან ხორც-შესხმულ კაცს არ შეეძლო მისი სახლ-კარის დანახვა, რადგან შეაგულ ტყეში იყო ჩადგმული. ამით იმან ღამის მგზავრებს მოარიდა თავი.

სამეგრელოში არც სასტუმროები, არც რესტორანები, ნამეტურ იმ დროს, არ იყვენ. თუ სადმე გზის პირათ სამეკიტნო იდგა, იქ მეგრელი მგზავრი მაინც არ შეუხვევდა, რადგან კაპეიკის დახარჯვა მეგრელს სიკვდილივით ეზარება. შემოალამდებოდა თუ არა მგზავრს, მაშინვე გზიდან გადუხვევდა და რომელსამე მოსახლეს მიადგებოდა ღამის გასათევათ. ეს ჩვეულება თითქმის აქამდის დარჩენილა. ამ მგზავრებში ზოგი ცხენის ქურდი იყო, ზოგი საქონლისა, ზოგი ეაკარი, ზოგი მებატონე. მთელი სამეგრელო ამისთანა სტუმროობით იყო აკლებული. მისაც სურდა, თავი მოერიდებინა ამისთანა ლიანგსა, უნდა გაშორებოდა დიდ გზას, მიუდგომელ ტყეებში და მთებში უნდა დასახლებულიყო.

ბახვას მამას სხვა განზრახვაც ჰქონდა, მდინარე ციეზე გადამდგარ სერზე რომ დაესახლა. თეკლათის მუშებს ხშირად სჭირდებოდათ ძელები, ხის ნამორები და ფიცრები. იქვე ქო-

ჩორა ტყე იყო. ზამთრობით ბახვას მამა რამდენისმე დღით ჩაეიდოდა თაეის სადურგლო იარაღითა, წაიყვანდა ორს თაეის მეზობელს და გაჰქონდათ იმათ ცულდებს დღენიადაგ კაკუნი. Თუმცა ცოლ-ქმარს წლის სარჩო მარტოხელობის გამო ეერ მოყავდათ, მაგრამ ზამთარში ნაშოენ ფულით, რაც გაზაფხულის მიწურულში დააკლდებოდათ, იმას ყიდულობდენ და ასე გამოდიოდენ.

როცა ბახვა ათი წლის შეიქნა, მის მშობელს ყაედა თიკნიანათ ოცი სული თხა, ერთი უღელი ხარი, ერთი კეიცანი ჭაკი ცხენი, ერთი მეწეელი ძროხა, სამი უშობელი, წლის მოზვერი, ოთხი დედა ღორი და ექვსი გოჭი. წერილ-ფეხეულობა: ქათამი, იხვი და ბატი—ბლომათ. ძმობაში ნარგები სახლი ბოსლათ გადაეკეთებინა; სადგომათ კი ახალი ძელური წამოეჭიმა თაეის საკუჭნაოთი, საცა მის ცოლს ქეეშსაგები ჰქონდა შენახული; სახლს ხულა (ბეღელი) ჰქონდა მიდგმული, რომლის ზესხვანზე (ჭერზე) გაუცეხეელი ღომი ეყარა; თეითონ ხულა'ში ხელით სატრიალებელი წისქვილი ჰქონდა მოწყობილი. ამ პაწია წისქვილს ბახვას დედა კვირა'ში ორ დღეს აგრიალებდა და სალომე სიმიდს *) ღერღაედა. იქეე ახლოს ოთხ ბოძზე წნული სასიმიდე იყო შესკუპებული; თეითონ ძელური გარშემო საბუდრებით იყო შემოჭედილი; ზოგი ამათგანი ჩამოკიდებული იყო გარეთა კედლებზე, ზოგი სამ-კაპალა ბოძებზე იყო დაწნული. ზეეით ძელური ისლით იყო გადახურული; ძელურის შუაგულს კერა იყო გაჩაღებული და, რომ ისლს კერიდან ცეცხლი არ გასჩენოდა, სახურაეიდან ზედ კერაზე იყო ჩაკოკიდებული ოთხ

*) სამეგრელოში სიმაღის ღომსაც აკეთებენ.

ჭიგოზე ზესხვანი (ქერი) ფიცრებ-გალაგებული. ისინი ქვარტლისგან გაშავებული იყვენ და ქვარტლიც ზედ ფარატინებათ ეკიდა. შუაგულ ზესხვანიდან კერაზე დასწვრივ ორი ხის კაკვი იყო ჩამოშვებული და ერთმანეთზე რიკებით დამაგრებული. ამას ეძახდენ საქვაბეს, მისთვის რომ ზედ სპილენძის კარდალი ეკიდა და შიგ მუდამ წყალი თუებოდა. თვითონ ზესხვანზე ბევრი რამ ეკიდა საქვაბეს გარდა: მაჭიკი, საკიდელი *), თხის ძვლები, თუთუნის ფოთლები, სხვა და-სხვა ბალახეულობა, ძაფზე აკინძული, რომლისაგანაც ბახვას დედა ზამთრობით მჭლის საჭამადს აკეთებდა; ეკიდა აგრეთვე სხვა-და-სხვა სოკოები, განსაკუთრებით მრავალი იყო მაჭკვნარა. ზესხვანს ზემოთ კი მრავალი ხურმა იყო გასახმობათ დაყრილი თავის ტოტებიანათ.

ბახვას მამას კარგა ხანია ღვინო აღარ მოდიოდა. შონურს **) ნაცარს აყრიდა; მაგრამ, რაც უნდა წამხდარიყო ყურძენი, ბახვას მამა ერთ ათ-ჩაფიან ქვეერს მაინც გაავსებდა. იმას ჰქონდა ორი მამაპაპეული ქვეერი, კაკალს ქვეშ ჩაფლული, ბადიმით დახურული და თიხის მიწით თავწაგლესილი. ამ ათ-ჩაფიანს წელიწადში ორჯერ გადიღებდა. პაწია ღვინის ამოსაღები ორშიმო, რომელსაც ბახვას მამა ,,ხრიკას'' ეძახდა, იქვე კაკალზე იყო ჩამოკიდებული.

## III.

იმ საღამოს, როცა ბახულიამ თხები დაკარგა, მამა-მისი ძალიან ჩაფიქრებული და მოწყენილი იყო: ერთი — რომ შვილი

---

*) საკიკული—რძის დასაკვეთია.

**) შონური—ყურძნისა ყენასია, რომლისაგანაც ოჯალეშის ღვინო დგება.

გალახა და მერე ნანობდა, მეორე—რომ ცოლი გააჯავრა, მესამე—თხების ბედიღბალიც ძალიან აწუხებდა. მის გარეშო ტყეებში ტურები ისე გამრავლებული იყვენ, რომ დარიან ღამეში შიგ ეზოშიაც შემოდიოდენ და კიეილ-ყმუილით იქაურობას იკლებდენ. მათ ხელში თხებს კარგი არა დაემართებოდათ-რა. ის ეახ'შის წინ დაღერემილი სამეეხა სკამზე წამომჯდარიყო და შემდეგ ნაირს ფიქრებში იყო გართული: ,,დღეს დილითვე ეატყობდი, კარგი აღარ დამემართებოდა-რა. ბამოვედი თუარა კარზე, ჩემი ცულდი პირალმა ამართული დამხვდა; ამ დროს ყვავმაც დამძახა. მალე კი შეეაძახე: შენი ნისკარტი ქვას, შენი გულღეიძლი ძაღლს-მეთქი, მაგრამ რას უშველიდა! იმ მამალის ტურის არჩიემა მაინც ცუდათ დამძახა. ძიდეც იმიტომ არ მაძლევდა დღეს გული სამუშაოდ წასელასა''.

—დარია,—უთხრა ხმამაღლა თავის ცოლს: თხებს შეუღლოცე, იქნება გადარჩენ ნადირის კბილისგან.

დარიამ გამოიტანა ერთი მუჭი მარილი, აურია სიმიდში და ასე დაიწყო:

«მკენია ბეკენია!
ბეკეს ხატი სვენებია.
მეუფეო, ჩამოაგდე
ხელ-ბორკილი რკინისა.
ნადირს კბილი შეუკარი,
მეკობრესა ხელი-მხარი;
ბადაავდე ზღვაში,
ნუ გაუშვებ გზაში».

სამჯერ გაიმეორა დარიამ ეს ლოცვა, მერე დააყარა შელოცეილი მარილ-სიმიდი ჯამზე და შედგა თახჩაში, რომ მეორე დილას შინაურ საქონლისათვის ეკმია.

იმ ღამეს ხახულიას—ასე ეძახდენ ბახვას მამას—არ სძინებია. როგორც ინათლა, მაშინვე ზეზე წამოვარდა, გამოეიდა გარეთ, გადიხედა საჩეხში და იქ პირველად ბებერ ბოტს შეასწრო თვალი, რომელიც აფუღული და მოწყენილი ღობეზე რქებს იხეხავდა, თითქოს ჯავრისაგან კედელზე თავს ურახუნებსო ცხოვრების მეგობრების დაკარგვის გულისათვის. დანარჩენი თხები ხახულიას დანახვაზე, ღამით ნადირისაგან დაფეთებულნი, წამოვარდენ და აქით-იქით გაიფანტენ, პატრონი ეელარ იცნეს. თხებს აკლდათ ორი ერკემალი, სამი დედა თხა და ერთი თიკანი. დამფრთხალი თხები ერთად შეიხურხლენ საჩეხის კუნჭულში. მხოლოდ მოხუცებული ბოტი მამაცურად წამოდგა წინ, გადმოდგა რამდენიმე ნაბიჯი ხახულიასკენ და რქები ამართა დასატაკებლათ. ხახულიამ მარილ-სიმიდით სავსე ჯამი გაუწვდინა, ბოტმა უხეია განზე.

—ბელაჰ; ბელაჰ, ბელაჰ,—ტკბილის ხმით დაუყვავა პატრონმა. ბოტი თითქოს ამ ხმაზე გონებას მოეგოო, მოტრიალდა, შეხედა გამოწვდილ ჯამს, მიეიდა და კრძალვით ჭამა დაუწყო. შემდეგ ხახულია მიეიდა სხვა თხებთანაც. ამათ რაკი შენიშნეს, რომ ბოტი პატრონს არ უფრთხოდა, ყველანი მოტრიალდენ საჩეხის კუნჭულიდან და დაუწყეს მარილ-არეულ სიმიდს კვრეხა. ამ დროს დარიამაც გადმოიტანა საჩეხში ქოთანი და თხები მოწველა. იმათ ბევრი არა ედგათ რა ჯიქნებში: შიშისგან რძე გაქრობოდათ. ცოლ-ქმარმა მოუარა საქონელს. მზე მოვლილი იყო ბაკეზე. დარიამ საკიდელი უქნა რძეს და ჩადგა ქოთანი ნელ-თბილ ღადარში. მარტო მაშინ მოაგონდა, რომ ბახვა აღარსად იყო.

—ეს ბიჭი სად არის ამდენ ხანს?—შემოდგა თუარა შინ ფეხი, იკითხა ხახულიამ. საქონელს გარეკა დაუგეიანდა.

—აბა, გადაიხედე წყაროზე!—უთხრა ცოლმა.

ხახულია ისევ უკან გატრიალდა, ჩავიდა დობილოში, მი-ვიდა წყაროსთან, სადაც შორიახლო ლომის საცურველი იყო წყალზე მომართული და ხანგამოშვებით ისმოდა მისი რახუნი. იქ რომ არ დახვდა, გამოტრიალდა შინისკენ საჩქაროთ, ერთი კიდევ გადააველო თვალი სახლ-კარის გარემოს; რომ ეველარსად ნახა, გული აუჩქარდა, გაექანა ქოჩორა ტყისკენ და მორთო ძახილი. პასუხი არ იყო. მერე აზრი აიღო, მეზობლებში არ გადამალულიყოსო, ჩაეარდა დაბლა, მდინარის Ciის პირად.

მიიკითხ-მოიკითხა. იქაც ეველარა შეიტყო-რა; მერე გავიდა Ciის გაღმა, Oეკლათის ქვის სატეხში. ნაცნობმა მუშამ უთხრა: ეს ერთი საათია, რაც ბახულია მატარებელს დაუჯდა და Oოთისკენ გააქანეს ინჟინერთან დასაყენებლათაო.

— ბახვას მამა იქვე ჩაიკეცა ჯაერისაგან.

— როგორ გაფითრდი, რა დაგემართა, ეაქკაკი არა ხარ?—შეუტია მუშამ.—შენი ბედნიერების დღე ახლა არის. შინ რას გაგიკეთებდა, რას ისწავლიდა კერიასთან ნაცარქექიაობის მეტსა? დღეის იქით შენი ბახულია პურსა სჭამს, ფულს იშოვნის, გამოიცდება, რუსულს ისწავლის, კაცი გახდება.

—არ მინდა, ჩემო ბიძია, არც მისი ფული და არც მისი კაცობა. მე გულდაჩაგრული კაცი ვარ: შვილი არ შემრჩენია. ეგ ერთი ღლაპი მყავდა და ეგეც დამეკარგა. რაღაა ჩემი სიცოცხლე?...

ხახულიას ცრემლები მოერია თვალებზე,

—არა, მამა: თუ არ გსურს, ძალას ვინ დაგატანს?—შებრალებით ანუგეშა მუშამ.— წადი, დიდ გზაზე გადი, იქ ინჟინერია, სთხოვე და საღამოზდის უკან მოგიბრუნებენ.

ამ სიტყვებმა, ცოტა არ იყოს, მალამო მოსცხეს მის დაფიცხებულ გულს; ის ადგა, დაიქირა ჯოხი ხელში და გაუდგა დიდის გზისკენ: განიზრახა, უფროს ინჟინერს მუხლზე მოხვეოდა, რომ შვილი უკან დაებრუნებია.

შუადღე შეიქნა, როცა ბახვას მამა ინჟინრის ადგილსადგომთან მიეიდა, საცა რამდენიმე ბამბის კარავი იყო გამართული. ინჟინერი ერთ კაკლის ძირში სამგზაერო სუფრას მიჯდომოდა და სადილს შეექცეოდა. ბახვას მამამ წინ დაუჩოქა და ქუდმოხდილი შეეეედრა. ინჟინერი განათლებული გულჩვილი კაცი იყო. სკამი დაუდგა ხახულიას და თავის გვერდით მოისვა. ბულდაჩარგული მამა ანუგეშა, შვილს ძალიან კარგათ გაგიზრდიო, ახლავე ჯამაგირს დაეუნიშნავ, ოთხ-ხუთ წელიწადს ფულიც ექნება და გაბედნიერებული შვილი მოგივაო. მოსამსახურე ბიჭს უბძანა, ხახულიას სადილი მოუტანეო; კახური ღვინით ვამოაბრუშა, ერთი თუმანი უსაგძლა და უკან ვამოუშვა.

ბახვას მამა სრულებით კმაყოფილი დარჩა თავის შვილის ბედსა. მხოლოდ ინჟინერს თვალ-ცრემლიანი შეეეედრა, რომ შვილის ამბავი ხშირად ეცნობებია. ინჟინერი ამას გარდა დაპირდა ხახულიას, რომ სააღდგომოთ და საშობოთ ბახულიას ყოველთვის გამოგიგზავნიო. მზის დახრისას ბახვას მამა მხიარული შემოვიდა თავის ეზოში. ოლი კარის წინ დახვდა თმა-გაწეწილი და საცოდავათ მოსთქვამდა შვილის დაკარგვას. ქმარმა შვილის კარგი ამბავი უთხრა, თუმნიანიც მიუტანა და ანუგეშა.

ბულშეწუხებულ დედას მეტი რა ღონე ჰქონდა, უნდა ენუგეშებია თავი ქმრის სიტყვებით, თუმცა მას აქეთ მის სახეს სიხალისე დიდხანს აღარ მოსვლია.

ბახვას მამამ მეორე დღესვე იქირაეა მეზობლის ბიჭი თუნების მწყესად და საქონელიც იმას ჩააბარა. ამას შემდეგ წამი ისე როგორ გაეიდოდა, რომ ბახვას დედას არ წამოეძახა: ,,ბახვა, სკუა, სკანი გოლუაფირო ჩქიმი დუდი'' (ბახვა, შეილო, შენ შემოგეელოს ჩემი თავი)!...

ბახულიას დედ-მამამ ამიერითგან გამართა ჩამოლოცვები და საწირავები შვილის სადღეგრძელოთ.

Oეკლათის მოშორებით ჩრდილო-აღმოსაელეთისკენ გაეკერება სერები, რომელთაც ჰქეია აბედათის მთები. Iმათში რომელიც უფრო მაღალი გორაა, იქ იდგა ერთი დიდი მუხა. Uოველი გაჭირვებული კაცი მიდიოდა მუხასთან და მიჰქონდა სხვა-და-სხვა შესაწირავები. ამას გარდა ს. ჭაჩხურის მახლობლათ, ტეხურის ხეობაში, სერზე იდგა ერთი დიდი ცაცხვი, რომელსაც ეძახდენ ,,ისკიოდა''-ს. მესამე ცაცხვის ხე იდგა მთაზე, ნობულეეის სოფელთან, აბაშის ხეობაში, ბალდას მახლობლათ. მარტეილიდან იქამდის ოარი საათის საეალია. ამ სამ ხეს ბახვას დედ-მამა ყოველ წელიწადს სწირაედა თითო-თითო საკლავს: ერთ ხბოს და ოარ თიკანს. ქრისტეშობისთვე რომ დადგებოდა, ხახულია ადგებოდა ცისიერზე უბრათ, წაეიდოდა აბედათის მთაზე, წაიღებდა კვერს და ოარ ლურსმანს, მუხლს მოიყრიდა წმინდა მუხის წინაშე, მოიხდიდა ჩაბალახს და ასე შეეეედრებოდა: ,,მუხავ ჰატიოსანო, შენ შებორკე ჩემი ბახულიას მტერი და დამაწყეეარი, იხსენი ყოველნაირის აეათმყოფობისაგან, განარინე ბატონები: წითელა, ყვავილი, ხველა და მუცელა (ყვანა), დაბი და ნუ მიუშვებ მაზედ, სანამდის ეს ოარი ლურსმანი, შენდა მოძღენილი და შენ შორის ჩაჭედილი, თავისით არ

ამოვარდენ''. ამ ლოცვას შემდეგ დააჭედდა მუ'ის ძირზე ორ ლურსმანს, მერე სამჯერ შემოუვლიდა მუხას და ისევ უბრათ გამოსწვედა შინისკენ.

იმ ღამეს ბახვას დედ-მამას შინაც ამისთანა ლოცვა ექნებოდათ, მაგრამ აქ ნასუქს ხბოს ბოსლიდან გამოიყვანდენ ძელურში და სამჯერ შემოატარებდენ კერიას გარშემო შემდეგის ჩამოლოცვით: «მუხა პატიოსანო, შემოგვიწირავს შენთვის ეს უშობელი ჩვენის შვილის ბახულიას სადღეგრძელოთ». შემდეგ ხბოს ძელურში დაბამდენ თავისთან და კიდევ უფრო ასუქებდენ. დილა-საღამოს ხბოს მარილსაც აჭმევდენ. იმ დღეს ხახულია და მისი ცოლი ერთმანეთს ხმას არ გასცემდენ, უბრობა და მარხულობა დაწესებული ჰქონდათ. შობის წინადღეს ამგვარათვე ჩამოილოცავდენ, მოხდიდენ ათ-ჩაფიანს, დაკლავდენ წინადღით შეწირულს ხბოს; შობა-დღეს მოიწვევდენ მეზობლებს სადილათ; პირველი ლოცვა ბახულიას სიდღეგრძელოთ წარმოითქმოდა, მერე შეუდგებოდენ საერთო მოლხენას.

ამგვარათვე მოიქცეოდენ ცოლ-ქმარნი, როცა ხახულია აღდგომის კვირაში წაიღებდა ,,ისკიოდას'' ცაცხვთან, მის შესაწირავათ ორს აღდგომის წითელ კვერცხს და იქიდგან დაბრუნებული დაკლავდა პატიოსანის ცაცხვისადმი შეწირულს თიკანს. ,,ნობულევის'' ცაცხვთან გაეშურებოდა მარიამობას. ეს ცაცხვი დღესაც შეხირხლულია ცხენის ნალებით, ლურსმნებით, ბამბის ძაფიანი თითისტრებით და გარშემოხვეულის ბამბის ძაფებით. ეისაც ცხენი, ან საქონელი დაეკარგება, თავის მოვალეობათ რაცხს, წაიღოს ცხენის ნალი და დაჭედოს ცაცხვზე ამ სიტყვებით: ,,ცაცხვო პატიოსანო, შენ შეუკარი ხელ-ფეხი და ასე დააჭედე ერთს ადგილას ჩემის ცხენის ქურდი. სანამდის გულწრფელად არ გატყდეს და არ შემოგპირდეს საწირავით თავის

აშენებას, ნაპარაეის ჩემთან მოყვანას, თუმცა შეგისმენია მისი ვედრება''.

## IV.

მას აქვეთ, რაც ბახულია ფოთს წაიყვანეს, დედა-მისი ყოველ კვირაობით ჩადიოდა თეკლათის ქარხანაში შვილის ამბის საკითხავად. ის გააკეთებდა შვენიერ სულგუნებს (გადაზელილ ყველებს), მოუქსოვდა შვილს ერელ ღაზლის წინდებს, სულგუნებს ინჟინრის ცოლს უგზავნიდა და ერელ წინდებს თავის ბახულიას. ამიერითგან დარიასათვის რკინის გზის მატარებლის სტვენა ჩიტის ძახილათ გადიქცა, და, როგორც ჩიტის ძახილს, მატარებლის სტვენასაც ისე უპასუხებდა: ,,ჩიტო, ჩვენ კარგი ამბავი, შენ ოქროს ნისკარტი, გაშალე ფთა, გადიარე მთა''.

როცა დარია შინაურ საქმეებს მორჩებოდა, ყოველფერს მიალაგ-მოალაგებდა, მერე წავიდოდა ქოჩორა ტყისკენ. იქ სერზე, ერთ ხის ძირას, დარიას ერთი პატელი ქვა ჰქონდა ამორჩეული საჯდომათ. ყოველს კარგ ამინდში წაიღებდა იქ თავის ხელსაქნარს და საღამომდის სულ თეკლათის რკინის გზის მუშებს უცქეროდა, ქვის ტეხაზე და მატარებლის წინ-და-უკან ტარებაზე აყოლებდა გულს. ასე ვგონა, ყველა—მატარებლიან მუშებიანა, ბახვაზე ელაპარაკებოდენ, მის ამბავს ეჩურჩულებოდენ შორიდან მოყვარულ დედას. ხან-და-ხან ეახშმობისას, როცა მოწყენილი ცოლ-ქმარი ოჯახობის ამბავს მოლეედენ, დარია გაუტარებდა სიტყვას ხახულიას ფოთს გამგზავრებაზე და ბახვას ნახვაზე. ქმარი ამოიხვნეშდა და იტყოდა: გაზაფხულზე უნდა წავიდე, როცა ჩემი ბაკი ცხენი კვიცის მოგების 'შემდეგ ღონეზე მოვაო. გაზაფხულიც დადგებოდა, მაგრამ ხახულიას ხან ყანის თესვა,

ხან მეოთხედის გადახდა უშლიდა ხელს, შოთს წასულიყო. ამ მზადებაში გავიდა ერთი წელიწადი.

ქრისტეშობის დღესასწაულის წინაღამე იყო. ბახვას მამას შეწირული ხბო დაეკლა და ატყავებდა. დარია კერას აჩაღებდა, ზედ დიდი ნალოები (ხის მორები) ედო და ცეცხლს აღუზღუზებდა. წყლით სავსე ქვაბი, საქვაბეზე ჩამოკიდებული, შიშინებდა. მოჯამაგირეს ხან ჩაფით წყალი მოჰქონდა, ხან ხმელი ფიჩხები. ამ დროს ნაცნობმა კონდუკტორმა შემოდგა ფეხი სახლში. დარიამ სიხარულით წამოიძახა: ,,უი, შენ ჩემო ღვთის ანგელოზო! ბახულიას კარგი ამბავი თუ მოგაქვს''!...

—ძალიან კარგი ამბავი—უპასუხა კონდუკტორმა: ინჟინერს უნდოდა გამოეგზავნა თვითონ თქვენი შვილი, მაგრამ დღესასწაულებზე მოსამსახურეები შინ გაუშვა და ბახვამ ვეღარ მოიცალა. მაგიერათ აი რა მოგიტანე! თვითონ ბახულიას დაწერილი წიგნი და შიგ ერთი თუმანიც გამოხვეული.

დარიამ უცებ ხელიდან გამოსტაცა წიგნი და აღტაცებით იძახოდა:

—,,სკანი გოლუაფირო, ჩქიმი ბახვა, ჩქიმი ჭიკვე, ჩქიმი ანგელოზი''!... (შენ შემოგეევლე! ჩემი ბახვა, ჩემი პაწია, ჩემი ანგელოზი!..). დარია გაგიჟდა, გაგიჟდა სიხარულით: ხან გულში იკრავდა წიგნს, ხან კოცნიდა ბარათს და ზედ ცრემლების კურცხლებს აფრქვევდა. ბოლოს გაშალა წიგნი და რომ ნახა ბახულიას ნაწერი, ერთი უნებურათ გადიხარხარა და სიცილი ტირილათ გადაექცა:

—,,დიდა, ნანაია, ჩქიმი ბახვაშ ნაჭარი, ჩქიმი ბახვაშ ხე, მუში ჭირიმა....''. (დედა, დედა, ჩემი ბახვას ნაწერი, ჩემი ბახვას ხელი, მისი ჭირიმე!) დაუწყო ბარათს კოცნა.

ხახულიამ მოიხადა ყაბალახი, თვალები ზეცას მიაპყრო და რაცლას ბუტბუტებდა, ეტყობოდა, ღმერთს მადლობას სწირავდა ბახულიას კარგათ და ბედნიერათ ყოფნისათვის.

ქონდუკტორი რვა დღეს არ გაუშვიათ. რაც კი რამე შეეძლოთ, ცოლ-ქმარს არა დაუზოგავთ-რა, რომ კონდუკტორი მოელხინათ, მეზობლები დაუპატიჟეს ახალგაზდა ქალებიანათ. მუზიკა, ჰარმონიკა, დაირა, ჩონგური და სხაპკა-თამაში მათ ხელათ იყო. ქონდუკტორმა ის დღეები ძალიან მხიარულებით გაატარა. დოლბანდიანი ლამაზი ახალგაზდა გოგოები კეკლუცი ცელქობით და მოხდენილი თამაშით ერთმანეთს ეჯიბრებოდენ, რომ კონდუკტორის ყურადღება მიექციათ თავიანთ თავზე...

იმ რვა დღეს მუდამ ერთი განუწყვეტელი სიცილი, კიჟინა, მეგრული სიმღერები და ჩონგურ-დაირის კვრა იყო გამართული. ქალები ხშირად გაბამდენ ფერხულს, ნამეტურ ეახშმობისას, ჩაირევდენ კონდუკტორს და მანამდის უკლიდენ ანთებულს კვრას სიმღერით, სანამდის არაქათ-წართმეულნი აქით-იქით ტახტებზე არ დაეყრებოდენ.

ხან-და-ხან კონდუკტორი სადღაც გაილალებოდა და მეორე დღეს სადილობისას ძლივს შემოვიდოდა სახლში. ხახულია და დარია არ დარდობდენ მის გადაკარგვაზე, რადგან დარწმუნებულნი იყვენ, რომ კონდუკტორს მეზობლებში ბევრი მოკეთე ყავდა; წინდაწინვე იყვენ დარწმუნებული, რომ იმას უსიამოვნო არა შეემთხვევოდა-რა.

შობის მეორე დღეს დარიას ჩვეულებათ ჰქონდა, რომ ღორის ხორცით და ქონით გატენილი დიდი მჭადი უნდა გამოეცხო. ეს იყო შეთქმული და შელოცვილი ბახვას საბედნიეროთ. სადილათ რომ დასხდებოდენ, ამ მჭადს ერთი ლამაზი ქალი დაიჭერდა ხელში და მოიპატიჟებდა ახალგაზდა ვაჟს ერთად გა-

ხატეხათ. მჭადს დასდებდენ დიდ ხის ნამორზე, რომელიც კერაზე იყო გაზოდეილი. ქალი ცალკე ცდილობდა, რომ მისკენ მჭადის უდიდესი ნაწილი გადამტყდარიყო, და ვაჟი ცალკე. მისკენაც უფროსი ნატეხი გადეიდოდა, ის იყო მოგებული. იმ დღეს ლამაზმა ქალმა კონდუკტორი მიიპატიჟა მჭადის გასატეხათ და, რადგან მჭადი ბახვას საბედნიეროთ იყო გამომცხვარი, ლამაზმა ქალმა უფროსი ნახეევარი კონდუკტორს არგუნა. ბატეხაზე სტუმრებმა დიდი კიჟინა დასცეს და მიულოცეს დედ-მამას ბახვას ბედნიერება, რადგან უფრო მჭადის დიდი ნახეევარი ვაჟმა გადითრია თავისკენ.

## V. VI. VII. VIII. IX.

## X.

ფოთის პორტ'ში დიდი ხნიდან მეშაობდა ერთი რუსი მჭედელი, სახელად იევნე. იმას ჰქონდა ჩაბარებული ერთი სამჭედური, მთავრობის ხარჯით გაკეთებული. ყვირაში იღებდა თავის შრომის ფასად შვიდ მანეთს. თუმცა ივანე კარგი და პატიოსანი მშრომელი კაცი იყო, მაგრამ ერთი ახირებული ნაკლულეანება სჭირდა. თვეში ერთხელ დათრობა ჩვეულებათ ჰქონდა და, თუ ვინიცობაა ამ რიგს ასცდებოდა, მაშინვე ავათ გახდებოდა, და თუ თავის რიგს აასრულებდა, ისე კი დათვრებოდა, რომ სამ-ოთხ დღეს მკედრათ ეგდო ლოგინზე. ივანეს რომ სალდათად სამსახურის ვადა გაუსრულდა, დაეთხოვა მთავ-

რობას და ზოთში ბოიწყო სახლ-კარი; მან ჩინებულათ შეისწავლა ქართული და მეგრული; რადგან მეგრელის ქალი შეირთო ცოლად, თვითონაც ქართველობდა.

მისი ცოლი ერთი იმ მეგრელ ქალთაგანი იყო, რომელნიც ბედ-უკულმართობისგან მიეარდნილან ზოთს და ერთ დროს გამველელ-გამომცელელის ჟინის მოსაკლავად გამხდარან. საზოგადოთ მომეტებული ნაწილი ამ გვარის ქალებისა სულით და ხორცით წაწყმენდილნი არიან; მაგრამ სალომეზე, რომელიც ივანე რუსს ცოლად შეხვდა, ამას კაცი ვერ იტყოდა. ის მეტად კარგი და ჯერ კიდევ სულ-ხორცით წაუბილწველი არსება გამოდგა.

სანამ სალომეს შეირთავდა, ივანე რუსი კვირაში ორჯერ თვრებოდა, ხან-და-ხან სამჯერაც. ერთი სიტყვით, იმ დროებში ივანე თავის ნაშოვარს ყოველ-ჟერს არაყის სმაში ღუპავდა. სალომემ ისე გამოაკეთა ეს ლოთი, რომ უწინდელი მისი მნახველები და მეგობრები ველარ ცნობდენ.

დაქორწინების შემდეგ სალომე შეუდგა ოჯახის თავდარიგებას. ზოგი ქმრის ნაშოვნით, ზოგი თავის ყაირათობით შეგროვილის ფულებით სალომემ იყიდა ერთი ხბოიანი ძროხა. ამ სახით ცოლი შინ გამეცადინდა: თუ სარეცხებს ილებდა, თუ ძროხის რძეს ყიდიდა; ქმარმა კი პორტში დაუდგა გული მუშაობას. ივანე რუსს, როგორც დამსახურებულ სალდათს, მისცეს ზოთში პორტის მახლობლათ ერთი ნაკერი ადგილი. მან ზედ დაიდგა ერთი ფაკხური სახლი, შელესა შიგნით და გარეთ ბიწით, მერე შეუფეთქა კირით; სახლი სამ თვალად გატიხრა: ერთში სამზარეულო მოაწყვეს, მეორეში თავიანთი საწოლი და ლოგინები, მესამე თვალი სასტუმროდ გახადეს.

რაკი ივანე რუსმა შენიშნა სალომეს სიყვარული და მომ-ჭირნეობა, მერე ისიც სინიდისს მოეგო, გადაწყვიტა სიმთერალის გადაგდება. მართლაც თითო თვე ისე გავიდოდა, რომ არაყის, წვეთსაც არ ჩაუშვებდა ყელში.

ერთხელ ივანე რუსს მოსვლოდა ისეთი არაყის ხურუში, რომ იმ შაბათ-საღამოს პორტის საწერილმანო დუქნისკენ გა-ქანებულიყო. შეაღამემდის უცადა ქმარს სალომემ და, რომ აღარ მოვიდა, მაშინვე იგრძნო, რაც უბედურება იყო მის თაესა. ნაშვაღამევს ფანრით თვითონ სალომე წავიდა საწერილმანო დუქანში და წამოიყვანა იქ გდებული, გრძნობა-მიხდილი ქმარი.

ამას შემდეგ სალომე ყოველ შაბათ-საღამოს თვითონ მიდიოდა პორტში და მის ხვედრ ფულს თვითონ იღებდა. პირ-ველ ხანებში ივანე ძალიან კმაყოფილიც დარჩა ამაზე. მაგრამ ბოლოს-და-ბოლოს, როცა არაყის ჟინი მოუვიდოდა ხოლმე, ივანე კიდეც გაკრავდა თითო ოროლა მუშტს სალომეს. ჩათ-რევას ჩაყოლა სჯობიაო. სალომემაც, როგორც ჭკვიანმა დედა-კაცმა, ქმარს. პირობა დაადებინა, რომ ის თვე ში მარტო ერთ-ხელ დამთერალიყო, ისიც შინ, და არა სამიკიტნოში. როგორც თვე მიიწურებოდა, მეოთხე შაბათს სალომე წავიდოდა პორტში ივანეს ჯამაგირის ასაღებათ და ამასთანავე ერთ შტოფ არაყსაც თან გამოიძღვანიებდა ქმრისათვის.

მესამე წელიწადს, ქორწინებას შემდეგ, სალომეს მიეცა ქალი და დაარქვეს ესმა, ანუ შვმოკლებით ესია. ეს ქალი იყო ერთად-ერთი ნუგეში დედ-მამისათვის. რაკი ქალი ეყოლა, ივანე რუსმაც ერთი-ორათ იკეთა და იწყო ოჯახში მომჭირნეობა. თით-ქმის იშვიათად თერებოდა და შოვნითაც, უწინდელზე შედარე-ბით, ბევრს შოულობდა. პორტში განწესებულ მუშაობას გარდა კერძო სამუშაოსაც ბევრს იღებდა: ვის დანას გაუკე-

თებდა, ვის მოშლილ თოფ-დამბაჩას გაუსწორებდა. ამ გვარის მოქმედებით ივანე რუსმა ყველას თავი შეაყვარა, ცოტაოდენი ფულიც გაუჩნდა.

რვა წლის რომ შეიქნა იმათი ქალი, პირველდაწყებით სასწავლებელში მისცეს. ზრდასთან ესმას შეენიერებაც ემატებოდა. სკოლაში შეისწავლა ქართულ-რუსული წერა-კითხვა, სხვა-და-სხვა ხელსაქნარი: კრუქოვების ქსოვა, ყასნაღის ნემსით ქარგვა, ჭრა და კერვა.

ცამეტის წლის რომ შეიქნა ესმა, დედამ სასწავლებლიდან გამოიყვანა. და ერთს ფრანგის მკერვალ ქალს მიაბარა. თუთხმეტის წლის რომ შეიქნა, ესმა კოკრად გაფეთქილ მაისის ვარდს დაემსგავსა; ისეთი ააგდო ტანი, რომ დედა მხრებზე ველარ სწვდებოდა. ფოთში ივანე რუსის ესიას ყველა იცნობდა. მისი ლამაზი თეთრ-ყირმიზი სახე, შავთვალწარბებიანი, გრძელ წამწმებიანი გამელელ-გამომელელს, განსაკუთრებით ფოთის პრიკაზჩიკებს, ცეცხლს უნთებდა გულში.

ესმა ხშირად მიდი-მოდიოდა ფოთის ქუჩებში მკერვალის ქალის სახლამდის. ვინც კი ამ დროს მის ლელწამს ტანს და ჯეირნის თვალს შეასწრებდა, უნებურათ წამოიძახებდა: „ნეტავი შენს დედ-მამას, რომ ციდან მოწყვეტილი ვარსკვლავი ჩამოსელიხარო!“ მაგრამ ჯერ გზაზე მას ვერავინ გახუმრებოდა და ურიგოთ ხელის ხლება ჯერ მისთვის ვერავის გაებედა. მისი თავდაჭერილობა ყველას უნებურათ ულვიძებდა გულში ღრმა პატივისცემას მისდამი. მისი დიდრონი თვალების, ნამეტურ პრიკაზჩიკებს, ძალიან ერიდებოდათ.

ესმა მაშინაზე მიეჩვია ლამაზად კერვას, ტანისამოსის მოხდენით გამოჭრას. ჯერ ერთი წელიწადიც არ გასულიყო რაც ესია მიებარა მკერვალ ქალს და ის უკვე სარგებლობდა თავის

შეგირდის შრომით; მას ძალიან შეუყვარდა ესია მომქირნეობისა და ბეჯითად შრომის გულისათვის; ის შოულობდა ახალ-ახალ მოდებს. ზოგს რუსულის, ზოგს ფრანგულ ჟურნალებიდან, მოუტანდა ესიას და აჩვენებდა, თუ როგორ უნდა გამოექრა, ან შეეკერა იმათი ბადალი.. თვითონაც რაც იცოდა, ყოველ ჟერს ასწავლიდა და არაფერს შურაედა მისთვის.

## XI.

ერთს კვარა დღეს ივანე რუსს პორტის სამჭედურში ძალიან დააგვიანდა. რაღაც ბევრი და საჩქაროდ საკეთებელი აკეჯეულობა მიებარებიათ. ივანემ ნაშუადღევამდის კვირაძალი გასტეხა. მუშაობას რომ მორჩენილიყო, კვირაძლის გატეხისათვის მიეცათ ორი მანეთი ქირა, ჯამაგირის გარდა, და შინ გამოესტუმრებიათ. მას ასდევნებოდენ გზაზე ამხანაგები და გადაეწყვიტათ, იმ ფულით ქეიფობა.

სალომემ და ესიამ იმ დღეს გადაწყვიტეს წირვაზე წასვლა და ამის გამო დილა ადრიანათ სადილი გააკეთეს; იმათ იცოდენ, რომ ივანეს პორტში იმ დღეს ბევრი მუშაობა ჰქონდა და საღამოზდის შინ აღარ მოვიდოდა.

ქვირა-დღეს დიდი ჯარი მოგროვილიყო წირვაზე, განსაკუთრებით ბევრი ახალ-ჩამოსული ცხენოსანის ჯარის კაცები ყოფილიყვენ. წირვა რომ გამოვიდა და საყდრის გალავანში ხალხი გამოეფინა, ესმას თავის სიკოცხლეში პირველად მოესმა შემდეგი სიტყვები, ბოხი ხმით წარმოთქმული: ,,ნეტამც ეს ლამაზი ქალი ვინ არის?''—ესმამ მოიხედა და ცხენოსნის ჯარის რამდენიმე ახოვანი კაცი (ესადნიკები) იდგა მის გვერდით. ერთი მაინც იმათში ყველაზე უდიდესი და შეუპოვარის შეხედულების

იყო. ესმამ თავის დიდრონი თვალები შეანათა ამ კაცს, მაგრამ მალე უცბათ ძირს დაუშვა, რადგან ის კაცი ცდილობდა, ესმასსთვის თვალი თვალში გაეყარა.

—დედა, მოეშორდეთ ამ ალაგს; ეს კაცები უკმეხად გვიყურებენ—წასჩურჩულა სალომეს ესმამ.

სალომე და ესმა გამოეშურენ შინისკენ. იმათ ეგონათ, ცხენოსნის ჯარის კაცები საყდრის გალავანში დარჩებოდენ. შინ რომ მიახლოვდენ, იმავე ჯარის კაცებმა დედა-შვილს გზა გადუკრეს, და ამ დროს ესმას კიდევ შეეფეთა წინ იმ უზარმაზარის ჯარის კაცის ცეცხლივით ანთებული თვალები; ქალს შიშისაგან კინაღამ გული წაუვიდა.

— დედია, ნეტავი აგი კაცი არ დამენახა!—გულგახეთქილმა ესმამ უთხრა სალომეს დაბალის ხმით.

—რატომ, შვილო?... ის ძალიან მოხდენილი და ჯავარიანი კაცია, ვინც უნდა იყოს ის დედ-მამა ცხონებული!—უპასუხა სალომემ.

—არა, ნანაია, *) მაგი კარგი კაცი არ უნდა იყოს, ფირალს **) გავს. ასე მგონია, ის კაცი რაცლა უბედურებას შეგვამთხვევს..

—არა, შვილო! ეგენი ესადნიკები არიან, ოსამსახურე კაცები. მავთრში სულ ჩვენებური თავად-აზნაურის შვილები არიან, პატიოსანი კაცები. ცუდს რაცა იკადრებენ.

—არა, ნანაია, მაგი ცუდია. ვინცლაა, ცუდი!...

—შენ რა გენაღვლება, შვილო, შენ რაზს დაეძებ?

—ნანაია, მაგ კაცმა გლახათ ყურება დაიწყო.

—მისი თვალი ქვას, მისი არჩიეი ძალლს, შვილო!...

---

(*) ნანა მეგრულათ დედას ჰქვია.

**) ფირალი ყაჩაღია,

ამ ლაპარაკით დედა-შვილი შევიდა თავიანთ სახლში, გაიხადეს სადღესასწაულო ტანსაცმელი და დასხდენ წინ-და-წინ დამზადებულის სადილის საჭმელათ.

ესმას თვალიდან არ სცილდებოდა მაღალის, მოსულის ესადნიკის საშინელი სახე. მის შუბლზე შეკრულს შავს სხვილ წარბებს და ცეცხლის მაფრქვევ თვალებს ესმას ნორჩი გამოხატულება საშინლად შეერყია. იმას ყმაწვილობისას ბევრი ზღაპრები ჰქონდა გაგონილი, საცა ავსული, შავ-რქებიანი დევები დედა-მიწას ანგრევდენ, ქალ-ვაჟებს იტაცებდენ და სჭამდენ. მისგან ნახული საშინელი ,,ესადნიკი'' მისი აზრით სწორეთ იმ დევის მსგავსი უნდა ყოფილიყო. ამ ,,ესადნიკს'' შოთში ეძახდენ ი ერ ე მ ი ა წ ა რ ბ ა ს.

ჯერ ორი თვეც არ გასულიყო, რაც ქართველი ცხენოსანი ჯარი (Конно-иррегулярный полкъ) დააყენეს შოთში და ,,ერემია წარბას'' სახელი ყოველგან ისმოდა. მის ვაჟკაცობას, სიმარდეს.. და ამხანაგობას ყველა აქებდა. ის იყო თავის ამხანაგების ღმერთი. თუ რომელსამე ვაჭარს კონტრაბანდის გამოტანა ენდომებოდა ზღვით, მაშინვე ერემიას მიმართავდა. იმისი დათანახმება და საქმის გაჩაღება ერთი იყო....

იმ დღეს სალომე და მისი ქალი ოჯახობაში გაერთვენ. საღამოს დედამ ძროხა მოწველა და დააბინავა, ხბო ცალკე ბოსელში შეაგდო. მერე დედა-შვილმა ვახშამი დაამზადებს და უცდიდენ ივანეს. მაგრამ ის არსად იყო. სალომემ მაშინვე გადასწყვიტა. ამხანაგები გააბრიყვებდენო, და გასწია პორტის სამიკიტნოებში. იქ რომ ვერა შეიტყო-რა, დაბრუნდა შინ გულგახეთქილი და დედა-შვილმა მთელი ის ღამე თითქმის უძილოთ გაატარეს.

მეორე დღეს დილით, მზის ამოსვლისას, რაღაც ხმაურობა გაისმა ჭუჩაზე. სალომე უცბათ გამოიჭრა გარეთ. რას ნახავს მისი თვალები?... მისი Ivანე თავგადათხლეშილი და მკლავებ-დამტვერეული ცხედარით შემოიტანეს შინ მუშებმა. Imათ უკან მოსდეედა ერთი ახალგაზდა მეგრელი, რომელიც აეი თვალით არ ინახებოდა, ისეთი მოხდენილი ჭაბუკი იყო. ეს იყო პორტის მუშების თავმდგომი და უფროსი. Mურმე ამ ყმაწვილს იმ ღამეს უნდა გადაეცა სალომესთვის მთელი თვის Ivანე მჭედ-ლის ქირა.

Mომეტებულათ დამთვრალი Ivანე შინისკენ წამოსულიყო იმ ღამეს და, რკინის გზის ლიანდაგი რომ ვეღარ გადაეელო, ზედ რკინის ზოდებზე გაშოტილიყო და იქვე ჩასძინებოდა. Lამით მატარებელს გადაეელო ზედ და გაეჭყლიტა.

Mავგაჭეკყილ ქმრის დანახვაზე სალომემ საოცარის ხმით იკივლა, მორთო წიეილი საცოდავათ, აგრეთვე ესმამაც. Dედა-შვილის მწუხარებას საზღვარი არ ჰქონდა. Imათ ისეთნაირათ მოსთქვეს, რომ ქვაც ატირდებოდა. ესმას უმანკო სახემ, სქლად გაშლილმა და მხარ-ბეჭებზე გადაყრილმა მისმა შავმა თმამ და მარგალიტის ნაკადულმა ცრემლებმა ღრმა შთაბეჭდილება მო-ახდინეს პორტის მუშების თავდგმურზე. Mეით ამ ახალგაზდას წარმოუდგა თვალწინ თავის საკუთარი სიობლე, მოაგონდა თავისი ახლად დამარხული მშობლები და ესმას საცოდაობის შემხედვარემ ცრემლის კურცხლები გადმოყარა თვალებიდან.

Tირილით რომ მოიღალა, სალომემ ზეეით აიხედა და ხელ-მეორეთ მორთო საცოდავი კივილი. მის მწუხარე გულს ცეცხლი ახლა კიდევ უფრო აენთო. Mუმცა იმ ახალგაზდამ სა-ლომეს ვინაობა არ იცოდა, მაგრამ სალომეს დიდი ხანია შეე-ტყო ცხონებულის თავის ქმრისაგან იმ ახალგაზდას ვინაობა და

მისი სიკეთე. იმ დროს, როცა ეს შვენიერი ჰაბუკი ოხებს უდგა, სალომე გასათხოვარი ქალი იყო. ის თურმე ხშირად დადიოდა ამ ჰაბუკის დედ-მამის ოჯახში და მისთვისაც ბევრჯერ მოუელია. იმ დროებში საწყალი სალომე რკინის გზის კონდუკტორებმა შეაცდინეს და გაუყენეს ფოთს ერთ აფიცერთან სა ცხოვრებლათ. აფიცერი მალე გადიყვანეს რუსეთს. სალომე შეიქნა ქვეყნის ანაბარათ საცხოვრებელი.

ყოველივე ამბავი თავის ცხოვრებისა სალომემ მოთქმით უთხრა იმ მოხდენილ ჰაბუკს და ამასთანავე, როგორც მისი ქვეყნის ქალი, თითქმის იმის დედ-მამის ოჯახში გაზდილი, სთხოვდა იმ ახალგაზდას, პორტის მუშების თავდგმურს, შემწეობას და მფარველობას.

იმ კაცსაც, რასაკვირველია, გული აუჩვილდა და ბევრი იტირა. ამას შემდეგ ეს ახალგაზდა კაცი მართლაც პატრონი შეიქნა სალომესი. ივანე რუსი თითქმის თავის ხარჯზე გაასვენა და დაასაფლავა და მერე ხშირად იწყო სალომეს ქოხში სიარული. ეს მოხდენილი ჰაბუკი გამოდგა ბახვა ფულავა, რომელიც ერთ დროს თეკლათიდან ფოთს გაუყენეს.

## XII.

ბახულია ფულავა ინჟინრის სახლობამ როგორც შვილი ისე შეითვისა. ინჟინრის მეუღლემ ლამაზად ჩააცვა, დაახურა და ყოველგან დაყავდა, როგორც ფარეში. სანამდის ბახულია თოთხმეტის წლის შეიქნებოდა, ინჟინრის ცოლი ფოთის პირველ-დაწყებითს სკოლაში ატარებდა ცხრა საათიდან თორმეტ საათამდის ყოველ-დღე. სკოლიდან რომ მოვიდოდა, შინაც ტყულათ არ აჩერებდენ: ასწავლიდენ ხელზე სამსახურს, სტუმ-

რის მიღებას. ინჟინრისა და მისი ცოლის წიგნების წამღებ-წამომღებიც ის იყო. პორტის მუშები ბახულიას ინჟინრის ლაქიას ეძახოდენ, და ყველანი პატივს სცემდენ. მისაც ინჟინრის შინ ნახვა უნდოდა რაიმე საჭიროების გამო, ყველანი მისგან იტყობდენ ამბავს, როდის ჰქონდა ინჟინერს დრო, როდის უფრო იყო მოცლილი, ან კარგს გუნებაზე. ბახულიამ სკოლაში კარგი წერა-კითხვა ისწავლა რუსულ-ქართული; ჩინებულათ ლაპარაკობდა რუსულათ და ანგარიშიც იცოდა ჩოთქზე.

ინჟინერს ყავდა მისი ხნის ქალი, რომელსაც ისე შეუყვარდა ეს ბახულია, რომ თვალიდან აღარ იცილებდა. ყმაწვილები მუდამ ერთად თამაშობდენ, თუ ბანქოს, თუ კეგლსა და რიკ-ტაფელასა, ან დედუფალობას. დედ-მამას პირველ ხანებში ძალიან უხაროდათ, რომ იმათმა საყვარელმა ქალმა იშოვნა ამხანაგი, რაც შეეძლოთ ბახულიას ყურს უგდებდენ და სუფთათ ინახავდენ; ინჟინერმა რამდენჯერმე ბახულიას დედ-მამაც მიიპატიჟა შოთში და დასაჭუქრებული ისევე უკან გამოისტუმრა.

ინჟინრის ქალი ათი წლის რომ გახდა, ქალაქს წაიყვანეს და იქ ერთს პანსიონში მიაბარეს. ყოველ კანიკულებზე დედ-მამას თავის ქალი მიყავდათ შოთს და იქ ბახულია და ის სულ ერთად თამაშობდენ. ქალაქიდან რომ წიგნს მოიწერებოდა, ბახულიასთვისაც მოკითხვა რომ არ შემოეთვალა და კანფეტები არ გამოეგზავნა, არ იქნებოდა.

როცა ინჟინრის ქალი თუთმეტ-თექვსმეტის წლის შეიქნა და კანიკულზე შინ მოვიდა, ბახულიაც გადადგა ამ დროს მეჩვიდმეტე წელიწადში და ძალიან დაშვენდა. ინჟინრის ქალს ყმაწვილური მეგობრობა რაღაც გამოუთქველ გრძნობაზე შეეცვალა. იმათ ერთმანეთს გულისთქმით დაუწყეს ყურება. ინჟინერმა და მისმა ცოლმა შეიტყვეს ეს ამბავი და მაშინვე დააშორეს ქალ-

ვაჟი. ძალი პიატიგორსკში ბიძას გაუგზავნეს და ბახულია პორტში განაწესა ინჟინერმა მუშების ზედამხედველათ.

ინჟინერმა აუხსნა ბახვას ანგარიშების წერა, ან კვიტანციები, ან ფულის მისაღები ტალონები როგორ უნდა ეწერა. ბახვა ფულავა მალე მიუხვდა ინჟინერს თავის განზრახვებს. როცა დღიურს ანგარიშს უწერდა, მუშების საანგარიშო წიგნში დღიური მუშები ხან ოცი მუშით მეტი გამოჰყავდა, ხან ოცდაათით, ხან ორმოცით. ყოველ შაბათობით ბახვა ადგენდა კვიტანციებს ამა-და-ამდენის მუშის ფასი ამდენი და ამდენი ფული მიეიღეო; თითო კვიტანციაში იყო ხან ათი, ხან თხუთმეტი მუშა მომატებული. ბახვა ყოველ შაბათობით წარადგენდა ხუთს, თუ ექვსს ამისთანა კვიტანციას. თითო კვიტანციაში ჰქონდა ინჟინრისაგან დანიშნული თითო მანეთი საჩუქრათ, ჯამაგირის გარდა.

ბახვა ყოველ შაბათობით ურიგებდა ფულებს დღიურს მუშებს. ზოგს აძლევდა დღეში ორ აბაზს, ზოგს სამ აბაზს, ზოგს თოთხმეტ შაურსაც. ეს გარემოებაზე იყო დამოკიდებული. ბახვამ გაიმართა თავისი საკუთარი კონტორა; ანგარიშის დავთრები ცალკე ჰქონდა და კვიტანციის წიგნები ცალკე. დღე არ გავიდოდა რომ ბახვას კონტორაში ოცი და ოცდაათი კაცი არ შესულიყო. ზოგი პორტში მუშაობას სთხოვდა, ზოგი პოდრიადის (იჯარის) გარიგებას ინჟინერთან, ზოგი ფულს ესესხებოდა თამასუქის ჩამორთმევით, ან გირაოს საშუალებით. ამგვარის დამოკიდებულებით იმან გაიცნო მთელი ფოთი. ყველას უყვარდა და ისიც ყველას პატივს სცემდა; განსაკუთრებით ყურადღებას აქცევდა მეგრელებს და სხვებზე უფრო ისინი ებრალებოდა. სამის წლის განმავლობაში ბახვამ ათას თუმანს გამოკრა ხელი პორტში მუშაობითა.

ერთს საღამოს ბახვას თეკლათიდან მოუვიდა ამბავი,

რომ მამა-მისს სახადი შეყროდა და სულზე მიგდებულიყო. ბახვა მაშინვე დაეთხოვა ინჟინერს რვა დღით; თავის მაგიერათ პორტში ბიძაშვილი დასტოვა, სახელად ნესტორა. ეს უდგა ბახვას მოჯამაგირეთ კონტორაში სხვა-და-სხვა საქმეებზე გასაგზავნ-გამოსაგზავნათ. მეორე დღეს დილით ბახვა რკინის გზის მატარებლით გაემგზავრა Oეკლათისაკენ. საღამოს მიეიდა შინ. მამა მისი იმ დღეს მომკედარიყო. მის ეზოში მეზობლები და ნათესავები ხმა-მაღლა ტიროდენ. შეეიდა თუ არა შინ, ბახვას ენა დაება, ვერა თქვა-რა და კალთაში ჩაუვარდა დედას. Dარიამ მშობლურის გრძნობით შემოხვია შვილს ორივე ხელი, მიიკრა მკერდზე და ნახვევარ საათს აღარ მოუშორებია. როგორც საწყალი ხახულია დაასაფლავეს, მის მეორე დღეს Dარია დაეცა ლოგინათ იმავე აეის სენით შეპყრობილი. ბახვა დარჩა შინ და არაფერი ღონისძიება არ დაუკლია, რომ დედა-მისი მაინც გადაერჩინა სიკვდილსა, მაგრამ ყოველივე ცდა მისი ამაო იყო. სამის კვირის განმავლობაში ბახვამ დამარხა თავის დედ-მამა, გადასცა სახლ-კარი და ადგილ-მამული ბიძას მოსაველელად. Oეითონ დაბრუნდა საჩქაროდ Oოთს.

ინჟინერი ძალიან უკმაყოფილოდ დაუხვედა. Aღარც კი უნდოდა მიღება, რადგან მის მაგიერათ ერთი ეინღაც სამსახურიდგან დათხოვნილი აფიცერი ასჩენოდა, რომელსაც შეეჩივლა თავის გაჭირვებული ცოლ-შვილის მდგომარეობა. ინჟინერს დროებით გადაეცა მისთვის ბახვას თანამდებობის ასრულება. Aმ დროს ბახვაც დაბრუნდა Oოთს. როცა ინჟინერმა დაწერილებით შეიტყო მისი გაჭირვება და დედ-მამის სიკვდილი, ისევ მოუბრუნდა გული, ნამეტურ ცოლმა და ქალმა აღარ მოუ-

სვენეს, რომ ბახვა ისევ მიელო სამსახურში. ამის გამო სამსახურიდან დათხოვნილი აფიცერი თავის საკუთარ კონტორშჩიკათ გახადა და ბახვას ისევ დაუბრუნა პორტის კონტორშჩიკობა.

ამას შემდეგ ერთ წელსაც არ გაუელია, რომ მთავრობის კომისია დაესხა თავს უეცრათ ინჟინერს პორტის მუშაობისა და ანგარიშების შესამოწმებლათ. კომისიამ დაწერილებით გამოიკელია საქმე და დარწმუნდა, რომ, თუმცა ინჟინერს ბევრი ჯაფა და მუშაობა გაეწია, მაგრამ მის ნამუშაევარს დიდი წარმატება არ ეტყობოდა. როგორც სჩანდა, ეს ინჟინერი არ იყო თავის საქმის მტკიცეთ მცოდნე. რაც აქამომდე პორტის შენებაში ფული დახარჯულიყო, სულ უქმათ იყო გადაყრილი.

კომისიამ დაასკვნა, რომ იქ, საცა ინჟინერი პორტს აკეთებდა, მისი აგება შეუძლებელი იყო: ან სულ უნდა დახსნოდენ პორტის აგებას, ან, თუ მთავრობა არ მოიშლიდა, სხვაგან სადმე უფრო მოხერხებული ალაგი მოეძებნათ. ამგვარმა გადაწყვეტილებამ მაშინდელი პორტის მაშენებელი უფროსობა გააუქმა. ბახვა შულავას მფარველმა ინჟინერმა ბარგი აიკრა და ცოლ-შვილიანათ ქ. თფილისს გადაესახლა; თვითონ ბახვამ პორტში მუშაობას თავი მიანება და შეუდგა სიმიდისა და ნიგეზის კუნძების ვაჭრობასა.

## XIII.

ივანე რუსის ქერიე-ობოლს ყველაზე უფრო დიდი თანაგრძნობა ფრანგის მკერვალმა ქალმა გამოუჩინა. იმან გადიყვანა ესმა თავის სამკერვალოში, დააყენა თავისთან და წილში მემესამედეთ გახადა. რაკი ესმამ თავი ობლათ იგრნო და დედაც სარჩენი ეგულებოდა, მუშაობას ერთი ორათ უმატა; იმას ხში-

რათ უგზავნიდა თავის მოგებულ ფულებს და ქერიე-ოხრობა სრულებით არ შეამჩნევია. ყოველ შაბათობით დედასთან მოდიოდა და ორშაბათს დილით ისევ მკერავალ ქალთან ბრუნდებოდა.

ერთ შაბათს საღამოს ესმა ჩვეულებრივათ შინ მიდიოდა, ხელში გაუთავებელი საკერავები ეჭირა ფუთაში გამოკრული. რადგან იმ დღეს ბევრი სამუშაო ჰქონებოდა, შინ წამოსვლა დაგვიანებოდა; რაც ვერ მოესწრო, ის შინ წამოეღო მოსათავებლათ. დღე და ღამე იყრებოდა. სახლს რომ მიუახლოვდა, რაღაც ნაბიჯის ხმა მოესმა: თითქოს ვილაც მოსდევდა. მოიხედა თუარა, ეოცა. მას გზა გადუჭრა იმ უზარმაზარმა კაცმა, რომელიც შარშან საყდარზე შეხვდა და ასეთი საშინელი შთაბეჭდილება მოახდინა მის უმანკო გონებაზე.

—სად მიხვალ აგრე გაჩქარებით, შენი გულისა?..—კითხა აღელვებით ერემიამ.

—რას გეკითხება?.. ვინ ხარ, ვერ გიცნობ; გზა მიტევ.

—აგრე ადვილათ გზას როგორ გიტევ, ჩემო ოცნებავ!

—ვინ ხარ, კაცო, მაგისთანა უზრდელი?

—მე შენთან უზრდელობას რა მრჯის, ქალთამზევ!—უპასუხა ერემიამ,—ნურც იფიქრებ, უპატიურობა რამე მოგაყენო. მე მინდა მხოლოდ შენი გაცნობა.

—რა საჭიროა!...

—ძრიელ დიდი, ენით გამოუთქველი.

—მე ვინ ვარ, შენ ვინ ხარ!...—გაჯავრებით შესძახა ესმამ.

—ერთმანეთის შესაფერი, ჩემო თვალის სინათლევ.—ამ სიტყვებზე ხელი გაუწვდინა ერემიამ ჩამოსართმევათ.

—ხელი იქით, თორემ ეს არის დავიყვირე.

—რათ დაიყვირებ, ხომ არა მიკადრებია-რა?...

—ბზა დამანებე, კაცო, მაგეიანდება.

—აქვე შენ თვალწინ მოვიკლავ თავს, თუ ყური არ მიგდე.

ესმა უნებურათ შეაჩერა ამ რიხიანმა სიტყვებმა. თან-დათან ბნელდებოდა და შიში კიდევ უფრო შეეპარა ქალს გულში; ტუჩებმა თრთოლვა დაუწყეს, ქალი გაყუჩდა, გაშტერდა; მაგრამ ეს გაშტერება არცა გაედა თანხმობას, არც თანაგრძნობას. ესმა იმნაირმავე გრძნობამ აღიტაცა, რა გრძნობაზედაც დადგება ჯეირანი, როცა მის წინ ლომია გალურსული დასატაკებლათ. უნდოდა დაეკივლა, მაგრამ აღარც ღონე მოსდეედა, აღარც ხმა. იმან არჩია ისევ გაჩუმება, ცოტაოდენ ძალისა და ღონის მოსაკრეფათ.

—ქალთა მზეე!—დაიწყო იერემიამ.—შეაცრავათ, ამ სახელს რომ გიძახი, მაგრამ მე სხვა შენი სახელი არ ვიცი. ბახსოვს, შარშან რომ საყდარზე გნახე? მას აქეთ შენი სახე ჩემს გულს მოსვენებას არ აძლევს.

მას აქეთ ამ ჩემს გულში უშრეტი ლამპარია ანთებული შენი სიყვარულისა. იცი, მე ვინა ვარ? მე ისეთი კაცი ვარ, რომ შენისთანა მადლიან ქალს ხის წვერზე დავარჩენ. მე რომ მამის შენის ცხედარზე გნახე თმა-გაშლილი, სულ აბედსაეით მომედო ცეცხლი. შენის ბარობით ის შენი მამაც ისე შემიყვარდა, თითქოს საკუთარი მამა მომკვდომოდეს. მისი კუბო მე და ჩემმა ამხანაგებმა საფლავამდის აღარაეის დავანებეთ. დაეიჯერო, ამისთანა თანაგრძნობამ შენში ნაპერწკალიც არ გამოიწვია ჩემის სიყვარულისა?...

—ახლა რა გნებავს?—კითხა გულციეათ ესმამ.

—შენი სიყვარული, ჩემო მზეო,—მიუგო იერემიამ.

—უწინამც სიკვდილი!—გამეხებით უთხრა ესმამ.

—ქალთამზეე, მე ნუ გადამიმტერებ,-დამუქრებით მიუგო იერემიამ.

—რა მაქვს შენი სამტრო?..

— თანაუგრძნობლობა.

—მე შენ მეზიზღები,—უთხრა ესმამ.

—როგორ თუ გეზიზღები?.. თუ კაცი ვარ, თავს შეგაყვარებ. ამ სიტყვებზე უკვე მოხვია ხელები ესმას და მიიზიდა მკერდზე.

ამ დროს გაისმა საშინელი წივილი, თითქოს ვისმე ყელში დანას უყრიდენო. შეცრათ გაჩნდა ყოველის მხრით პოლიციელების სტვენა.

იერემიამ იგრძნო, რომ იქ იმის დგომის დრო აღარ იყო. უშვა ხელი ესმას და გაქრა ამ სიტყვებით: ,,დღეს თუ ხვალ მაინც ჩემი იქნები''.

პოლიციელები მოვარდენ და ნახეს ესმა გზაზე მუხლებ-ჩაკეცილი. იმათ ძალიან ეოცათ ეს ამბავი და ჩაკითხვიდენ, რა მოგვეიდაო. ესმა შიშისგან ხმას ვეღარ იღებდა. პოლიციელებმა მოკიდეს ხელი და მიაცილეს სახლამდის. სალომე გამოვარდა შინიდან პოლიციელების ხმაურობაზე, დაინახა თუარა თავისი ესმა, იკივლა, ფარსაგი არა ეგონა-რა და გულში ჩაითბო. როდესაც ესმა გონებას მოეგო, უამბო დედას თავისი გადასავალი. მას აქეთ სალომეს მარტო აღარსად გაუშვია ქალი. როცა სადმე წავიდოდა, ან თვითონ გაუვებოდა, ან მოჯამაგირე ბიჭს უკან გაადევნებდა. თუმცა ესმა მალე გამოერკვა შიშისგან, მაგრამ იერემიასგან წამონასროლი სიტყვები ბნელ ღამეში სულ ყურში უწიოდა: ,,დღეს თუ ხვალ მაინც ჩემი იქნები''. დიდხანს არ დაეიწყებია ესმას ეს შემთხვევა და, როცა მოიგონებდა, ყოველთვის ტანში გააკრკოლებდა.

## XIV.

ბახვა შულავას მრავალი კუთხის კაცები ყავდა გაცნო-

ბილი პორტში მუშაობის წყალობით. ბინდ სიმიდის ვაჭრობა დაეწყო, გინდ კუნძებისა, სულ ერთი იყო. ყველა ხელს შეუწყობდა; ვისაც კი მიანდობდა საქმეს, ყველა დიდი სიამოვნებით იკისრებდა მასთან საქმის დაჭერას, რადგან ბახვა ნაღდი კაცი იყო. ბახვამ პირველ ხანებში გამართა შოთში რკინეულობის მაღაზია. დუქანში დააყენა თავის ბიძაშვილი, ნესტორა, საეაჭროთ, თვითონ კი ხან სამეგრელოს წავიდოდა, ხან ბურიას, ხან ქვემო იმერეთს, თავის გაგზავნილ კაცების ყურის საგდებათ. ეშინოდა, ფული არავის გამოეტყუებინა და მოუსაქმებლათ ჯიბეში არ ჩაედო. ეს აქვთ, რაც სალომესა და მის ქალს ესმას გაეცნო, ბახვა, როგორც კი შოთს მობრუნდებოდა ხოლმე, უსათუოდ მათ ნახავდა, გამოკითხავდა სალომეს მის ავანჩავანს, ჩაის დალევდა, მერე მოუყვებოდა თავის თავგადასავალს და სხვა-და-სხვა ვაჭრულ ანგარიშებს. ამგვარმა მონაწილეობამ ბახვას მხრით და მისმა ყურის გდებამ სალომეს მალე გამოაგლოვინა ქმარი.

მისი აელა-დიდება და ცხოვრების ნუგეში იყო ლამაზი ესმა, რომელიც მუდამ ერთ ფრანგის მკერვალ-ქალთან იდგა და მასთან მუშაობდა. სალომე ყოველ შაბათ-კვირას სწორეთ დღესასწაულსავით მოელოდა, რადგან ამ ორ დღეს ესმასთან იყო ხოლმე. ქვირის კვირობამდე რასაც კარგს იშოვნიდა, ყოველსავე თავის ესმას უნახავდა.

თვითონ ბახვამაც ისე მორთო საქმე, რომ ორშაბათიდან შაბათამდის თავის დუქანში ვაჭრობდა, ან თუ სხვაგან იყო შაბათ-კვირას, შინ რომ არ დაბრუნებულიყო, არ მოხერხდებოდა. სალომეს ბახულია მიაჩნდა თავის ქვეყნის შვილათ და თითქმის თავის გაზდილათაც. ერთს მის შეხედვაზე მთელი თავისი უმანკო წარსული დრო:-სამშობლო მხარე, დედ მამა,

ნათესავები, მეგობრები, თავის ქვეყნის ქალი და კაცი, ხატობაზე სათემოთ შეკრებილნი, მომღერალნი, დაირისა და მუზიკის ხმაზე მოცეკვარნი თვალწინ გაუცოცხლდებოდა. ის წარმოიდგენდა Oეკლათის გორაკებიან ველებს, უზარმაზარი ხეებით სქლათ დაჩრდილულებს, სერებზე ლურჯი კლდის ბაქნებს, ქვევით Oივის მდინარის ყვითელ წყალს, საცა არა ერთხელ თავის ამ-ხანაგ გოგო-ბიჭებთან პაწია ღორჯოები და კიბორჩხალები უჭე-რია; წარმოიდგენდა ამაებს და თვალ-ცრემლიანი წამოიძახებდა: ,,ნეტა იმ დღეს!...'' მას აქეთ ბევრი რამ ცუდი და ზნეობის შემწიკველელი ვამოუცდია, ბევრს მწუხარებას, გაჭირვებას, ეაისა და ვარამს გადაუვლია სალომეს თავზე, ბევრი ზნეობითი ჩირ-ქი და კაცის შეუფერებელი უსიამოვნება მისდგომია მას და უდროოთ დაუჭკნია, გაუხმია მისი ფუნთუშა გულ-მკერდი. აწ იმას ბევრი აღარა დარჩენია-რა ცხოვრებაში საჭხიარულო; დღეს ის შესტრფოდა თავის ესმას. ბახულია მას მიაჩნდა წარსულის გაეჩირქიანებელ სიყმაწვილის სარკეთ, ის ხშირათ იხედებოდა გონების თვალით ამ სარკეში და სწორეთ ღეთისგან მოვლენილ ნუგეშის მცემელ ანგელოზათ მიაჩნდა იგი.

პირველ ხანებში ესმა ძალიან მორცხვობდა ბახვა ფულა-ვას ნახვაზე. სანამდის ბახვა იმათსა იყო და სასტუმრო ოთახში იჯდა სალომესთან, ესმა არ გაეკარებოდა ხოლმე დედას. მხო-ლოდ ხან-და-ხან, როგორც მოზარდ ქალებს სჩვევიათ, გული არ მოუთმენდა და ჩუმათ მიიპარებოდა კარის ჭერიტიმალთან, რომ მოხდენილის ახალგაზდისათვის თვალი მოეკრა; მაგრამ იმ წამსვე უკან გამოტრიალდებოდა: ეშინოდა, ბახვამ არ დამი-ნახოსო.

დედა-მისი ყოველთვის სიამოვნებით ლაპარაკობდა თავის ქალთან ბახულიაზე, იგონებდა მის სიყმაწვილეს, რამდენჯერაც

ის ხელში აუყვანია, ან რამდენჯერ დაურწია მისთვის აკვანი, მერე მოყვებოდა იმის ჭკუაზე, გამოცდილებაზე, ან როგორ წამოეყვანათ ის ზოთს Oეკლათიდან, როგორ უელიდენ მას ინჟინრის ოჯახში, როგორ მარჯვეთ სწავლობდა სკოლაში, ბოლოს მოყვებოდა მის სიმდიდრეზე ლაპარაკს და აწინდელს იმის ბედნიერ ცხოვრებაზე. ესმა თან-და-თან მიეჩვია ბახვას. როგორც ძმას, ისე დაუწყო მას ცქერა და ამასობაში მორცხვობაც დაეკარგა. შემდეგ ისე გათამამდა, რომ, როცა ბახვა იმათთან მიეიდოდა, პირველათ ესმა შეეგებებოდა მკინარე სახითა და ატარებდა დროს მასთან. ყოველ შაბათობით იმან უფრო ადრიანათ იწყო შინ დაბრუნება, უფრო იმისთვის ისწრაფიდა მკერელიდან შინ მისელას, რომ უნდოდა ჩაი თვითონ გაეკეთებია და თავისი ხელით მიერთმია ბახვასათვის. იმასაც სწორეთ ნათესაურათ ეჭირა თავი. ხშირათ მოხდებოდა, რომ ბახვა ხან კანფეტებს მოიტანდა, ხან დარაიას, ხან საკაბეს, ხან რაიმე საოჯახო სამკაულს,—ყველა ამაებს მისცემდა სალომეს და თან უბოდიშებდა: „შენმა მორდილმა (გაზრდილმა) მოგვართვაო. შკაცრავათ ნუ გახლდებით ასე მცირე მოკითხვისათვისაო. სალომეს სიხარულის კურცხლები სცვიეოდა ხოლმე თვალებიდან.

სალომემ ჩონგურის შეენიერი დაკვრა იცოდა, ზედაც ამღერებდა ლექსებს. ესმასაც ძალიან უყვარდა პატარაობიდან დედის ჩონგურის დაკვრა და იმის ლექსების დამღერების მოსმენა; როცა დედა თავის მწუხარებას ჩონგურის დაკვრით აშთობდა, პაწია ესმა იქვე გვერდით უჯდა და უკვირდებოდა თუ სიმების ქნერას, თუ თითების ჩონგურზე ხმარებას. მერე, როცა დედამისი საქმეში იქნებოდა გართული, ესმა ჩამოიღებდა კედლიდან ჩონგურს და უბარტყუნებდა სიმებს თავის პაწაწინა თითებსა.

ბოლოს, თითქმის დედის დაუხმარებლათ, შეისწავლა ყველა ხმების დაკერა და სიმღერები, რაც დედამ იცოდა. შემდეგ ისე დახელოვნდა, რომ თვითონაც იგონებდა ახალ-ახალ ხმებსა. როცა ესმა დაუკრავდა და თან დაამღერებდა, იმდენი შეენიერება, გამოიხატებოდა მის სახეზე, იმდენი სიამოვნება ეძლეოდა მის მიერ გამონაქღერს ჩონგურის ხმებს, რომ გეგონებოდა ქვებიც ყურს უგდებენ და სიამოვნების ცრემლსა ღვრიანო.

ესმამ ჰარმონიკაზედაც კარგი დაკერა იცოდა. უკრავდა, ყოველ ნაირს საცეკვაო პიესებსა, რამდენიმე რომანსებისა და ევროპულ არიების დაკერასაც მისჩვეოდა, სულ ზეპირ-გაგონებითა. ჯარში საცა კი ის დაესწრებოდა, ყველას იმაზე რჩებოდა თვალები. თემობაში ესმაზე უკეთ ვერც ჰარმონიკას დაუკრავდა ვინმე, ვერც ლეკურ-მეგრულ-აფხაზურ სხაპეას ითამაშებდა.

ერთ შაბათს საღამოს, ჩაის შემდეგ, სალომე ჩააცივდა ესმას, ჩონგური დაუკარიო. ბახვას ჯერ იმის ჩონგურის დაკერა არ გაეგონა.

—ბანა ესმამაც იცის დაკერა?—კითხა ბახვამ სალომეს.

—არა, არ ეიცი; დედა ტყუილს ამბობს,—დაატანა ესმამ.

—ჩემო ნანაია, დაუკარი.—ეხვეწებოდა თავის ქალს სალომე.

—ეაი, ნანა! რა დაგემართა? ხომ არ გაგიჟებულხარ? მე რა ვიცი ჩონგურის დაკერა?...

—ესმა, თუ დაუკრავ, იმისთანა ჩონგურს გიყიდი, ჯერ ჩვენ'ში ქალს ხელში არ სჭეროდეს,—უთხრა ბახვამ.

ესმამ კეკლუცად ჩაღუნა თავი, ტუჩებზე ღიმილი ეპარებოდა და ისევ ამბობდა:

—არა, არვიცი... არა.—იმან ხელი კრა ნაზად დედას, რომ თავიდან მოშორებოდა; მაგრამ სალომე არ ეშვებოდა და

თავის ქალს ხან ეხვეწებოდა, ხან ემუქრებოდა და ჩონგურს მაინც კალთაში უდებდა.

ბახვამ შენიშნა, რომ ესმა იმასთან მორცხეობდა. ადგა და გავიდა დერეფანში ამ სიტყვებით: ,,თუ ჩემი გრცხვენიან, მე გავალ, ოღონდ შორიდან მაინც გამაგონე შენი დაკვრაო.''

ბახვა გავიდა თუ არა გარეთ, დედამ ქალს წასჩურჩულა:

— ესმა, გენაცვალოს ჩემი თავი, ბახვა შულავასთანა ჩვენ ვინა გვყავს? ჩვენი პატრონი, ჩვენი ყურის მგდებელი ეგ არის. თუ მაგას არ ასიამოვნე-რა, შენი ხელით დაგიკლავარ და ეგ არის!

ესმამ მოკიდა ნაზათ ხელი ჩონგურსა, დაჯდა ტახტზე და დაუწყო მართვა. ბახვა სულ-განაბული დერეფნიდან გაღებულ ფანჯარაში უჭერეტდა ესმას შვენიერებას; ის კი დარწმუნებული იყო, რომ ბახვა იმას ვერ ხედავდა.

მან ჩამოკრა ჩონგურს და ზედ სირინოზის ხმით დაამღერა შემდეგი ლექსი:

,,დამეთხოვე, თუ ღმერთი გწამს,
მაწუხებელი ბევრი მყავს.
არ მოვიშლი, რაც დამითქვამს:
საყვარელი მყავს და მიყვარს!
,,დედამთილთან წამიყვანეს,—
სკამს დამიდგამს, ამბავს მკითხავს;
ბავუტყდები, მასაც ვეტყვი:
საყვარელი მყავს და მიყვარს!
,,მამასახლისს რა უნდოდა,
მას ჩემს ამბავს ვინა კითხავს?
თუ არ დადგა, წვერს დავაგლეჯ:
საყვარელი მყავს და მიყვარს!

,,რომ შემკოქოს, ციხეს ჩამსვას!—
ძმარმა მომკლას, კუბოს ჩამდვას,
ქუბოდანაც ამოეძახებ:
საყვარელი მყავს და მიყვარს!''

ესმამ ისეთი გრძნობით აატირა ჩონგური, იმისთანა ტკბილი ხმით დაამღერა ზედ, რომ ბახვა შულავა სანთელივით ჩამოდნა იმის ყურებით. ის უცქერდა ესმას სარკმელიდან და იმ დროს თვალწინ ციური ანგელოზი ეხატებოდა, თითქოს ფრთებგაშლილი დატრიალებდა თავზე ესმას და იპატიჟებდა ზეცისკენ სანეტაროდ.

ბახვამ უნებურათ გაივლო გულში: ,,ჩემს ბედნიერ ცხოვრებას ესმას მეტი არა აკლია-რაო''. ამასთანავე ესეც იფიქრა: ,,ევ უნდა იჯდეს დიდებულის თავადიშვილის სახლებში, მდიდრათ მორთულ ტახტზე; აი, მართლაც მაშინ ჩამოიტანს ეგ დედამიწაზე ციურ სამოთხესო''.

ამ საღამოდან ბახვა სულ გამოიცვალა. მას ღრმად ჩაებეჭდა გულში ესმას სიყვარული და გადასწყვიტა მისი ცოლათ შერთვა.

## XV

ამიერითგან ბახვამ განსაკუთრებით დაუწყო გაზეთებს თვალ-ყურის დევნება. რაკი მამულის ყიდვა გულში ამოიჭრა, ,,დროებაც'' დაიბარა. იმ დროს თფილისის და ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკების განცხადებანი ,,დროებაში'' იბეჭდებოდენ. მოუვიდოდა თუარა ,,დროების'' ნომერი, მაშინვე უკანასტარს გაზეთისას ეცემოდა და ისე შემოყვებოდა კერძო განცხადებების კითხვასა. მისი სანატრელი საკითხავი ბანკის გან-

ცხადებები შეიქნენ. ბასასყიდათ გამოცხადებულს მამულებს შორის მის განსაკუთრებულს ყურადღებას იპყრობდა ქუთაისის მაზრაში მდებარე მამულები. დაიწყებდა თუარა კითხვას: ,,ისყიდება ამა-და-ამ მებატონის მამული სარგებლის შეუტანელობის გამოო,'' მერე კი საშველი აღარ ჰქონდა. ათჯერ მაინც ამოიკითხაედა სხვა-და-სხვა გვარებს მებატონეებისას და თან ყოველს იმათ გვარს ასე დაატანდა, ,,ისყიდება მისი მამული''. ბახვას ამგვარ კითხვაში ოფლი პირზე ასკდებოდა; მაგრამ კითხვას მაინც არ იშლიდა, ეტყობოდა, რომ ამდენს აუარება გასაყიდ მამულებში არც ერთი აზრში არ მოსდიოდა. ჩაათავებდა თუარა ბოლომდის განცხადებების კითხვას, ისე დაიღალებოდა, რომ გაზეთი ხელიდან გავარდებოდა, მერე ერთს ღონივრად ამოისუნთქვდა და ასე იტყოდა: ,,დაიღუპა იმერეთის თავად-აზნაურობა!. ოკის წლის განმავლობაში ერთიც აღარავინ დარჩება იმათგანი ფარსაგი მამულის მეპატრონე. ეს იყო ჩვენში, ამას ქადაგებდენ, ბანკი ააშენებს ქვეყანასაო''. თუმცა ბახვა ფულავა ამგვარ ყვედრებაში იყო ყოველთვის, როცა ბანკის განცხადებებს ჩაბულბულებდა, მაგრამ ეს მაინც არ უშლიდა იმას, ერთი კარგი თავადის სეული მამული ჩაეგდო ხელში საყოველთაო ვაკრობით, თუკი რომ ღმერთი იპრიანებდა და ამისთანა საგულდაგულო რასმე წაეყდებოდა. იმას სურდა იმერეთში დასახლებულიყო, რადგან სამეგრელოში იქაურის მებატონეების შურის ძიებისა ძრიელ ეშინოდა.

იმ ჟამად სამეგრელოში ისეთი დრო დადგა, რომ მეოჯახეს ოთხეული საქონელი აღარ რჩებოდა. ცხენებისაგან მაინც სულ გაანადგურეს იქაურობა. ბატონ-ყმობა რომ მოისპო, იქაურ მებატონეებს ყმებიც ჩამოეცალენ. ქირით კაცი გაძვირდა; მამულების შემოსავალი სარჩოთაც არ ყოფნიდათ. ფული აღარ-

სად იყო, მაგრამ უწინდებულს ცხოვრებას მაინც არ იშლიდენ. მეტი რა ღონე იყო, საიდგანმე უნდა აღმოეჩინათ მიუცილებელის საჭიროების დასაკმაყოფილებელი საჰსარი. ამ მგდომაეობამ ისევ გამოიწვია გადავიწყებული ჩვეულება. Თავად-აზნაურობის ახალგაზდობამ შეადგინა საიდუმლო წრეები. ერთი მხრით გამართეს დამოკიდებულება აფხაზეთთან, მეორე მხრით ოსეთ-ყაბარდოსთან რიონისა და ყვირილის ხეობებით. იმათი მოქმედების ასპარეზი კი განსაკუთრებით სამეგრელო შეიქნა; თუმცა ხან-და-ხან იმერეთსაც სწვდებოდენ, მაგრამ მაგდენათ ველარ. ღღეს აქ დაეცემოდენ, ხვალ იქ და აწიოკებდენ დიდსა და მცირეს. მთავრობამ ვერა გააწყო-რა, რადგან მცარცველ წრეებს ისე ყავდათ შეშინებული ხალხი, რომ იმათ გათქმას ვერავინ ბედავდა. პირველს შემთხვევებში ორი, სამი მაგალითი კიდეც მოხდა, რომ ქურდები დაასახელეს, ჩამოართვეს ნაქურდალი ცხენებიცა; მაგრამ რა?.. გათავდებოდა თუ-არა გამოძიება, ნამდვილს ქურდებს ისევ თავდებს ქვეშ უშვებდენ. ისინი ბრუნდებოდენ თავის წრეებში, და გამთქმელებს შავი დღე უდგებოდათ. ერთი კვირაც არ გავიდოდა მათ გამოშვებას 'მემდეგ, რომ გამთქმელების სახლ-კარს ცეცხლი მოედებოდა. მათი ყოფა-ცხოვრება ამ საზოგადო ალიაქოთში ისევ ქურდებს მიჰქონდათ. ორი, სამი მაგალითი ამისთანა საკმაო იყო, რომ ხალხს ახალ სასამართლოზე გული აეყარა: ,,ღმერთო, უარესისაგან დაგვიცვეო''—იძახოდა ხალხი.

ამიტომაც არაფრათ ეპიტნავებოდა ბახვა ფულავას სენაკისა და ზუგდიდის მაზრაში დასახლება. ის უფრო იმერეთის მებატონეების მამულებს ათვალიერებდა განცხადებებში. ბოლოს აუხდა კიდეც თავის სურვილი. ერთ საღამოს ბახვამ ამოიკითხა გაზეთში შემდეგი განცხადება: ,,ისყიდება საყოველთაო ეაჭ-

რობით თაეადის Თაექფილაძის მამული: მდებარებს Ეაკე Იმერეთში: სამოცდაათი ქცეეა ეზო, სამასი ქცეეა სახნაეი, ორმოცი ქცეეა სახარდნე, ქეითკირის სახლი, ახლათ დამწეარი თაეის საოჯახო შენობიანა და წისქეილიანა. Ეაჭრობა მოხდება 10 ივლისს 188... წელსა. მთელი მამული არის დაგირაეებული ოცდა-ხუთი ათას მანეთში. მყიდეელს შეუძლია ბანკის ვალი გადიტანოს, თუ ნედოიმკას სამას ორმოცდაათ, თუმანს შეიტანს ბანკში''. — აი, ეს მამულია საჩემო! — წამოიძახა ბახეამ სიამოვნებით. — ამ მამულის გარეშო ჩემს ესმას, ქალთამზეს, უნდა დაეაშვენებინო''.

## XVI.

ვინ იცის, რამდენი დიდებული დრო ახსოედა ამ მამულის გარეშოს, მისს განიერ ეზოს, მისს ოდესმე დიდებულს ქეითკირის შენობას, რომელსაც ახლა კედლები ჩამონგრეოდა და ორი გატიტელებული, ძეგლათ აყუდებული, თაეგადანგრეული ბუხარი მწუხარებით დღე-და-ღამ თაეს დასტიროდა დიდებულის ოჯახის დამხობას. აბა, ვინ მოსთეელის, რამდენი წარჩინებული ლხინი გადახდილა ამ განიერ ეზოში. ისე დღეობა როგორ ჩაიელიდა, რომ აქ სამი, თუ ოთხი ძროხა მაინც არ დაკლულიყო, სამი თუ ოთხი საპალნე ღეინო ერთ იჯრაზე არ დალეულიყო!... ნეტაეი იმ დღეს, როდესაც ამ განიერ ეზოში ჯირითი, მარულა, ყაბახი იყო გამართული და ლხინი ცის კამარამდის უწეედა თაეის ,,ეალალსა''. ნეტაეი იმ წუთს, როცა დახატული მანდილოსნები მინდერის ყეავილებათ გამოიეინებოდენ ამ განიერ ეზოზე. მათ შესტრფოდენ ჩერქეზულათ გამოწყობილი ახალგაზდა ეაჟები. მათს ერთმანეთში მხიარუ-

ლებას, ტრეიალებასა და ლაღობას, დრო-გამოშვებით მათ წკრიალა ხმით კისკისსა რა სჯობდა!...

სანამდის ბატონ-ყმობა არსებობდა, ამ ოჯახს ასეთი ბედნიერი დრო არ მოშლია. სამასის კომლის ნაპირნახულევი ამ დიდს ოჯახში დაუშრეტელ სიმდიდრის წყაროთ ქუხდა. მაგრამ ეაი წუთის სოფლის სიმუხთლეს და ყამთა დაუდგრომელობას! დღეს ეს სიუხვის წყარო დამშრალა.

ბლეხები დიდიხანია განთავისუფლდენ. რაკი მუქთი გლეხები და შინაყმები დიდებულ მებატონეს ხელიდან გამოეცალენ, იმან სოფელში ველარ გასძლო ცხოვრება. მას გამოეზარდენ ქალ-ვაჟნი, რომელნიც დიდკაცობას არ ეშლიდენ. სასწავლებელში გამოზრდილი მისი ქალები ახალ მოდებს აყოლოდენ. აბა, ბალებს, პიკნიკებს, მასკარადებს როგორ დაეკლდებოდენ!.. მარტო იმათის ,,ბათინკებისა'' და ,,პერჩატკების'' ყიდვით სული ჰქონდა მამას ამორთმეული. ეს კიდევ რა?...

ქალებს წამოეწიენ ვაჟები. იმათ სწავლას გული აუცრუეს და გამოხტენ მეოთხე, მეხუთე კლასებიდან. შესახედავათ და ჩაცმა-დახურვით მათ ახალგაზდა არ სჯობდათ. მაგრამ, საუბედუროთ, მიეჩვიენ სასტუმროებში თრევასა და იქ ბანქოს თამაშსა.

აი, ამისთანა საქმეებში აგებდენ მთელის მამულის შემოსავალს. ამდენ ხარჯსა და ვარამს მამამ ველარ გაუძლო. დაუწყო სანაღელო გლეხებს ნელ-ნელა გათავისუფლება. ბლეხების ფული რომ შემოეკამა, მერე ჭუთაისის ურიებს მიმართა. ისინი დიდი სიამოვნებით უმართავდენ ხელს მოხუცებულ მებატონეს, აძლევდენ ფულს სესხათ ,,ვექსილითა'' წლის ვადით და უწერდენ სარგებელს თუმანზე თვეში ორ აბაზს. მაგრამ ამასაც არ აჯერებდენ. როგორც გიკირდეს, ისე

გილირდესო. ურიები ართმევდენ აგრეთვე გულკეთილ მებატონეს ,,ნეუსტოიკის'' ხელწერილს. იმდენისას, რამდენიც თამასუქით ესესხებიათ, უკეთუ ვადას გადაცილდებოდა. ამ სახით აუარება მიწა-წყალი და ადგილ-მამული გამოჩენილის თავადისა დაიტვირთა ვალებით. დიდებულ მებატონეს თავი მოაბეზრეს მოშამ და მანუქამ სასამართლოებში თრევითა, ის შიშითა და მწუხარებით მოელოდა დღე-დღეობით თავის მამულზე ვაჭრობის დანიშვნას. შესწუხდა, თითქმის იღაჯი გაუწყდა მებატონეს. აი, ამ დროს ასტყდა საზოგადოებაში დიდი სურვილი საადგილ-მამულო ბანკის დააარსებისათვის.....

## XVII. XVIII. XIX.

. . . . . მაშინ ისეთი დრო იყო, რომ ყველას სწყუროდა საჩქაროდ ბანკის გახსნა, ადგილ-მამულის მიგირავება, იქიდგან სესხის აღება. ამას კი აღარაევინ კითხულობდა: ,,მართალია, დღეს ჩემს ადგილ-მამულს ეაგირავებ, ფულს ესესხულობ, მაგრამ შეუძლია თუ არა ჩემის მამულის შემოსავალს, სესხათ აღებულ თაკნის, სარგებლის და მრავალნაირის შტრაფების ხდაო?..... ამ საზოგადოების ხმას აყვა ჩვენი ცნობილი, დიდებული მებატონე თაფქვილაძეცა. ის ერთი პირველთაგანი იყო, რომელმაც ახალ გამართულს ბანკში გადააგირავა თავისი ადგილ-მამული, ეზო, სახლკარი და იმ წუთას ასე ფიქრობდა: ,,ძლივს არ მეშველა?.. მადლობა ღმერთს, გადარჩა ჩემი ადგილ-მამული ურიების პატრონობას!''

## XX.

თაექფილაძეს მისცეს თავის მამულში ოცდა-ხუთი ათასი

მანეთი სესხათ. ბევრი ამბობდა, მისი მამული მაგ ფასათ არც კი ღირსო. რომ გაეყიდა, მაგის ნახევარ ფასსაც არაეინ მისცემდაო. შესათუოთ ბანკს შეატოვებსო.

.იმ დროს ბანკის გირაოს ფურცლები — ყოველი ასმანეთიანი — რვა თუმან ნახევრათ გადიოდა ბირჟაზე. ამას გარდა მაექფილაძეს დაუჭირეს დაზღვევის ფული და დაფასებისაცა. ამ სახით ის ყოველ ას მანეთში თითქმის თექვსმეტ მანეთს კარგაედა. რაც დაგირავებაში და დოკუმენტების შოენაში დაეხარჯა, ესეები რომ სულ ერთმანეთზე შეაკეცა, გამოეიდა, რომ ოცდახუთი ათას მანეთის მაგიერათ ხელში მისცეს თვრამეტი ათასი მანეთი; რასაკვირველია, ნახევარი წლის სარგებელიც იქაეე დაათელეეინეს.

ამ ფულიდან თოთხმეტი ათასი მანეთი ურიებს დაურიგა. შეილების ტანსაცმლისა, ზოგი სახლის მორთულობისა, ზოგი პურის, ზოგი ღვინის, ზოგი სახლის ქირა კიდეე შედგა ხუთას მანეთამდის. დარჩა მაექფილაძეს ხელათ სახარჯო ფული სამას ორმოცდაათი თუმანი. ეს ორმოცდაათი თუმანიც ქალ-ეაქებმა წაართვეს ახალ ტანისამოსისა და ბანქოს სათამაშო ფულათ. მებატონემ მხოლოდ სამასი თუმანი გამოიზოგა წლის სახარჯოთ. იმ ზამთარში მისი შეილები მაინც სულ გადარჯულდენ; კეირა არ გაეიდოდა, რომ მამისათეის ძალა არ დაეტანებიათ, ან მასპინძლობა, ან მუსიკით საღამო არ გაემართვინებინათ. ამისთანებით წელიწადიც არ გასულა, რომ შეილებმა ეს სამასი თუმანიც ხელიდან გამოაცალეს მამასა. მოხუცებულმა ანგარიში დაკარგა და შეტოპა უჩეეულო მოუსვენარ ცხოვრებაში. სისხლის სამართლით დასჯილ კაცსაც ასე სჩეეია. თუმცა იმას თკალწინ სახრჩობელა უდგას, ნამდეილათაც იცის, ხეალ მაზე

ჩამოკიდებენ, მაგრამ დღეს, სინანულის მაგიერათ, იმას სურს თავისი მწუხარება ღვინოში და ხვევნა-კოცნაში ჩანთქას. ასე დაემართა თაქფილაძესაც. იმას სრულებით აღარ მოაგონდა, რომ ერთ წელს შემდეგ ბანკში სარგებლის შეტანა უნდოდა და იმაზე უნდა ეფიქრნა. ის სრულებით წაიღო განცხრომის ბურანმა.

ერთ საღამოს, ნოემბრის შუა რიცხვი იყო, თაქფილაძემ ,,დროების'' ნომერი მოითხოვა და დაყვა უკანასტარიდან კითხვას. შეცრათ თვალში შეეჩხირა ერთი განცხადება: ,,თავადის თაქფილაძის ადგილ-მამული, ეზო და სახლ-კარი ისყიდება ბანკში საერო ვაჭრობით, სარგებლის შეუტანლობის გამო''.

იტაცლიცა თავში ხელი მოხუცებულმა მებატონემ: ,,გაზეთში გამომბეჭდეს, დარბაისელ მებატონეს თავი მომჭრეს, ვისლა დაევნახო, ვისღა?..'' იძახოდა გამწარებული მებატონე. ბოლოს მაინც ისევ იმ თავის კარგ ნაცნობს ურიას მიმართა ფულის სასესხებლათ. ურიამ უწინდელზე უფრო მოუჭირა ხელი სარგებელსა. იმან ტაუწყო წლის წლობამდე მანეთზე თოთხმეტი შაურის თხოვა. მისცა კიდეც, მაგრამ მებატონეს მაინც ყოველ მეექვსე თვეზე ადგილ-მამულის საეაჭროთ გამოცხადებამ ზაფრის ქარები აუტეხა. დაავათმყოფდა და მესამე წელიწადს ბანკის დაარსებიდან სულიც განუტევა. დარჩენ ქალ-ვაჟნი ცარიელზე. ამათ სხვა რომ ვეღარა მოახერხეს-რა, თავის ძველ სასახლეს ცეცხლი წაუკიდეს, იქნება დაზღვევის ფულმა დროებით მაინც შეაჩეროსო სახლ-კარისა და მამულის გაყიდვაო. მაგრამ ვერც ამან უშველა-რა. სახლ-კარი დაიწვა და მებატონის მამული დაგირავებიდან მეხუთე წელს მაინც გასაყიდი შეიქნა.

დეკემბრის 15 იყო. მწუხარებისგან სახე-დაღრეჯილი თავად-აზნაურობა მიდი-მოდიოდა ბანკის დარბაზში. ამათ შორის

ხან-და-ხან გამოჩნდებოდა ტანმორჩილი, პირხმელი, თეალ-ციმციმა, შავწვერა, გძელკიკინებიანი კაცი. მის პირის სახეს ღიმილი დაკრთოდა. მას იმედი ჰქონდა, რომ ამ ორ საათში გახდებოდა ერთის რომლისამე ორეტაჟიანის სახლის მეპატრონე. ურიებს გარდა ბანკის ზალაში აქა-იქ თვალს შეასწრებდა კაცი ღიპგადმოგდებულს და ცხვირდიდა ვაჭრებსა. ესენიც ადგილ-მამულის ვაჭრობას გამოეწვია. ზოგიერთი გლეხთაგანნი, ახლად გამდიდრებულნი, მეორე გილდის ვაჭრებათ ჩაწერილებიც, მო-სულიყვენ სეირის საყურებლათ. სხვათა შორის ბახვა შულავაც იქ იყო და გულის ძგერით ელოდა იმ წამს, როდესაც დაიძა-ხებდენ თავადის თაქვილაძის მემკვიდრეების მამულის ვაჭრობას. იმას გადაწყვეტილი ჰქონდა ამ მამულის ყიდვა და ხმადაბლა ელაპარაკებოდა თავის მეგობარს: ,,ოცდახუთიათას მანეთამდის ვიელიო''...

ოტა ხანს იქით მოისმა ზარის რაწკუნი; გამოჩნდენ ბანკის მოთავენი: გამგებელი და ორი დირექტორი.

თავად-აზნაურობა დრტვინავდა, ზოგი ხმამაღლაც ილან-ძღებოდა, ზოგი გაჩუმებული იყო, მაგრამ იმათი დაღვრემილი პირკუშტი სახე საყვედურს გამომეტყველებდა... ბაიყიდა ვაჭ-რობით ერთი მებატონის მამული, მეორე, მესამე... ასე ზედ მიყოლით ოცამდის. საზოგადოებას უფრო-და-უფრო მოსდიოდა გული. ბოლოს დაიწყეს თაქვილაძის მამულის ვაჭრობა. ეს მამული დარჩა ბახვა შულავას ოციათას მანეთში, რადგან დანარჩენი სესხი დაზღვევის ფულს გაესტუმრებინა. მეტი აღა-რავინ შეაძლია. ნაღდი ნედოიმკების ფული წარადგინა სამასი თუმანი...

ამ დროს მოისმა საზარელი ყვირილი ბანკის ზალიდან; ,,ბატონებო, რას მერჩით, რა დავაშავე, რა გინდათ ჩემგან!''...

—წაურთეთ, წაურთეთ!—ისმოდა მეორე ხმა.—უბრალო ეაჭარმა როგორ გაბედა მებატონის მამულის ყიდვა! წაურთეთ მაგას, რომ მეორეთ მაგისთანა კაცებმა აქ ეელარ შემობედონ. შეიქნა ერთი მიწევ-მოწევა, ხრიალი და ჩოჩქოლი. ბანკის მართველობამ დახურა ეაჭრობა და ყველანი აქით-იქით გაილალენ. ბანკის ბამგებელმა მოითხოეა ეტლი, ჩაჯდა შიგ და გაუტია შინისკენ. იმას გაყვა ბახეა შულაეა, რომელიც მხიარულებისაგან აღარ იყო, რომ ამისთანა კარგი მიწა-წყალი, ერთი სათაეადი შეილო მამული, ხელში ჩაიგდო.

ბალახული ერთი ეიღაც ჩარჩი ეაჭარი გამოდგა, რომელსაც ხეპრულათ დაეტრაბახნა ეაჭრობის დროს, რომ იმერეთის თაეად-აზნაურობის მამულებს სულ ჩეენ შეეიყიდითო.

## XXI.

188... წელს ქ. ფოთში დღესასწაულობდენ პირველ მაისს. მთელის ქალაქის მცხოერებლები, საგარეო ტანისამოსით შეპეპლულები, მოედანზე იყვენ გამოფენილნი. იმ დღეს ფოთში ყოველთეის კარგი დროს გატარება იციან. მუსიკა, დაირა, ჰარმონიკა, დაფა-ზურნა, მეგრულ-გურული სიმღერები, ცეკვა-თამაში და ხან-და-ხან თოფის სროლაც აკოცხლებდა იმ არემარეს.

ერთგან ხალხი შეჯგუფულიყო და იქ სათამაშო წრე გაეკეთებიათ. ერთი ქალი ჰარმონიკას უკრაედა, მეორე დაირას აყოლებდა ზედ, დანარჩენნი გაცხარებით ტაშს სცემდენ. ოჩრი ახალგაზდა ქალ-ეაჟი ცეკვაედა. მათს სიმშვენიერეს და ბუნებითს კეკლუცობას საზღვარი არ ჰქონდა.

ეაჟი იყო შაეათ გამოწყობილი, ტანთ ეცვა შაეი მეგრუ-

ლის შალის ჩოხა, შაეი სატინის ახალუხი, შაეი გიშრის ქილები, შაეი რქის კოპლებიანი ქამარი, შაეტარიანი ხანჯალი, შაეი სამოგვის წულები; მხოლოდ თაეი ჰქონდა თეთრი ბაშლაყით შეხვეული, ეიწრო ყეითელი სირმით მოელებული; ბაშლაყის წვერზე ყეითელი სირმის ფოჩი ეკიდა. ჭაბუკი იყო ოცდახუთის წლის მოხდენილი ვაჟკაცი. მისი ერუნი გამწვაეი თვალები და ქერა წვერ-ულვაში მისს წითურ ლოყებს საუცხოოთ აშვენებდენ; პირის-სახე ქერათ ეღინღლებოდა და მისი ლოყები სიმწიფით შეწითლებული ატამს მოაგონებდენ კაცსა.

ჭალს სახეზე ებურა წმინდა აბრეშუმის ბადური დოლბანდი; სქელი 'შაეი თმები მისს ლამაზ სახეს ყორნის ბოლოებათ შემოსდგომოდენ, მაყელის თვალ-წამწამი, მაისის ვარდის კოკრებიეთ გაფეთქილი წითელი ტუჩები, მისს თეთრ ყირმიზ სახეზე, კაცის გულს იტაცებდენ. ისეთი წვრილი წელი ჰქონდა, ცალ მუჭში დაეტეოდა. მისი გულ-მკერდი ერთი შეკრული ვარდის კონა იყო. იმისი ერთი შეხედვა ოთხმოცდაათის წლის კაცის თვალებსაც გადაახალისებდა.

ჭალ-ვაჟი ცეკვავდა, მაგრამ მათი თამაში დედალ-მამალის მერცხლების ჰაერში ტრეიალებას ემსგავსებოდა. ხან ერთმანეთს დაუახლოვდებოდენ ნაზის ტანის რხევით და შედგებოდენ ერთის წუთის ვადით; ვაჟი ამ დროს ცდილობდა, ქალისთვის თვალი თვალში გაეყარა. მაგრამ ქალი უკბათ მოტრიალდებოდა და გაშორდებოდა, თითქოს ვაჟს უტიფრობის გულისთვის გაებუტაო. მერე გაშორებული ისევ ვაჟის პირისპირ დადგებოდა და დაუწყებდა ნაზის ტანის რხევით ჯვარობას. ვაჟი გაეშურებოდა მისკენვე, ქალი კატასავით განზე გაინავარდებდა, მაგრამ ვაჟიც იქითკენ გახტებოდა, თითქოს ცდილობს მის დაჭერასაო... ეს იყო შემაქცევარი რალაც კატა-თაგვობია, სხაპეა,

ანუ მეგრულ-აუხაზური თამაში. ეაჟის რხევაზე მისი ბაშლაკის ფოჩიც თავის ჩრდილს ეთამაშებოდა. ქალი ეაჟს ემალებოდა თამაშობაში და ვერც დამალეოდა, შემდეგ ისევ გაშლიდენ ხელებს მერცხლის ფრთებიეით და დაქროდენ წრეს გარემო საამურათ. მათი სინარნარე, თამაშის შნო და ერთმანეთის კეკლუცობა ისე ართობდა მაყურებლებს, რომ არც დაირისა და ჰარმონიკის დამკვრელებს ეტყობოდათ მოღალვა და არც ტაშის მკვრელებს; ის კი არა, იქ შეგროვილ ხალხს თითქოს კიდევ ენანებოდა, ვაი თუ ქალ-ვაჟმა ეს მოხდენილი თამაში მალე გაათავოსო; რაც შეეძლოთ, არ სწყვეტდენ ტაშის კვრას.

ამ დროს უეცრათ მოისმა რიხიანი ხმა: ,,ჩამოდექით, ჩამოდექით, გვაყურებინეთ ჩვენც თამაში''! შეცრათ გროვაში ჩოჩქოლი შეიქნა. ერთი ვილაც ახოვანი ,,ესადნიკი'' არღვევდა წრეს და შემოგლიჯა კიდეც. მას თან მოყვენ მისი ამხანაგები. ღვინით შეფინჭლილებულ პირის სახეზე ამ კაცს ეტყობოდა უტიფრობა. ,,ოჰ, ეს ვინ თამაშობს? – გაიკვირა სიამოვნებით ,,ესადნიკმა''—შენ გენაცვალოს, ესმა, მთელი ეს ჯარი; შენი ფეხის გოგმანის ჭირიმე! როგორ თავვებიეით დახტიან, ერთმანეთს არ ეკარებიან!'' ამ დროს მართლაც ქალმა იმას წინ გამოუქროლა. ,,ესადნიკმა'' წელზე ხელი შეაველო. ქალმა იუკადრისა, წრემ ეს შეურაცხყოფათ მიიღო. უცებ შესწყვიტეს დაირისა და ჰარმონიკის კვრა. შეიქნა ხმამაღლა ლაპარაკი. ქალთან მოთამაშე ვაჟმა თავი გამოიდვა. იმას უქომაგეს მაყურებლებმა. მთელი გროვა გაიყო ორათ: ცალ მხრით იყვენ ,,ესადნიკები'', მეორე მხრით მოთამაშე ვაჟი. დანარჩენი ხალხიც ამას მიემხრო. ვაჟმა დაუწყო ამ ახოვან ,,ესადნიკს'' შერცხვენა და ლანძღვა. ამან უპასუხა: გაჩუმდი, თორემ წიწილსავით თავს წაგწყვეტო. ვაჟი ელვაზე უმალ მიეარდა და

სილა გააწნა. ,,ესადნიკმაც'' მოასწრო ერთი მუშტი. შეიქნა ხელჩარეული ცემა-ტყეპა. ქალებმა მოშორებით მოართეს კიეილი. ამ არეულობაში ახალგაზდა ეაქმა ხანჯალი იძრო და აძგერა ,,ესადნიკს'' ბარძაყში. ამის გამო გააფთრებულმა მისმა ამხანაგებმა იხმარეს იარაღი და ბარე ორს, სამ კაცს თავები გადაფრიწეს. ქალებმა კიეილს უმატეს: ,,მოკლეს, მოკლესო!'' ზოგი ქმარს სჩეოდა, ზოგი მაზლსა. ამასობაში მოიკრენ პოლიციელები, შემოერტყენ ცხენოსნის ჯარის კაცებს და გააზავეს, დაჭრილები წაიყეანეს. ახოვანი ,,ესადნიკი'' თუმცა მძიმეთ დაჭრილი იყო, მაგრამ კიდეე ფეხზე იდგა და თავის ხელით იხვეედა ჭრილობას. ,,მე ბახეა შულავამ დამჭრა. მალე მტერი მოგიკვდეს, მალე მის ცხედარზე დედა-მისი აეატირო. ტყულათ არ დასდეეს ის ესმას. ამბობენ, ირთაესო. მე იმას შეერთაე შაე მიწას''!..

შეიკრა თუ არა ჭრილობა, მოუყეანეს ეტლი, ჩასეეს შიგ, იქით-აქით ორი პოლიციელი მოუსხდა და გაამგზავრეს პოლიციაში. ეს ახოვანი დაჭრილი კაცი გამოდგა ერემია წარბა.

დღესასწაული ჩხუბით გათავდა; მაგრამ ყოველ აეს კარგიც მოაქესო. აქაც ისე მოხდა. დღემდის ესმას გული ყინულის ქერქით იყო გარემოცული. ამ ყინულს ქეეშ ანკარა წყაროთ სდიოდა მისი უმანკო გულის წადილი. ჯერ სიყვარულის სითბოს არ გაედნო ეს ყინულის ქერქი და არ აემღერია მისი გულის თქმანი. დღემდის ის ბახეას ძმასაეით უყურებდა და დაძმური გრძნობა ღეიოდა მის გულში. პირველათ ამ ჩხუბს შემდეგ დაადგა მის გულს მწვავი შუქი სიყვარულისა, უცებ შემოადნო ყინულის აბკი და აფუშ-დაფუშა მისი გულის ტალღები. ესმამ თუმცა დიდი შიში გამოსცადა ხანჯლების ტრიალში, მაგრამ მაინც გულმხიარული მიისწრაფოდა შინისკენ. თავი

ძირს დაელო, გვერდზე ვერ ბედავდა მოხედვას. ბრძნობდა, რომ გვერდით მიყვებოდა მეტის აღელვებისაგან ხმაგაკმენდილი ბახვა. ესმა რაღაც არა ჩვეულებრივს აღტაცებაში იყო გართული. თვალწინ ბახვას გმირული სახე ელანდებოდა, მისი თავგანწირულება ესმას შეურაცხყოფისათვის რაღაც ტკბილ ოცნებათ თავს დასტრიალებდა: იგი ჩასჩურჩულებდა მომავალს გამოურკვეველ ბედნიერებას: ,,დღეს მე ბახვამ დამიხსნა ვეშაპის კლანჭებისაგან; დღეის იქით მე მისი ვარ სიკვდილ-სიცოცხლით. ჩვენ ერთმანეთს სამარის მეტი ვერა მოგვაშორებს-რა''. სულ ამისთანა ფიქრებში იყო ესმა გარინდული, სანამ სახლში არ შედგა ფეხი და დედის შეძახილმა არ გამოარკვია ბურანიდან. ესმას ღიმილი მოუვიდა სახეზე, მაგრამ დედას არა უთხრა-რა. ბახვა კი გაფითრებული იყო. არც იმან გასცა სალომეს პირველ შემთხვევაში პასუხი. სასტუმრო ოთახში შეეიდა, ქუდი სუფრაზე დააგდო, მერე ათრთოლებული ხმით წამოიძახა: ,,არა, არაფერი; მხოლოდ უსიამოვნობა შეგვემთხვა: იერემია დავჭერი''—სალომე ძალიან შეაკრთო ამ ამბავმა. იმან უნებურათ წამოიკიელა, მაშინვე მიხვდა, ესმას მიზეზით იქნებოდაო. მერე დაუწყო თავის ქალს გამოკითხვა: ,,რაო, შვილო, იმ წყეულმა შენ ხომ არა გაკადრა-რა''?..

—არა, ნანაია, არაფერი, – სიცილით უპასუხა ესმამ.

—ბანა მაგას რასმე აკადრებდა და მე იქ ვიქნებოდი ცოცხალი?.. უთხრა ბახვამ და უნებურათ ესმას თვალი შეასწრო.

ეს იყო პირველი შეხვედვა, იმისთანა, რომ საუკუნო ბორკილს შეაბამდა მიჯნურსა. ესმას თვალების სხივიც პირველათ ამ წუთას მოხვდა გულში ბახვას და ისეთ ნაირათ შეუფრიალა, რომ თითქოს ბუდიდან ამოხტომას აპირებსო. აი, ამ შეხვედვით მიუხვდენ ერთმანეთს გულის წადილსა. ბახვა წამოიჭეხა სახეზე,

მხიარულებით შესცინა ესმას, ქუდი ხელში აიღო და უთხრა: მე უნდა წავიდე, ჩემს კონტორაში საქმე მაქვსო. ესმამ თვალები ძირს დაუშვა და ხელი უკან წაიღო, არ უნდოდა გამოთხოვება.

—ბახვა, შენ შემოგევლოს ჩემი თავი, სადილათ ჩვენთან დარჩი, მომიყევი დღევანდელი ამბავი, რა მოხდა ჯარიანობაზე, აგერ-აგერ გადვირევი... რათ მოგვიდა ჩხუბი იმ არაწმინდა კაცთან?... არ შემიძლია, ვერ გაგიშვებ, ვერა!—ქუდი დაუჭირა.—საღამომდის ჩვენთან დარჩი, თავი მოარიდე იმ წყეულს. შინ იცის, იქნება მისი ამჟესონები კიდეც გიყარაულებდენ.

—არა, სალომე, ისინი ყველანი პოლიციაში წაიყვანეს; ფიქრი ნურაფრისა გაქვს. დღევანდელ ამბავს ესმა მოგიყვება. მე დღეს სტუმრები მყავს, რომ არ წავიდე შინ, არ იქნება. საღამოს ისევ შემოგივლით, თუ მოვიცალე.

—აბა, შენ იცი, თუ არ მომატყუებ. იცოდე, სანამდის არ მოხვალ, გული თავის ალაგას არ გვექნება, შეიდობით.

—შეიდობით, ესმა.—ბაუწია ხელი ბახვამ.

—შეიდობით!—უთხრა გრძნობით ესმამ და თვალები ძის სახეს დააშტერა.

ბახვა შეაკრთო ესმას დიდმა თვალებმა. საკვირველი იყო ამ კაცის საქმე! იერემიასთან ჩხუბში ოდნავ არ შეშდგარა და ამ სუსტ არსებას თკალი ვერ გაუჩერა. როცა მის ახლოს იდგა, ყოველთვის ვერხვის ფოთოლივით კრთოდა.

## XXII.

ბახვა ფულავას იმ დღეს სტუმრები არ ყავდა. მაგრამ სალომეს მაინც სიცრუე შეაპარა, რადგან თავი უნდოდა გაე-

თავის უულებინა. ესმასთან დარჩენა მაინც არ შეეძლო, ისეთ ნაირათ იყო აღელვებული. მას ორნაირი ცეცხლი სტანჯავდა: ერთი—რომ Iერემიამ მისს ციურ ანგელოზს თავის ბინძური ხელი შეახო, მეორე—რომ ქრისტიანის სისხლში ხელი გაისვარა. რადგან მრავალნაირი ფიქრებით იყო მოცული და გზა ვერ გაერკვია, ეშინოდა, თავმოჭრილი ქათამივით გაბურბუსალებული არ მოსჩვენებოდა ესმას. აი, ამიტომაც ველარ დადგა იქ. ბამოეთხოვა სალომეს და ესმას, წამოვიდა თავის კონტორისაკენ; მაგრამ ვაი იმ წამოსელას! მისთვის სიკვდილი იყო ესმას მოცილება, მაგრამ რა უნდა ექნა?.. მოცდა მაინც არ შეეძლო.

ბახვას ჰქონდა პატარობიდან გაგონილი: „კაცს კაცის სისხლი არ შერჩებაო“. ეს დედ-მამის სიტყვები გავარვალებულ შანთათ გადაექცა, რომელიც სწვავდა და დაღავდა მის მოსაზრებას. მის გამო მთელს მის გონებრივ აგებულებას ცეცხლი ჰქონდა შემოდებული. „ამიერითგან დაღუპული კაცი შევიქენიო—ფიქრობდა ბახვა,—ქრისტიანის სისხლი კისრად ვიდე, კაენობა დამიმტკიცდა, რაღა პირი მაქვს საცხოვრებელი, რაღათ მინდა ჩემი ბედ-ილბალი: ღვთის პირისაგან დაწყეველილი შევიქენი. ამიერითგან ჩემგან დათხეულის სისხლის უნდა მეშინოდეს; ყოველ დროსა და ჟამს უნდა ვიყო სამაგიეროთ გამზადებული. რა მრჯის, ჩემს უბედურებაში ის უმანკო ღვთის ანგელოზი რომ ჩამოვითრიო?... არა... მე ხელი უნდა ავიღო ესმაზე საუკუნოთ!.. საუკუნოთ!... მე მისი ღირსი ალარა ვარ“. ამისი თქმა გულში და მის ტანში გაზრიალება ერთი იყო. ამნაირი შავი ფიქრებით შეცულმა ისე გამოიარა მთელი გზა კონტორამდის, რომ არც კი შეუტყვია, სანამდის კონტორის დაკეტილ კარს კინალამ თავით არ დაეტაკა. მხოლოდ მაშინ გამოფხიზლდა,

მიიხედ-მოიხედა. მთელი ერთი წყება დუქნები მის კონტორასაკენ იყვენ ჩაკეტილები, ქუჩები—დაცალიერებულნი; მხოლოთ შორს ბულვარიდან მოისმოდა საჯარო მუსიკის ხმა და ცამდის მორაკრაკე „კუჩხაბედნიერის“ მღერა. მაშინ მოაგონდა მარტო, რომ მისი ბიძაშვილი, ნესტორა, იმ დღეს სხვაგან იყო დაპატიჟებული. ვინ იცის, იქნება იმ დროს თვითონ ნესტორაც მღეროდა თემში, ან ლამაზ ქალთან თამაშობდა. ბახვა მხოლოთ ახლა გამოერკვა, მოვიდა გონზე და დარწმუნდა, რომ მის კონტორაში არც არა თბებოდა-რა, არც არა უცხელდებოდა, რადგან წინადღით თვითონ იმას დაეთხოვნა საქეიფოთ მოსამსახურე ბიჭები, იმ განზრახვით, რომ პირველ მაისს სალომესთან და ესმასთან აპირებდა დროს გატარებას.

ივ წუთს მაზედ უფრო უბედურიკაცი ქვეყანაზე აღარ იყო. თკალწინ წარმოუდგა, თითქოს ყველანი მას ერიდებიან, მისგან გარბიან და, როგორც კაცის მკვლელზე, თითით უჩვენებენ. ამასთანავე წარმოუდგა, ვითომც ბერემია მისგან ფერდში ყოფილიყოს დაჭრილი, და არა ბარძაყში, სულს ღაკვავდეს, პოლიციაში განკარგულებას ახდენდენ მის დასაჭერათ; მერე წარმოუდგა, ვითომც ის დაეჭიროსთ და ციხეში მიყავდეთ გაძაგრული; იქ ტუსაღის მაზარას (შინელს) ჩააცმევენ; კვირის კვირობამდის იქნება დამწყვდეული, მერე ყოველ კვირადღეს ხიშტიანი რუსებით ბაზარში ჩაატარებენ და ამ დროს ყველა მისი ნაცნობები პირს იქით მიიბრუნებენ; ასე გასინჯე, ისინიც კი, რომელნიც ყველაზე უფრო თვითონ ბახვასაგან ყოფილან დავალებულნი, მისი ხელით სილარიბის ლეკიდან ამოყვანილნი და კუჭგამძღარნი!... ესმა!?... აკი იმანაც უმტყუნა!.. ისიც შორიდან მოსჩერებია ბახვას გაშხდარს, გაყვითლებულ სახეს, მის ფეხებში ბორკილის რაჩხუნი ესმის; ისიც იქითკენ

მიიბრუნებს პირს, არ უნდა თავის კარგი ნაცნობი, რომელიც ახლა მას გვერდით უდგას, ბახვა შულავას გააცნოს, არც თვითონ უნდა გამოეცნაუროს, რადგან ეშინიან, იმასაც კაცის მკვლელი არ დაუძახონ. ესმას რომ გვერდით უდგას, ის შვენიერი ახალგაზდაა, კარგი ოჯახის შვილი და მდიდარი საქმრო; ის ზიზღით ბახვაზე უჩვენებს, როგორც კაცის მკვლელზე. ბახვა გასჯილია, გულზე შავი ფიცარი აქვს დაკიდებული, ზედ დიდრონი ასოებით სწერია: «კაცის მკვლელობისათვისო», ტროიკაზედაც აჯდენენ. ბახვა შედგება ტროიკაზე, ძიხიდ-მოიხედავს და დაინახავს, რომ იმის ესმას ხელი-ხელში გაუყრია თავის საქმროსათვის; ესმა იცინის, ხითხითებს და სრულებითაც აღარ აგონდება ბახული . . .

ამისთანა ფიქრები ბახვას მოსვენებას არ აძლევდენ, თავს დასეოდენ, როცა თვითონ ის გარინდული, გამოშტერებული დადიოდა წინ-და-უკან კონტორის დერეფანში.

მზე გადაწეული იყო დასავლეთისაკენ. მისი შუქი ოქროსფრათ ღებავდა არე-მარეს, შორს ზღვის კანდელი და დასავლეთისკენ მიქცეული ფანჯრის შუშები ისე პრიალებდენ, თითქოს ცეცხლის ალი მოსდებოდათ, შავი ზღვა ლაქვარდის ფრათ იწვა თვის კალაპოტში და ბუმბერაზსავით ჩასძინებოდა. მის ძილს არ აკრთობდა არც კაცების ხმაურობა, არც სამხედრო მუსიკის გრიალი, არც წოიოების ჰაერში ნავარდობა და კისკისი, როგორც არ შეაკრთობს სპილოს ძილს კოლოების წუწუნი.

მზე დაიწურა დასავლით, ცაზე ალისფერი ატლასი გაეკრა და ბუმბერაზის ქეჩო ნარინჯისფრათ შეღება. ბუნება დამტკბარი, დამყუდრებული იყო; მზოლოთ არ იყო დამტკბარი და დაყუჩებული ბახვას გულის თქმები. მის გულ-გვამში და ტვინში იყო საშინელი ქარტეხილი, აღძრული სხვა-და-სხვა შავის ფიქრები-

საგან. მის გულს გაჰქონდა ბაგაბუგი; გაშმაგებული სისხლის ზვირთები ტანს რომ ვერ დაეტია, თავში ავარდნოდენ, იქ უპირებდენ კეფის ახეთქას და გადმოთხევას.

—,,ეს არის, გავგიჟდიო''!—წამოიძახა უნებურათ ბახვამ და თავისი კონტორის წინ მოტრიალდა ქუსლებზე.

ამ დროს ახალგაზდა მეგრელების გროვა გამოჩნდა მის დუქნის პირდაპირ. ისინი მხიარულებით ტაშს სცემდენ და ,,ორირაშას'' იმღეროდენ. დამწყები იყო ნესტორა. იმან დაინახა თუარა ბახვა, თავის კონტორის სვეტზე მიყრდნობილი შეკმუხვნილი სახითა, მაშინვე მიხვდა, რა ჭირიც სჭირდა, შესწყვიტა სიმღერა და მხიარული კიჟინით მოაშურა.

—ბიძია ბახვა, სად იყავი? . . . დღეს მაიდანში სულ შენს სიმარჯვეზე ლაპარაკობდენ ქალი და კაცი. ყველა იმ საძაგელს იერემიას ემუქრებოდა. არზა უნდა მივცეთ ღრუბენატორს, რომ აქ არ დააყენონო. შენთვის ყველანი თავგამოდებულნი იყვენ. პრისტავი რომ მოვიდა, ხალხი შემოესია და ერთი მეორის უმალ წინ ეტენებოდა, კითხვედა იერემიას ამბავს, მძიმეთ იყო დაჭრილი, თუ არაო? . . გამოდგა, რომ ბარძაყში ჰქონია ხანჯლის წვერი მოხვედრებული, არც კი დაწოლილაო. შენზედაც გამოეკითხეთ, საქმე დაიწყება თუ არაო? . . .—არაფერიაო:—რამდენჯერ ჩხუბი მოხდება, თუ ყველას პოლიცია და სასამართლო გამოუდგა, მთელი სახელმწიფოს ხალხი პოლიციელებათ არ იკმარებსო.—მერე მე ვკითხე, იერემიას საჩივარი ხომ არ შეუტანია-მეთქი.-არა და არც აპირებს საჩივარსაო,—ვიპასუხა. ოტა ხანს შემდეგ განზე გამიხმო და მითხრა: ბახვა ამ საღამოს ჩემთან შემოვიდესო.

ამისთანა ამბებმა ბახვას ალშემოდებულ გულს ცივი წყალი გადაასხა და ერთ წამზე უმალ ჩააქრო მისი შინაგანი მღელ-

ვარება. სახეზე სიხარულის ელვამ გადაკრა და გულდამშვიდებით დაუწყო შექეიფიანებულ ნოქრებს გამოკითხვა, ან თემი როგორი გაიმართა, ან ბურთის თამაში თუ იყო, ან სხვა ჩხუბი ხომ არა მომხდარა-რაო. ბოლოს მისცა ნესტორას ერთი თუმანი და სთხოვა, რომ იმ საღამოს კარგი ვახშამი შეემზადებინა, მისი ამხანაგები ყველანი დაეპატიჟნა, და დაპირდა, ვახშმათ მეც მოვალო. ბახვას ბიძაშვილი აღტაცებაში მოვიდა მისი სიუხვით, გადასცა მას კონტორის გასაღები და თვითონ კი განაგძო ამხანაგებში მხიარულება.

ბახვა შეეიდა დუქნის დერეფანში და გააღო კონტორის კარი; დახლიდან ხუთი თუმანი ამოიღო, ჩაიდვა ჯიბეში, გამოიკეტა ისევ დუქნის კარები, გასაღები ნესტორას დაუბრუნა და წაეიდა პრისტავთან.

## XXIII.

ბახვა როგორც კი გამოეთხოვა სალომეს, ის და მისი ქალი მოიღნაშენ. ორივე გრძნობდა რაღაც გამოუთქმელ უსიამოვნებას. იმათ აღარც იმ დღეინდელი დღესასწაული ახარებდა, აღარც ორის, სამის დღის შემზადებული მასპინძლობა. თითქოს იმ წუთს იმათი სახლი ისე დაცალირებულიყოს და გლოვის ზეწარი გადაკროდეს, როგორც იმ დღეს, როდესაც სალომეს ქმარი გაასვენეს და დედა და შვილი შინ მობრუნდენ. მაშინ არ იცოდენ, რა ექნათ, რა მოესაზრებინათ დღიურის ლუკმის საეარამოთ. ახლა სალომე კიდევ უფრო ჩამოქვეითდა, სანამდის ბახვას და ესმას თემიდან მოელოდა, მისი ფეხი და ხელი არ შეჩერებულა, ის იყო იმედით საესე, რომ იმ დღეს ბახვა და ესმა მასთან ერთად კარგათ მოილხენდენ.

სალომე წინადღითვე შეუდგა დღესასწაულისათვის მზადებას. ბოჰი ფურნეში შეაწვევინა, თვითონ ორი მოზდილი ,,დედოპური'' დააცხო ყველითა და კვერცხით გამოტენილები. ამის თანა პურს იმერეთში ,,ღვეზელს'' ეძახიან. ერთი ღვეზელი ესმას სახელზე იყო გამომცხვარი, მეორე—ბახვას სახელზე. ორსავე პურს ჩაუთქვა მათი პატრონების ბედ-ილბალი. თუ ორისავე ბედი კარგი იჭნებოდა, მაშინ სადედოპუროთ მომზადებული კვერცხებიც საღები გამოდგებოდენ. ის კვერცხები წინდაწინ ღველფში შეახვია. ისე უნდა შემწვარიყვენ, რომ არც ერთი კვერცხი, ღველფში შეხვეული, არ უნდა გამსკდარიყო. სალომე მეტათ გამხიარულდა, როცა დარწმუნდა, რომ ღველფში ჩასმული კვერცხები საღათ შეიწვენ, არც ერთი არ გასკდა. ამას გარდა ერთი მთელი ინდოური საციათ ჩასდვა თავის გაროსა და წვენში, რომელიც იყო სანელებელით, ნიგვზით, ძმრით და პილპილით შეკაზმული. მეორე დღეს ის წირვაზე აღარ წასულა; ოთახის და ეზოს დასუფთავებას მოუნდა. თავეს აღარ იზოგავდა თავის ძვირფას არსებისათვის. ამისთანა დაუწყენარებელი შრომა მისთვის სანატრელათაც გახდა. იმას იმ დღეს და მეორე დღეს სადილობამდის არც მოღალვა უგრძვნია, არც დასვენებულა იმ იმედით, რომ მაისობას სამნივე მხიარულათ გაატარებდენ. მეორე დღეს შუადღე მოიწია; სალომეს სადილი გაჩაღებული ჰქონდა, მოშუშებული ღომი კიდეც დაზილა ჩოგნით და სუფრა გააწყო. ამ დროს ესმა და ბახვა თემიდან მოვიდენ; მაგრამ რა მოვიდენ?! . . . არც ერთს თავის ფერი აღარ ედვათ, განსაკუთრებით ბახვა ყვითელ სანთელში ამოვლებულსა გავდა.

სალომეს იმათ დანახვაზე დარდები აეშალა და, როცა ნამდვილი ამბავი შეიტყო, მის გულს უცებ მწარე ნაღველი გადა-

ეთხია. იმ წუთას მისთვის ყოველივე ჩაშხამებულ იყო. მაშინვე იგრძნო, რომ მათ კარგი არა შემთხვეოდათ-რა. ეაი თუ ბახვა გაება სისხლის სამართლის საქმეში კაცის დაჭრისათვის!... ვინ იცის, ჭრილობა როგორი იყო?... იქნება ჭრილობა მძიმე იყო, იქნება ის კაცი კიდეც მოკვდა!!.. მაშინ ხომ საუკუნოთ უნდა გამოთხოვებოდა ბახვას!.. მთელი მისი ოჯახი ხომ თავზე უნდა დანგრეოდა!... ამისთანა შაეი ფიქრები სალომეს უცბათ თავზე დააწვა და თავზარი დასცა. სანამდის ბახვა მის ქოხში იყო, როგორლაც თავი შეიმაგრა; მაგრამ წავიდა თუ არა, სალომეც სრულებით მოეშვა. მას იმ წუთას ესმა ალარც კი გახსენებია, ჩავარდა სამზარეულოში, კარები მოკეტა და მორთო ტირილი...

ბახვას წასვლის შემდეგ ესმამაც მოიკეტა კარები და დაეცა ლოგინზე თავის საგარეო ტანისამოსით. მას ახალი ტანისამოსის ჯავრი ალარ ჰქონდა, ან თუ დაიჭმუჭნებოდა, ან თუ მტვრით გაისვრებოდა. ისიც საეჭვო იყო, გრძნობდა თუ არა იმ წუთას თავის ტანისამოსსა. ,,ნეტავ რათ აიჩქარა ბახვამ წასვლაო!—თქვა გულში ესმამ.—ალბათ უტიფრობა დამწამაო. რა ღმერთი გამიწყრა, მე დღეს იმასთან რათ ვითამაშე. ალაფრით არ უნდა დავთანხმებოდი თამაშში გაყოლას; მაგრამ ან კი რა უნდა მექნა? ჰარმონიკა და დაირი როგორც დაუკრეს, ბახვა მაშინვე გამოხტა წრეში და ალარ მომცა საშველი. ხუთჯერ ჩამოუარა წრეს და ხუთჯერვე მე დამიკრა თავი; მაინცა-და-მაინც უნდოდა, რომ მე გავყოლოდი თამაშობაში. ჩემს დღეში კაცისთვის თვალი არ გამიმართავს, ბახვამ პირველათ თვალი თვალში გამიყარა. ბული ამიურიალდა. მისმა შეენიერებამ ჩემი თვალები მოიტაცა, გულიც თან გაიყოლა.... ნანაია, მიშველე!.... ეს რა სიურცხვე მომიეიდა! ახალგაზდა კაცს ისე უტი-

ფრად როგორ გავუჩერე თვალები!!.. ვინ იცის, რას იფიქრებდა ჩემზე? ვინ მე, ვინლაც ლოთი სალდათის გომბიო, და ვინ მდიდარი, ყველასგან პატივცემული ბახვა!.. ეს როგორ დამემართა, რომ მისი სიყვარული მე დღეს გულში გავიელე!.. იქნება ამისთვისაც ალარ მოიცადა ჩვენთან სადილათ. მაი თუ ალარც კი მოვიდეს!...'' ამ ფიქრებშ., რომ იყო ესმა გართული, ერთი ისეთი საზარლათ დაიკვნესა, რომ სალომემ კედელს იქით სამზარეულოში გაიგონა.

დედა-მისი ზაფრანაცემიეით ზეზე წამოვარდა, ნამტირალევი თვალები უცბათ ამოიბანა, შევარდა შვილის ოთახში და შესძახა:—შვილო, ესმა, ეგ რა მოგსელია? საგარეო ტანისამოსით ლოგინზე დაგდებულხარ, სულ დაგქმუნია! უი, ჩემს თავს, როგორ დაგმტვერიანებია ყოველიფერი! შვილო, შინ რომ შემოდი, რატომ არ გაიბერტყე, არ იცოდი, ქუჩის მტვერი შენს კაბას მოედებოდა?— ეგ ხომ უბრალო კაბა არ არის, აბრეშუმია, ახალთახალი მოვი! ერთ ჩაცმაზე როგორ უნდა გააფუკო?... ადე, გენაცვალე, გაიხადე, საშინაო კაბა ჩაიცვი. სადილი დაგვიგვიანდა. ბარემც ესჯამოთ რამე.—ესმა ლოგინიდან ზანტად წამოდგა და დაიწყო კაბის ღილების შეხსნა. სალომე ისევ სამზარეულოში შეტრიალდა. ესმა ხელმეორეთ ფიქრებმა წაიღო. ის სრულებით იმაზე არ ფიქრობდა, რომ ბახვა, შესაძლოა, სისხლის სამართლის საქმეში გაებასო. მისი დარდი და ვარამი სულ სხვა იყო.: ,,არა მე.... არა....''—იმეორებდა გულში: ,,თუ ერთი დღე კიდევ დაიგვიანა, ბახვა ჩვენთან არ მოვიდა, მე თვითონ წავალ მასთან. ბოდიშს მოვიხდი. როცა ის ცოლს შეირთავს, შეევეხვეწები, გოგოთ მე წამიყვანოს... არა!.. ასე გაძლება ალარ შემიძლია.... ეს რა ამბავია? ფიქრებს რომ თავი ვერ წავართვი?... ჯოჯოხეთია!... რა დავაშავე ამისთანა,

რომ ბახვა გაგვექცა დღეს. აკი, გუშინ დაგვპირდა: ხვალ მთელ დღეს თქვენთან გაეატარებო. დღეს რა მოუვიდა ამისთანა?... ნამდვილია, მე ვარ მიზეზი... მე... ვეტყვი, შენ ძმა და მე დამეთქი. დათ თუ არ მიკადრებს, გოგოთ ხომ მიკადრებს. ის კარგი გულის კაცია. დათანხმდება, კიდევ მოუბრუნდება ჩემზე გული.... მერე პირობას მივცემ, რომ თავის დღეში თვალში აღარ შევეხედო, რომ უტიფრობა აღარ შემწამოს...'' ამისთანა ახირებული ფიქრებით გარემოცულმა ესმამ გაიხადა თავის საგარეო ტანისამოსი, მიაგდ-მოაგდო ლოგინზე, საშინაო კაბა ჩაიცვა და გულსაფარი უკულმა გაიკეთა.

სალომემ შემოიტანა ღომი და ყველი, დადგა სუფრაზე და დაუძახა ესმას, რომელიც ისევ თავის საწოლ ოთახში ყოყმანობდა; ეტყობოდა, გამოსვლა ეზარებოდა.

— შენ შემოგეველოს დედის თვალები, ეგ რა ამბავია? ეგრე შენს დღეში არ მინახავხარ, რანაირათ დაგიყრია ტანისამოსი, ქალო!.... აბა, ზედა წელი სად გდია, ქვედა წელი სადა?... ში, ჩემს თავს!.. ეს გულსაფარი როგორ უკულმა გაგიკეთებია, სარკეში ველარ ჩაიხედე?! ამას პირველათ ეხედავ. შენს გონზე აღარა ხარ, შვილო! მართლაც, განსაკუთრებით ცუდი ხომ არა დაგმართნია-რა თემში?...

—არა, ნანაია!

—აბა, რათა ხარ დღეს ეგრე გარეწარი და გულმაეიწყი?...

—დავიღალე, ძალიან დავიღალე, ნანაია.

—მოდი, შვილო, დავსხდეთ სადილათ. მითხარი დაწვრილებით, რა ამბავი მოხდა დღეს? სად გაჩნდა ის წყეული იერემია? რანაირათ მოხდა, რომ ბახვა და ის წაიჩხუბენ? მძიმეთ დასჭრა, თუ არა ბახვამ ის არაწმინდა სული?

ესმამ უამბო ისე დაწვრილებით და გულწრფელათ ყოვე-

ლიეე იმ დღის მომხდარი, რომ სალომეს მის სიმართლეში იქვი არ აულია. მისმა ნაანბობმა სალომეს ძრიელ დაუმშვიდა გული. რადგან ჭრილობა დიდი არაუვერი უნდა ყოფილიყო, სალომემ იუიქრა, იქნება სისხლის სამართლის საქმეც არ შესდგესო. ბახვა მოხერხებული კაცია, შეიძლება, საქმე სასამართლომდინაც არ მიაწვეინოსო.

ამას შემდეგ სალომეს თითქო მადაც მოუვიდა. დაისხა არაყი და გადაჰკრა. იმას ეს ჩვეულებათ ჰქონდა ქმრისაგან დანატოვარი. სულგუნის (გადაზელილი ყველის) ერთი ნაჭერი ღომში შეახვია, შემწვარ ქათამს ფრთა მოსტეხა და გაწიწკნა, თან ესმასაც ეხვეწებოდა, ეჭამა რამე.

—ნანაია, მადა არა მაქვს... უპასუხებდა ესმა.

—დედა-შვილობამ, კარგი შემწვარი ქათამია. აბა, ნახე, ეს ფრთა გაწიწკნე! მერე მადაც მოგიეა. მჰჰ... მჰჰ! რა კარგია ეს ღომში შეხვეული სულგუნი! როგორ იწელება!... გემრიელია, დედა-შვილობამ. აბა, ახლა ღვინო დალიე. ნახევარი ჭიქა მაინც დალიე.

ესმამ აიღო ჭიქა ღვინო, მოწრუპა, სულგუნსაც ცოტა უკბინა, დადვა სუფრაზე და უთხრა დედას:—რა ექნა, ნანაია, ახლა სულ არა მაქვს მადა. მერე ეჭამ.—ადგა სუფრიდან, შეიდა ოთახში და კარები შეიხურა, თითქოს ძილს აპირებსო.

—ძარგი, შვილო, დაიძინე, დაღალულზე მართლაც არა იამება-რა კაცს. საღამოსთვის შევინახავ.

## XXIV

სალომემ იქვი აიღო ესმას სიყვარულზე. ეს უსიამოვნობა, რომელიც ბახვას წასვლაზე ესმას დაეტყო, მერე ამნაირი გარე-

წრობა, გულმაგიწყობა, კითხვაზე პირდაპირ პასუხის მოუცემლობა — უსათუოთ რასმე მოასწავებდა: ჯერ ამგვარი რამე ესმას უმანკო გულს არ შემთხვევია. ერთის მხრით სალომეს ძალიან ეუცხოვა ეს ამბავი, ის კი არა, კიდეც ეწყინა. ის როგორ წარმოიდგენდა, რომ ბახვას მის ქალზე თვალი დარჩენოდეს.

ბახვას მისის ქვეყნის ღარიბი სახლობა მხოლოდ ეწყალებოდა, ეცოდებოდა უფრო იმისთვის, რომ სალომესგან პატარაობისას ამაგი ახსოვდა.

უწყალო ბედს ის უბედური ქალი თეკლათიდან ფოთს გადმოეხვეწნა ღვთის ანაბარაზე. მისთვის არც ნათესავი, არც მეზობელი, არც არავინ მოკეთე. ერთი საწყალი ობოლი ქალი ხელზე ჰყავდა ატოტებული და სარჩენი. ეინც მათი ამბავი იცოდა, ქვის გული უნდა ჰქონებოდა, რომ ამისთანა ყველასგან მოძულებული დედა-შვილი არ შეწყალებოდა! მხოლოდ ღმერთმა არ მოიძულა და, როცა ბედმა უცხო ცას ქვეშ გადმოყარა ორ?ლები, იმანვე მიუჩინა ბახვა საპატრონოთ. მართლაც ბახვას იმდენი ამაგი ჰქონდა ქერიე-ოხერზე, რომ სალომესათვის ცაში ღმერთი იყო და დედამიწაზე ბახვა მისი ნუგეში და შემბრალებელი. ესმას გატაცებულ გრძნობას ბახვასადმი მისთვის უბედურების მეტი არა შეეძლო-რა ექადებინა. იმედი ჰქონდა, იქნება ესმას თავისი წრის, თავისი შესაფერი საქმრო ეშოვნა, რომ სალომეს სიბერის დროს მაზედ მიეყრდნო ცხოვრების ქარტეხილობისაგან დანთქმული მისი სიბერის დღენი. ბახვას რომ კიდეც შეენიშნა ესმას სიყვარული და თვითონაც გამოეცხადებინა თავისი თანაგრძნობა, ეს სალომესათვის მეხის დაცემა იქნებოდა. იმას კარგათ ახსოვდა თავისი უბედურება ეინღაც რუსეთელ აფიცერთან. ნუ თუ რასაც ის ასე ერიდებოდა, რისგანაც ის ასე დასჯილი შეიქნა ცხოვრებაში, სიბერის დღენიც იმ შემარ-

ცხენელ გარემოებას უნდა წაეწყმინდა!... ამ შავმა ფიქრებმა სალომე შეაშინა, შეაძრწუნა, სასოება მიულო ღვთის სამართალზე.....

—არაო—უთხრა მერე მეორე გულმა!—ბახვა მისთანა კარგი კაცია, რომ ამას არ იკადრებს, ასე არ მომიძულებს, არ გამიმწარებს სიბერის დღესაო...

იმ დღის სადილი უბახვაოთ არც მისთვის იყო სადილი, მართლაც სადილათ ერთი შემწვარი ქათმისა და სულგუნის მეტი არც არა მოუტანია-რა. ყოველისფერი ეახშმათ გადასდვა ბახვას გულისთვის. ღადგა საღამოც; დაღამდა, ბახვა მაინც არსად იყო. სალომემ დაახშირა კარისკენ ყურება. ვახშმობის ჟამმაც მოატანა. ბახვას დაგვიანებაზე სალომეს აუტყდა გულის ფრიალი. იმის დაკვირვებით ბახვა რასაც იტყოდა, კიდეც აასრულებდა. ამისთვის მისი დაგვიანება კარგს არას მოასწავებდა. ვაი, თუ კიდეც დაიკირესო!.. ვაი, თუ იერემიას საქმეში ცუდი რამ აუტეხონო?.. ის დღე რატომ არ დაიქცა, ესმას რომ ახალკვირას საყდარზე წასელის ნება მივეცი! რომ არ წასულიყო, იქნება, ეს ამბავიც არ მომხდარიყო. ეს უბედური შემთხვევა, უეჭველია, ესმას და ბახვას თამაშობამ გამოიწვია. მე კარგათ ვიცი, რომ ის წყეული იერემია ჩემს ქალზეა ატეხილი. მანამდის არ აუყენა ღმერთმა იერემიას გვერდები, სანამდის იმან ჩემი ქალი გასარყვნელათ ვერ იშოვნოს. ეგ რომ მოხდეს,—მე ხომ სუსტი ქალი ვარ,—იმასაც მოვკლავ და ჩემს თავსაც მოვიკლავ. მადლობა ღმერთს, ქმრისაგან ერთი დაჟანგული რევოლვერი დამრჩა, ექვსი ტყვიით გატენილი. იერემია ისევ ატეხილი, რომ რევოლვერის ტყვიებს გამომტყუებს.—ასე ფიქრობდა სალომე და მეტის ჯავრისაგან ხელებს იმტვრევდა.

ბოლოს ადგა, ღვთისმშობლის ხატს სანთელი დაუნთო და გულის წვინდით შეავედრა ბახვას თავი.

ესმა ჯერ კიდევ თავის ოთახიდან არ გამოსულიყო. სალომეს უნდოდა მასთან შესვლა და ვერც გაებედნა, ეშინოდა, ბახვას ამბავი არ ეკითხა. აბა, რა უნდა ეპასუხნა, რაც არა იცოდა-რა. სალომემ კარგათ იცოდა, რომ ესმას ძალი არ უყვარდა. თუ აქამდის საწოლ ოთახიდან არ გამოდიოდა, ეს ალბათ იმის ბრალი იყო, რომ ესმა კარგს გუნებაზე არ იყო. შენიშნული ჰქონდა, როცა მისი ქალი დაღვრემილი იყო, ოთახში შეიკეტავდა კარებს და არავის ინახულებდა, მარტოობა ერჩია. სალომესთვის ცხადი იყო, რომ ესმასაც ბახვას მოუსელელობა აწუხებდა. ეინ იცის, იქნება ჩემი მოსაზრება სულ ტყვილი იყოს. შეიძლება ისიც იმ მწუხარებით იყოს შეპყრობილი, როგორითაც მეო, გაიელო გულში სალომემ.

—ეაი თუ, მართლა ბახვამ იერემია სასიკვდილოთ დასჭრა და ამ საოცარ ამბავს ესმა მე მიმალავდეს! ამგვარი ფიქრი ტანში ცეცხლს უკიდებდა სალომეს. ის დაწრიალობდა უსაგნოთ თავის ოთახში, სამზარეულოში და ეზოში. როცა ან ფეხის ხმა მოესმოდა ქუჩიდან, ან თუ დაგვიანებულის ეტლის რიხინს გაიგონებდა, სალომე მაშინვე ქუჩის ბიჯიკით გამოვარდებოდა გარეთ, ვააღებდა ჭიშკარს და ლამის ბნელაში მიაყურებდა, იქნება ბახვა იყოსო. მაგრამ ის არსად სჩანდა.

ამ დროს მისი ქალი, ესმა, კი სულ სხვანაირ დარდებს წაელო. ესმას ვერა გზით ვერ წარმოედგინა, თუ ბახვას სხვა რამე საქმე აბრკოლებდა, გარდა მისა, რომ ესმასთან იყო შემომწყარალი. იმ დღის დაბადებული მწვავი სურვილი, ნდომა, განუსაზღვრელი გულის ქენება ესმას უმანკო სულს ვერ აეტანა, ვერ მოენელებინა. ის იმ წუთას ასე ფიქრობდა, რომ არც

იმის უბოროტესი, არც ზნეობით იმაზე უფრო გაუუქებული არ მოიძებნებოდა დედამიწის ზურგზე. ნამდვილათ კი მისი დანაშაულობა მხოლოდ ერთი გულის შეთამაშების მეტი არა ყოფილა-რა, მხოლოდ ეს ერთი ბუსუსი ცოდვა მიუძღოდა ბახვას წინაშე. მაგრამ ბახვასათვის რომ კაცს ეკითხნა, ეს ცოდვა კი არა, ცით მოელენილი მადლი იყო. მხოლოდ იმ დღეს შეესხა ფრთები ბახვას ბედნიერებას. მაგრამ ტრედიეით უმანკო ესმამ რა იცოდა ამისი?... ის თავდალმა იწვა თავის ლოგინზე სულგანაბული. Ოტა ხანს შემდეგ უეცრათ წამოდგა. ეს რა დაბნელებულაო! გაიკვირა. ნუ თუ ამდენ ხანს ვევდე ლოგინში ფიქრებგამოურკვეველი!— თითქოს შეეშინდაო ბნელაში ყოფნისა, გაკრა წუმწუმს, აანთო სანთელი, აიღო სუფრიდან თავისი პაწია რგვალი სარკე, ჩაიხედა შიგ და სარკე იქით გადაგდო. ძიდევ კარგი, რომ ბალიშებზე დაეცა, თორემ სულ დაიმსხვრეოდა. Თავის პირქუში სახე ჯოჯოს სახეთ ელანდებოდა, შემდეგ მოყვა ოთახში წინ-და-უკან სიარულსა. Დიდი ღამე გავიდა, მაგრამ იმას ფიქრათაც არ მოსულია ღამეზე დრტვინვა; ის კი არა ღამის დუმილი ხელსაც უწყობდა იმ საოცარის შინაგანის ბრძოლის მისამალავათ, რომლითაც იყო მოცული მისი არსება. ეს სიბნელე თითქოს აშორებდა იმ დღის უსიამოვნო ამბებს, ბახვასთან მეგრულ-აბხაზურ ცეკვას, თამაშსა, იმის გულის თქმით ანთებულის თვალების ცქერას, მისს პირველათ გულის შეთამაშებას. Ღამეში ესმა გრძნობდა სრულს მარტოობას და ამ მარტოობით უფრო მშეიდდებოდა მისი ტკივნის ძაფები, მისი ამღერეული ფიქრები.

Ამ დროს თავიც დაუმძიმდა, მთელი მისი ტანი რაღაც ნაირათ დასუსტდა, მიიბნიდა, თითქოს მთელი ქვეყნის სიმძიმე მას თავს დასწოლოდეს და უპირებდეს ქვესკნელში ჩატანას.

ხელმეორეთ დაეგდო ლოგინზე. ამ წუთას იგრძნო, რომ იმას საძრაობის თავიც არ ჰქონდა, ეგდო ერთბანს ასე გაშოტვილი; ბოლოს ჩავარდა ბურანში: არც იყო ძილში, არც ღვიძილში. მას მოელანდა ბახვას სახე, რომელიც შორიდგან თავს უქნევდა, ესაყვედურებოდა:—ესმა, მე მაგას შენგან არ მოველოდი, მე დათ გიყურებდი, შენ კი ჩემზე არაწმინდა ფიქრები გაგიელია თავშიო... ამისთანა ბურანში რომ იყო, უცბათ სალომეს ხმამ შეაკრთო:

—შვილო, რა ამბავია აქამდის ძილი?... თითქმის შუალამე შემოვიდა და შენ კიდევ გძინავს.

ესმა წამოვარდა ლოგინიდან, ერთი მძლავრათ გაიზმორა, თმები ჰქონდა აფუშული. ეტყობოდა, მის მიბნეულ თვალებს სანთლის შუქი აჯავრებდა.

—დედა, სანთელი იქით გადადგი, თვალები ვერ გამიხელია, უთხრა ჭირვეულობით ქალმა.—უჰ, მართლაც რა ბევრი მძინებია!—ზანტათ წაიდუდუნა.

—ერთობ დაგვიანდა; მგონია, ბახვა აღარ მოვიდეს,— მწუხარებით წარმოსთქვა სალომემ.

—აღარ მოვა, ნანაია, სტუმრებთან შეყვებოდა ქეიფსა.

—მგ ხომ ეგრეა, მაგრამ ბახვამ სიტყვის გატეხა არ იცოდა?!—დაატანა სალომემ. ესმამ აღარაფერი უთხრა, ადგა და სასტუმრო ოთახში გაიარ-გამოიარა.

—ეიტა კიდევ მოეუცადოთ და მერე ვაპშამს შეეტეკეთ, უპასუხა სალომემ.

—მოგიკვდა, შვილო, ჩემი თავი. შენ დღეს პირში ორი ლუკმა არ ჩაგიკარებია.

—არა, ნანაია, მე ახლაც არა მშია.

—როგორ არა გშია, შვილო; დღეს შენს ქეიფზე არა ხარ.

მეშინია, ავათ არ გამიხდე.

—არა, დედა, წელან დაღალული ვიყავი, ახლა კარგათა ვარ.

ესმა ერთხელ კიდევ გაიარ-გამოიარა ოთახში; წელი გამართა, თავი გადაიქნია და სახეზე ჩამობურდული სქელი თმა უკან ბეჭებზე გადაიყარა.

ამ წუთს იმისთვის რომ კაცს შეეხედნა, სწორეთ იდეითი მოაგონდებოდა, როცა ამ მზნე დედაკაცს ოლოფერნის თავის მოკვეთა ჰქონდა გულში ამოჭრილი.

ესმა სახეზე შეწითლდა. მისი თვალები ცეცხლის ნაპერწკლებს ისროდენ.

—„ბათავდა"—წამოილაპარაკა იმან, გაჯავრებული მიეარდა თავის დაბურდულს ნაწნავებს და სწორება დაუწყო ისე ულმობელათ, რომ მაყურებელს ეგონებოდა, ნაწნავებს კი არ იწნავს, იგლეჯსო. ყოველს მის მოძრაობას ეტყობოდა გადაწყვეტითი მოქმედება.

—ნანაია, დროა, ეახშმათ დავსხდეთ, ბახვა აღარ მოვა.

—რატომ, შვილო,—შეშინებით ჩაკითხა სალომემ.

—დრო გადავიდა. შუაღამეა, აწ რაღა დროს მოსელაა.

—ეარგი, შვილო,—უნებურათ დაეთანხმა სალომე.—აბა, დაჯექი და საჭმელებს შემოვიტან.—სალომე შეტრიალდა უცებ სამზარეულო ოთახში, გააწყო შეკამადები ლანგარზე, შემოიტანა და სუფრაზე დააწყო. მახჩიდანაც ერთი ბოთლი ღვინო გამოიღო, თან ჭიქებიც გამოაყოლა.

## XXV

დედასა და შვილს ასე სიამოვნებით, დიდი ხანი იყო, პური არ ეჭამათ. ესმა ეახშამზე სულ გამოიცვალა. ჩვეულებ-

რიკი სიმორცხვე და თავდაჭერილობა სრულიად აღარ ეტყობოდა. ქალი ცდილობდა, დედის შეჭმუხვნილი შუბლი ფიქრებისაგან და დარდებისაგან გადაეწმინდა. ეახშამზე მისი ენა არ დაწყნარებულა. მოყვა სხვა-დასხვა შემაქცევარ ამბებსა. სალომე მართლაც გამხიარულდა, ითვარესავით გაბადრულ ესმას სახეს რომ უცქეროდა, რომელიც წამის-წამს ლაპარაკში ილიმებოდა და ტუჩებზე მარგალიტს ისხამდა. ხან თემობის ამბავს მოუთხრობდა, ხან თავის ოსტატს ფრანგის ქალს დასცინოდა. წარმოადგენდა საწყალს მოხუცებულ ქალს, იმის გვერდზე მოქცეულ ძველ ჩეუჩიკს, რომელიც თმისაგან გადაქექილ თავზე აღარ ადგებოდა და, რომ ცოტა შნოიანათ მაინც თავზე დაესკუპებინა, ერთ საათს მეტს იდგა ხოლმე სარკის წინ, ხან ცალ გვერდზე მოიგდებდა გახეხილ ჩეუჩიკსა, ხან მეორე გვერდზე.

ამისთანა ამბებმა მართლაც ძალიან ვაართო დედა-მისი; ორნიეე კარგ მადაზე მოვიდენ და მოილხინეს. იმ ერთ წუთას სალომეს ბახვა სრულებითაც აღარ გახსენებია. მის სახეზე განუსაზღვრელი სიამოვნება იხატებოდა და ხითხითით დახაროდა თავის ქალს, ამ ერთად ერთს მის სიმდიდრეს და ცხოვრების სიტკბოებას.

— ნანაია, იცი, რა გითხრა?—განაგრძო მხიარულათ ესმამ. მადამ სალის ძალიან ეუყვარვარ. მუდამ მეფერება, ხშირათ მკოცნის, თუმცა მისი უკბილო კოცნა არაფრათ მეჩაშნიკება ხოლმე. ხან-და-ხან მაინც მისი შავი კბილის ფესვი ისე მომეგლაუჭება, ასე მეკონება, თაგვმა გადამიბრინა-მეთქი პირის სახეზე.

— ჰა, ჰა, ჰა, ჰა!!!... გადიხარხარა სალომემ.

— აბა, ნანაია, ღიმილით განაგრძო ესმამ,—ხუმრობა იქით

იყოს და მადამ სალის აზრი მე ძალიან მოვდის თავში.

—როგორ, შვილო, კითხა მხიარულათ სალომემ.

—იმან მითხრა, თუ ჩემთან იქნები, ჩემს სამკერვალოში, ნახევარ წილს დავიდებო. ვიმუშაოთ ერთათ, მე დედა და შენ შვილიო. ეს, ნანაია, კარგი საქმეა. მე ჯრა და კერვა კარგი ვიცი. რა ნიმუშიც უნდა ენახო, ყოველსაეე ისე გამოვჭრი და შევკერავ, თითქოს პარიჟის სამკერვალოდან იყოს გამოსული. ამ ბოლო დროს მუშტრებიც გვემატება. მე აქამდის შინ ვიჯექი, საკერავებზე სულ საწყალი ბებრუცანა დაწანწალობდა ოჯახებში. აწ მე თვითონ მინდა ვიარო ოჯახებში ზომების ასაღებათ და ტანზე კაბების მოსარგებათ. ნახავ, დედავ, როგორ კარგათ წავიდეს ჩვენი საქმე. ერთი ორათ მოვიკებთ. ცოტა ხანს იქით მოდი, დედა, ერთად დავიქირაოთ სახლი. ჩვენი ოთახები უფრო კარგათ მოვერთოთ, მოსამსახურე გოგოც ცალკე გვეყოლება. ღვთის მადლით, იმდენი შემოსავალი გვექნება, რომ შენ ოჯახში ალარას გაგაკეთებინებ. იყავი ქალბატონათ და გვიცქირე მარტო, როგორ ვიმუშავებთ.

ამ სიტყვებზე წამოვარდა სალომე გახალისებული, დაადვა მხარზე ხელი თავის ქალს, დააცქერდა სიყვარულით სახეზე და კითხა:

—მერე, გოგონა, გათხოვება?....

ესმამ გველის ნაკბენსავით იწყინა, სახე მოიღუშა, დაუქირა ხელები დედას და უთხრა:

—ნანაია, გთხოვ, მეორეთ არ გამაგონო ეგ სიტყვები. მათხოვება არ მინდა და არც გავთხოვდები ჩემს დღეში.

—ეი! გოგონა, მაგას რას მეუბნები!....

—არა... მე... არა...—გაიქნია თავი და სახე გვერდზე მიიღო.

—შვილო, ნუ გეშინია. შენც გამოგიჩნდება კარგი ბედი. შენ ისთანა ანგელოზს ღმერთი როგორ გასწირავს.

—სუ—მეთქი, ნანაია!...—ტუჩებზე ხელი მიაფარა სალომეს და შემდეგ განაგრძო. – თუ გიყვარდე, ნულარ გამაგონებ მაგისთანა სიტყვებს.

—როგორც გენებოს, შვილო. ახლა ერთი მაკოცნინე მაგ ლამაზ თვალებში!... დედამ შვილი უცბათ მკერდში ჩაიკრა.

შემდეგ საჩქაროთ ადგენ, ესმა შეევიდა თავის საწოლ ოთახში ტანთ გასახდელათ. სალომეც ემზადებოდა მოსვენებას.

ნაშუალამევი იყო. სალომე გარეთ გამოვიდა, შეხედა ვარსკვლავებით მოჭედილ ცას და სთქვა: „ნეტავ ვიცოდე, ამ ზეციერ მნათობებში რომელია ჩემი ესმას ვარსკვლავი?... ოჰ, ტანში გამაზრიალა! ის ერთი ვარსკვლავი როგორ ობლათ გაშორებია სხვებს და თავისთვის ბჟუტავს, თითქოს აგერ, აგერ მიქრებაო!.. ეი თუ ის ბახვა ვარსკვლავია!.. ამ დროს სალომე მიადგა ჭიშკარს, გააღო, მიიხედ-მოიხედა, თითქოს კიდევ ვიღაცას ელოდაო. ცოტა ხანს შემდეგ მიხურა ისევ ჭიშკარი ამ სიტყვებით: „შვილო ბახვა... სად ხარ ახლა? ამაღამ ლუღი არ მომეკიდა. ხვალ დილით უთენიათ გაეგზავნი ბახვას კონტორაში ამბის შესატყობათ. მოგიკვდა სალომეს თავი, თუ ახლა სატუსალოში ხარ დამწყვდეული!... რაცლა ფარსაგი არა შემთხვევია-რა, იმან რომ თავის სიტყვა ვერ აასრულა. სალომემ გულნაკლულათ დაკეტა ჭიშკარი, შემოტრიალდა შინ, სამზარეულოს მიხედა, პაწია მოჯამაგირე ბიჭს განკარგულება მისცა ხვალინდელის დღისა, უბძანა მალე დაწოლილიყო. მერე შეევიდა ოთახში და ესმას დაუძახა:

—შვილო, გძინავს?...

ესმამ ხმა აღარ გასცა. ის მიეიდა ესმას კრაოტთან ცერე-ბით სანთელანთებული, დახედა თავის ქალს, რომელსაც ღრმათ ჩასძინებოდა.

შრჯულოსაც რომ ენახა ეს უმანკო სახის ნეტარი ძილი, ეგონებ, ისიც მოქრისტიანდებოდა.

—მჰჰ!... ნელა ჩაიცინა სალომემ.—შენს დედას რათ უნდა ჰქონდეს რამე საჯაერო? შენ შემოგეველოს შენი დედის სიცოხლე!..—მერე დაეხარა, შუბლზე აკოცა და გაშორდა. ესმამ ამ დროს ღრმათ ამოიხვნეშა.

## XXVI.

მეორე დღეს დილით, მზის ამოსელისას, ფოთის მოედანზე მირბოდა ერთი თაეშიშველა და ფეხტიტველა ცხრა წლის ბიჭი. ტანზე ხამის პერანგი ეცვა, ცარიელ კალათში მკელავი ჰქონდა გაყრილი და ,,ორირაშას'' მიიძახოდა. ბადირბინა თუარა მოედანი, ერთს განის ქუჩას ჩაუხვია და მიადგა კონტორას. აქ თვალების ფშვნეტით დაუხედა ბახვას ბიძაშვილი, რომელიც კონტორის კარებს აღებდა. როგორც კი დაინახა პატარა ბიჭი, შორიდგანვე დაუძახა:

—ბიჭო, თქვენი ლამაზი ესმა როგორ ბრძანდება?

—მერე შენ რა გინდა?... მიუგო წყრომით ბიჭმა.

—ჩემ მაგიერათ აკოცე,—უპასუხა ნესტორამ.

—ბაჩუმდი, თორემ ბახვასთან დაგასმენ.

—შენსიმაღლე ტალახში გაუგორდი... თქვი, ჰო, რაზედ მოსულხარ?

—სალომემ შემოგითვალა, ბახვას ამბავი შემატყობინეო.

—ასე უთხარი: ბახვა, ეს არის, რკინის გზით წავიდა ახალ-

ნაყიდ მამულში. წუხელი მოურავი მოუვიდა. მუშები ფულს ითხოვენო.

პატარა ბიჭი გამოტრიალდა და უცებ მოკურცხლა ბაზრისკენ.

იქ ყასბისგან ოყა-ნახევარი ხორცი იყიდა. ხუთიოდე კარტოფილი, კაპეიკის ხახვი და ნიახური, ორი კაპეიკის ბრინჯი. იქიდან შინ დაბრუნდა.

სალომე მოუთმენლათ ჭიშკართან უცდიდა ბიჭის დაბრუნებას. როგორც კი დაინახა, ჯერ ბიჭი არ მისულიყო, შორიდან უყვირა:

— რა ამბავი შეიტყვე?...

—ახალნაყიდ მამულში წასულაო. წუხელი მოურავი მოსულია, მუშები ფულს ითხოვენო.

ბულდამშვიდებული სალომე შეტრიალდა სახლში. ესმა დიდი ხნის წასული იყო მადამ სალისთან.

ბახვამ წინაღამეს ინახულა პოლიციის პრისტავი; სწორეთ იმ დროს შეევიდა მასთან, როცა ის ათაიებდა ბახვასა და იერემიას საქმის შესახებ მოხსენებას. ,,ოჰ, ომგადახდილო ეაჟკაცო!—მიაყვირა პრისტავმა, რომელსაც ,,ჯგირი-კოჩას'' ეძახდენ. – აქამდის სად იყავი?... რომ არ მოსულიყავი, ეს არის, ობხოდს ვგზავნიდი შენს დასაჭერათ. პოლიციმეისტერი მწერს, ბახვა შულავას იერემია ,,ესადნიკი'' სასიკვდილოთ დაუჭრიაო. ამ წამს მომახსენე ყოველიფერი და, თუ მართლა იერემია მძიმე დაჭრილიაო, ახლავე დაიჭირე ბახვა და ციხეში ჩასვიო. ისემც უშველის ღმერთი იერემიას, ბარძაყში ხანჯლის წვერის ლიტინით ის მოკვდეს! მისთვის ეს ნემსის ჩხვლეტაა, მეტი არაფერი.—ჯგირიკოჩამ თვალი უქნა ბახვას და მეორე ოთახში გაიყვანა. ჯგირიკოჩამ მიიღო ბრძნული, თითქმის მრის-

ხანე სახეცა. მერე მიიპატიჟა ბახვა სკამზე და ასე დაიწყო:

—შენ კარგათ იცი, ჩემო ბახვა, რომ ჩვენები მე ძალიან მებრალებიან; მაგრამ რასა იქ, ძმაო?... პოლიცმეისტერს საიდუმლო მოწერილობა მოსელია და იმან ამ საიდუმლო მოწერილობის ძალით მიბრძანა: თუ ახლავე არ დაგიჭირავს იერემიას დამჭრელი, ,,ატსტავეკა'' შემოიტანეო. -- აქ იმან გადაფურცლა რაცღა ძველი მოწერილობა, რომელიც სრულებით არ ეხებოდა ბახვასა და ირემიას საქმეს; მაგრამ, ბახვა რომ არ დაკვირვებოდა, ოსტატურათ შორი-ახლოს მოაჩვენა პოლიცმეისტრის ბლანკი, მერე შეკეცა, ჩადვა შკაფის უჯრაში და ბახვას თვალის წინ ჩაკეტა ეს ვითამც, საიდუმლო მოწერილობა.—იცი, ძმაო ბახვა, რა ანგარიშებია?... ირემია ყოფილა ს.... მ.... შორეული ნათესავი, რომელიც თავის საკუთარი წერილით ჩაუბარებია დრუჟინის უფროსისათვის. ახლა დრუჟინის უფროსი იკლავს თავს, ,,ესაღნიკს'' ,,ესადნიკზე'' გზავნის პოლიციმეისტერთან: ახლავე წარმოადგინეთ იერემიას დამჭრელიო. პოლიციმეისტერი მე არ მაძლევს მოსვენებას: სამსახურიდან დაგითხოვ, თუ ახლავე არ მოგიყვანია სისრულეში ჩემი ბრძანებაო...

ბახვამ უსიამოვნოთ ჩაკიდა თავი; ათასნაირი ფიქრი დაეხვია. ახალი გამოწყებული საქმეები არც ერთი გათავებული არ ჰქონდა. თავადის თავქფილაძის-სეული მამული ბარე შვიდას თუმან ნაღდათ უჯდა და ჯერ კიდევ არც ეზო, არც სახლი გაკეთებული არ ჰქონდა. მუშები დიდი ხანია ზედ ეყენა; ისინი ფულებს ითხოვდენ. მეორეგან ორმოცი ათასი ქილა *) სიმიდი დაბეებული ჰქონდა: — ორას თუმნამდის გასულოდა. მესამეგან კაკლის კუნძებზე ყაედა კაცები გაგზავნილი. ერთი ასი თუმანი აქაც მიეცა.

(*) ქილა --ერთი ალუთია, ოცი ჭათმანი.

,,მე რომ ახლა დამატუსალონ, ესენი სულ ერთათ დამელუ-პება და დავიმსებიო''—გაიელო გულ'ში. ამის გამო ბახვამ კი-დევ უფრო მოიწყინა.

პრისტავი დიდი ნაბიჯით დასეირნობდა წინ-და-უკან თავის ოთახ'ში. ხან-და-ხან გადმოხედავდა ბახვას, რომ შეეტყო მისი სახის გამომეტყველება. როცა შეატყო, რომ ბახვა ძალიან შე-ირყაო, უკვე მოტრიალდა ბახვასკენ, მიიღო ბრძანებლობითი შეხედულობა, გძლად გამოუშვა პირიდან პაპიროზის კომლი და კითხა: ,,რას იტყვი, ბახვა?... ჰა... რა ექნათ?''...

ბახვამ არა უპასუხა-რა.

—შენ კარგათ იცი—განაგრძო პრისტავმა, ჯგირიკოჩამ: მე შენი ქვეყნის კაცი ვარ. შენი ავი მეც გულს მითუთქავს, მაგ-რამ, აბა, რა ვუყოთ?... მირჩიე, როგორ უნდა მოვიქცე ამის-თანა მდგომარეობაში?...

—რა ვიცი, ბატონო, თქვენ ხელთ არის ჩემი ბედი და იღ-ბალი, – მწუხარებით გამოკრინტა ბახვამ.

ჯგირიკოჩას სახე გაეესო სიამოვნებით. ,,სხვერპლი შემ-ზადდა შესაწირავათ''—იფიქრა გულ'ში და თითქოს მწუხარებით თვითონვე დაიწყო საჩივარი:

—ღმერთმა დასწყევლოს ჩვენი სამსახური!...—გაჯავრების ნიშნათ მოიქნია პაპიროზის ნამწვი და შეაგდო ბუხარ'ში.—პო-ლიციელისთანა ძნელი მოვალეობა არაფერს კაცს არა აქვს. აბა, რა მოვახერხო, რომ საძრაგი აღარსაით მაქვს?.. ავასრულო მთავრობის მოთხოვნილება,—ხომ საუკუნოთ დავიტანჯე სუ-ლითა და ხორცით: ძმას, მეზობელს გამოვუსვი დანა ყელ'ში!... რას იტყვიან ჩვენები?... ბახვა ფულავა, პატიოსანი, მდიდარი მარჯვე კაცი ჯგირიკოჩამ დაღუპაო! არ ავასრულო?... მაშინ თანამდებობაზე ხელი უნდა ავიღო: მეც და ჩემი ცოლ-შვილიც

შიმშილით უნდა გაეწყვეთ! რაცლა ორი კვალი მიწა მაქვს, საუზ-მეთაც არ ეყოფა ჩემს წვრილშვილებს. მითხარი, ბახვა, რა მო-ვახერხო?.. როგორ ეიხსნა თავი ამ სახრჩობელადან ისე, რომ შენც არა გაგიჭირდეს-რა და მეც ჩემი თანამდებობა არ დავ-კარგო?...

ბახვას ისე მოეჩვენა ეს საბუთები, თითქოს იმ წუთას მისი ნამდვილი ღვიძლი ძმა ელაპარაკებოდა პოლიციის პრისტავის ენითა. ის გულ-ახლით გამოუტყდა ჯგირიკოჩას ყოველფერს: — ჩემი სიცოცხლე და სიკვდილი თქვენ ხელთ არის. რაც გინდათ, დამასაქმეთ, ოღონდ ამ გაჭირვებიდან გამომიყვანეთ. მე რომ ახლა დამიჭირონ, ჩემს დაბურდულ საქმეს მეტი არა უნდა-რა. ოცი კვირის განმავლობაში ისე წამიხდება საქმეები, რომ წყალში გადასავარდნი შევიქნები. ხორციდან დაწყებული სუ-ლამდის გამცლიან. ჩემი მონაგები, რაცლა ორი ფარაა, ქარში განიავდება.

— აბა, იცი, რას გეტყვი, ბახვა?... თუმცა ძალიან ძნელია, მაგრამ შენი გულისთვის გველის ხვრელში უნდა გაეძვრე. საჭი-როა ფული. უშისოთ არა იქნება-რა.

— რამდენი?... მიბრძანე...

ჯგირიკოჩა ჩააცქერდა ბახვას თვალებში. ბაჩუმდა. დიდ-ხანს არა უთქვამს რა. თითქოს გამოცნობას აპირებდა, რამდენი უნდა ჰქონდეს ბახვას დაბლში, რომ არც მეტი, არც ნაკ-ლები არ მოესთხოვოთ. მეტი თუ ეუთხარი, ეაი თუ იუაროს, გაქინდეს, უგვარო ძაღლივით კუდი ჯოხზე გადვას და აღარ ჩამოიღოს. ნაკლები თუ ეუთხარი, ეაი თუ მოტყუებული დავრ-ჩე, იმდენი ვერ ავიღო, რამდენიც შეიძლებოდაო. იყო ამ

გამოუცნობელ მდგომარეობაში: არც ,,ჰოს'' ამბობდა, არც ,,არას''

ბახვას სული კბილით ეჭირა. შნდოდა, მალე შეეტყო თავის განკითხვის დღის ვარამი.—ბძანეთ,—შესძახა ბახვამ მოუთმენელათ,—რატომ არ ამბობთ, რამდენია საჭიროა? თუ დახლში არ მექნა, თავი უნდა დაეიგირავო, ეიშოვნო.

პრისტავმა ეშმაკურათ გაიღიმა. იფიქრა, კარგი მოზდილი ქაშაპია ბადეში შესაგდებიო, და, როგორც გამოცდილი მეთევზე, შეყვა ნელნელა. ის აპარებდა ბადეს ცალ კიდეზე, რადგან დიდი თევზი ეგულებოდა დასაჭერათ. ეშინოდა, ან ბადეს არ ასცდეს, ან არ გაგლიჯოსო.

—მიბრძანეთ, ბატონო, რამდენია საჭიროა?—ბადაწყვეტილებით, განუმეორა ბახვამ.

—ღმერთო შენ ამოაგდე, შენ დაეც მეხი ჩვენს პოლიცმეისტერს,—მოჰყვა ჯგირიკოჩა თავისებურ წყეველას. მოგვინყლა მაგ არაწმინდა გაუმაძღარმა კაცმა. ჩვენს ვაჭრებს სინსილა აღარ დაუყენა სახლში. მის ოცი თუმანი წაართვა, ვის ოცდაათი, ვის ორმოცდაათი. ეს იმაზეა დამოკიდებული, ვინ რა სამძიმო საქმეშია გახვეული.

—მოდი, ბახვა, აქ.—ბადახვია ხელი ბახვას, მიიყვანა ოთახის კუნჭულში, საცა ცოტათ ბნელოდა, მაგრამ იმდენათ კი არა, რომ ნაწერი ვერ გაერჩია.

—სანამ შენ ჩემთან მოხვიდოდი,—განაგრძო ჯგირიკოჩამ,—პოლიცმეისტერმა ეს პაწია შავი წიგნი გამომიგზავნა. იმან გამოიღო უბიდან ორი ასპიდის შავი პაწია თაბახი, წიგნაკათ გაკეთებული. ერთ გვერდზე ციფრებით ეწერა ხუთასი მანეთი (500 მ.)

—ეს თვითონ მისი ხელით არის დაწერილი. თუ ამდენი არ

მოგცეს, ახლავე დაჭერილი წარმომიდგინეო. ჰა, რას იტყვი, ბახვა, როგორ ღვთის მტერი არ არის ის ურჯულო, ისა!?.. ღმერთო, დააქციე მისი ოჯახი. ამისთანა ბოროტ კაცს მაინც კარგი არა დაემართება-რა... რას ამბობ?.. მაგრამ დაიცა. შენ რომ კიდეც გაბედო, განა მე შენს დაქცევაში გაევრეევი?... მერე ამდენი ფული რომ დაგახარჯვინო, სადღა გამოეყო თავი, შენმა ქვეყნის კაცმა, შენმა მეზობელმა?... არასოდეს. რაც იქნეს, იქნეს. ეს არ შეიძლება.

ბახვამ იფიქრა: ეს ყოფილა ჩემი მამაცა და ძმაცაო. რა ღმერთი გამიწყრა, რატომ აქამდის არ ვიცნობდი ამ პატიოსან კაცსაო?

— ბატონო, დრო მიდის,—წამოიძახა მოუთმენელათ ბახვამ.— ჩემთვის ახლა თავისუფლება ისე ძვირფასია, ორი მაგდენიც რომ ეთხოვა, უნდა მეშოვნა, მეტი რა გზა იყო. მაგრამ ამ ქამათ შენი რისხვა არა მაქვს, მე დახლში ოთხასი მანეთის მეტი არ მქონდეს. ათი თუმანი მე თვითონ მჭირდება: მუშები მყავს ხვალ გასასტუმრებელი.

— ბანა არ ვიცი. მგეც რომ გქონია, ისიც ბარაქალა! სად არის ახლა ფული, ამისთანა დაცემულს ვაჭრობის დროს?... რომ კიდეც გინდოდეს, თვითონ დაგიშლიდი მაგდენის ფულის მიკემას. დეე, მიაბერტყე იმ უსჯულოს, ქრისტეს გამყიდველს, ეგ ოცდაათი თუმანი. თუ არ დასჯერდა, ძალათ დავაჯერებ. მართლა მაგრე ახირებულათ კი ნუ მიყურებს ის, პოლიცმეისტერია, თუ ვილაც ეშმაკი! მე ნუ გამაჯავრებს, თორემ იმის სახრჩობელა ბაწრის წვერები ხელში მიჭირავს. ბარე ხუთი ბარათი მაქვს მისი, ამისთანა საქმეებზე მოწერილი. რომ გამოვაშკარაო მეტი კი არა უნდა-რა. სადაც თავი აქვს, იქ ფეხს დავაკერეევინებ. შენ დარდი ნუ გაქვს, გული დაიმშვიდე. მაგრამ სანამ აქ საქ-

მეს ჩაეაქრობდე, შენ ფოთს თავი მოარიდე.

—ეი, ბატონო. ხვალ დილით მაინც იმერეთისკენ უნდა გიახლო. ახალ შეძენილ მამულში სახლს ვაშენებინებ, მუშები მყავს, ანგარიში უნდა გაეუსწორო. ახლა,ჩემო მწყალობელო, ეს ხუთი თუმანი მიირთვი, მეტი თან არ წამომიღია. დანარჩენს ახლაე მოგართმევ. ან მე თვითონ მოგიტან, ან სანდო კაცი გამატანეთ და მისი ხელით კონვერტში გამოხვეულს მოგართმევთ.

—ძალიან კარგი. ფარნა!—დაუძახა მოსამსახურეს. ამ დაძახებაზე ერთმა ტანმორჩილმა მეგრელმა შემოყო თავი.— წაყევი ბახვას. წიგნს გამოგატანს და მომიტანე.

—ეი, ბატონო.

ბახვა სიხარულისგან აღარ იყო, რადგან იმედი მიეცა, რომ ასე ადვილათ დააწვევდა თავს ხიფათსა. ის შეეიდა კონტორაში; მეორე ოთახში მის ბიძაშვილს ლხინი ჰქონდა გამართული. სიმღერა ისმოდა. ბახვას მოსვლაზე სიხარულის კიჟინა დასცეს, უნდოდათ—შუაში ჩაესვათ. მაგრამ იმან უთხრა, საქმე მაქვს და ახლაეე მოვალო. თავის ბიძაშვილს გასაღები გამოართვა, დახლი გააღო, იქიდან ოცდახუთი თუმანი ამოიღო, კონვერტში ჩასდო, ზეეიდან დააწერა, პოლიციის პრისტავს ჯგირიკოჩას საკუთარ ხელში მიერთვასო, მისცა ბიჭს კონვერტი და შეეიდა თავის ბიძაშვილთან...

—ჯგირიკოჩამ რომ ბახვა გამოისტუმრა, მერე მიეიდა სარკესთან სანთელ-ანთებული, ჩაიხედა შიგ და წამოიძახა: აი ბისმარკის შუბლი!—მიიდვა თითი შუბლზე.—ხელათ ოცდაათი თუმანი ავსწაპნე. Я Бисмаркъ, Бисмаркъ, Би—смаркъ!...-გამობრუნდა ღილინით და სანთელი ისევ სუფრაზე დადგა. მერე მოუკიდა პაპიროსს და დაიწყო ოთახში სიარული. ოტა ხანს იქით ფარნაც შემოეიდა და კონვერტი მიართვა.

—საწყალი ბახვა!..—წამოიძახა მოსამსახურის ბიკის გასაგონათ.—სულ უბრალოთ უნდოდათ დაეკირათ. თავს დაესდებ და იმას არაფის დაეაჭერინებ. მე ჩვენებურის კაცის მამა ვარ, მამა!... ფარნა, წადი, თუ გიყვარდე, სუფრა გაშალე და ეახშამი მოგვიმზადე.

ფარნა გავიდა და გულში ასე ამბობდა: „ჩემი ბატონისთანა კარგი კაცი ქვეყანაზე არ დაბადებულაო!“

## XXVII.

ბახვამ თავის ახალ შეძენილ მამულს თვალი გადააველო და იამა. მუშებს ბევრი რამ გაეკეთებინათ. ძველი დანგრეული სახლ-კარი განახლებული გამოიცქირებოდა. ალარც ჩამონგრეული სახლის კედლები იხედებოდა, ალარც გატიტვლებული ბუხრები, ალარც გაფოლორცებული გარემო. პირველ ნახვაზე ამ მამულში სოფლის წახირი ჭიანქველასავით ირეოდა. მას გადაეტკეცირა ყოველივერი. ლორებს ის ეზო სულ გადაეჩიჩქნათ და გადაეთხარათ. ჯერ ექვს თვესაც არ გაველო მას აქეთ, რაც ბახვა ფულავა დაპატრონებოდა ამ თავქფილაძის-სეულს ადგილ-მამულს და სახლ-კარსა; მაგრამ ყოველჯერს უკვე ეტყობოდა მზრუნველი მეპატრონის ხელი. ეს გაფოლორცებული არე-მარე ახლად გამშვენებული დაუხვდა. მთელის ეზოსთვის შემოველოთ ლრმა თხრილი, ზედ მაღალი სარის ლობე მოეყოლებინათ. ლობეს შიგნით იხედებოდა გახარებული ტირიფისა და აკაკის ხის ნერგები, ახლად მეჯოთლილი და შემწვანებული. ეზოში იდგა გასათიბათ დამზადებული ბალახი, რომელიც მინდერის ყვავილებით წითელ-ყვითელ შეკრელებულიყო, და მხიარულად ბიბინებდა ყოველ ნიავის შემოქროლაზე. მრავალ-ფეროვანი ყვა-

ვილებისაგან და ახლად გახარებულის თვის ვარდებისაგან ისეთი მშვენიერი სუნნელება იდგა, სამოთხის არეს მოგაგონებდა. ერთგან ჭიშკარი, ურთხელის ხის ანაგები, სისხლის ფერად ლაპლაპებდა. ხუთი თვალი ოდა შუა ეზოში ამართული, ახლად გადაჭედილი და წითლად შეღებული უზარ-მაზარის სოკოწითელას მოაგონებდა კაცსა. ოდის მახლობლათ დაედგათ საჯალაბო სახლი, ბოსელი და ორი სასიმინდე; იქვე ქველი ჭა ამოეწმინდათ და თავზე თლილის ქვის გვირგვინი მოედგათ. პირველს ორს დღე ბახვა დილიდგან საღამომდის ადგა თავზე მუშებს და დიდს სიამოვნებას სცდიდა, როცა მის თვალწინ მისი მამული შვენიერდებოდა; იმან ყოველიეე დაათვალიერა და რაც რამ აკლდა, იმის გაკეთებაც დაუბარა თავის მოჯარაეს; მერე ფული გადასცა მუშების გასასტუმრებლად და წავიდა აბაშისა და ტეხურის ხეობაში ახალ-მოქრილი კუნძების სანახავათ. ახალმა ოჯახმა გული გაუნათლა. ბზაზე მას იგონებდა და ზნიარულებდა. რაც აქ იმან ნახა, მართლაც დიდებულს თავადის შვილს ეკადრებოდა. თავის ყმაწვილობაში ბევრგან ყოფილა დადიანების, მხეიძეების, წულუკიძეების ოჯახებში, მაგრამ არც ერთს იმათგანს არ ჩამოუვარდებოდა მოწყობილობით მისი ახლად შეძენილი სახლ-კარი და მიწა-წყალი. რაკი იერემიას საქმე თავიდგან მოიცილა, თავის თავს ბედნიერად რაცხდა; მხოლოდ ამის ბედნიერებას გვირგვინის ერთი მშვენიერი, ცაებრ განსხვეებული ძვირფასი თვალი აკლდა, რომლის შუქიც დღე და ღამ იმის ოჯახის მანათობელათ უნდა ყოფილიყო. ეინ უნდა ყოფილიყო, ან რა უნდა ყოფილიყო ეს პატიოსანი თვალი? ვინც იმ წუთას ბახვას შინაგან ფიქრებს დაუკვირდებოდა, ყველა მიხვდებოდა, რომ ეს თვალი უნდა ყოფილიყო მისი ესმა. ამ ქალის ჯავრი ბახვას არ ასვენებდა. საცა უნდა ყოფილიყო,

სახე მისი ბახვას არ 'შორდებოდა. მისი ცოცხალი სურათი ბახვასათვის ის იაგუნდის კვერცხი იყო, რომელიც მზეკაბუკს წინ უგირავდა, სდევდა და ვერ დასწვეოდა. აი ამ წუთას ბახვა 'მედიოდა ტეხურის მდინარის პირად, ხშირი დობილო ვზას უმდილავდა და სიცხეს არ აკარებდა. ალი მხრით მდინარის ტეხურის შუბილი ართობდა, მეორე მხრით ალვის ხის ტალავარი, რომელიც მესრად ჰქონდა შემოყოლებული ხშირს მოსახლეთა სახლ-კარსა; იმათში რამოდენიმე თავადის შვილის ეზოებიც იყო. ზოგან შაშვის 'მტვენაც ისმოდა, ზოგან წყლის პირად თეთრი ყანჩა წამოფრინდებოდა წინ, ხან მისი შავი მერანი დაიფრუტუნებდა, თითქოს ჩქარის ნაბიჯის სიარულით მოლალულიყოს და ღონის მოკრეფა სდომოდეს. ხან-და-ხან მის აფსაზურათ დაწნულს ტყავის მათრახს გახდებოდა ტკაცანი შავის მერნის გვერდებზე. ცხენი ყალხზედ დგებოდა, წინ გახტებოდა და ამ რიგათ ართობდა თავის მხედარს; მაგრამ არც ეს შვენიერი დიდებული ბუნება, არც ტეხურის შხუილი, არც თეთრის კლდის ნამზეევებზე მარგალიტის გადმობნეა ტეხურისა, არც თვით მისი შავი ბედაურის ამაყი ტარება და შემაქცევარი გახტომ-გამოხტომა არ აეიწყებდა ესმას სინარნარეს, რომელიც ამ დროს მის გონების თვალებს თილისმის კვერცხივით წინ მიუგორავდა. მას მუდამ თვალ-წინ ედგა ესმას ლაზათიანი თამაში, მისი მერცხლისებური ნავარდობა, მისი მწყერული გოგმანი, მისი სირონოზის ხმა და ჩანგურზე განაზებით დამღერება. ამ ფიქრებში გართობილმა ბახვამ ცხენს სადავე სრულებით მიანება, იცოდა, რომ მის მერანს გზა არ დაებნეოდა, ამ სეობაში ს'მირათ იყო ნასიარულევი. ოთხ ხანს შემდეგ მის ხალისიან ფიქრებს შემოერია სამძიმოცა. ბახვა დაუკვირდა იმ დღის ბერემიას უტიურობას. ,,როგორ გაბედაო, ივიქრა გულში—

ცეკვაში ხელის წელზე მოხვევა მისი? ვაი, დედაო, რატომ ფე-
რდში არ ვკარი ხანჯალი!“ ჯერ იმ ერთ ხიუათსაც არ გადარ-
ჩენილიყო და ახლა ისე გააბრაზა ამ წარმოდგენამ, რომ იმას
ნანობდა, ცოცხალი რათ გადაეარჩინეო.“ ნუ თუ იმას უკლე-
ბა ჰქონდა რამე ესმაზე, ვინ იცის... იმ დღეს, აკი, ჩემმა ძმის
წულმა მიამბო, ესმა ერთ'ელ იერემიას დაუჭერიაო, როცა ის
სახლში მინავალა და უკოცნიაო; მე მაშინ ჩემს ძმის წულს
გავუწყერი, მეორეთ ალარ თქვა მაგისთანა სიტყვები მეთქი. ეგ
შეუძლებელია, რომ მომხდარიყოს მეთქი, ჭორს ნუ აყვები მე-
თქი.“ იმან ჩაიცინა და გაჩუმდა. ვინ იცის, იქნება ეართალიც
იყოს, იქნება იერემიას ესმასთან რამე კავშირიც დაეჭიროს!...
აბა, ასე უტიფრად როგორ მოეკიდებოდა ახალგაზდა, უცხო
ქალს, იმისთანა სიტყვებს როგორ ეტყოდა, რაც იქ იერემიამ
წამოროშა?!.. არა, არ შეიძლება. ესმას უმანკო სახეს ამისთანა
უზნეო მოქმედება არ ეკადრება და ვერც მოახერხებს. იერემიას —
თვის სულ ერთია, ვინც უნდა ნახოს, ნაცნობი, ან უცნობი.
თუ კი მოეწონა, ყველას აგრე უტიფრად ექცევა.... თუ ასეა,
მაშ იმ შემთხვევის შემდეგ ესმასთვის კიდევ უფრო საჭიროა
ჩემი მფარველობა. ვინ იცის, უკაცურს, ქვრივ-ობლის ოჯახს
რა დაემართება, მეტადრე პირველმაისობის ჯარიანობის შემდეგ.
იერემია ახლა განზრახ ეცდება რამე სისაძაგლის მოხდენას.
სხვა რომ არა იყოს რა, მარტო ჩემი მტეროობით იზამს რასმე
უსინდისობას!... ამისთანა ფიქრებისაგან თან — და — თან უფრო
შეეშმუხვნა სახე ბახვა ფულავას; მისი გონება აიმღვრა, შაეი
სისხლი თვალებში ჩამოაწვა — და ახლა რომ შეეხედნა ბახვას-
თვის კაცსა, ასე იტყოდა, ან ვინმე მახლობელი უნდა მოკდო-
მოდეს, ან დიდი რამ ბოროტება უნდა ექმნასო. მზე დასავლე-
თისკენ დაიწურა, აგრილდა, შაეს ჭვიბიის მთებს ნისლი გაეკრა

და ეს ნისლი თან-და-თან ქვეეით იწეოდა ჭაჩხურის სიეიწროეეში, საიდგანაც ჭაჩხურის ხეეი მოაჩხრიალებდა თაეის ანკარა წყალსა. ამ დროს ბახვას ცხენიც ჩაეიდა ტეკურში, გზაც იქით მიყეებოდა, მაგრამ ცხენმა ფონს ეელარ უსწორა, ჯერ ისმოდა წყლის ჩხაპუნი, მერე ქვებზე ცხენის ფეხების გრიალი, უცბათ წყალმა ცხენს გვერდზე მოუსვა პირი; ამ დროს ცხენმაც მაგრად წაიფორხილა; ბახვა მხოლოდ ცხენის წაქცეეის შიშმა გამოარკვია შაეის ფიქრებისაგან. იმან სადაეე მაგრად დაუკირა, მათრახი შემოკრა, ცხენი მოსკიმა და უცბათ გააგდო მეორე ნაპირას. მერე კრა ქუსლი, ერთი ეწრიანი ბეგი შეარბენინა და ტყის პირად ლილო მინდორზე კარეებთან მიაგდო. აქ ეყარა მრაეალი კაკლის კუნძები. შორს ,,იშ,'' ,,იშის'' ძახილი ისმოდა და აჩეჩა ურმების ჭრიალი. ეტყობოდათ, მუშები კუნძების ზიდვაში იყეენ. ბახვამ მიაგდო ცხენი ეაცხასთან, რომელშიაც ცეცხლი ენთო და კარდლით (*) ლომი იყო კაკვზე (**) ჩამოკიდებული, ეტყობოდა, ვახშამს ამზადებდენ.

ეაცხიდან გამოეიდა ერთი მუშა ბიკი რომელიც ვახშმის საკეთებლად დაეტოეებინათ შინ.

—მოდი ცხენი ჩამომართეი, — ბრძანების ხმით უთხრა ბახვამ. სხეები სად არიან?

—კუნძებს ზიდეენ, ბატონო. აგერ კიდეკ მოდიან, ურმების ჭრიჭინი და ხარების რეკა მოისმის.

—აქ მახლობლად თხის ჯოგი არსადა დგეს?

—ეი, ბატონო. მეკრელები გასლეან ქვეით ჭაჩხურის პირად დაბინავებული.

(*) კარდალი—ბარბაბა ხბალენბის ქვაბი

(**) კაკვი—ხის საქვაბე.

—აბა შენ გაზდას, ეს სამი მანეთი მიეცი და ერთი კარგი ერეკვალი ამოიყვანე, ამალამ დაგვიკალი, ზოგი მოხარშე, ზოგი შეწვი—მუშები მომშეული იქნებიან.

დაბინდდა. ის იყო ცხენიდან გადმოხტა ბახვა და მის პრიკაზჩიკმაც მოატანა.

—ოჰ, ბეკოიას გაუმარჯოს!

—ღმერთმა ვაცოცხლოს.

—როგორი მუშაობა გაქვთ?

—დაეხოცეთ, ბატონო, მეტი აღარ ვართ, ზოგგან სულ არ არის გზა, ზოგგან ისეთი დალმართებია, რომ კუნძი გადმოგვეგორება, ხარს წელზე დაეცა და წელი მოსწყვეტია.

—კუნძები თუ მაინც კარგები გამოვიდენ?

—კუნძები კარგები არიან, ზოგი იმისთანა სხეილებია, თითოს ერთი ულელი კამბეჩი ვერ ზიდავს ბარის გზაზე.

—ბაათავეთ, თუ ჯერ კიდევ ბევრი გაქვთ საშუშაო?

—ბევრი აღარა გვაქვს-რა. ჩამოვზიდეთ, მარა გვეყო, დავწყდით შეც და მუშებიც; ტყეში ფხლარწუნით ტანისამოსი აღარ შემრჩა. დაგერჩა ერთი ოცი კუნძი ტეხურის ხეობაში, მაგრამ იმასაც მალე ამოვიტანთ. თუ დარები გვეჭნა, ამ ორ კვირას მათხოვჯს ჩაბოვზიდავთ. მერე კი უნდა მოგვამეელოთ ხარ-ურმები.

—მაგის დარდი ნუ გაქვს, ოცდაათ ულელს ხარ-კამბეჩს დაგახვედრებთ მათხოჯს.

—კარგი დაგემართოს,—დაბოლოვა ბეკოიამ.

ბახვას გულში იამა ამისთანა სიმდიდრის ხელმი ჩაგდება. თვითონვე ხედავდა, რომ კაკლის კუნძები ძალიან მოზდილები იყვენ, მოასწრო კიდეკ ბნელაში ოთხმოც კუნძამდის დათელა. ეს მთელი სიმდიდრე იყო მისთვის. ჩავიტან თუ არაო ამ კუნძებს ზოთში, მაშინვე მივყიდი ბერძნებს, ნახევარს ფასს

წინ-და-წინ გამოვარბენილ და მაშინვე ესმაზე დავიწერ ჯვარსაო— თქვა გულებაში და გაცხარულდა.

—აბა, ბეკო, ერთი კარგი ერკემალი დაგვიკალი ამალამ. უნდა მოვილხინოთ, მუშები დამშეული იქნებიან.

—ის კი არა, ბატონო, ტყავი გაძერათ ხელებზე საწყლებს. ძალიან ჯაფაში არიან და ფულიც დაუგეიანდათ.

ხვალვე დაეუთელი ყველას ჯამაგირებს. ამალამ არაყი ხომ გაქვს? ღვინო ხომ არ გამოგლეკია?

—ღვინო კი გამომელია; მარა არაყი მაქვს კიდეე ნახევარი ეედრა.

—არა უშავს-რა, ეასვათ მუშებს ამალამ. მე ხვალ წავალ და ამ კვირაში ყოველ ერს ბეერს გამოგიგზავნი.

—ძარგი დაგემართოს.

იმ ღამეს ძალიან კარგათ შეექცენ. მუშებმა ბახვას სადღეგრძელო დალიეს, „კუჭხა ბედნიერიც“ ბეერი იმღერეს. ბახვა ცდილობდა მოლხენით ყოფილიყო; მაგრამ ხან-და-ხან სახეზე მოწყენილობა მაინც ვადაკრავდა. იმას ძალიან ჩაებეჭდა გულში ესმას დარდი. რაც უფრო ხანი მიდიოდა, ისე უფრო აფიქრებდა ბახვას ერთი საქმე: „ღმერთი არ გაუწყრეს იერემიას, იმ გაბრაზებულს გულზე ესმა არ მოიტანესო. იმ ღამეს თითქმის ჯავრით ალარ დაუძინია. მეორე დღეს ალიონზე წამოვარდა ზეზე. ბეკოც გაალვიძა, ცხენი შეაკმაზინა, მუშის ფულები დაუთვალა, საკუთარ საჯარჯოთაც დაუგლო ორი თუმანი. შეჯდა ცხენზე და გამობრუნდა ისევ ზოთისკენ.

## XXVIII.

სალომე ძალიან ყურადღებით კრებდა ყოველნაირ ამბებს, რაც კი ბახვას შეეხებოდა. მის წასვლას შემდეგ იმან თითქმის

მთელი ფოთის ქალაქი შემოიარა. ნაცნობსა და უცნობს ყველას იერემიას ამბავს კითხავდა. უნდოდა შეეტყო, ძველი ხომ არა იყო-რა იმის ჭრილობაში, ან საქმე ხომ არ ატეხილა რა გამოსაძიებელი. ერთხელ პოლიციაშიაც შეიხედა და იქ ნაცნობ დესიატნიკს საიდუმლოთ გამოკითხა იერემიას ჭრილობაზე პოლიციას ხომ არაფერი მიზეზი გამოუძებნია-რა ბატონისთვისო!"

—,,რაებს მკითხავ, ქალო?—უპასუხა აგდებით პოლიციელმა.— მას აქეთ მე კიდეც დავბერდი. ვის ახსოვს, ან ვის რა დარდი აქვს, სადღაც ვსადნიკს ჩინდარი შეესო ფეხში. იერემია ისე დადის დრუჟინაში, როგორც უელია! ეს კი გავიგონე, ვითომ იერემიას დრუჟინაში აღარ აყენებენო; დამოკნის მთავრობას აზრი აუღია, რომ, რაი იერემია ფოთში გაჩნდა, კონტრაბანდის შემოტანამ იმატაო. დამოკნის უფროსს წინადადება მიუცია, ან ეგ ვსადნიკი დაითხოვეთ სამსახურიდგან, რომ მისი ფეხი ფოთში აღარ იყოსო, ან ლაგირიდან ნული გამოუშვებთო. ეითონ დრუჟინის უფროსს უთხოვნია მისი გამორიცხვა, როგორც ცუდის გავლენის მქონის ყოფაქცევისა. ვინ იცის, აწ საქმე როგორ გათავდება? ეს კია, რომ იმას ფოთში აღარ დააყენებენ." ამისთანა ამბებით გახარებულმა სალომემ შეუხვია შვილის სანახავათ მადამ სალისთან და ეს შეტყობილი ამბები ყოველივე მოუყვა. ესმის იმა, რადგან თვითონ ძალიან ეშინოდა მისი; შეზობლებისაგან ხშირათ მოსდიოდა რჩევა, მარტო ნუ დადიხარ ფოთის ქუჩებში, ნამეტურ საღამოობით, თორემ იერემიას დაუქადნია შენი მოტაცებაო. ნეტავი მალე გადაიყვანდენ აქედან მაგ სიძაგელ კაცს; როგორც სიკვდილი, ისე არ დამენახება თვალით ეგ ურჯულო, არაწმინდა!. საზიზღარია.—ბულის არევით ამბობდა ესმა.—იმ ერთ კვირაში თითქო სულ გამოიცვალა. უწინდელი უმანკო და უდარდელი სახე სულ სხვანა-

ირათ შეეცვალა. მისს დიდრონ თვალებს რაღაც საიდუმლო ბრძოლა და ცხოვრების ჭირგადახდილობა დაეტყო; თვალის უბეები გარშემო უფრო მიებნიდა თითქოს ფიქრისა და უძილობის გამო. მისი ტუჩები შეიკრა; ზედ ვარდი აღარ ეშლებოდა და აღარც მარგალიტებს ისხამდა. მთელს მის სახეს მოწყენილობის ალი დაეკრა და ბრძნული გამომეტყველება მიიღო; მისნი დაკრძალულნი ბაგენი უსიტყვოთაც თითქოს ამას გეუბნებოდენ: ,,რაკი გულში ერთი რამ ამოვიქერი და ერთი ესთქვი, იმას აღარ გადავსთქვამო.'' ისეთი სამძიმო რა მოხდა მის ცხოვრებაში, ან ისეთი რა იყო, რომ ამისთანა დიდი ცელილების ბეკედი დააჩნდა მთელს ესმას არსებას? ეს იყო მისი პირველი გულის შეტოკება, რომელსაც, მისი ფიქრით, არ თანაუგრძნეს. აი, ამის გამო მისს სიყვარულის კუკურს მოხვდა მარტის ყინვა, რომელმაც უდროოთ დასძრა და დარეოილა იგი. ესმას ღრმათ აღძრული გულის თქმები ძალიან მიეესგაესებოდენ ტყის ძღარბსა (ბუბგრა), რომელიც დიდის კრძალვით გამოყოფს თუ არა წინა ფეხებს სასიარულოთ, უეცრიე დაფრთხება მოულოდნელი ფოთოლთ შრიალითა და ისევ შეიკუმშება თავის ეკლიან სამოსელში...

მადამ სალი სიყვარულით და მოწიწებით ვამოეგება სალომეს. თუმცა ის ძალიან ცუდათ ლაპარაკობდა ქართულს, მაგრამ მაინც გულმა არ მოუთმინა და ფრანგულ გატაცებით აცნობა მას ის აზრი, რაც ესმას მისთვის გადაეცა. ,,ჩვენ ერთათ... ერთათ... ერთი ქვარტირა... ერთი მას მოსამსახურე. ძალიან კარგი, ძალიან.. შენი ქალი—ჩემი ქალი.. შენ დედა,—მე დედა... ეს ჩვენი შვილი''—უჩვენა თითით ესმაზე.

სალომე ყოველჯერს მიუხვდა, რადგან ესმას, წინდაწინვე ჰქონდა ნათქვამი, რომ მადამ სალის შეეუამხანაგდები კერეაში

და ერთათ ეიდგომებითო. ამ აზრმა მაშინაც მხიარულების ჟრუანტელი მოგვარა სალომეს, როცა პირველათ უთხრა ესმამ; მაგრამ, როგორც ჭირში გამოელილ ადამიანს სჩეევია, არაფერი სჯეროდა. ის როგორ წარმოიდგენდა, თუ მადამ სალი, რომელიც ასე კარგათ სცხოვრებდა და კარგი შემოსავალიც ჰქონდა, მის საწყალ შვილს გაუზიარებდა თავის საქმეს.

,,— მე ბებერი, შენი ქალი ახალგაზდა. მე შინ დაჯექი....—ეგ გარეთ იარე... ფული ბევრი... ბევრი... ჰა, ჰა, ჰა!... ბადიხარხარა მადამ სალიმ სიამოვნებით. სალომესაც გაეცინა, ერთი იმის გამო, რომ ჩიქორთული ქართული ესმოდა, მეორე იმის გამო, რომ წინ დამყუდრებულს ბედნიერ ცხოვრებას მოელოდა. ის კარგა ხანს დარჩა მადამ სალისთან, ერთი ფინჯანი ყავაც დალია, მერე გამოეთხოვა, გაკოცნა თავისი შვილი, მადამ სალიცა—და დაბრუნდა შინისაკენ სრულებით ბედნიერი.

თუმცა ესმას გარეგანი სახე გაბრძენებული და დაწყნარებული ჰქონდა, მაგრამ მისი შინაგანი არსება სულ სხვა ნაირათ წარმოებდა; იმდენი განუსაზღვრელი უსიამოვნო, უჯერი წადილი და გულის თქმები დახვეოდენ თავზე, რომ სულ გზა დაებნიათ. არ იცოდა, რა ექნა, რა გზა უნდა გაეკვლია მომავალ ცხოვრებისათვის; რაც უნდა წარმოედგინა, არაფერს არ ჰქონდა მის გონების თვალში ნამდვილი ღირსება და სიხალისე. ,,არ ღირს ცხოვრება,'' წამოიძახებდა თავისთვის ნაღელიანათ. ,,რისთვის, რა არის ამ ქვეყანაში კარგი?... არაფერი; მუდამ მტრობა, ერთმანეთის დაუნდობლობა! გულახდილათ ვერავისთან გილაპარაკნია, ვერავისთან გაგიმჟღავნებია შენი გულის წადილი. ასე გაგიგონია? ყველა შენ დაგცინის, უნდა შენი მარტივი გონების გულის პასუხი შეიტყოს და მერე უწყალოთ

გაქელოს. რა ღირსება აქვს ჩვენს სიცოცხლეს, როცა ერთი გულითადი მეგობარიც ვერ გიშოვნია! სწორეთ არ ღირს ცხოვრება იმ ნემსის კურწის სიფართო მხიარულებისათვის, რომელიც ჩვენს მწუხარე ცხოვრებას გამოერევაო''. ამისთანა ფიქრები აღეძრა მას აქეთ, რაც გულში გადაიწყვიტა: ,,მე ჩემის შრომით და ჩემი ხელსაქმით უნდა გავიტანო თავიცა და დედა-ჩემიცო''. მაგიერათ, ამ გადაწყვეტილების შემდეგ, უფრო გაუტკბა ესმას თავის დედის სიყვარული. დაუწყო დედას ალერსი და სიყვარული, ხშირათ გამოკითხავდა ხოლმე მის ვაისა და ვარამსა. მისთვის ერთათ-ერთი სანუგეშო ესღა დარჩენილიყო ცხოვრებაში: მშობელის პატივისცემა და იმის ბურჯათ ყოფნა. მაგრამ მისი ამისთანა მოქცევა დედას ძლიერ აჯავრებდა. იმას სიზმრათ გადაექცა ამ ბოლოს დროს შვილის ასეთი ქალაჩუნობა. ცხოვრებაში კარგათ არ ჰქონდა დაცდილი ამისთანა ამბავი. ,,ბანა შენიანის სიყვარულის მომატება მის მალე დაკარგვას ნიშნავსო''. ამიტომაც დაუხშირა ღმერთს ვედრება; თავის ლოცვებში მუდამ ასე ამბობდა: ,,ღმერთო, უბედურება ამაშორეო''.

მეორე ძვირფასი და მუდამ გულიდან ამოუცილებელი არსება იყო სალომესთვის ბახვა ფულავა. მუდამ იცოდა თავის მეზობლებში და ნათესავებში იმაზე ლაპარაკი; ნამეტურ ესმას რომ ნახავდა, არ შეიძლებოდა, რომ ბახვაზე არ ჩამოეგდო ლაპარაკი. ,,შვილო, ესმა!—გახურებულის სახით მიმართა ერთხელ სალომემ, მადამ სალისთან რომ იყო,—ბახვას მთელი ერთი თავადიშვილის ყოფა-ცხოვრება და მიწა-წყალი ჩაუგდია ხელში!. თურმე შვენიერათ მოურთავს ეზო, გარემო! ისეთი ოდა გამოუჯვიმავს, რომ არც ერთს დადიანს არ უდგასო მისთანა. ღმერთმა მისცეს''.—იმას ეგონა, ესმას ძალიან აამებდა

ბახვას სიმდიდრით; მაგრამ ესმამ კიდეე უფრო მოიწყინა; მის გულს ყოველი სიტყვა ბახვას შეძენაზე და მის ახალ სიმდიდრეზე მდულარე წვეთებათ ეცემოდა. იმას ერჩია, ბახვას ტანმრთელობასა და მარჯვე მუშა ხელებს გარდა არაფერი ბადებოდა, მაშინ იქნებოდა ესმა ბედნიერი; მხოლოთ მაშინ შეეძლებოდა უშიშრათ ხელი გაეწვდინა მისთვის სამუდამო სამეგობროთ. ახლა რა! ბახვა მისთვის დაკარგულათ ითვლებოდა. ყოველი მისი მომეტებული მანათის ქონება ბახვას უზომოთ აშორებდა ესმასთან. ამისი აზრით არაფერი საერთო არ უნდა ყოფილიყო იმასა და მდიდარს ბახვას შორის. ის კი არა, ნატრობდა კიდეც, რომ ბახვას შეეწყვეტნა დედა მისთან სიარული. თუმცა ეს ასე იყო, მაგრამ მის თავს ბახვაზე ფიქრები მაინც არ სცილდებოდა. ეს იყო რაღაც ვანუკელეველი სულის მტანჯავი შავი ფიქრები, რომელნიც ასე აცალიერებდენ და ამარტოებდენ ესმას გულს და მის ცხოვრების შინაარს.

## XXIX.

ღამის თერთმეტის ნახევარი იყო, როცა შოთის მახლობლათ რკინის მატარებელმა დაშტვინა. ბახვას კონტორაში ჯერ კიდეე არ ეძინა მის ძმისწულს. მატარებლის ხმა რომ გაიგონა, უნებურად წამოიძახა: იქნება ბიძაჩემი მოვიდაო!. ძალიან დააკვიანდა. ამდენს ხანს ჯერ არ დაჰგვიანებია- ვინ იცის, რა უჭირს!... თუ ამალამაც არ მოვიდა, უსათუოთ უნდა მივაკითხო. ცოტას ხანს იქით დაიწყეს ფაიტონებმა რიხინი. ერთი მათგანი უცბათ გაჩერდა კონტორასთან და თან მოისმა ხმა: ,,ბოშო!... ვინა ხარ შინ?—კარი გამიღე! ბახვას ძმის წულმა ხმაზე იცნო თავისი ბიძა. ახტა უცბათ, გააღო კონტორის კარი და უპასუხა:

,,მადლობა ღმერთს, ძლიერს არ მოხვედი? ამაღამ კიდევ გიყურებდით და მერე მე თვითონ ვაპირობდი წამოსვლას შენ საძებრათ. ვინ იცის, ცუდი დროა, ეშმაკს თვალი არ უჩანს...''

ბახვა რაღაც გარეწრათ მოექცა თავის ძმისწულს, უთხრა ხურჯინი შეატანინეო. თვითონ შეეიდა კონტორაში, სუფრაზე დაუწყო რაცლას ძებნა, ეგონა—წიგნი იქნებოდა სალომესი, რომელიც შეუცხადებდა მას რაიმე უბედურებას. მაგრამ წიგნი ვერა ნახა რა. ერთხელ კიდევ გადაავლო თვალი სუფრას გარშემო. მერე კი გაბედა თავის ძმისწულთან საუბარი.

—ფარნა (ასე ეძახდენ მის ძმისწულს), როგორ ხართ?... ფოთში რა ამბავია?

—ძარგი. ჩვენი სიმინდი მოვიდა, ასე, ათ ნავამდის. სხვებიც მოდიან.

—შენ ეს მითხარი—მოუთმენელად ეუბნებოდა ბახვა,—უბედურება ხომ არავის შემთხვეევია ფოთში. ან ხომ არავინ მომკვდარა, ან თუ სხვა რამე ამბავი შესანიშნავი ყოფილა ჩემ შემდეგ. მითხარი, ნურაფერს გამოტოვებ, ამოდენი ხანია არ ვყოფილვარ. ჩემთვის ყოველიფე საინტერესოა.

—რა გითხრა, რაც არა ბომხდარა—რა?

ბახვას უნდოდა სალომეს ამბის კითხვა, მაგრამ რაღაც ასირებული რამ აბრკოლებდა: უნდოდა კითხვა და ვერც ეკითხა; ცალკე ცუდი ამბის გაგონების ეშინოდა; ცალკე იმისი რიდი ქონდა, მე და მის ქალზე იქვი რამ არ ჰქონდეს აღებულიო და არ დამლინოსო.

ფარნა კი თითქოს მიუხვედა ნამდვილს მიზეზსა და გაახსენა იერემიას დაკრილობა: იფიქრა, ალბათ ბახვას უნდაო შეიტყოს პოლიციაში და სასამართლოში იმისა და იერემიას ჩხუბზე საქმე ხომ არ არის დაწყებულიო? და კითხვის პასუხად ასე მი-

უგო: Იერემიას გამო არასფერი ამბავი აღარ ისმისო. ეშმაკსა და ქაჯს ჭრილობა რას უზამს. თურმე მესამე დღეს სამსახურში წავიდა და რომ კითხეს, ჩხუბი რათ მოახდინეო, თურმე უარი სთქვა. რომ დაგკრესო?... არც დავუკირეართ და ხელიც არავის უხლია ჩემთვისო. იმის გამო არაფერი ამბავი აღარ ისმის, პოლიციასაც დაეწყებული აქვს.

სანამდის ამაებს ლაპარაკობდა მისი ძმისწული, ბახვას საშინელი გულის ძგერა მოსდიოდა, ეგონა, აი აგერ იტყვის: Იერემიამ ესმა მოიტაცაო და აი აგერ?...

რაკი ამაზე ფარნამ აღარა თქვა-რა, გული დაუმდა, მადლობა ღმერთს, ყოველივე კარგათ უნდა იყოსო—იფიქრა გულში. ამას შემდეგ კითხა ფოთის ეაკრობის ამბავი, სიმიდის მაზანდა და სხვა ამისთანები. მისმა ძმისწულმა ყოველივე დაწერილებით უამბო. ამ ლაპარაკში შუაღამე შემოეპარათ. ბოლოს მოისვენეს. მისმა ძმისწულმა ტკბილი ძილი გამარჯა, ხან-და-ხან ცხვირის ნესტოებით სტვირსაც უკრავდა. არ ეძინებოდა მხოლოდ ბახვას. იმ ღამეს ბახვა სულ ესმაზე ფიქრობდა. იმას სული მისდიოდა, სანამ სალომეს და ესმას ნახავდა, ძის დღეში ამისთანა მოუთმენელობა მას არ შემთხვეია. იმას თვალწინ უდგა Იერემიას ავკაცობა, მისი დამუქრება, მისი უზნეო გულის თქმები, რომელიც ქინის მოსაკელელათ საკუთარს დასაც არ დაინდობდა. მინ იცის, იქნება ამაღამაც ჰქონდეს მას მოწყობილი საქმე ესმას მოსატაცებლათ. ამისთანა ფიქრებით გაბოროტებულს ბახვას მხოლოდ მეორეთ მამლის ყიეილზე მიეთვლიმა; სულ ძილში არ იყო, რაღაც ძილის ბურანი თავს დახვეოდა, გრძნობდა, მის გარემო რაც ხდებოდა ოთახში: ან მისი ძმისწული სად იწვა, ან როგორ ხვრინავდა; მაგრამ ამასთანავე თავიც ისე დამძიმებოდა, რომ ვერ გამორკვეულ-

იყო: ძილში იყო, თუ ღვიძილში. ამ დროს იმას წარმოუდგა, ვითომც იერემია თავის ამბანაგებით მიიპარება ღამის ბინდში სალომეს სადგომისკენ. აი, აგერ მიუახლოვდა სახლს. პატარა ოთხ-შუშიან ფანჯარაში სანთელი ანთია; ფარდა ჩამოშვებულია; ფარდას იქით ლანდი ინძრევა, ბახვამ ცხადათ იცნო ამ ლანდზე ესმას წელწერწეტი ტანი. იერემია მიკიდა ფანჯარასთან, ხელი დაუკაკუნა. ოთა ხანს იქით გაიღო ფანჯარა. რას ხედავს ბახვას თვალები?!... ესმა გადმოიხარა ფანჯრიდან, იერემიამ შემოხვია გულ-მკერდზე ხელები, გადმოიტანა და მოყავს ღამეში. ბახვა ხედავს ამას ყოველ-ფერს, უნდა გამოეკიდოს, მაგრამ მუხლები ეკვეთება; რეოლვერი ამოიღო, შეაყენა ზედა ფეხზე, უნდა დააცემინოს, მაგრამ ჩახმარი არ ეცემა. რა ქნას?!.. ამაზე უფრო უბედური მდგომარეობა განა იქნება კიდევ? შენს თვალწინ შენი მოსისხლე მტერი გტაცებდეს საყვარელს, გატენილი დამბაჩა გქონდეს ზედ ფეხზე შეყენებული, გინდოდეს გასროლა, მტრის მოკვლა, მაგრამ დამბაჩა არ ეარდებოდეს... მტერს კი შენი საყვარელი მიყავს, გშორდება. სასოწარკვეთილებისგან გინდა დაიყვირო: მჰ!... მჰ... ჰეი!... მართლაც ამ დროს ისეთი ამოიბღავლა ბახვამ სიზმარში, რომ თვითონაც გაიღვიძა და ძვისწულიც გააღვიძა, რომელიც წამოვარდა ზეზე გაფოცებული და შესძახა: ბახვა, შენ ხომ არ დაგიყვირიაო?!—ბახვამ დარცხვენილის ხმით უპასუხა:

— კი, მგონია, მე დავიყვირე!... ეს ოხერი სისხლი მომაწვა ყელში, კინაღამ დაჭარჩო. მაჯლაჯუნას რომ იტყვიან, სწორეთ ეს უნდა ყოფილიყო.—შარნა გადაბრუნდა და ერთი წამიც არ გასულა, ისევ ხვრინი ამოუშვა. ბახვა კი ადგა, თითქოს დასარწმუნებლათ, ის შავი სიზმარი მართალი იყო, თუ არაო; გავიდა გარეთ. ალიონი მოტანებული იყო. აღმოსავლეთისკენ დილის

ვარსკვლავი სასიამოვნოთ გამოკიაკობდა; მამლები მესამეჯერ ყიოდენ, შორს ზღვის ქოთვა ოდნათ ისმოდა. ქანდელის წითელ-ყვითელი სინათლე ზოლ-ზოლათ იბნეოდა რიონში და მრავალნაირათ პრიალებდა.—რა კარგი ტკბილი ღამეა, ღმერთო! შენს მოწყალებას კაცი არა ღირსა!—ამ სიტყვებით პირჯვარი დაიწერა ბახვამ და შებრუნდა ისევ ოთახში. იმან მტკიცეთ გადასწყვიტა: ხვალ დილით ადრიანათ უსათუოთ ვნახავ სალომეს, გამოვუცხადებ ჩემს გულის წადილს, სალომეს ნიშანსაც გადავსცემო. მე თუ ესე არ მოვიქეცი, ფიქრები დამაბნევენ, მეტი მოთმინების თავი აღარა მაქვს. ვინ იცის, კაცს მტერი არ მოეშლება. ამდენ ყოყმანში შეიძლება უბედურებამ წინ მიმასწროს. ბადაწყვეტილია, ხვალ უნდა დაენიშნოს ჩემი ესმა.—ამ ფიქრებს შემდეგ უცებ ჩაეძინა და, სანამ მზე კარგათ არ მოიარა, აღარ გამოღვიძებია; მისი ძმისწული კი დიდი ხანია ფეხზე იყო და საქმობდა.

---

ბახვას ნახვამ წარმოუდგენელი სიხარული გამოიწვია სალომესი. ის მეტის სიხარულისავან ხელებს იცემდა გულში: დედა, ნანაია, შენ შემოგეველოს სალომეს თავი. მე სასოებაც დამეკარგა, ეაი თუ ეღარც გნახო—მეთქი. ხომ შეიდობით ბძანდებით, ხომ კარგათ მოიარეთ?... ნანაია, ნანაია, რა მხიარული დღე გამითენდა!... ერთი სიტყვით სალომე სიხარულათ გადიქცა და თვითონაც არ იცოდა, რას შერებოდა. ხან ტაშს უკრავდა, ხან ხითხითობდა, ხან მარჯვენა ხელს თავზე ეელებდა, ეითომც იმის ნიშნათ, რომ შენი პირი წამიღიაო. როდესაც ამ პირველმა წამმა მათის შეხვედრისამ ვანელო, ბახვა დაჯდა ტახტზე; სალომე მაინც ფეხზე იდგა მის წინ და ჰყარტალობდა.

—ესმა რასა იქს?... ქიდევ მადამ სალისთან მეშაობს?—კითხა ბახვამ.

—დედა, ნანაია! ჩემი ესმა ახლა ქალი შეიქნა, ქალი?

—როგორ თუ ქალი!—შეკრთომით გაიოცა ბახვამ.

ქალი, აბა, ქალი! გაუმეორა სალომემ.—ის ახლა მადამ სალის ამხანაგია. იმათ სამკერვალო ერთათ აქვსთ. სახლიც ერთათ გვინდა დაეიჭიროთ. მადამ სალიმ ესმა, როგორც საკუთარი შვილი, ისე შეიყვარა. ესმა იელის ზომების ასაღებათ; შინ ეინც მოეა, იმათგანაც ესმა მიიღებს საკერავებს, და, რაც შემოუეათ, ერთათ ვაიყოფენ. პირველათ ესმამ მისცა მადამ სალის ამის აზრი, და ისიც დათანახმდა. რომ ნახო, ველარ იცნობ ჩემს გოგონას, იმისთანა კარგი ქალი დადგა ამ ორ-სამ კვირაში. სულ გამოიცვალა, დაბრძენდა! დედაო, მეუბნება, მე შენ ალარაფერს გაგაკეთებინებო, შენ ქალბატონათ უნდა მყავდეო. მისი ჭირიმე, სულ ჩემს სიამოვნებაზე ცდილობს... მე ან რაღა მიკირს, ბახვა! ბედნიერი ვარ. ბედნიერი!—ბახვამ ცხვირი ჩამოუშვა. მოითოეული სალომეს სიტყვა ეკალივით დაესო გულზე. იმას სრულებითაც არ მოსწონდა ესმას შეეხანაგება მადამ სალისთან. რა კერეა, რის კერეა, ვინლაც გადმოთრეული ფრანგის ქალი ბებრუცანა აგდია, სად მისი ამხანაგობა, სად ესმა? მე ჩემს ესმას დილის სიო ეარ მინდა მივაკარო და შუადღის სიცხე; თავადიშვილის ოჯახში მინდა ის გავადედოფლო, და ეს დედა მისი რას როშავს! სულ გამოტეინებულა უბედური. უნდა ნემსითა და ლიანდაკებით ხელები დაუჩხელიტოს, ოვალებში სინათლე უდროოეოთ გამოუშრიტოს.

—რას მოგეუყინა, ბახვა? განა არ ვიხარია, ჩემმა გოგონამ რომ ამისთანა კარგი საქმე იშოვნა: თვითონაც ქალბატონურათ იკსოვრებს, მეც ქალბატონათ მაცხოვრებს, ფულსაც შეიქენს?!...

— რას მელაპარაკები, სალომე? მაგას შენგან არ მოველოდი; სადაური ქალბატონი! ძერვით, უდროოთ წელი უნდა მოიწყვეტოს, ხელები ნემსების ჩხვლეტით დაიბეჭოს, თითებზე ბებერაები გაუჩნდეს, უდროოთ თვალების სინათლე დაიბრიტოს... რას მეუბნები, ადამიანო? დიდა ხარ: მიკვირს, როგორ არ გეცოდება შვილი. რათ გინდა, ის უბედური უდროოთ საფლავში რომ ჩასდო. დღეს რაღაც ორი კონკილა მუშტარი უშოვნია მადამ სალის ღა, ვგონია, ხვალაც ეყოლებათ. ორ წელს იქით შიმშილით მოკვდებით თქვენც და მადამ სალიც!

— რატომ, გენაცვალე, ბახვა! ჩვენ შრომის შვილები ვართ, შრომით უნდა დავრჩეთ. ღმერთი მოწყალეა, კარგ მკერვალ ქალს მუშაობა და მუშტარი არ გამოელევა. ნამეტურ ხელსაწყო სამკერვალო მაშინებიც თუ აქვს გაწყობილი; მოდების ანგარიშები და მოხდენით გამოწყობა თუ იცის, ვისი საქმე გაწყაზრებულია; ჩემი ქალი ამაში ძალიან დახელოვნებულია.

—კარგია, სალომე, თავი დამანებე, თუ ღმერთი გწამს, მაგეებს ნუ გამაგონებ.

— მაშ—რა?—გაკვირვებით კითხა ბახვას სალომემ და სახეზე დააშტერა თვალები.

—რა და—ესმა ჩემი უნდა იყოს.

—როგორ თუ შენი?—კიდევ უფრო გაკვირვებით გაალო თვალები.

—მე უნდა შევირთო შენი ქალი.

ამ სიტყვებზე უეცრათ ღაპა-ღუპით წამოუვიდა სალომეს ცრემლები თვალებიდგან. იმან შემოხვია ორივე ხელი ბახვას კისერზე, ჩაუდვა თავი გულში და ტირილით ეუბნებოდა: შენ შემოგველოს, ბახვა, ჩემი სიცოცხლე! ესმა ერთი უბრალო მკედლის და ისიც სალდათის გოგო შენი ღირსი როგორ გახ-

ლება? არა, არა, მაგას ნუ იზამ, შენისთანა კარგ ბიჭს, შენოდენი ქონებით, თავადიშვილი არ დაგიჭერს ქალს. ჩვენ ისე გვიყურე, როგორც ობლებსა და ტიალ-ოხრებს! შენს მუარველობას ნუ მოგვაკლებ, ჩვენ მეტი არა გვინდა-რა. ჩემი მსმა შენი საკადრისი არ არის და ნურც გინდა ის: აეია, თავისნება გოგოა, ის შენი სასიამოვნო არ იქნება.

—ეს ჩემი საქმეა. მე შესმაოთ ცხოვრება არ შემიძლია; თავს მოვიკლავ, ის თუ არ შევირთე.

ამისთანა პასუხზე სალომეს ეეღარა ეთხრა-რა, მხოლოდ ცრემლებით ირეჩობოდა. მაგრამ ეს არ იყო მწუხარების ცრემლი. ეს იყო ისეთი ნეტარი მდგომარეობა სალომესთვის, რომ, თუ არ ტირილით, სხვით ეერაფრით გამოსთქვამდა თავის ნეტარებას.

—ეარგი, თავი დაანებე მაგ ტირილს!—უთხრა ბახვამ და მისი ხელები მოიშორა.—ახლა საქმეზე ვილაპარაკოთ. აი, ეს ნიშნები მიეცით მსმას ჩემს მაკვირვათ. მან განიერ-ჯიბიდან ამოიღო ერთი მოზდილი კოლოფი, გაალო და ამოიღო ერთი სამაჯური, ოგუნდებით მოწყობილი, ერთი ოქროს საათი, ბრილიანტებით მორთული, და ერთი გულის ქინქისთავი, რომელსაც თბილის სისხლ ზურმუხტი ქონდა ჩასმული.

ეს ძვირფასი ნივთები ბახვას დიდი ხანია გირაოში დარჩენოდა ერთის პოლკოვნიკისაგან, რომელიც ყვრილი ცოლშვილის პატრონი ყოფილიყო, სამსახურიდან დაეთხოვნათ, რუსეთს მინავალიყო და, წასასვლელი ფული რომ შემოკლებოდა, ბახვასთან მისულიყო და გირაოთ მიეცა ის ნივთები. ამ სამა ნივთში ბახვას ესესხებია მისთვის ოცდათი თუმანი, თუმც თითოეული ნივთი ღირდა იმ ფასათ.

—რა ექნა, არ ვიცი: როგორ ეუთხრა ეს ამბავი მსმას!—იმე-

ორებდა სალომე.—საშინელი თავისნება გოგოა. რაკი მადამ სალის შეუამბანაგდა, გათხოვებას ველარ გაუმხელს კაცი.

ბახვას ესმოდა ეს სიტყვები, მაგრამ ყურადღება არ მიაქცია, რადგან ამას სულ სხვა ნაირათ ქონდა წარმოდგენილი ესმას გულის პასუხი. იმას არ დაეიწყებოდა პირველ მაისს მისი მწვავე და გულის გასაგმირი თვალების ჭვიტინი. იმ დღეს შემდეგ ბახვა ცხადათ დარწმუნებული იყო, რომ ესმას გული მას ეკუთვნოდა, მას აქვეთ კი ისეთი არა მომხდარა-რა მისის აზრით ესმას ცხოვრებაში, რომ ცოტაოდნათ მაინც შერყეულიყოს ბახვას დარწმუნება.

—სალომე, გთხოვ, ახლავე წახვიდე მადამ სალისთან. ესმას აცნობე ჩემი მოსვლა. აბ სალამოს შენთან მოიყვანე. ნიშნები ჩემს მოსვლამდის არ გადასცე, ნურც რაისმე გაეკეთელ. სალამოს მეც მოვალ და ერთად მოვილაპარაკოთ. ჩემი ახალი სახლკარი მზათა მაქვს. რადგან ბევრი საქმე მაქვს, ბარემც მეჩქარება—ჯვარი დაეიწერო და შინ დაგაბინაოთ. მე ეს უთქვენობით ბევრი საქმე მისდება.

—ძარგი, ჩემო ცხოვრებავ, ჩემო მოუფიქრებლათ ნახულო შვილო; როგორც შენ მიბძანებ, ისე ვიქ ყოველ-ფერს.

— შვიდობით, ნანა!

—ღმერთმა შვიდობა ნუ მოგაკლოს, ჩემო ნანაია!...

ამას შემდეგ ერთი საათიც ველარ მოვიდა სალომე თავის გონზე.

ეს უკანი ბედნიერება იმას სიზმარი ეგონა. მადამ სალის შეამბანაგება ამ მოულოდნელს ბედნიერებასთან ისე დაეჩრდილა მის გონებაში, რომ კიდეც რცხვენოდა, ასე როგორ აკერცეტა ორი ფროშის შოვნის იმედმა, რომ მართლაც ვინღაც უგვარო და უფესვო დედაკაცთან უნდოდა შეამბანაგება და მისი

ალალ ბედზე ცხოვრების გაზიარება. ,,დაიკარგოს იქით'', წა მოიძახა გულგახეთქით სალომემ, — ახლავე გაიქცევი და მოეიყ-ვან ჩემს გოგუცანას, ჩემს ქენქრეჯას. მე იმისთვის უკეთესი ბედი მაქეს ნახული. ახლა კი მჯერა ზლაპარში რომ არის ნათქვამი: ,,იმედი მომეცი და თუნდ სანაპველაზე დამსვიო!'' ბედია ყოველიფერი, ბედი! ღმერთო, არ ეღირსვარ შენს მოწ-ყალებას. ამ სიტყვებს შემდეგ სალომემ სამჯერ გამოისახა პირჯვარი, აიღო ნიეთებიანი ყუთი, ჩაკეტა თავის ზანდუკში, მოისხა შალი, ბიჭი შინ დასტოვა სამზარეულოში საქმელების ყურის საგდებათ და თვითონ მოკურცხლა მადამ სალისაკენ.

შედგა თუ არა ფეხი სალომემ მადამ სალის სამკერვა-ლოში, იმას მოეგება ესმა მხიარული სა'ით, რომელსაც, ის იყო, მომრიგებელი მოსამართლის ცოლისათვის ტუნიკიანი კაბა გამოეკერა და შეკერვას ერთ თუმნათ გარიგებოდა. — ნანაია!.. სად ყოფილხარ?.. — რა მიამა შენი მოსვლა? უნდა გითხრა, როგორ გავიცანი მომრიგებელი მოსამართლის ცოლი. რა კარგი ქალია, რომ იცოდე? შევედი თუ არა, მიმიღო, ისე მიმი-ღო, როგორც ერთი ვინმე პატიესაცემი ჩინოვნიკის ქალი. დამსვა დივანზე, გამომკითხა ჩემი ვინაობა, ყავა დამალევინა, ძითხრა, რა კი შენ ამხანაგი გამზდარხარ მადამ სალისო, ძა-ლიან ბევრს მუშტრებს გიშოვნიო. ოღონდ ეცადე, კარგათ გა-მიწყვე ჩემი ტუნიკიანი კაბაო. მეც დავპირდი. მე მეგონა, შვიდი მანეთის მეტს არ მომცემდა, ასე მქონდა დაბარებული მადამ სალისგან, მეტს ნუ გამოართმევო; მაგრამ იმან პირ აქეთ თუ-მანი დამინიშნა, თუ კარგათ გამიწყობო. ისეთ ნაირათ გაუწყობ ამ კაბას, ნანაია, რომ, როგორც ჩამოსხმული, ისე დაადგეს ტანზე.

სალომეს სრულებითაც არ ეპიტნავებოდა თავის ქალის

ლაპარაკი. ის მოუთმენლათ ელოდა, როდის გაათავებდა ესმა კაბაზე ლაპარაკსა. ბოლოს აჩქარებით უთხრა: იცი, შვილო, ბახვა მოვიდა! შენი ნახვა სურს. ამ საათში თავი დაანებე ყოველიფერს და წამოდი. ამ ამბის გაგონებაზე ესმას ფერმა გადაკრა. ცოტა შეჩერდა. მერე თქვა: ნანაია, მადამ სალი შინ არ არის. ვის უნდა დავუგდო სამკერვალო? ასე დამიბარა, ფოშტაში მივალ, წიგნებს მოვიკითხავ. იქნება ცოტა შემაგვიანდესო, შენ ყური უგდე აქაურობასა.

—არა, შვილო, აჰ, რომ არ წამოხვიდე, არ იქნება. ბახვას შენი ნახვა ძალიან სურს, ძალიან. როგორც მოვიდა, მაშინვე შენ გიკითხა. მე ეუბნარი შენი შეამბანაგება მადამ სალისთან, იმან თავი მოიკლა.

—რატომ, იმას რა დარდი აქვს?—გაკვირვებით კითხა ესმამ.

—ალბათ რომ დარდი აქვს და ბევრსაც ფიქრობს შენზე.

ესმამ არა უთხრა-რა. ბაჩუმდა, ცოტა არ იყოს, დედას პირი მოარიდა.

—შვილო, ჩქარა წამოდი, მეჩქარება, სახლი ბიჭის ამარა დამიტოვებია.

—უმადამ სალისოთ, ამ სახლს ვერ დავტოვებ. წადი, ნანაია, მერე მოვალ.

—არა, არა, ახლავე უნდა წამოხვიდე.

—ახლა ვერ წამოვალ, საქმე მაქვს. ამ ახალ მობარებულ საკაბეს რამდენიმე განი უნდა გავუკუდო მაშინვე. ძალიან საჩქაროა. ზეგისთვის უნდა მოვასწრო. წადი, ნანაია, სანამდის მადამ სალი მოვიდოდეს, ამ საქმესაც მოვრჩები და მერე წამოვალ.

—არა, შვილო, მე შენ აქ ვერ დაგტოვებ. ერთი რამ შენი გასახარებელი ამბავი მაქვს გადმოსაცემი; მაგრამ სანამდის შინ არ წამოხვალ, ვერ გეტყვი.

ესმას გულმა რაღაც ახირებულათ დაუწყო ტოკვა. ძალიან უნდოდა შეეტყო, რა ჰქონდა დედას მისთვის ამისთანა სასიხარულო რამ გადმოსაცემი. მაგრამ თავი შეიმაგრა, არც კი კითხა.

სალომე, ცოტა არ იყოს, ესმას ამისთანა მოქცევამ შეაშიერა: ვაი, თუ იუაროსო ბახვას ნიშნები. შეეშიერდა, თითქოს იგონებდა სხვა რამ საშველებას, რომლითაც შეეძლო გაოჩნებული შვილი თავის ნებაზე დაეყოლებინა.

დადგა დედასა და შვილს შორის მძიმე სიჩუმე. შვილი ვერც ბედავდა დედისთვის ეკითხნა, რა იყო ამისთანა მისი გასახარელი ამბავი და თავიდანაც არ სურდა ეთქვა კითხვის აზრი. დედასაც ალარ უნდოდა დაეჭირებინა შვილისთვის შინ წაყოლა, რადგან გამოცდილი ყოფილა შვილი ურჩობაში. იცოდა მისი ხასიათი, რაკი ერთხელ რასმეზე უარს იტყოდა, მერე რაც უფრო ჩასცივებოდა კაცი, ისე უფრო გაკერპდებოდა და თავისას არ დაიშლიდა. ამ სიჩუმეში რომ იყვნენ დედა და შვილი, უცებ შემოაღო კარი მადამ სალიმ, სიყვარულით მიესალმა სალომეს, ხელი ჩამოართვა. მერე ესმა გადაკოცნა და კითხა მომრიგებელი მოსამართლის ცოლის კაბის ამბავი. ესმამ უამბო ყოველივერი; მადამ სალის ძალიან იამა პირველი ნაბიჯი თავის ამხანაგისა, ასე კარგათ გადადგმული. სალომემ ალარ აცალა იმათ ლაპარაკი, სთხოვა მადამ სალის ნება მიეცა ესმასთვის იმ დღეს შინ წაყოლოდა. ესმამ თავი ჩაჰკიდა და არაფერი უპასუხა. მადამ სალიმ უთხრა: თუ გინდა, წადი შვილოო.—ეს კაბა ზეგ უნდა მოვასწრო და დღეს თუ კაბის განები სულ არ შეეცუდე მაშინაზე, როგორ მოვასწრებო?

—არაფერია, შვილო,—უთხრა მადამ სალიმ ფრანგულათ. —მაგაებს მე გავათავებ დღეს, შენ წადი, დედა რაკი გთხოეს.

—Დიახ, ეთხოე. ძალიან საპირო საქმეცა მაქვს, მადამ. დიდ მადლობას შემოგწირავთ, თუ გამოუშვებთ. უმაგისოთ არ შემიძლია შინ დაებრუნდე.

—წადი, შვილო, წადი.

ესმა ადგა და მოემზადა წასასვლელათ.

სალომე მხიარულათ გამოეთხოვა მადამ სალის და ბევრი ბოდიშებიც უთხრა; მაგრამ ამასთანავე ისიც გამოუცხადა, რომ მისი ქალი სვალ დილამდის ვერ დაბრუნდებაო.

—ძარგი, ძალიან კარგი,—ღიმილით უთხრა გულკეთილმა ფრანგის ქალმა და შეიკეტა კარები.

ესმა მიდიოდა დედასთან შინ და მის გახარებულს საუბარს სრულებით არ აქცევდა ყურადღებას, ან თუ აქცევდა, გარეწრად. ხან-და-ხან იმის კითხვაზე პირ-და-პირ პასუხსაც ვერ ეუბნებოდა. მისი გონება შეკვალა თავის ახალ გამოწყებულმა საქმემ. ის წარმოიდგენდა, თუ ზეგ რანაირი გულმხიარული სიამაყით წავიდოდა მომრიგებელი მოსამართლის ცოლთან, ჩაცმევდა თავის ხელით გაწყობილს კაბას. მომრიგებელ მოსამართლის ცოლიც სიხარულით აჭყარტალდებოდა, როცა შვენიერათ გაწყობილს კაბას ტანზე მოირგებდა. დაუწყებდა ესმას ქებას; ათ მანეთს გარდა ერთ მანეთსაც საკუთრად იმას აჩუქებდა; მერე გავარდებოდა ქ. ფოთში ესმას სახელი, როგორც შვენიერი მკერვლისა; ყველას ამასთან და მადამ სალისთან მოაქეთ საკერავები; ის კი არა, ბურიისა და სამეგრელოს თავადის შვილის ქალებიც ქუთაისის მაგივრად, ფოთს ეგზავნიდენ ესმას სახელზე ჩასაცმელ საკაბეებს შესაკერავათ. ამ სახით მადამ სალი და ესმა მალე გამდიდრდებოდენ; თავის საკუთარს სახლებს იყიდდენ ფოთში; მერე, როგორც მადამ სალი ეუბნებოდა ხოლმე ესმას, საფრანგეთში წავიდოდენ, პარიკს ნახავდენ;

იქ ადგილობრივ საუკეთესო ტანისამოსის მკერვლებს და დიდი მაღაზიების პატრონებს გაიცნობდენ. შეისწავლიდენ უკრო დახელოვნებით მოდებს; მერე, როგორც მადამ სალი ეუბნებოდა, ქალაქს გადავიდოდენ ტანისამოსებისა და დიდის საკერავლო მაღაზიის გასამართავად. აქ კი ისინი იცხოვრებდენ დიდკაცურათ. ამაებს რომ იდგენდა თვალში ესმა, რასაკვირველია, დედა მისიც სულ სახეში ყავდა. იმას თუ რითიმე ასიამოვნებდა ეს დიდებული ფანტაზია, მხოლოდ იმითი, რომ ამ წარმატებით დედამისი სალომე იქნებოდა გაბედნიერებული.

ეს იყო ესმას უმანკო გულისათვის უმაღლესი ჯილდო ამ ქვეყნათ... მაგრამ რა!... მაი, თუ ყველა ეს მომავალი ბედნიერება ერთმა უზნეო და თავისებურმა სიანახლემ სულ ცეცხლში ჩასწვას. ვინ იცის, იქნება მომრიგებელი მოსამართლის ცოლს მისი გაწყობილი კაბა სულ არ მოეწონოს, ყოველჯერი დაუწუნოს, კაბა თავში ახალოს ესმას, აღარც ფული მისცეს, ცხვირის წინაც კარი წამოუკეტოს. მაშინ რაღა პირით მიბრუნდება მადამ სალისთან. ისიც რასაკვირველია, აღარ ინდომებს მის შეამხანაგებას. ესმა ისევ უნდა დაბრუნდეს თავის დედის სახლში და, ვინ იცის, ვისიმე ბერემიასთანა ავაზაკის სხვერპლი გახდეს და თავის დედასაკით დაჩაგრული შეიქნეს ცხოვრებაში. ამ შავ ფიქრებში გამოერეოდა ბრწყინვალე სახე ბახვასი შორს, თითქო მჯარველ ანგელოზათ, ბერემიასთანა ავი კაცების ხელიდან დასახსნელათ. ის გაყვა პირველ მაისის შემთხვევის სურათებს, თავის საკუთარი გულის აფეთქების ამბავს და ამ დროს თავი გაიქნია, თითქოს ცუდი ფიქრების მოსაშორებლათ; გულში კი ასე ჰფიქრობდა: ვინ მე, ვინ ბახვა, მდიდარი, გაკეთებული, პირველი შოთის ვაჭარი.—არა, მე არა... ან მადამ სალისთან უნდა შევამხანაგდე, ან თავს მოვიკლავ. მე გათხოვება არ

მინდა, მე ჩემი ხელით უნდა დავრჩე და ვარჩინო საწყალი ჩემი დედა... ეჰ, რა იქნებოდა ბახვა, რომ ერთი შეეძლო სალი, იმისთანა მარჯვე ყოფილიყო, როგორც ახლა არის, მაგრამ ლარიბი. მე მაშინ იმას გაუწვედი ულელს; მე და ის მართლაც მაშინ შევიყვარებდით ერთმანეთს. ახლა კი ბახვა იქნება ისე მიყურებდეს, როგორც იერემია, თავის ქინის მოსაკვლელათ. არა, ღმერთმა დამიფაროს მაგისთანა უვულო კაცებისაგან. არა, მე, არა!... ჩემ ნანაიასთან მირჩევნია... ამისთანა ფიქრებით შეცული ესმა მხოლოთ მაშინ გამოერკვა, როცა შეეიდა შინ. სალომეს კი პირდაპირ სამზარეულოს მიმართა, ბიკის სანახავათ, უნდოდა შეეტყო, პატარა ბიკს ხომ არა წაუხდენია-რა, ან არ დაუწვამს, და ან არ დაუქცევიაო.

ესმამ მოსასხმელი და ქოლგა თავის კრაოტზე დადვა, შლიაპა პატარა სასამკაულო სუფრაზე, თვითონ კრაოტზე ჩამოჯდა ჩაფიქრებული. ფიქრებისაგან მიბნედილი მისი მაყელის თვალები გამოშტერებულიეთ გაიცქირებოდენ პაწაწა ფანჯრისკენ, შორს-შორს. ვინ იცის, ეის უყურებდენ, ან რა სურათი ეხატებოდათ.

—ესმა, ჩემო ქენქრეჯავ, მოდი, სადილი ვჭამოთ.

—ნანაია, ძალიან დავიღალე და კიდეც მომშიდა; ღღეს ბევრი ვიარე, სანამდის შენ მოხვიდოდი. მოვრიგებელი მოსამართლის ცოლის სახლი შორს არის, ბუხტის მახლობლათ,—თქვა ესმამ ზანტათ და აიღო სულგუნის ნაჭერი.

—ჰა, ჩემო გოგუცანა, კიდევ სულგუნის ნაჭერი, გაახვიე ლომში. მე რომ ვიცოდი შენი მოსვლა, კარგი ახალი წიწილი შეკიწვი, ბროწეულგადასხმული, ღომი გავაკეთე; ჭამე, ჩემო გოგონა. მე რომ ამბები ვიცი, შენ ბედს ძაღლი არ დაყეყს, ყორანიც არ დასძახებს.

ნანაია, თქვი, რა ბედია, ან რა სამხიარულო ამბავი გაქვს ჩემთვის?

—არა, ჩემო ქენქრეჯო! მაგრე ადვილათ ვერ გადმოგცემ; თუ დამპირდები კარგ საჩუქარს და მუდამ ჩემი მორჩილი იქნები, არაფერში აღარ მიწინააღმდეგებ, რასაც გეტყვი, ყოველფერს თუ დამიჯერებ?...

—როდის არ დაგიჯერე, ჭკვიანი რამე თუ გირჩევია?-მსიარულად უპასუხა ესმამ.

—ჰამე, შვილო, სადილი; მოესწრები, ღმერთმა მოგასწროს ყოველიფერი ბედნიერება, ჩემო ერთად ერთო სიცოცხლევ და სიტკბოებავ. ნასადილევს გეტყვი და ვიჩვენებ ყოველფერს.

ესმამ აზრი ვერაფერზე აიღო, რა უნდა ყოფილიყო. მსოლოთ ფიქრობდა, იქნება ბახვამ რამე მოუტანა საჩუქრათ დედას და მეცალა, როგორც უწინ იცოდა ხოლმე.

სადილი რომ გაათავეს, სალომეამ დაუძახა თავის პატარა ბიჭს, რომ ალაგებაზე მოხვარებოდა. ყოველიფე უკეთ ჩაზიდა სამზარეულოში. სუფრა კუთხეში მიდგა, ბიჭს იატაკი ჩამოახვეტინა, მერე ჩაიყანა სამზარეულოში, საჭმელი მისცა, დაუბარა, ნასადილევს ჭურჭლები დაერეცხა, თვითონ შემოვიდა შინ, კარები მიკეტა და ესმას დაუძახა.

—ესმა, ახლა კი უნდა განახო სანახავები. ბააღო ზანდუკი, ამოიღო ნივთებიანი ყუთი და შეიტანა ესმას ოთახში. ესმა მივარდა ყუთს, ახადა თავი და გაიოცა.

—უი, ნანაია?... ეს რა ამბავია! ეს რა ძვირფასი ნივთებია!... დედაია. დედაია, დედაია!—დაუკრა ესმამ ტაში გაოცებით.

—ეინ მოგცა ეს ქვეყნის სიმდიდრე, ვინ?... ჰა, მითხარი! ეს რა ამბავია?... სალომეა იდგა და მხიარულათ დაყურებდა შვილის სიხარულს.

ესმამ ამოიღო ოქროს სამაჯე, იაგუნდებით მორთული, ხელზე გაიკეთა და გაუწოდა დედას ხელი, თითქოს ახარბებსო, მერე ბრილიანტის საათი ამოიღო, ახადა თაეი, ყურზე მიიდეა, მერე მისი ოქროს ჯაჭვი გადიცვა თავზე. ზურმუხტის ქინძისთავი კი გულზე დაიბნია.

— მითხარ ნანაია, რითია ახლა ეინშე დადიანის ქალი ჩემზე უკეთესი?

სალომემ გადაიხარხარა.

—ნეტაი ჩემი იყოს ესენი! თქვა ესმამ, ჩაიხედა სარკეში და მერე მიუბრუნდა დედას, თითქოს ნიეთებს ახარბებსო.

სალომემ ჩაიკრა გულში თავის ქალი, დაკოცნა და ეუბნებოდა: შენია, შვილო, შენი!. აბა, არ იცი, რომ შენია!

— როგორ დედა? კითხა გაკვირვებით ესმამ.

- ესენი შენი ნიშანია; ბახვამ მოგიტანა და შენი თავიც მთხოვა.

— შიმე, ნანაია, რა მესმის! უწინამც სიკვდილი შენს ესმას!... უცებ წაიძრო სამაჯური, მოიხსნა საათი, ამოიღო მკერდზე მიბნეული გულის ქინძისთაეი, საჩქაროთ ჩაყარა ისევ ყუთში, თითქოს მოწამლული ყოფილიყოს, მიჯდა კუთხეში და იძახოდა: ,,არა... მე,... არა! ახლაეე მიუბრუნე, ნანაია, ბახვას. მე არ მინდა!".

— რას მელაპარაკები, ქალო! გაგიჟდი? ბედი ღმერთმა მოგცა და შენ უარზე დგახარ?... ჯერ შენი ხელით გამომკერი ყელი და მერე მითხარი მაგისთანები.

-- არა... არა... ახლაეე მიუბრუნე, თორემ მე გაეიქცეეი მადამ სალისთან.—სალომემ იკოდა თავისი ქალის ხასიათი: რაც უფრო დაუჯინებდა კაცი, უფრო გაკერპდებოდა. მეტი ღონე არ ჰქონდა, ფერება დაუწყო.

"შეილო, ძალას მართლა ეინ დაგატანს. აარ გინდა, ნუ გინდა. მაგით ბახვას თავის ბედი არ დაეკარგება. ბრალი ჩვენი, რომ ღვთის ანაბარათ უნდა ვიწოწიალოთ. ბოლოს ეინ იცის, ან შენ რა დაგემართება, ან მე.—ამაებს რომ ლაპარაკობდა, თვალებზე ხელი მიიფარა სალომემ და ლაპა-ლუპით გადმოყარა ცრემლები.

ესმა ადგა და თავის ოთახში შეიკეტა კარები.

იმან წარმოიდგინა ის მომენტი, პირველ მაისს შინ რომ დაბრუნდა და უგულოთ გამოეთხოვა ბახვა, მერე შეპირდა და იმ ღამეს აღარ მოვიდა, მერე მთელს ორ კვირას სად იყო და სად არა, კაცს ამბავი მისი აღარ შეუტყვია. ბანა შეიძლება, კაცი გრძნობდე, რომ ვისმე უყვარდე, ნამეტურ იმისთანა ქალს, რომელიც შენ საუკუნო მეგობრად გინდოდეს გახადო, და ასე გულცივად მოექცე, როგორც ის ჩვენ იმ დღეს მოგვექცა?... განა ეს, ამისთანა შემთხვევა, შესაძლებელია?... რამდენი არ ეხვეწა იმ დღეს დედაჩემი, დარჩიო, ქუდიც კი დაუქირა, მაგრამ იმან ყურადღებაც არ მიაქცია მის ხვეწნას. მერე მე შეეხვეწე... ნეტავი არ შემეხვეწნა და მიწა გავსკდომოდა. ისე გაეუტიფრდი, ხელიც არ მიეკარ, როცა ეპირებოდა წასვლას. ის მიმიხვდა და შემომხვდა დაცინვებით. მიმიხვდა, რომ მინდოდა მისი დარჩენა. მერე რა ქნა? ისე მომექცა, როგორც ურცხვ დედაკაცს ექცევიან. მისი ცივი გული, მისი დამცინავი პირის სახე ამას მეუბნებოდა: მე ახლა შენი დრო არა მაქვს, მე ჩემს აფსონებში მიმეჩქარებაო... მერე იყოსო, როცა სურვილი მოვიკა, მაშინ მოვალ და მაშინაც მიმიღებ, მაშინაც მზათ დამხვდებიო. ალბათ გულში ამბობდა: ,,თავფლი იყოს, ბუზი იერუსალიმიდან მოვაო'' აი, ასე გარყვნილი და უგულონი

არიან კაცები. ბახვა გრძნობს, რომ ფულიანი, შემძლებელი კაცია, გრძნობს, რომ ჩვენისთანა ღარიბის ქერიე-ოხრის შვილებს ფულით, საჩუქრებით იყიდის და რა ენაღვლება, რა დარდი აქვს ჩვენი?... როცა იმათ სურთ, ჩვენც მაშინ ვიქნებით იმათი. აი, ამიტომაც, იმას არც კი უკითხავს ჩემთვის არაფერი. დედის ჩემისათვის დაუტოვებია ნივთები და კიდეც გადაუწყვეტია, რომ ჩემს გულს ამ ნივთებით იყიდის. უწინამც სიკვდილი ესმას, სანამდის მე ბახვას ეგ არ ვაფიქრებინო! მეყოფა, რაც უტიფრობა პირველმაისობას თემში დაეუმტკიცე, როცა ჩემთან ითამაშა, როცა საზიზღარი იერემია შემოგვერია და, როგორც უნამუსო დედა-კაცს, ისე წამატანა წელში ხელი.... სოროსკიპოში რომ დედაკაცებზე წაიკიდებიან მთვრალი კაცები, ისე წაიკიდენ ჩემზე; მერე მეც ისე უტიფრად მოვიქეცი, რომ ბახვას მარტო გამოვყეი შინ. რასაკვირველია, ამას შემდეგ ის ჩემზე გლახა აზრს შეადგენდა. იქნება ისიც იფიქრა: იერემია ჩემი კარგი დაახლოებული ნაცნობია. რატომ მე იმ დღეს მიწა არ გამისკდა, სანამდის თემში წავიდოდი. იმ დღის შემთხვევა რომ არ ყოფილიყო, მე მაგდენს შეურაცხყოფას ბახვა ვერ მომაყენებდა, ვერა. აწ რაღა ვქნა? რით ვიპატიოო ჩემი თავი, ჩემი სინიდისი, ჩემი გრძნობა?... უბედური ქალი! რამდენი დაუმსახურებელი უპატიურება აქვს მიყენებული. რა ვქნა? რა მეშველება, რით უნდა დაეუმტკიცო ბახვას ჩემი გულის პასუხი? ვაი მე, ვაი მე, ვაი მე!—ამაებს რომ ფიქრობდა, უცებ გაისმა ტკაცანი. ესმამ შემოიკრა თავში ხელი და მოყვა სასოწარკვეთილებით ტირილსა. ოტირა, ოტირა, ოტირა იმდენი. რომ თავი ასტკივდა.

სალომე ამ დროს კარს უკან იყო მიყუდებული და ქალიშვილის წუწუნი ესმოდა. ბულგახეთქილი და იმედდაწმენ-

დილი, ის ფიქრობდა თავის უბედურს მომავალზე. აარ იცოდა, რა ექნა? რა ნაირად უნდა ეთქვა ეს ამბავი ბახვასთვის? ქაცის გულს რაღა გაამთელებს, ქალი რომ ამისთანა შეურაცხყოფას მიაყენებს. ერთი რომ ჩემს შვილს აწ ბედი არ ეღირსება, მეორე რომ დაეკარგე შვილზე უფრო შვილი, გაზდილი, ჩემი პატრონი, ჩემი ყურის-მგდებელი.

ამ სახით შვილი რომ კედელს იქით სთელიდა თავის თავს შეურაცყოფილად და თავს იმტერეედა, დედას კი კედელს აქეთ ცეცხლი ედებოდა და ვერა მოეფიქრებინა რა, როგორ გამოსულიყო ამ უსიამოვნო მდგომარეობიდან.

ამ დროს მოისმა ქუჩაზე ფეხის ხმა. სალომემ უცბათ ამოიწმინდა ნამტირალევი თვალები, შესძახა ესმას: შვილო ესმა, ბახვა მოდის, ნამტირალევი თვალები არ შეგნიშნოს, თორემ ყელი გამომქერი და ის იქნება. ესმამ მართლაც უცებ კარები გაალო, სახეზე წყალი შეისხა, თმა დაიეარცხნა, გასწორდა და ამ დროს ბახვაც შემოვიდა.

სალომე მიეგება წინ კარებში.

—ნანაიას გაუმარჯოს. რას შერები. ესმა აქ არის?—ჰკითხა ბახვამ.

სალომემ თავი დაუქნია. ბახვა შეაცქერდა სახეზე სალომეს, რომლის სასოწარკვეთილებამ ცოტა არ იყოს ჩამოაქვეითა ბახვას სიამაყე.

—ხომ არაფერი გითქვამს რა?-ჰკითხა ბახვამ.

სალომემ პასუხის მაგიერათ თავი დაუქნია.

—რაო?... ჰა?!..

სალომემ ხმა გაიკმინდა. ბახვა მიხედა ყოველიფერს.

—ნანაია, დარდი ნუ გაქვს. მე იმას გავაგებინებ ჩემს გულის პასუხს, ოღონდ შენ ცოტას ხანს იქით დაგვტოვე ორიეე მარ-

ტოდ-მარტო. იმას იქნება არ სჯეროდეს ჩემი სიყვარული, ან რა ზომამდის მიეა ჩემი თავგანწირულება. მე იმას დავუმტკიცებ და კიდეც ჩემი იქნებით როგორც ესმა, შენც ისე, ჩემო ნანაია.

სალომემ კურცხლები ჩამოყარა და ბახვას გულში აკოცა.

ბახვა შემოვიდა ოთახში. ესმა გამოეგება.

—ესმას გაუმარჯოს! ბახვამ ხელი გაუწვდინა. ქალმა ჩამოართვა და თვალები ძირს დაიღო.

—რასა იქ, რამდენი ხანია, აღარ მინახავხარ? მარა ბევრი საქმეები შემემთხვა, ეველარ მოვიცალე. მე ეს არის წუხელი მოვედი მაშინით. მართლა!... სალომე!? უკაცრავათ, იმ დღეს, საღამოს ვერ შემოგიარეთ; მაგრამ იმისთანა საქმეები შემემთხვა იმ საძაგელს იერემიასთან ჩხუბის გამო, რომ შუა ღამემდის არ მომიცლია, პოლიციაში დამიბარეს. ვინ იცის, რაები არ მკითხეს. მადლობა ღმერთს, საქმე კარგათ გათავდა.

—ბახვა, შენ ნუ მომიკვდები,—სთქვა გრძნობით სალომემ კინაღამ შიშით გადეირიე! მთელი ღამე ისე გავათენე, ჩემს თვალებს ლული არ მოკიდებია. შენი ცხედარი არ მენახოს, სულ შენზე ვფიქრობდი. მეორე დღეს დილით ბიჭი ვაფრინე შენს კონტორაში და მომიეიდა ამბავი, რომ ახალს ნაყიდს მამულში წასულ იყავი. მარტო მაშინ დამიცხრა გული.

—ოჰ, რომ იცოდე, სალომე, როგორ მოერთე ჩემი ეზო, სახლი, გარემო! ოდესმე თუ გაგიგონია თავადის თავქფილაძის ოჯახობა, ხუთს სჯობს ახლა იმას ჩემი ოჯახობა. ყოველიფერი ახალი გავაკეთე. სახლი ჯერ სულ მზათ არა მაქვს, მაგრამ ეგ არაფერია. შვიდი თვალი ოდა დავდგი. ჯერ მარტო სამი ოთახი მაქვს მზათ. თუნდ დღესაც გადვიდეს კაცი. ერთი პატარა ოჯახობა დაეტევა იმ სამს ოთახში, მერე კი სხვა ოთახებსაც

მოეათავებ. ამ ლაპარაკში ბახვა ხან-და-ხან გადახედავდა ესმას; მაგრამ იმისი თვალები ძირს იყვენ დაშვებულნი, სახე მკრთალი ჰქონდა და ამ სახეზე ბახვამ ერთი სამხიარულო ძარღვიც ვერ შენიშნა.

—ნეტა გაჩვენა, სალომე, ჩემი ახალი ოჯახობა, გული გაგინათლდება. ამ ზაფხულს წაგიყვანთ შენ და ესმას.

სალომე ადგა, დააპირა ოთახიდან გამოსელა და გზაზე წაილაპარაკა:-შვილო, შენ იყავი ბედნიერი, იცოცხლე და ჩვენი უნახაობით შენს ოჯახს არა დაკლდება-რა.

ესმას თავი არ აულია, ბახვას გასაგონათ სთქვა:

—-დედა რომ წამოვიდეს, მე მაინც ვერ წამოვალ. ბევრი საქმე მექნება მადამ სალის სამკერვალოში.

ბახვა და ესმა დარჩენ ოთახში მარტო. რამდენიმე ხანი გავიდა, არც ერთს მათგანს ხმა არ ამოულია. ესმა იჯდა, თავი ძირს დაეხარა და თითებს ათამაშებდა, თითქოს საკერავებზე ვარჯიშობსო. მის სახეს ეტყობოდა შინაგანი ბრძოლა; თმა ცოტაოდენათ მოფუშვოდა და მის ფერმკრთალ სახეს კიდევ უფრო მომეტებულ ლაჟათს აძლევდა. მისი სავსე გულ-მკერდი ისე იბერებოდა, როგორც ზღვა აიბერება, როცა ქარიშხალი ახლოა მოწეული. ბახვა უყურებდა ამ მიმზიდავს არსებას და მისი თვალებდახრილი სახე ერთი-ორად უფრო ლამაზი ეჩვენებოდა. ის გრძნობით გიჟდებოდა; მაგრამ ესმას ბუნებით უმანკოსა და მშვიდს სახეს ბორკილი შვება ბახვას გრძნობებისათვის და გააფთრებული ლომი რკინის გალიაში ჩაემწყვდია. ბახვა უყურებდა თავის ციურს არსებას, სტკბებოდა მისი ყურებით და არ იჩქაროდა ხმის ამოღებას. არც ესმას სურდა ლაპარაკი.

ბოლოს მაინც ბახვამ დაიწყო გრძნობით სავსე ნელის ხმით:—ესმა, შენ უწყალო, შეუბრალებელი ქალი ყოფილხარ.

ეს ხუთი, ექვსი წელიწადია შენს ოჯახში დაედივარ. დედა-შენი საწყალის დედის ჩემის სიკვდილს შემდეგ მეორე დედათ გამიხდია. თითქმის ჩემ ხელში ხარ გაზდილი და აქამდის ისე მერიდები, როგორც უცხოს. რა დაგიშავე?...''

ამ დროს იმან შეატყო, რომ ესმა შეკრთა, მაგრამ სხვაფრივ კი არ განძრეულა, უწინდულათვე იჯდა. — ბანა ვერ მატყობდი, რომ მე შენი სიყვარულით თან-და-თან ვგიჟდებოდი?— ესმას უნებურად გააჟრჟოლა, ბახვამ რომ ,,სიყვარულის'' სახელი ახსენა. იმას წარმოუდგა იერემია, რომელმაც ერთხელ გზა გადულობა და იმანაც ასე დაიწყო. ,,ღმერთო''! —გაიელო გულში ესმამ — ,,ყველა კაცები ერთნაირათ ლაპარაკობენ. ყველას ერთად უნდათ დაღუპონ უმანკო ქალის გული. იერემიას რომ იმ დღეს დაევმორჩილებინე, ვინ იცის, ახლა სად ვიქნებოდი და რა მდგომარეობაში? ბახვასაც სწორეთ ასე უნდა. იერემია მალვით მაინც დამხვდა, უფრო ეშინოდა; ეს კი უშიშრად ჩემსავე სახლში მიპირებს დაჩაგვრას და უბედურს დედა ჩემს კი არა ესმის რა. ბულდანდობილათ უყურებს ბახვას''.

—რატომ არას მეუბნები? ესმა, გამეცი ხმა; ბითხარი, თუ გძულვარ; თორემ მე ამის მეტი მოთმენა არ შემიძლიან, ლამის გაეგიჟდე.

—რა ვქნა, რა გითხრათ?

—მაგის მეტი არაფერი?

—არა.

—ჩემს ამდენის ხნის, გაგიქებით სიყვარულს ეგ პასუხი აქვს მარტო?...

—თქვენ ცრუობთ, ეგ სიყვარული არ არის.

—აბა, რა ვქნა, როგორ უნდა მოვიქცე?

—მაგრე ყველა კაცები იქცევიან, ვისაც ჩვენი დაჩაგვრა უნდა.

—მე შენი დაჩაგერა მინდა? დაჩაგერა რომ მინდოდეს, არც ნიშანს მოგიტანდი, არც შენს ცოლობას განვიზრახავდი.

—მე არ ვთხოვდები, – უპასუხა ესმამ. მე საქმე ვიშოვნე. მადამ სალი და მე ამხანაგები ვართ. მე ღარიბი, ობოლი ვარ, ერთი დედა მყავს. ჩემი შრომით უნდა ვირჩინოთ თავი ორთავემ.

—რჩენა რაღათ დაგჭირდება, თუ კი ჩემი იქნები და მე შენი. ჩემი ქონება ყველას გვეყოფა.

—არაოდეს. მე ვინ ვარ და თქვენ ვინ?... მე ერთი უბრალო რუსის მჭედლის შვილი ვარ. თქვენ მდიდარი კაცი ხართ, თქვენი ტოლი უნდა ეძიოთ.

—მე შენზე უკეთესი ტოლი ვერ მიპოვნია.

—მე არ ვთხოვდები.

—ხუმრობ, თუ მართლა ამბობ?

—მართლა.

—ეგ შენი სიტყვა გადაჭრილია?

—სწორეთ.

—მაშ ყოველი ჩემი იმედი და ბედნიერება ასე ტყუილათ უნდა ჩამეწვას ცეცხლში?.—მაშ რათ მინდოდა ერთის თავადის-შვილის სეულს რომ ვყიდულობდი, თუ არ შენთვის, ჩემო უბედურო ოცნებავ? ნუ თუ მაგას მოველოდი შენგან?.—გამეცი, ქალო, პასუხი.

—ჩემი გადაჭრილი სიტყვა მოგახსენეთ: თქვენ ძმა და მე და, თუ მიკადრებთ.

ბახვას ფერი ეცვალა. ის თავის დღეში ვერ წარმოიდგენდა, ესმა თუ ასე გულ-ცივად შეხვდებოდა. ის მართლაც სასოწარკვეთილებას მიეცა. იმ წამს მთელი მისი ავლადიდება, სიმდიდრე, ამდენის ხნის შრომა და დღე-და-ღამე ძი-

ლის გატეხა კეთილ-მდგომარეობის მოსაპოებლათ, ჩალათ აღარ მიაჩნდა. იმან წარმოიდგინა, რომ ესმას გული ნამდვილათ სხვას ეკუთვნოდა. ეინ იცის, იქნება მისი დაუძინებელი მტერი უფრო ბედნიერი იყო ამ წუთას, ვიდრე ბახვა ფულაია. შემდეგ წარმოუდგა იმ ჰორების სინამდვილე, რომელიც მას ესმაზე ჰქონდა გაგონილი და რომლისთვისაც თავის ძმის-წული კინაღამ გალახა. იმ წუთს ბახვასთანა უბედური კაცი ქვეყანაზე აღარ ყოფილა. ბანა ამისთვის მოვისწრაფოდი ფოთს, განა ამისთვის მიძგერდა გული, ჩემს ესმას არ გაუჭირდეს რა—მეთქი—და ცხენს მოკაჩქარებდი? უბედურო ჩემო თავო! რა მოტყუებული, რა დაჩარგული ყოფილ'ხარ ცხოვრებაში!... შემდეგ ის გაჰყვა კიდევ სხვა ფიქრებს. უცბათ გაუკოცხლდა წინ ღამით ნახული სიზმარი, როცა ეერემია ფანჯრიდან ესმას იტაცებდა. სიზმარი მართლის წინამორბედია. ეინ იცის, იქნება იმისთანა სურათები ყოველ ღამეს ხდებოდეს. მე კი ამ გარყვნილის ახალ-გაზდის მონა შევქნილ-ვარ. ამისთანა ცხოვრებას განა სიკვდილი არა სჯობს? იქნება ჩემმა ძმის წულმაც ეს ამბები ყოველივე დაწვრილებით იცოდეს, ჩუმათ კიდეც ვეწყალებოდეს; მაგრამ ვერ მიმხელდეს?!.. ბახვას უფრო თან-და-თან ნაცრის ფერი ხაედვა. მისი თვალები რაღაც საშიშრათ გამოიყურებოდენ. მთელი ზემოხსენებული ფიქრები ბახვამ სულ სიჩუმეში გაატარა.

ესმას, არ ეიცი მოეწყინა ერთ ნაირს მდგომარეობაში ყოფნა, თუ უნდოდა შეეხედნა ბახვასთვის, რომ გამოეცნო მისი აზრი, უცებ აიხედა და თავის დიდი თვალები დააშტერა ბახვას სახეს, რომლის საშინელმა სასოწარკვეთილმა გამომეტყველებამ შეაკრთო მისი გული და შეეპარა შიგ ბახვას სიბრალული.

—მეტს აღაფერს უნდა მოველოდე შენგან, ესმა?—თითქმის ფუჩუნით წარმოსთქვა ბახვამ.

ესმა სულ გაშტერდა, ვერაფერი ველარ უთხრა.

—ეჰ, ამისთანა სიცოცხლეს სიკვდილი სჯობია. —შცებ იელვა ბახვას ხანჯალმა და რომ უნდა მუცელში ჩაიცეს, უეცრად იკიელა ესმამ, სტაცა ორივე ხელი მაჯაში და მიაყვირა:

—ბახვა, რას შერები? მე შენი ვარ!... შენი!..

ბახვას გავარდა ხანჯალი ხელიდან, მოხვია ესმას წელზე ხელი და ორივეს ნაღველი ერთმა ტკბილმა კოცნამ წაიღო.

როგორც კვილი მოესმა სალომეს, მაშინვე შემოვარდა და ორივე შვილი ერთ-მანეთთან ჩახუტებული რომ ნახა, მხიარულებით დაუწყო ორთავეს კოცნა: თქვენი ჭირიმე, შვილებო. მე აწ აღარ მოვკვდები. აი, ამას იქით მინდა ცხოვრება, ამას იქით!..—თქვენ უნდა მაცხოვროთ, შვილებო, თქვენ.

ქალმა და ვაჟმა რომ იჯერეს გული, მერე დასხდენ ერთად. ბახვამ ამოიღო ჯიბიდან ორი ოქროს ბეჭედი და მისცა დედას. სალომემ რამოდენჯერმე შეუცვალა ბახვასა და ესმას თითებზე ბეჭდები; ბოლოს ერთი ერთს წამოაცვა ნეკზე და მეორე-მეორეს. იქვე იმ საღამოს გადასწყვიტეს, რომ ერთ კვირას შემდეგ ქორწილი უნდა ყოფილიყო და მეორეს დღეს უნდა გამგზავრებულიყვნენ შინისკენ სამივ დედა შვილები.

ქორწილი მართლაც მოხდა სახელოვანი ერთს ფოთის სასტუმროში; თითქმის მთელი ფოთელი ნაცნობები იყვნენ მიპატიჟებულნი. მხოლოდ ჯვარის წერის ღამეს ესმა შეაკრთო უსიამოვნოთ ერთმა შემთხვევამ, რომელიც ქმრისთვის არ გაუმხელია.

როცა ჯვარისწერა გაათავეს, დედოფალი საყდრიდან გამოიყვანეს და ეტლში სმიდენ, ღამის ათი საათი იყო. ამ დროს ფაეტონთან ბოხი ხმა მოისმა: ვერ წამიხვალ, ვერა; შენ მაინც ჩემი უნდა იყოვო.

ესმა შეკრთა, უნდოდა დაყვირება, მაგრამ შიშით ხმა ჩა-
უწყდა. იმან მოჰკრა თვალი ერთს უშველებელს კაცს, რომ-
ლიც მალე გაქრა ღამის ბნელაში. ის იყო იერემია.

ბახვა ესმას გვერდით დაჯდა და უბძანა ეტლის მატარე-
ბელს: „სასტუმროსკენ გარეკეო“.

## XXXI.

ჯერ ოთხი თვეც არ გასულიყო, რაც ბახვა ახალს
ოჯახში დაბინავდა. იმას ისე შეუყვარდა ეს ახალი ოჯახობა,
რომ ვაკრობას სრულებით თავს ანებებდა. რაც რამე ნისიათ
ჰქონდა ფოთს გაცემული, ყველას ნელ-ნელა აგროვებდა. ორი
საქონლის მალაზია სხვას გადასცა; ათასი თუმანი ნაღდი აიღო,
დანარჩენზე ვადა დაუთქვა და წამოვიდა. მის ოჯახობას ნუ-
გეშის ფრთებს ასხამდა მისი შვენიერი ესმა, რომლის ერთი
შეხედვით ბახვას ყოველი ქვეყნიური ზრუნვა აეიწყდებოდა. ის
გადახვევდა წელზე ხელს თავის მეუღლეს, მიიზიდავდა მკერდზე,
ყელს ყელზე გადააკდობდა და ერთ ხანს ასე იქნებოდენ ხოლმე
მოყვარულნი ცოლ-ქმარნი, შემდეგ ტუჩებს შეაწებებდენ ერთმა-
ნერთს და ბოლოს განშორდებოდენ ახალ შეხვედრამდის. ესმა შინ,
ოჯახობაში, თვალ-ყურს ადევნებდა წვრილ-ფეხს: ქათმებს, ინ-
ვებს, ბატებს და ინდაურებს. მას ედგა ხელით სატრიალებელი
საკერავი მაშინა. მის ხელქვეით იყვენ ერთი გოგო და სამი
ბიჭი, ყველანი თვიურათ დაყენებულნი. ესმა მუდამ თვალ-ყურს
ადევნებდა მათ საქმეს-ურს და ერთ წუთსაც არ გააცდენდა;
ამასთანავე მას ჰქონდა ტკბილი ქცევა და მოყვარული გული
მოჯამაგირეებთან. თუ ვისმე შენიშნავდა დაზარებას, ან სიზან-
ტეს, ესმა თვითონ მოკიდებდა ხელს მოსამსახურის გასაკე-

თებელ საქმეს და ამნაირი ქცევით თითქოს მოსამსახურეებს არცხვენდა და ხდიდა ოჯახის ერთგულათ. ისეთი მადლიანი სახე ჰქონდა იმ ღეთისაგან ნაკურთხ ქალს, რომ მის შეხედვაზე არამც თუ კაცი, მხეციც მოთვინიერდებოდა. ესმა იყო მეტათ ბედნიერი თავის ახალ ოჯახით, სადაც ყოველივე მას ემორჩილებოდა. ქმარი ყავდა შვენიერი, მხნე და შეძლებული კაცი, რომელთანაც თითქმის შეზდილი იყო. ღარიბ ოჯახში გაზდილი და შრომა-გაჭიერებაში განცთილი მით უფრო გრძნობდა თავის ბედნიერებას, როცა ყოველივე უზრუნველი ჰქონდა. ახლა მხოლოდ ბრძანება იყო მისი საქმე და ღეთისგან მოცემულის სიკეთის მოხმარება. ღღე ისე არ ვავიდოდა, რომ სამჯერ-ოთხჯერ მაინც არ შეხვედროდა ხოლმე ალერსი თავის საყვარელ ქმართან: მისი დანახვა და ბახვას ცეცხლიანით ანთება ერთი იყო. ისინი ლაღობდენ, ეხვეოდენ ერთმანეთს თავისუფალ დროს, და ამ ნეტარებაში გადიოდა მათი ახალი ცხოვრება. ჭკეყანა იმათ სამოთხეთ მიიჩნდათ და თავის ახლად შეჭენილი სახლ-კარი—ედემის ბაღათ; მათთვის აქ არა იყო-რა მოსაყწენი: არც შრომა, არც სიყვარული.

ბახვას ყავდა ოჯახში ერთად-ერთი დედის მაგიერი დედა, სიდედრი სალომე, რომელსაც ცხოვრების მწუხარება და ცრუ სოფლის ათასნაირი სიმწარე სიტკბოებათ გადაქცეოდა. რადგან ბახვა შეიქნა მისი ციდან გადმოგდებული შვილი და სიძე. ეს მეტი ბედნიერება ვერც წარმოედგინა, არც ენატრებოდა, არც უნდოდა; მხოლოდ ის ამ ბედნიერებაში სრულებით გამოიცვალა: იმას რაღაც ელდასავით უცლიდა, ნერვებიანი შეიქნა. არ სწამდა ამ ბედნიერების ხანგრძელობა, მუდამ სიზმარში ეგონა თავი და ყოველის წუთს ეშინოდა. სალომე ისე არ შეხვდებოდა თავის ქალს, რომ თავზე ხელი მაინც არ შემო-

ევლო და არ ეთქვა: ,,შენი ჭირი, შენი სატკივარი შენს დედას''. დიდის ჯაფისა და წვალების გამოელილი დედაკაცი დღე ნიადაგ ხენეშოდა. თუმცა სამწუხარო მას არა ჰქონდა-რა, მაგრამ ის მაინც სწუხდა... ხან-და-ხან კიდეც ეტყოდა: ,,დედა-ჩემო, რა ამბავია, ყვავივით მუდამ თავს დასჩხავი ამ ჩემს ბედნიერებას! მგონია, გშურს ჩემი ბედი? რაი მე გავთხოვდი, შენ სულ გამოიცვალე: ერთი მხიარული სადილი აღარ გიქამია. თუ არ გსურს ჩემთან ყოფნა, წადი ისევ ფოთს, შენს ფაცხაში, და იდექი იქ.

—უწინამც მიწა დაყრია შენს დედას, სანამდის ის შენ მოგშორდებოდეს; მაგრამ რა ეკნა, შვილო!... ცუდი სიზმრები არ მასკენებს.—მერე მოუყვებოდა თავის ნახულ სიზმრებს. ესმა ყოველფერს კარგათ უხსნიდა, მოუყვებოდა თავის ოჯახობის ამბავს, კითხავდა რჩევებს, ან რა ხორავი და სამზადისები უნდა შეენახა, ან წნილები როდის და როგორი ჩაედვა, გაართობდა, გაამხიარულებდა შავი ფიქრებით და უხვირო წარმოდგენებით დატვირთულ სალომეს, მერე კი წავიდოდა ოჯახის ყურის საგდებლათ. სალომე აღარაფერში ერეოდა; ის მხოლოდ იწერდა პირჯვარს და მუდამ აევედრებდა ღმერთს თავის შვილების ბედნიერებას; მერე გამოჯდებოდა პარმაღზე (ბალკონზე) და მოყვებოდა ღაზლის ჭრელ წინდების ქსოვას თავის ბახვასათვის.

## XXXII.

21 ეკენისთვეს 188... წელს ახალ-სენაკის დუქნების წინ ერთი ხრიალი და მიხლა-მოხლა შეიქნა. ის იყო მატარებელს მოელოდენ ფოთიდან. ერთ დუქანში ისხდა სამი ჩერქეზულათ

გამოწყობილი კაცი. სამივე ხმალ-ხანჯლებით იყვენ შეიარაღებულნი. შბრალო ფიცრის ტაბაკზე ედგათ ბოთლები და ღვინით სავსე ჭიქები, სულგუნის ნაჭრები და თეთრის პურის ნატეხები. ტაბაკზე ღვარად იყო წასული წითელი ღვინო. სამი ვაჟკაცი, წვერ-ულვაშებით დაშვენებულნი, იყვენ პირის სახეზე შეჟინჟღილებულნი, ეტყობოდათ—ღვინო საკმაოთ ქონდათ დალეული. შუაში რომ ვაჟკაცი იჯდა, ის მართლაც შესანიშნაევის და ახოვანის სახის გამომეტყველებისა იყო. შავი სქელი წარბები, შუბლზე გაბარდნილნი და ერთმანეთზე გადახლართულნი, მრისხანე გამომეტყველებას აძლევდენ მის სახეს. წარბებს ქვეშ მოელვარე ცისფერი თვალები აქით-იქით ნაპერწკლებს ესროდენ იქ მაყურებელ მეგრელებს, რომელნიც თითქოს რაღაც მანქანებით შეგროვილიყვენ იმ დუქანში, მხოლოდ იმ მრისხანე ვაჟკაცის სანახავათ. ამ კაცის განიერი მხარ-ბეჭი და გრუზა თმით დაჩრდილული მსხვილი თავი ძველის დროის გმირს მოაგონებდა კაცს. ის იჯდა წელგამართული, მაგრამ მჯდომარეც ბევრს იქ მდგომარე კაცზედ უმაღლესი ჩნდა. ,,—მობრძანდით, ჩვენთან ერთი ჭიქა ღვინო მიირთვით—წამოიძახა იმან ისეთის ბოხის ხმით, რომ სწორეთ ლომის ბრდღვინვა მოგაგონდებოდა. ის იპატიჟებდა სუფრაზე იქვე მდგომს მეგრელებს.

—მარდობელი გოხოლუ, პარტენი (მადლობელი გახლავარ, ბატონო) —საჩქაროთ თავი დაუკრა ერთმა იმათგანმა, თავი მოარიდა და გარეთ გამოვიდა.

—მოდი აქ, მეგრელო, თხაპარიავ—შესძახა განმეორებით იმ ახოვანმა კაცმა. ეს სიტყვები იქ დამსწრე მეგრელებმა დიდ შეურაცხყოფათ მიიღეს.

—რას გვერჩი ლანძღვას, ბინძურო ქორთუ (ქართველო)?

შეიქნა ხმა მაღლა ლაპარაკი. ახოვანი კაცი ერთის თვა-

ლის დაფახურებამდის გავარდა გარეთ, სტაცა მეგრელს ხელი და ეზიდებოდა ისევ დუქანში. მეგრელები ყველანი იმ კაცს შემოესიენ და დაუწყეს თავის ქვეყნის კაცს ქოშაგობა. ზოგმა ხანჯალი ამოიღო, ზოგმა ლეკური (ხმალი), ზოგმა რევოლვერი. ეს რომ შენიშნა ახოვანმა კაცმა, ჩაერია მეგრელების გროვას და სულ პარტყა-პურუტი აუყენა. იმათზე არც ხანჯალი დასჭირებია, არც ხმალი: ყველა გალახა და გავარდა რკინის გზის სტანციაზე, სადაც იმ დროს მატარებელი მოადგა; აიღო საჩქაროთ ბილეთი, ჩაჯდა ვაგონში და, სანამდის გალახული მეგრელები გამოერკვეოდენ, გმირი თავის ოჯის ამხანაგითურთ მიქროდენ აბაშის სტანციისაკენ. ეს გმირი იყო ჩვენი ნაცნობი იერემია წარბა.

დაცალიერებულს ახალ-სენაკის სტანციაზე ხმაურობა და ხმა-ფაღლა ლაპარაკი მაინც არ შეწყვეტილა. შეურაცხყოფილი მეგრელები გარს შემოხვეოდენ ჟანდარმს და სთხოვენ პროტოკოლის შედგენას. ამ დროს ვინ რას ამბობდა იერემია წარბაზე, ვინ რასა!

—მგ ის იერემია არ არის, საჯავახოში რომ ღედლის ოჯახს დაეცა, სახლობა გაუუპატიურა, ოც-და-ხუთი თუმანი წაართვა და ღედლის ბურსეული ჯიბეში უნახეს?—ამბობდა ერთი.

—არ დაიჭირეს მერე?—კითხავდა მეორე,

—დაიჭირეს კი არა, მეტიც უქნეს: წელიწად-ნახევარს ციხეში გამოალპეს. ვინ იფიქრებდა, თუ იმას მაშინ არ დაკარგავდენ; მაგრამ ისე გამოძერა იმ საქმიდან, როგორც ხელიკი კოშკის ხვრელიდან. ძალიან მოხერხებული და მარჯვე კაცია. ამხანაგობაც კარგი იცის. მაგას ყავს თხუთმეტი, თუ ოცი ამხანაგი — ზოგი აზნაურშვილი, ზოგი თავადიშვილი; მაგისთვის თავს დასდებენ, ამიტომ რომ, რასაც იშოვნის, ყველასია. ჭიფი,

ღვინის სმა, ლხინი, სიმღერა მაგის ხელით არის; ქალი—რაღა მოგახსენო—არ გაეცთება, თუ სადმეა. წურბელას რომ იტყვიან, ის არის. რაც უნდა ძნელი საშოვარი იყოს, გველის ხვრელში გაძვრება და იშოვნის. ძალადობა ფარათ არ მიაჩნია. რა ეაქკაცია, რომ იცოდე?!. . მის შეხედვას არა სჯობია-რა. Oითქმის ერთი საქენია სიმაღლით. მის ბეჭებს ცულდის ტარი არ გადაწედება,—თქვა მეორემ.

Oქვენ ეგ უნდა გენახათ, Ფოთში დრუჟინაში რომ მსახურობდა! Oითამ მეკონტრაბანდეებს სდევდა, მაგრამ პირველი მეკონტრაბანდე ის იყო. Ფული ბჟირიევით ეყარა ჯიბეში. Ყოველლამე სარესკიპოში ეგდო. ამწანაგებს რომ მაგისი ეშინოდათ, უფროსებისაც არ შინებიათ ისე! Yველამ იცოდა, რომ მეკონტრაბანდეების ამყოლი იყო; მაგრამ ვის შეეძლო სულის დაბერვა?... რამდენჯერ მე თვითონ მინახავს, რომ ფოთელი ეაჭარი ხალხში დაუძახებდა: ,,Iერემია, დღეს ორი, თუ სამი საპალნე მაქვს გამოსატანია; თუ ძმა ხარ, მომეხმარეო''. Iერემიას ვითომ არც კი ესმოდა; თვალს უქნევდა—და საქმე გაჩაღებული იყო. მეორე, თუ მესამე დღეს Ფოთში გავარდებოდა ხმა: ,,წუხელი კონტრაბანდი შემოიტანესო, ჩხუბი ატეხილიყო, თოფებიც დაეცალათ, მაგრამ დაჭერით კი ვერავინ დაეჭირათო: Iერემია ყოლოდათ გამყოლათო; უამისოთ ცუდათ იქნებოდა მათი საქმეო,—თქვა პირველმა.

—შენ Ფოთში არ იყავი,—უთხრა მეორემ—მაგან რომ ერთ სალდათს ქალი მოსტაცა? Oრ თვეს ყავდა, მერე ისევ უკან მიუბრუნა. ამ ერთის წლის წინათ Ფოთში დიდი და პატარა სულ Iერემიაზე ლაპარაკობდა. მგონია, ეს ექვსი თვეა, რაც დრუჟინიდან დაითხოვეს და Ფოთიდან ფეხი ამოაკვეთინეს.

ამ დროს ჟანდარმის უნტერაფიცერი გამოჩნდა სტანციის

ქვაფენილზე და ხელში ეჭირა რუსულათ შედგენილი პროტოკოლი: ,,დღეს 21 ენკენისთვეს 188... წელს იერემია ფირალიძემ მოახდინა ჩხუბი და უწესოება ახალ-სენაკის დუქანში, რკინის გზის სტანციის გვერდით, რამდენიძე კაცი სულ უბრალოთ დალახა; ამის გამო თვით სტანციაზე მოხდა ხმაურობა და ჩოჩქოლი, რომლითაც დაირღვა საზოგადო წესი. თვითონ იერემია ფირალიძე ჩაჯდა რკინის გზის მატარებელში და გასწია თბილისისკენ. მინდოდა გადმომესვა, მ.გრამ ველარ მოვასწრე''.

—პატონი, ერთი წამი რომ კიდევ დაეცლია, ხანჯალს ეფუშავდი მუცელში, მარა ის წუწკის შვილი გველივით გამისრიალდა ხელიდან!—იძახოდა აღელვებული პირთხელა და ქერა წვერიანი მეგრელი.

—ის იყო, კინაღამ რევოლვერი დავახალე ფერდებში, მარა უცებ მოტრიალდა, თავი დეიღუნა და გვანუა მომახალა რევოლვერის ტუჩში; რომ დროზე არ შემეშვა ხელი რევოლვერისათვის, უბრალო კაცი მოვკალი კინაღამ. მადლობა ღმერთს, რომ არ გავისროლე!—ჩიოდა ტანწვრილა მეგრელი.

—ბოშეკი! (ყმაწვილებო!) კიდევ მოვა იერემია ფირალიძე და თქვენ იცით, არ დაგავიწყდესთ. პირველათ ჩვენ ავტეხოთ ჩხუბი. იმას ერთი კარგათ უნდა ვადინოთ სისხლი!—თქვა მესამემ.

—მე ამ ჩემ კუდახმალს ეკეკვავ თავში—თქვა მეოთხემ.

—მე იმას წელები თუ არ გამოვაყრევინე, ღმერთმა ისე ნუ მომკლას!—დაიტრაბახა პირველმა და თან სიფრთხილით იწმენდდა ცხვირიდან წავარდნილ ნაკადულს. იერემიას მისთვის სახეზე დაერტყა.

—აგი რევოლვერი ოხრათ დამარჩინოს ღმერთმა, თუ იმას ეს ექვსი ტყვია ყველა მკერდში არ ჩავაჭედე. რა მიქნა იმ შე-

ჩენებულმა! წელს ეელარ ვანძრევ, ისეთი ჩამკრა! ამას რომ ამბობდა თან ჯოხდაკრული გეელიეით იკლაკნებოდა.

ასეთი ლაპარაკი და მიეთ-მოეთობა რომ ახალ-სენაკის სტანციაზე ქონდათ მეგრელებს და რკინის გზის მოსამსახურეებს, იერემია და მისი ორი ამხანაგი გადმოხტენ მატარებლიდან სამტრედიაში და შეეიდენ ნაცნობ დუქანში. სანამდი მეორე მატარებელი ჩამოირბენდა თბილისიდან, იმათ კარგძალი დრო ქონდათ დასაძინებლათ.

## XXXIII.

იმ საღამოს სამტრედიის სტანციაზე ხალხი ბლომათ იყო მოგროვილი. ზოგი ბილეთებს ყიდულობდა, ზოგი სასტუმრო ოთახში ისხდა და ჩაის სვამდა. ეველა ელოდა თბილისის მატარებელს: ვინ ფოთს მიდიოდა, ვინ სენაკს, ვინ ჭალადიდს. სხვანი კიდევ ჭუთაისიდან ელოდენ თავის მეგობრებს და ნათესაეებს. სტანციის სადგომის გვერდით, დასაელით, საცა ქვაფენილი თავდებოდა, კარგათ მოზდილი წრე გაეკეთებინათ ახალ-გაზდა გოგოებს და ჩამსხდარიყვენ, ზოგი ფეხზედაც იდგა. ზოგს შემწვარი ვარიები ედო წინ, ზოგს სხალი და ვაშლი, ზოგს თბილი გამომცხვარი კეცის მჭადები. იმათ ესეოდა დაბალი ხალხი საეაკროდ. მოვაკრე ქალებს შორის ბევრი ძალიან ლამაზი იყო; მაგრამ მწვირიან—თავსაფრებწამოხურულ სახეებზე კარგათ უნდა დაკვირებოდი, რომ აღტაცებაში მოეყვანე იმათ მშვენიერებას. ტალახ-შემხმარი ტიტველა ფეხების დანახვაც ბევრს აკლებდა იმათ ბუნებითს სილამაზეს. ზოგიერთებს ისეთი შე-

მოგლეჯილი კაბები ეცვათ, რომ მკერდზე ახალ-აფეთქილ კოკრებს ეელარ ფარავდა, ძუძუებს იქიდან თავები გამოეყოთ და ლალისფრათ ჭვიტინებდენ. ხალხი სიამოენებით გარს შემოსდგომოდა გოგოებს. ზოგი შემწვარ ვარიებს ყიდულობდა, ზოგი მათგანი, რომელიც უფრო დახელოენებული იყო არშიყობაში, ვითამ საეაჭროს ესინჯავო, უნებურათ ხელს შეახებდა მკერდზე ამ თავგამოყოფილს ლალის კოკრებს. ,,ეი!'' შეკიელებდა გოგონა გაწყრომით უტიფარ მოარშიყეს და ეტყოდა: ,,შენ, ეი! თუ გინდა, ივაჭრე, თუ არა, ჩაიარე. მკერდთან რა ხელი გაქვს''!

ამ სიტყვებზე დასცემდენ კიჟინას სხვა გოგოები; შერცხენილი მოეაჭრე და მოარშიყე ჩაივლიდა გაჩუმებული, ვითომც აქ არაფერიაო. სიცილ-კისკისი, ოხუნჯობა და დროს გატარება მართლაც აქ იყო ყოველ მატარებლის გაელაზე. მიმომავალი ხალხიც ძალიან ედებოდა ამ კუთხეს. მატარებლის ჩაელის ან ამოელის შემდეგ ძვირათ თუ ვისმე დარჩებოდა გაუყიდელი რამე. მერე მოყვებოდენ ფულების თელას, თითეული მათგანი გამოკრავდა გროშებს და ვერცხლის ფულს თავსაფრის ყურში, შემდეგ ცარიელის კალათებით გაუდგებოდენ შინისკენ. იმათ დაედეენებოდა სოფლის ახალგაზდობა, სოფლის ბიჭები; მორთავდენ ერთად ქალ-ვაჟნი ,,ორირაშას'' სიმღერას და ასეთის ამბით სტოვებდენ სტანციას მეორე მატარებლის მოსელამდის.

იმ დღეს თბილისიდან მოსულმა მატარებელმა გააქანა შოთისკენ სხვათა შორის იერემია წარბა და იმისი ორი ამხანაგი: მერაბ და ბიეი. ისინი ჩასხდენ ერთს მესამე კლასის ვაგონში, რომელიც სულ უკან იყო მოქცეული. იქ მგზავრები ცოტანი იყვენ. იერემია მიჯდა ვაგონის კუნჭულში, ბიეი გვერდით მოუჯდა და მერაბ პირ-და-პირ. შუა ალაგს დაკიდებული ფარანი

ბქუტავდა. ბაგონის კუთხეებში სიბნელე იყო მიმდგარი. ეერემია და იმის ამხანაგები ჩრდილში ისხდენ. თუ სულ ახლოს არ დააკვერდებოდი, იმათ სახეს ვერ გაარჩევდი.

--რომ იცოდე, ბივი, რა მჭირს?... ესმას სიყვარულმა სანთელივით ჩამოამადნო. თუ ის ხელში არ ვიგდე, ჩემი თავი ცოცხალი ნუ გაჩვენოს.

—ატყობ, რომ შენც უყვარხარ?... კითხა ბივიმ.

—რამდენი ვეცადე, მაგრამ წყეული ქალის გული ვერ მოვიგე.

—აბა, რომ კიდეც მოიტაცო, რათ გინდა. უფრო სიცოცხლეს გაგიმწარებს.

— ჩემი სიცოცხლე მხოლოდ ახლა არის დამწარებული, იმას რომ სხვის ხელში ვხედავ. ერთი მისი ნახვა იქნება ჩემთვის მკურნალი მალამო. მისგან სხვაზე გაცვლილი ცოცხალი აღარ ვარ. მე რომ ის ბახვასთან საყდარში ვნახე, მას აქეთ მზე ჩემთვის აღარ ამოსულა. ეს ჩემი გული წყუდიადის ბნელით არის გარემოცული. მასში აღარც სიცოცხლეა, აღარც სიხარული, გული უნათლოდ მკვდარია. მეტი რაღა დამრჩენია. ან რას უნდა შეეუშინდე. ბახვა შულავა ამაღამ ჩემი სხვერპლი უნდა გახდეს. რა კი მას ჩამოვიშორებ, მერე ესმას გულიც მოლბება. მერე ვეც გამინედლდება გული, გავცოცხლდები, გავიხარებ. ოღონდ მისი ნახვა მე ნუ დამეკარგება, თორემ სხვას არაფერსა ვსთხოვ. მისი ერთი ღრუბლიანი შემოხედვაც ჩემთვის ამომავალის მზის შუქია, რომელიც გაფანტავს ამ გულის წყუდიადს. მე რა მინდა მეტი? მე მინდა მხოლოდ ეს ჩემი მაცოცხლებელი მზე გალიაში მყავდეს ჩამწყვდეული, რომ მინათლოს ყოველ დღეს, ყოველ საათს, ყოველ წამს და ამით ჩემ გულს ღამე არ შემოეპაროს.

ბანა არ გაგიგონია რუსთველის ლექსი,—უპასუხა ბივიმ:

,,მძულს უგულო სიყვარულიო...''

—ქალს რომ ქმარი მოუკვდება, მისი გული გახსნილია ახალი სიყვარულისთვის.

—ვაი თუ ბახვას კაცები ყავდეს გაზრახებული!—ჩაურთო მერაბამ ლაპარაკში.

—შეკველია, დიდი სიფრთხილე გვმართებს,—სთქვა ბიეიმ. აბაშის სტანციაში, რომ გადმოვხტებით, თვალი არავინ შეგვასწროს. იერემია, შენ მაინც ყაბალახით უნდა შეიხვიო თავი. ჩვენ შინ მისვლამდის ნახევარ საათს არ მოვუნდებით. იქ სამ ლაფშას (*) შევკაზმავ და გავუდგეთ მთვარიან ღამეში. ამ ლაპარაკში მატარებელი მივიდა აბაშის სტანციაზე. სამი ამხანაგი გაქრენ ღამის ბნელში.

## XXXIV.

21 ენკენისთვეს 188... შვენიერი ალიონი ამოვიდა. ალმოსავლეთი წითლათ აპრიალდა. მან შეღება არე-მარე ნარინჯის ფრათ. მისმა შუქმა შეანათა ბახვას საწოლ ოთახში და ჩაძინებულ ცოლ-ქმარს ნეტარების ნათელი მოფინა სახეზე. იმათ ერთმანეთის მკლავებზე ედვათ თავები, შავი თმა სქლათ დაყროდა ქალს თეთრ-ყირმიზ სახეზე. მისი ზედა ტუჩი ნეტარების ნიშნით ზევით ახრილიყო და გამოეჩინა ტყუპი მარგალიტი კბილები. მის მარჯვენა ლოყას ბახვას გაწკიპინებული ულვაში წურბელივით მოკიდებოდა. ამ სახით ორი სიცოცხლით და გულისთქმით სავსე არსება დილის ძილში განისვენებდენ. მათ სახეს დილის რიჟრაჟი დახაროდა. ამ დროს

(*) ლაფშა—მედაური.

ძილში უეცრათ შეკრთა ესმა, იკიელა და გამოელვიძა. მისმა ხმამ წამოაგდო ზეზე ბახვაც. იმან შემოხლართა ხელები კისერზე თავის ცოლსა და დაუკოცნა ნამძინარევი თვალები.

— რა იყო, ჩემო გულის სიტკბოებავ?.. რამ შეგაკრთო? შენ წამოიკიელე, განა?..—ესმამ შემოხვია ბახვას კისერზე ბროლის ხელები და მაგრათ დაუკოცნა ტუჩები. როცა ორივემ ალერსით გული იჯერეს, ესმამ უამბო შეკრთომის მიზეზი.

—რომ იცოდე, ჩემო კარგო, რა სიზმარი მეზმანა! შიშით ახლაც კი მაკრიალებს ტანში. მადლობა ღმერთს, შენ კიდევ ჩემი ხარ, ჩემი, ჩემო გულის ვარდო.—დაუწყო ხელმეორეთ ხვევნა, კოცნა და მაგრათ ვულში ჩაიკრა.

—მაინც მითხარი, ესმა, რა სიზმარი ნახე?—განმეორებით სთხოვდა ბახვა.

— ნანაია, რა ენახე!... ოჰ, საშიშროებავ! ვითამ მე და შენ ჯარში ვიყავით მარიამობას. მთელი ჯარი—კაცი და ქალი—შენატროდა ჩვენს ბედნიერებას! ყველანი გვილოცავდენ, ლვდლები გვიკმევდენ. პაწაწა ბავშებს ვარდის თაიგულები და მინდვრის ყვავილების კონები მოქონდათ ჩვენთან. ამ დროს ერთი ვინლაც შაეთ ჩაცმული, შავწვერ-ულვაშიანი, შავკბილებიანი კაცი გამოვარდა ჯარიდან. მტაცა ხელი და მიმათრევდა. მე შენ ჩაგეკიდე ორივე ხელი და გეხვეწებოდი შველას; მაგრამ ამ დროს იმ წყეულმა შენ ხანჯალი დაგცა მკერდზე, მე ხელები დამისხეპა და წამიყვანა. საშინლათ დავიკიელე და კიდეც გამომეღვიძა.

თავი გლახათ გდებია, ჩემო სიცოცხლევ, ან მკლავები დაგბრუჟებია ჩემი ზედ წოლით... აწ ალარ დაგიწვები მკლავზე.— უთხრა სიყვარულით ბახვამ.

—ეინ მოგეშვება? ძალათ დაგაწვენ.—უთხრა ცოლმა და

მაგრათ შემოსჭიდა ხელები კისერზე.—დედავ, ვინ გაბედავს შენი თავის წართმევას? უმალ სიკვდილი შენს ესმას!...

ბახვა სრულიად დაათრო ამ შვენიერის ქალის ალერსმა; მაგრათ ჩაიკრა გულში, ტუჩი ტუჩს შეუწება და ასე სიყვარულის ბურანში დაყო კარგი ხანი ცოლ-ქმარმა.

დილის რიჟრაჟი დღის სინათლეთ გადიქცა. მზე ბაკეს გამოვიდა და მოედანზე ცხვარი ააბრწკიალა ათას ფერათ.

ბახვა და ესმა უცბათ წამოვარდენ ლოგინიდან.

—ჯერ მე და შენ ამდენ ხანს არ დაგვძინებია, ესმა!... ეს შენი ბრალია.

—ე!... ყოველფერს რომ მე დამაბრალებს! —უსაყვედურა ცოლმა.—როცა ხელი მომხვიე და ჩამაძინე, მაშინ ხომ არ გახსოვდა ეგეები?...

—ძარგი, შენი გულისა... მე მაქვს დანაშაული.—ბადაუწია თეთრი ბროლის ყელი და ზედ დააბეჭდა ცხელი კოცნა...

სალომე დიდი ხანია ფეხზე იდგა, შინ წვრილჟვეხი ფრინველი დაეპურებინა, თხისა და საქონლის მწყესი ვაესტუმრებინა, სამოვარი მოემზადებინა და, სასტუმრო ოთახში რომ გამოვიდენ ცოლი და ქმარი, ჩაი კიდეც დასხმული იყო ჭიქებზე.

—დედას ჯერ კიდევ სიმარჯვე არ აკლია.—სთქვა ბახვამ.

—შვილებო, თქვენ გამყოფოთ ღვერთმა მარჯვეთ და ბედნიერათ; მე თქვენი ჭირი წამიღია.

—არა, დედავ, ჯერ კიდევ ჩემი ვაჟი უნდა გაზარდო, —გაუმეორა ბახვამ.

ამ სიტყვებზე ცოლმა ცეცხლი თვალები შეანათა ქმარს და დედის ნამალავათ გაუღიმა.

იმ დღეს ბახვა ფულავა უნდა წასულიყო აბაშის სტანციაზე,- ფოთიდან ას თუმანს ელოდა. ცოტა დაგვიანებულიც იყო.

ულბათ შეაკაზმინა თავის ჩერქეზული ლაფშა, სიყვარულით ვა-
მოეთხოვა ცოლს, ჩამოვიდა კიბეზე, მოახტა ცხენს, გადაკრა
მათრახი და გასწია თოხარიკით.

ესმა იდგა მოაჯირზე და თვალი არ მოუშორებია ბახვას-
თვის, სანამ შარა გზის მიხვეულში სულ არ მიიმალა. ოტა
ხანს შემდეგ ესმას მოაწვა გულზე სევდა, გაიხსენა შაეი სიზმარი
და მთელი დღე უცნაურ ფიქრებში გაატარა; სალომე ცდი-
ლობდა რამენაირათ გაერთო თავის ქალი, ხან რას მოუყვე-
ბოდა, ხან რას; ბოლოს ბახვას ყმაწვილობის ამბავიც კი გამო-
ა ბა; ამ ყოფით გავიდა მთელი დღე. მზე ჩავიდა, დღე და ღამე
გაიყარა, ბახვა მაინც არსად იყო. ესმას სევდამ უმატა. „შაი
თუ ბახვას რამე შეემთხვა!...“ წამოიძახებდა წამისწამ.

ოთახში დიდი ხანია ლამპები და სანთლები აანთეს. სა-
ლომე სთხოვდა თავის ქალს შინ შესულიყო.—შვილო, არ
გამიცივდე, ნამიანი საღამოა!—ესმას აღარა ესმოდა-რა. ის იჯდა
აივანზე და თვალები ჰიშკრისკენ ჰქონდა.

—შვილო, შემოდი შინ. ალბათ დროზე ვერ გაათავებდა
საქმეს და მიტომ დააგვიანდა. აწი მოვა, სადაც არის.

—არა მიჰირს-რა, ნანაია, არ გავცივდები.

სალომეს მაინც არ დაუჯერა და, რა კი შეატყო, რომ
შინ არ უნდოდა შემოსვლა, შალი გამოუტანა და ტანზე მოა-
ხურა. ესმას თითქმის არც კი უგრძვნია შალის წამოსხმა, ფიქ-
რებით იყო შეცული. ამ დროს ჰიშკარი აჭრიალდა, ბახვას
ხმაც მოისმა. ბიჭს უძახოდა, ცხენი ჩამომართვეო.

საყვარლის ხმის გაგონება და ესმას წამოვარდნა ერთი
იყო. ითქვის ფრთებშესხმული ჩაფრინდა კიბეზე და გაე-
შურა ქმრისაკენ,

— ვინ ხარ შენ?... ესმა?... რამ გაგაგიჟა!.. ამ ღამეში რა

გინდოდა?... რომ გაცივდე?... უცებ გადმოხტა ბახვა ცხენიდან, სადავე უნაგირის ტახტზე შეაგდო და გაეშურა ( ,ოლისკენ. ესმა შეახტა ქმარს კისერზე, ბახვამაც მოაველო ხელები და ბავშვივით შეიყვანა ოთახში.

—სად იყავი ამდენ ხანს? შენმა ჯავრმა გადამრია.

—შვილო, შენი ესმა კინალამ გამიგიჟდა. რათ დაიგვიანე ამდენ ხანს?—მოაჯირთან ხმამაღლა უთხრა სალომემ.

—აბაშის სტანციაზე რამეები მქონდა; სიმიდები ვიყიდე და ერთი სამოცი თუმანიც ბეთ დავურიგე, აი ამან დამაგვიანა.

—დედა, ახლა ბახვას სამოვარი უნდა, დაღალული იქნება,—თქვა ესმამ.

—სამოვარი, შვილო, კიდეც გაჩაღებულა ჩემს ოთახში, წამოდით, შვილებო!—Ოლ-ქმარი შეყვენ სალომეს ოთახში, სუფრას მოუსხდენ, სამოვარი კვარჩხალობდა. ესმამ ჩაის კეთება დაიწყო. ბახვამ სამი ჭიქა დალია და მერე მოყვა თავის მომავალ პლანებზე ლაპარაკსა.

—დღეს კარგ ფეხზე წავედი. აბაშაში შემხვდენ საქყოინდლოს მებატონეები და მიქელაძეები, - დაიწყო ბახვამ ხელების გრეხით, თითქოს ქაღალდის ფულს კეცავსო.—ათი ათასი ქილა (*) სიმიდი დავიბევე. მოსავალს კარგი პირი არ უჩანს წლეულს. სიმიდი უნდა გაძვირდეს. ისე ვივაქრე, რომ ბათმანი სამ შაურათ მიჯდება, ფუთში ვიგებ ხუთ შაურს. ათი ათასი ხუთი შაური იქნება ორი ათას ხუთასი მანეთი. წლეულს ესეც კმარა. დანარჩენ დროს შინაურს ოჯახობას მოვანდომებ. ისეთნაირათ უნდა მოერთო ეს ჩვენი გარემო, რომ სამოთხის მსგავსი შეიქნეს.

—შვილო, ღმერთმა ბევრი მოგაგებინოს,—უთხრა სალომემ.

---

*) ქილა—ერთი ფუთია.

ბეეოფა რაც გაქვს. მეტი ნულარ გინდა. ღმერთს ეწყინება. აბ დაჯექი შინ და ტკბილათ დრო გაატარე. ესმა არ გეცოდება? ყოველს შენს წასულაზე მაგას მოსვენება აღარ აქვს. სანამდინ მოხვიდოდე, სული ეფანტება.

ჩაის შემდეგ ბახვა მუშებთან ჩაიდა სამზარეულოში, მუშაობის ამბავი გამოიკითხა, ან იმ დღეს რა გაეკეთებინათ, ან ხვალ რა საქმეს უნდა დასდგომოდენ; ყველანი ძმასავით მოიკითხა, გაამხნევა, ჯამაგირის მომატებას დაპირდა, თუ უკეთ გაირჯებოდენ; მერე წავიდა თაელაში, ცხენები დაათვალიერა, თავის თვალით უნდოდა დარწმუნებულიყო, დაღალულს ცხენს თუ მოუარეს. რა კი ყოველივე თავის რიგზე ნახა, ძალიან იამა, მერე მოსასხსენებელ ბიჭს უთხრა ჭიშკარი დაუკეტავი არ დარჩენოდა, ყველას გამოემშვიდობა და ამოვიდა ოჯახში, გამხიარულებული. იქ ვახშამი გაჩაღებული უდიდა, დასდომის შეტი არა აკლდა რა.

—დედავ, კახური ხომ არ გამოგველევია ჯერ?

— ორი ბოთლი დარჩა კიდევ, შვილო!

—არა უშავს რა, ხვალ სადილობამდის ახალი ღვინოები მოგვეცა. მოიტანე ამაღამ ორივე ბოთლი, ქეიფიანათ შეეექცეთ. შენ და ესმამ ერთი ბოთლი დალიეთ, მე კ ერთ ბოთლს გამოვცლი.

—ეი, შვილო, ერთ ბოთლ კახურს რა დაგვალევინებს?

—მე ერთ ქილასაც ვერ დავლევ,—თქვა ესმამ.

—არა, უნდა დაგათროთ! არ შეიძლება, რომ არ დალიო.

—ჯინიანია!—უთხრა სიკეკლუცით ესმამ.

—სწორეთ უნდა დაგათროთ,—დაუჭინა ბახვამ და გულისთქმით შეხედა.

—არა, არ დავლევ,—ელაპარაკებოდა ცოლი.

— რომ არ დალევ, დაგახრჩობ, — უთხრა ბახვამ. ძალადობის ნიშნათ თავი დაუქირა და ჩაკოცნა ტუჩებში.

— სვით, შვილებო, იქეიფეთ; ეს წუთისოფელი დიდხანს არავის შერჩება.

## XXXV.

შემოდგომის ღამე იყო. ბავსილი მთვარე დედამიწას დაქათქათებდა. არე-მარე მოეფარცხლულ ჰაერის ზღვაში ყვინთავდა. უზარმაზარი კაკლისა და ცაცხვის ხეები ეაკეზე აქა-იქ შეჯგუფულები სქელის ჩრდილით ფარავდენ მოსახლეებს. მთვარის შუქი ჩქესაეით გადასხმოდა ცასა და ქვეყანას. ლაქვარდი ცა მის გამო თეთრათ გამობლენცილიყო. ძაეკასიის ქედები, მუქ ტრედის ფრათ შეღებილები, უზარ-მაზარ ლობე-ყორეთ გაკროდენ ცის კიდესა. ეაკეზე ხეები აქა-იქ შავათ ამოფუღულიყვენ. ოდნა სიოც არ აკრთობდა მათ ფოთლებს. არც ტურები კიოდენ. არც ღამის ფრინველი „ბოტი" იძახოდა, არც აჩეჩა ურმების ჭიკინი, არც ბუზამკალის ბზუილი, არც კოღოს წუწუნი. ყოველ სულდგმულს და უსულოს თითქოს ერთათ გაეშალათ იმ ღამეს ლოგინი და ღრმათ ჩასძინებოდათ. თვით ბუნება იყო იმ წუთს ხმა გაკმენდილი თავის საიდუმლოებაში. არც იყო დღე, არც ღამე, არც იყო სიცხე, არც სიცივე, არც ბნელი, არც ნათელი; მაგრამ ორივე კი თეთრათ გაპენტილ მთვარეს ერთმანეთში შეეზავებინა. თვით მთვარე ისეთი შეიდობიანი სახით დაყურებდა დედამიწას, რომ მის გაელენას ქვეშ ბნელი ნათელს შერიგებოდა, ღამე დღეს, მტერი — მოყვარეს და წყუდიადის დედოფალი სიკეკლუცით უცქერდა ყველას და მეფურის სიუხვით ნათელს აფენდა ამ საერთო ცის და-

ქვეყნის განცხრომაშია და სიყვარულში. მხოლოდ სამი ცხენოსანი მგზავრი არ იღებდა მონაწილეობას. ისინი მიიჩქაროდენ გამტვერიანებულ შარაზე. იქით-აქით შარას ღრმა თხრილები ჩაუყვებოდა; ზედ ახალი ძეწნის ნერგები იყვენ მოყოლობული. ისინი იდგენ ყარაულებათ, რომ ყანები საქონელს არ წაეხდინა. ცხენოსნები ბაშლაყ-მოხურულები და ნაბდებ-წამოსხმულები ორღით წინ მიისწრაფოდენ. ცხენთა ფეხების ბაკუნი, ხან-და-ხან მათრახის ტკაცუნი და ცხენის განზე გახტომა მოკლე ვადით არღვევდა საყოველთაო სიჩუმეს.

— ძიდევ დიდი ხანი გვაქვს სასიარულო?—იკითხა მოუთმენელათ ერთმა მათგანმა, რომელიც მთვარის ჩრდილზე ორიეზე უდიდესი ჩნდა.

— საათ-ნახევარი,—მიუგო მეორემ.

— დროა დაწვრილებით მოვილაპარაკოთ, როგორ უნდა მოვიქცეთ,—დაუმატა მესამემ.

შეჭველია მკითხველი მიხვდება, ვინც იყვენ ეს სამი ცხენოსანი.

— ბახვა ფულავას ეზო ლიდია—დაიწყო ბიეიმ. ბარშემო ბროწეულის, ტირიფის და კოპიტების ხეებით არის შემოკრული. ცხენები ეზოს გარეთ რომ დიდი ცაცხვებია, იმათ ქვეშ დავაბათ. მერაბი ცხენებთან დარჩეს. მე ჩავალ ეზოში. ბახვას ორი ლაგაზი ყავს ძალიან აეები, მაგრამ ჩემთან შეჩვეულები არიან. უნდა ვეცადოთ პირველის ძილამდის მივიდეთ. ძაღლები დაყეყენ, მაგრამ რადგან პირველი ძილი ტკბილია, სანამ გაიღვიძებდენ, ძაღლებს დავამშვიდებ, წამოვიტყუებ ეზოს გარეთ და ორივე უნდა მოვკლათ ხანჯლებით. მერე უფრო ადვილათ მოვრთაეთ საქმეს.

—მგ. კარგი რჩევა არის—დაუმატა მერაბმა.

რა-კი ძაღლების შიში არ იქნება,—განაგრძო ბიეიმ, მე სახ-

ლის თავზე ავალ, იქიდან ჩავხვრები და ყოველივერს შეეიტყობ, სად რა არის, ან ვინ სად წევს. შენ, იერემია, იქვე ოდის წინ აივანზე მომიცადე. თუ გავალო კარი, შინ შემოვარდი და საქმე დავიწყოთ; თუ არა, ალბათ მოუხერხებელი იქნება რამე მიზეზის გამო და, მე იმავე გზით გამოვალ, რომლითაც ჩავიპარები.

—ყველას ის ემჯობინება,—თქვა იერემიამ,—კარს რომ გააღებ, მე შემოვევარდები და კუთხეში მივიმალები. შენ საქმე ასტეხე; ბახვა შემოგიტევს, შენ გარეთ გამოვარდი; ის გამოგეკიდება; მთვარის სინათლეზე თუ ხეები გაგიმართოს, ხანჯალს ნუ დაარიდებ. მანამდის მეც მოვიტაცებ ჩემს საუნჯეს, გავსწევ მერაბისკენ და შენც თან დამედევნე. რა კი მერაბთან მივაწვეთ, ჭერე ჭ'ჭვიდობით, ეშმაკიც ველარ შეიტყობს ჩვენს ასავალ—დასავალს.

—შუშ!!... ნელა გაიხმაურა ბიკიმ.

ცხენოსნებმა შეაჩერეს ცხენები და შეეუარენ დიდ ცაცხვის ჩრდილსა. ამ დროს ისინი თითქოს წყვდიადს ჩაენთქას. ზედ შარაზე გამოჩნდა ფიცრული ჭიშკარი, ყავრით გადახურული და შიგნიდან სადგულით ჩაკეტილი. ეს განიერი ალაყაფის კარები ჩაქედილი იყო მაღალ თავწვეტიან მესრის ღობეში. ღობეს შიგნით ეზო მთვარის შუქზე ფირუზის ფრათ ნათობდა და ხშირს დობილოს (*) ზედ შავი ჩრდილის ლაქები დაებნია. მოშორებით ალვის ხის ტაღიანური შემორტყმოდა ოდას დასხვა სახლებს. მათ ჩრდილისგან ყველა შენობები ჩაბნელებულიყვენ. ეს იყო ბახვა ფულავას ოჯახი.

ღამის პირველი საათი იყო. ბადრი მთვარე მეფურის სულგრძელობით ფენდა ნათელს ბახვა ფულავას ეზოს და მის გა-

---

*) სეტე გაბვემული ვენაცი

რემოს. ერთი რაღაც შავი ჩრდილი უცებ აცოცდა ჭიშკრის ბოძზე, გადაფოთხდა და ჩავარდა ეზოში. ამ შავ ლანდს მოკრეს თვალი ძაღლებმა და გაბრაზებულებმა მოაშურეს ჭიშკარს. ისინი ისეთი მძვინვარი ყეფით მორბოდენ, თითქოს სურდათ ეს რაღაც შავი ნადირი ლუკმა-ლუკმა დაეგლიჯათ. მაგრამ უცებ მოისმა რაღაც უცნაური წრუპუნი და ნელი სტვენა. ძაღლებმა შესწყვიტეს ყეფა და კუდების ქნევით დაუწყეს ლაქუცი შავ ლანდსა. ეს იყო ბიეი, კარგი შესული ყმა ბახვასი. ის ხშირათ დადიოდა მის ოჯახში; უკანასკნელი ჩხირიც სად იდეა, იცოდა. ბიეიმ ვამოაძრო ჭიშკრის საგდული და კარები გააღო, მერე უცნაურათ დასტვინა. ნაგაზებმა სიყვარულით დაუწყეს ბიეის შეხტომა. იმან წაველო ხელი ორიეეს საყელოებში და შეიყვანა ცაცხვის ჩრდილში. ერთი წამიც არ გასულა, რაღაც საზარელი წკნავილი და ხრიალი მოისმა... მერე ცაცხვის ჩრდილიდან გამოვიდა ორი კაცი. ისინი ფეხ-აკრეფით გაეშურენ ბახვას ოდისკენ და მალე შეიმალენ ხშირს ალეის ხეებში. ერთი მათგანი, როგორც ვთქვით, იყო ბიეი, მეორე— ივერემია. ბიეი რომ ოდის კარებზე შევიდა, ივერემია სამზარეულოსკენ გაეშურა. იქ ბიჭებს ეძინათ. ივერემიამ ამ სახლის კარის რაზა გარედან გადაალცა რკინის მარყუჟზე: თუ ვინიცობაა ბიჭებს გამოელვიძებოდათ, გარედან დაკეტილ კარს ველარ გააღებდენ.

ბახვას მხოლოდ ორი დიდი ოთახი ჰქონდა სადგომათ მოშზადებული. ერთში იწვა სალომე და მოსამსახურე გოგო, მეორე ბახვას საწოლ ოთახათ ჰქონდა გაკეთებული. ოთახის კარებს ჯერ არც ერთს არ ჰქონდა სარაზავი. იმათ შიგნით და გარეთ ჰქონდათ რკინის კაკვები მარყუჟებითა. ღამით კარებს შიგნიდან კეტდენ. ზარეთა რკინის კაკვები ყოველთვის

თავისუფლათ ეკიდა. ბიეი შეეიდა თუარა ოდაში, სალომეს საწოლ ოთახის კარები ყველა გარედან გადარაზა, მერე აცოცდა ოდის კედელზე და ჭერის ფარღალალით ჩაიპარა ბახვას საწოლ ოთახში. კედელზე პაწია ლამპა, პატრუქაწეული ბჟუტაედა. ოთახში არც ძალიან სიბნელე იყო, არც ძალიან სინათლე. ბოლ-ქმარს სიამით ეძინათ. ბიეიმ ბახვას კრაოტის თავით კედელზე საკეოიაქს შეასწრო თვალი. მას ბევრი აღარ უფიქრია, სტაცა ხელი საკეოიაქს, მერე მიეარდა კარებს და რაზა გადმოუგდო. იერემია თვალის დახამხამების უმალ შეეარდა საწოლ ოთახში და, კედლის კუთხეში რომ შკაფი იდგა, იქ ამოიმალა. რაზის გადმოგდებამ და კარების ჭრიალმა ბახვა გამოაღვიძა: იმან თვალი შეასწრო, რომ ვიღაც ბაშლაყ-მობურული დაფეღილ კარებში გავარდა. ,,არიქა ქურდიო!...'' წამოეარდა ზეზე პერანგსამარა, გამოიღო ბალიშს ქვეშ რეეოლვერი და გამოუდგა. ერთი-ორჯერ რეეოლვერის ხმაც მოისმა. ესმა გაფოცებული წამოჯდა საწოლზე. —

ბულ-მკერდგადაღიაღებულს თმები ჩამობურდოდა და სქლათ დაყროდა ბეჭებზე. მისი ბროლის გულ-მკერდი ლამპის მიმქრალ სინათლეზე მთვარესავით ანათებდა. ამ შვენიერების დანახვამ იერემია ააღელვა. ის სწრაფათ მიუახლოედა და მთრთოლარე ხმით დაიწყო: ესმა, მას აქეთ, რაც შენ დაგინახე, სიცოცხლე სიცოცხლეთ აღარ მიმაჩნია. შენს მეტს ჩემი ვაჟკაცობა არავის დაუჩაგრავს. მე დღეს ცოცხლებში აღარ ურევიარ. ქარგათ შემომხედე: შენის სიყვარულით სიგიჟე მომრეია. აი, ხომ ხედავ, მოვედი შენს წასაყვანათ: ან უნდა წამომყვე, სიცოცხლე დამიბრუნო, ან აქვე შენს კალთაში უნდა მოვიკლა ჩემი თავი.

— უმე!.. ვინ ხარ შენ, სატანის მსგავსო?!... იერემია?!...

აქ რა გინდა, შენ ბოროტო?..

— ბოცების დრო აღარ არის. უნდა წამომყვე.

— უწინამც სიკეთილი მე!...

იერემიამ მაგრათ შემოხვია ხელები და ბავშვივით გამოიყვანა გარეთ.

სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილმა ესმამ ორივე ხელი ჩასჭიდა წვერებში და რაც ძალი და ღონე ჰქონდა ძირს დასწია.

იერემია წვერების ტკივილმა მეტად შეაწუხა; მაგრამ სხვერპლს მაინც ხელი არ უშვა, სიფრთხილით ჩამოვიდა და ჩამოიყვანა კიბეზე...

აქ რომ ეს ამბავი ხდებოდა, გარეთ ეზოში ბახვას ბიეისთან ჰქონდა ბრძოლა. ბიეიმ პირველათ მოკურცხლა. ბახვა უკან გამოენთო და დაახალა ორჯერ რევოლვერი. ეტყობოდა, დაეჭრა, იმიტომ რომ ჭიშკრამდის კიდეც მიეწია მას, ბიეი უცებ მოტრიალდა და ერთი იმანაც ესროლა. ბახვა წაიქცა; მაგრამ მაშინვე წამოვარდა ზეზე. რაკი დაინახა, რომ ქურდი დაფეილილ ჭიშკარში გაქრა, უცებ მოტრიალდა და გაიქცა სამზარეულოსკენ ძახილით. ბიჭებს ხმა ესმოდა, მაგრამ საკვირველი იყო, რომ არავინ გამოეკარა! გულს მწარე იქვი ეცა, ,,ვაი თუ შინაურებმა გამქურდესო!'' ის მივარდა სამზარეულოს კარებთან, კარები გარედან დახვდა გადარაზული; მაშინ ყოველივე აიხსნა. იმან უცბათ გადმოაგდო მარყუჟიდან სარაზავი და შებღაველა ბიჭებს: არიქა, მიშველეთ, ქურდები დაგვეცენო! მოტრიალდა თუარა მთვარიან ღამეში, რაღაც შაეს აჩრდილს მოკრა თვალი ოთახთან და ამ დროს საზარელი კივილიც მოესმა: ,,ბახვა, მიშველეო!''—

— არიქა, ესმა მომიკლეს! -დაიღრიალა ბახვამ. ეველანი

შავს აჩრდილს გამოუდგენ.

ესმამ რომ ეელარასურით ვერ იხსნა თავი რკინის ხელებიდან, ჩაავლო იერემიას მარცხენა კლავში კბილები და სასოწარკვეთილებით მოუკბირა. იერემია ოან წვერების ტკივილით და თან მკლავზე კბენით მეტად გაბრაზდა. ამ დროს შენიშნა, რომ უკან მისდევდენ და, ის იყო, მისწვდენ კიდეცა. იფიქრა, დამიჭერენო და ბრაზ-მორეულმა, რომ თავის განზრახვას ეელარ ასრულებდა, მოისვა ხანჯალზე მარჯვენა ხელი და ჩაკრა გულში ქალს ამ სიტყვებით: ,,თუ ჩემი არ იქნები, ნურც მისი ყოფილხარ''. ესმა საზარელის კენესით ძირს დაეშვა. ბახვა დაეკონა თავზე ესმას. ის სისხლში ცურაედა.

—არიქა ბიჭებო, მომეხმარეთ. ესმა მომიკლეს!... ამის თქმა და მისი მიწაზე დაცემა ერთი იყო. მოსამსახურეებმა აიღეს ორიეე ცოლ-ქმარი და შეიტანეს ოთახში.

სალომე გარედან გადარაზულს ოთახში იყო და იქიდან ყვირიდა: ,,ვინ ხარ პატრონი?... კარები ჩაგეიკეტეს. რაამბავია, შვილები ხომ არ დამიხოცეს''? თან გოგოს ტირილი ისმოდა. დამწყვდეულებს მაშინვე გაეღეს კარები. საწყალი დედა თმაგაწეწილი შემოეარდა და როცა თავის შვილები სისხლით გათხუპნულები ნახა, ჩაიკეცა და გულს შემოეყარა.

მოსამსახურეებმა ბახვას და მის ცოლს თბილის წყლით მობანეს სისხლი და მაგრათ შეუხვიეს. ბახვას მარჯვენა მკლავში მოხვედროდა რევოლვერი. სისხლისგან დაცლილი ძალიან შესუსტებულიყო; მაგრამ ჭრილობის შეხვევის შემდეგ, როგორც იყო, მოსულიერდა, აფორთხდა, გადაეხვია თავის ცოლს და ნუგეშ-მიხდილი ჩასძახოდა: ,,ესმა, ვინ მომიკლა შენი თავი''?... იმან თვალები გაახილა და სახეზე ღიმილი მოუვიდა. ბახვამ დაუკოცნა ნაცრის ფერად ქცეული ტუჩები და მალ-მალ ჩაკით-

ხაედა, ეინ იყო მისი მკელელიო?... ესმას მოუვიდა მანჭვა და პირიდან სისხლი ამოაქცია; ცოტა ხანს შემდეგ არეულათ წამოიძახა: ,,ეერემიამ მომკლა''...

—მიშველეთ, ექიმი!

—ძი, ბატონო, კაცები კაი ხანია გაეგზავნეთ.

—ესმა, ესმა!... ჩასძახა სასოწარკვეთილმა ბახვამ... მავრამ ესმა ალარ იყო ამ სოფლათ.

I ტომის დასასრული.

*
**
**  **
*  *

საუკუნეთა დიდებული შექმნეს ტაძარი:
ის არის ჩვენი სათაყვანო წმიდა-წმიდათა,
იგია ძეგლი ხელთუქმნელი, გასაოცარი,
ის გეწამს მომავლის ჩვენ საძირკელათ, გზათ და ხიდათა!

და თქვენ რას ფიქრობთ: გსურთ, წაშალოთ მთელი
წარსული?
თამარის, შოთას დაგვიმტკიცოთ არარაობა?
თქვენ გსურთ, მოგვიკლათ თვით იმედი, გული და სული,
წარხოცოთ ჩვენი ისტორია და ეინაობა?!.

მაგრამ რას ვამბობ! ვერვის მისცემთ თქვენ ამით ენებას:
არ წაიშლება აღბეჭდილი ღვთისგან სახელი!
თუ ეშჯოთაეთ—მხოლოდ მისთვის, რომე ხალხის დიდებას
შეახეთ თქვენი მანკიერი და ბილწი ხელი...

ქვეყნის ორგულნო! მომავალი თქვენს ხელთ არ არი!
შორს ჩვენგან! ანკი ამას შემდეგ რა გეაქეს საერთო?!.

თვისი ხელითვე გაითხარეს იმათ სამარი...
არა იციან, რას შერებიან: შეუნდე, ღმერთო!

სილოვან.

ქუთაისი. 15 გიორგობისთვე, 1889 წ.

*
**
** **
* *

წუხელ ჩვენს ქალაქის ბაღში
ვიყავ,—სულაც არ ციოდა...
ვერ გიამბობ, თუ ჩემს თავში
რა ნაირი ფიქრი რბოდა.

ხან ეტიროდი:—არა ცრემლით,
სულის ტანჯვით გული თრთოდა,
ენისგან გამოუთქმელით,
სისხლის ღელვა მე მახრჩობდა.

წასულ, მყოფი, მომავალი—
ყველაფერი დავინახე...

დამიბრუნდა შემდეგ თავი,
დაბნედასა მივეწურევ,
დავაბჯინე ჯოხსა მკლავი,
შემაგრება მოვისურვე.

ვნახე—რაღაც სულიერმა
თეთრ-მოსილმა, საოცარმა,
ამ სოფლისა არ ნიერმა,
დემონისა მსგავსმა ქალმა,

მაგრამ ტურფამ, მომხიბლველმა,
ეშხით საესემ, სულის ღმერთმა,

ხელი მტაცა ლმობიერმა,
ათასთაგან მხოლოდ ერთმა.

მითხრა: ,,აღსდეგ, ნუ ეცემი,
ჯერ კელავ უნდა იმუშაო...
დაიჯერე რჩევა ჩემი,
შენ ღეთიურო, ბედით შაო.

ნურას დარდობ, ნუ სწუხდები,
წასული სულ დაიეიწყე,
შენთანა ეართ, ძმები, დები,
მაშ ცხოერება ახლათ იწყე.

დე, თუნდ მოკვდე გონიერი,
შენი სული აქ იყეფებს,
და ერი კი მადლიერი
შენს სახელსა გააღმერთებს!

მ. ფაბელი.

# მ ე ზ ო ბ ლ ე ბ ი

(სურათი სოფლის ცხოვრებიდან)

ზურაბა ანწლაძე ყველა მეზობლებს სძულდათ. როდესაც ზურაბას მისი მეზობლები სადმე გზაზე შეხვდებოდენ, ჩვეულებრივ სალამს არ აძლევდენ; ყანაში სამუშაოზე რომ ნახავდენ, ჩუმათ ვვერდს აუვლიდენ, ჩვეულებრივ გამარჯობას არ ეტყოდენ; როდესაც ეკლესიაში დაინახავდენ, მის გვერდით არ დადგებოდენ, მასთან პირჯვარს არ დაიწერდენ; ლხინში არც ეწვეოდენ და არც იწვევდენ.

რა იყო ამის ძიზეზი?

პირველი—ზურაბა ხარბი იყო. როცა რომელიმე მისი მეზობელი რისმე შეძენას დააპირებდა, ზურაბას გული შურითა და სიხარბით აევსებოდა.

ერთხელ ზურაბას სახლიკაცი მის მახლობლათ ადგილს ყიდულობდა. თუმცა ზურაბას ადგილ-მამული ბევრი ქონდა, მაგრამ მტრობით დაემუშტრა, ადგილის პატრონს ფასი მოუმატა და ადგილი თვითან დაირჩინა. ,,აბა ჩემს ახლოს როგორ გაეარონიებ იმ ქვეყნის გლახასო,'' გაიძახოდა ამაყათ ზურაბა (აქვე უნდა დაეუმატოთ, რომ ფული ზურაბას ნაკლებათ ქონდა და ამისთანა შემთხვევებში ყოველთვის სესხულობდა სარგებლით, ხშირათ მამულებს აგირავებდა).

მეორე — ამხანაგობა და მეგობრობა არ იცოდა. მას რომ რამე დასჭირდებოდა, გაარბენიებდა თავის ბიჭს, ბლახუნიას,

მეზობლებში, და გულჩაუსვეველი კეთილი მეზობლები არაფერს დაუკაებდენ. ,,შენი ბატონი ბოროტ სულის კაცია, მეზობლობა არ იცის, მარა წაილე, არა უშავს-რა, ეგებ მოსჯულდეს და გაიხსენოს, როდესაც ჩვენც დაგვჭირდება რამეო'', ეტყოდენ ხოლმე ბლახუნიას და გაატანდენ, რასაც თხოულობდა. ზურაბა კი, როცა მეზობლის ბალანას დაინახავდა თავის ეზოში, რისთვისმე გამოგზავნილს, ერთს ლაზათიანათ შეუკურთხებდა მის გამომგზავნელს და ცარიელს გააგდებდა ეზოდგან; ხანდისხან ისე შეუყვირებდა საბრალო ბალნებს, რომ ისინი ატირდებოდენ და ზლუქუნ-ზლუქუნით მირბოდენ შინისაკენ ხელცარიელები.

ასეთი იყო ზურაბა თავის მეზობლებთან, განსაკუთრებით თავის მეგვარეებთან. მეზობლები დიდხანს ცდილობდენ, ხეირიანი განწყობილება ქონოდათ მასთან, მაგრამ, რაკი დაინახეს, რომ ის თავისას არ იშლიდა, შემდეგ ხელი ააღეს და შეიძულეს, როგორც ამ ამბავის თავში მოვიხსენიეთ.

ზურაბა განსაკუთრებით თავის უახლოეს მეზობელს, სესია ანწლაძეს, ემტერებოდა.

— ჩემი მეზობელი ოდაში გამოიქცევოს და მე გულგრილათ ვუყურო ამას? მეც ოდა მედგას და იმასაც?! — თქვა ერთხელ ზურაბამ, როცა სესიამ მოინდომა ერთის მთიელ კაცისაგან პაწია ოდის ყიდვა. სესია ეიწროსა და კვამლიან ქოხში იხჩობოდა თავის ცოლ-შვილიანათ და მუდამ იმას ფიქრობდა, როგორმე პატარა წმინდა სახლი აეშენებია და შიგ სული მოეთქვა. ათი წლის განმავლობაში შეკრიბა სესიამ, დიდის ვაივაგლახით, თოთხმეტი თუმანი ფული, აიჩინა პაწია ოდა და გაურიგდა მთიელს ოცდაოთხ თუმნათ, იმ პირობით, რომ თოთხმეტი თუმანი ახლა მიეცა და ათი შემდეგ, ორი წლის განმავლობაში.

შეიტყო ეს გარემოება ზურაბამ, და რადგანაც სახლი თვითონ მას არ სჭიროდა, დატრიალდა, სხვა მუშტარი იშოვნა და კიდეეაც მოარიგა სახლის პატრონთან ოცდა'შვიდ თუმნათ და ისიც ნაღდზე. სესია რალას იზამდა? თანხა არ აუთაედა, ფასი ვერ ასწია და ისევ უოდოთ დარჩა, თავის კვამლიან ქოხში.

—რათ მიქენი ეს, რა დაგიშავე?—ასძახა გულმკედარ სესიამ ზურაბას, რომელიც თავის ეზოში იდგა ამ დროს, გორაზე, და არხეინათ ჩიბუხსა სწევდა.—შენ რა შეგეძინება, რომ მე სახლი ვერ დავიდგა და ფაცხაში გამოვიხჩევ?

—მე რა გიქენი?—ამაყათ ჩამოსძახა ზურაბამ: ვინც მეტი მისცა, იმას მიყიდა იმ კაცმა,—ჩემი რა ბრალია!

—აბა, შენ ხარ Iუდა—ქრისტეს სისხლის მსმელი!—შეუტია გულგაცეცხლებულ სესიამ: შენ გინდა ჩემი ოჯახის დალუპვა, შენ გინდა ყველას ცოცხლათ დამარხვა, მარა მაღლა ღმერთი სამართლიანია: მაგიერს, აქ თუ არა, საიქიოს მაინც მოგაგებს...

—ჩაჩუმდი, ჩაჩუმდი, შე ზანგიანო!—ჩამოყვირა ზურაბამ: ოდა რა შენი საქმეა? თუ კაცი ვარ, მაგ სალორეში ჩაგახჩობ შენ და შენს ენაგატლეკილ ცოლს!..

შკანასკნელ სიტყვებზე გამოვარდა სესიას ცოლი, სოფიო, და მოართო კაპასობა. სოფიოს ხმა რო გაიგონა, ზურაბას ცოლმაც, ბულქანამ, მომართა თავისი ტკბილი ჩანგი: ისეთ ნაირათ აკაპასდა, ისე აქაქანდა, რომ მთელი გორა გადააყრუა. ქალების კაპასობა რო გაიგონეს, ძალლები გამოცვივდენ და ასტეხეს საზარელი ყეფა, ლეკვები აწკავწკავედენ, ქათმები აკრიახდენ—და გაიმართა ყოველდღიური კონცერტი, მეზობლების ჩვეულებრივი ლანძღვა-გინება. მსგავსი კონცერტი ერთ

საათს მაინც გასტანდა ხოლმე. ამ კონცერტის მონაწილე პირები თითოეულათ შეენიერათ ასრულებდენ თავიანთ როლებს, თითოეული მათგანი შეუდარებელი იყო თავის როლში; მაგრამ ის ნაკლულევანება ქონდათ, რომ, რაკი როლში შეეიდოდენ, თავიც ავიწყდებოდათ და თავიანთ სიტყვების დანიშნულებაც: გაცხარებულებს ერთმანერთის სიტყვები აღარ ესმოდათ; ახლა თითოეული ეზო, თითოეული ბანაკი მხოლოდ იმას ცთილობდა, რომ სისუსტე არ გამოეჩინა და უწინ არ ჩაჩუმებულიყო; ამიტომაც ერთმანერთს როდი აცლიდენ ხოლმე ლაპარაკს (უკეთ ესთქვათ—ლანძღვა-გინებას),—არა, ერთსა და იმავე დროს კაპასობდენ სოფიო და ზულქანა, ყიჟინობდენ ზურაბა და სესია, ყეფდენ ძაღლები, წკაეწკაევებდენ ლეკვები, კრიახობდენ ქათმები, და ეს გაერთიანებული ლანძღვა-ყეფა-კრიახი ერთ საათს მაინც გაისმოდა მთელ არე-მარეში. ეს მოსიყვარულე მეზობლები ერთი მეორეს არ უზოგავდენ არც მკვდარს და არც ცოცხალს, არც დედას და არც მამას, არც ცოლს და არც შვილს, და მხოლოდ მაშინ დაწყნარდებოდენ, როცა გულს გაიჯერებდენ ერთმანერთის გინებით.

ზურაბა და მისი ცოლი მსგავს ჩხუბსა და ალიაქოთს შემდეგ არხეინათ მიუჯდებოდენ სუფრას. ისინი ყოველთვის გამარჯვებულათ გრძნობდენ თავს. დაიდგამდენ სუფრას პარმაღზე (ბალკონი), აინთებდენ სანთელს და მიუჯდებოდენ შემწვარ ქათამს და წითელ ღვინოს. მაღალ გორიდგან თავმომწონეთ გადაყურებდენ ქვეით სესიას ღარიბ ქოხს. თან გემრიელ ვახშამს შეექცეოდენ და თანაც ხმამაღლა ხარხარებდენ სესიას და მის ცოლის გულის მოსაკლავათ.

ამ უკანასკნელებს მართლაც გული უკვდებოდათ. ისინი ფიქრობდენ და ვერ გამოერკვიათ, თუ რათ ჩამტერებოდა მათ

ზურაბა, რა უნდოდა მათგან, რათ შეშურდა მათი ფეხის წამოდგმა. ცოლსაც და ქმარსაც გულში ჩარჩათ ზურაბას მუქარა: ,,თუ კაცი ვარ, მაგ საღორეში ჩაგახჩობ შენ და შენს ენაგატლეკილ ცოლსო'', და ეგ სიტყვები არც ერთს მოსვენებას არ აძლევდა.

ზურაბამ ამითაც არ გაათავა სესიასთან თავისი მტრობა. დაინახავდა თუარა თავის ეზოში სესიას ღორს, ან ქათამს. ინდოურს თუ ბატს—არცერთს ცოცხალს არ გაუშვებდა: ან თოფით მოკლავდა, რომელიც მუდამ გაჭენილი ქონდა, ან ძაღლს დააჭერინებდა, დაკლავდა და ქვიფს გასწვევდა.

ერთხელ ზურაბამ დაინახა თავის სახლთან მეზობლის წიწილებიანი კრუხი, დააველო თოფს ხელი, ესროლა და სული გააცხებია სრულიად დაუნაშაულო კრუხს და კიდევ უფრო დაუნაშაულო და უცოდველი თოთო წიწილები ობლებათ დაყარა.

ერთი სიტყვით ჩაასო და ჩაასო კბილი ზურაბამ სესიას ოჯახს და არ იქნა, შეელა ალარ მისცა.

---

ერთ ღამეს ზურაბას ეზოში შესანიშნავი გარემოება მოხდა.

ნაშეაღამევი იქნებოდა. მთელ სოფელს ეძინა, ძაღლები სახლის ლაფაროში მიწოლილიყვენ და სოველეძდენ, ქათმები ხეების შტოებზე შემსხდარიყვენ და თვალებს ნაბავდენ. ბნელოდა ისე, რომ თითს თვალში ვერ მიიტანდი. უცებ ზურაბას ძაღლებმა შექნეს წუწკუნი და მერე ყეფა, ქათმები ხეებიდან ჩამოფთქრიალდენ და აკრიახდენ. ამ ხმაურობაზე გამოელვიძა ზურაბას ბიკს, ბლახუნიას, რომელსაც პარმალში ეძინა, გაიხედა ეზოსკენ—და წამოვარდა: ეზო სრულიად განათებული იყო. ჰაერი წითლათ შეღებულიყო, კვამლი ეზოს

ღრუბლებათ ჩამოწოლოდა:— ბელელი, ხარო და სამზადი სახლი (სამზარეულო) ალის ზღვაში ჩავარდნილიყვენ და, ის-ის იყო, იხრჩობოდენ.

ბლახუნიამ უცებ გააღვიძა ზურაბა და ბულქანა. ბამოვარდენ ისინი კარში—და ყველამ ერთათ მოართვეს ყვირილი, კივილი და კიჟინი. ბამოელვიძა სესიასაც და, ცეცხლი რო დაინახა, სტაცა ცულდს ხელი და მიაშურა თავის მტერს... მაგრამ მტრობა სრულიად დაავიწყდა და ახლად მოპირული ცულდი თავის მოსისხარ მტრის მტერს მოუქნია, რომელიც ზურაბას ოჯახს უნგრევდა. სამზადის სახურავზე შეეარდა და ცულდით მილეწ-მოლეწა ისლი, ჭოგრები და კავები: სესიას გაგონილი ქონდა, რომ ცეცხლის დასაქრობათ პირველი საშვალება დანგრევაა. როცა სამზადის სახურავზე ცეცხლი შეანელა ისე, რომ კედლების შიში აღარ იყო, სესიამ იქ ბლახუნია დატოვა და თვითან ბელელის სახურავზე შეეარდა; აქ ზურაბა იდგა გულხელდაკრეფით და შეყურებდა გაძვინებულ ცეცხლს, რომლის მიახლოება ვერ გაებედა. „ბაეილუპე, დაეილუპე, ჩემი ამ წლის სარჩო ცეცხლმა უნდა ჩანთქასო“, ღრიალებდა ზურაბა. სესიამ იმას ხმაც არ გასცა, მოსდგა სახურაეს და დაუწყო ცულდით ნგრევა.

ამ დროს სხვა მეზობლებიც მოეშველენ, შეეიდენ სახურაეზე და, სესიას მიბაძვით, დაუწყეს სახურაეს ნგრევა. მომხმარე მეზობლები გაოცებით შესცქეროდენ სესიას თავგანწირულებას და კვირობდენ—რა აძლებინებს ამ შეაგულ ცეცხლში, რატომ არ ეკიდება ცეცხლიო... ამ დროს ერთმა მათგანმა შენიშნა, რომ სესიას შარვალზე ცეცხლი მართლაც ეკიდებოდა, და შეყვირა მას, რომ თავისთვის ეშველა. სესიამ ამ ყვირილს ყურიც არ ათხოვა და კიდევ უფრო გაშმაგებით

დაუწყო ცეცხლს ბრძოლა. სესიას წყალობით ცეცხლი ბელელზე თანდათან ნელდებოდა, მაგრამ მის ტანისამოსზე მაგიერათ თანდათან ძლიერდებოდა. ეს შეამჩნიეს იმათ, ვინც სესიას ეხმარებოდენ სახურავზე, მოკიდეს მას ხელი და თითქმის ძალით ჩამოაგდეს ძირს. სესიას უცებ ტანისამოსი შემოათალიშეს, ცეცხლი მოაშორეს, მაგრამ გვიანლა იყო: ცეცხლს მისთვის წვიეები, განსაკუთრებით კუნთები, საშინლათ დაეწვა. Ოცხალ-მკვდარი სესია მისაშინ წაიყვანეს.

Დანარჩენ მეზობლებმა მალე დაანგრიეს სახურავები და მით გადაარჩინეს სამზადის და ბელელის კედლები, აგრეთვე ბელელში ოთხი-ხუთი თვის სარჩო სიმიდი და ღომი. ხარო *) კი რომელიც იმ ხანათ ცარიელი იყო, ცეცხლის ზღვამ ჩანთქა: იმის შველა შეუძლებელი იყო.

Გავიდა ამას შემდეგ ერთი თვე, და სესიამ, როგორც იქნა, დიდ წვალების და წამლობის შემდეგ მოიხედა ისე, რომ ეზოში გაელა-გამოელა შეეძლო.

Ერთ დილას მამასახლისის იასაულმა სესიას სასამართლოს უწყება ჩააბარა, რომელშიაც ეწერა, რომ სესია ანწლაძეს ზურაბა ანწლაძის სახლების დაწვა ბრალდებაო. Ამოიკითხა გაჟიერებით სესიამ და—სახტათ დარჩა. Ქარგათ კიდეე ვერ გაეგო, რას ნიშნავდა ეს უწყება. Გამოიკითხა მეზობლებში და შეიტყო, რომ ზურაბას თავის სახლების დაწვის იქვი სესიაზე შეეტანა და სასამართლოში ეჩივლა მისთვის.

Სესია სხვებმა შესვეს ცხენზე და ისე წაიყვანეს სასამართლოში, რადგანაც—სისუსტის გამო—ჯერ კიდეე არ შეეძლო თავისთავათ ცხენზე ჯდომა და მგზავრობის ატანა. მოწმეთ

*) დაწნეული სასიმიდე.

ზურაბას თავისი ბიჭი დაენიშნა, ბლახუნია. ბლახუნიამ სასამართლოში სესია ნამდვილ დამნაშავეთ აღიარა: ,,მე ენახე, რომ სახლებს ცეცხლს უკიდებდაო''.—ცალკე ავათმყოფობისაგან დასუსტებული და ცალკე ზურაბას უსინიდისობით გულგახეთქილი სესია საპყრობილეში ჩასვეს, და მეორე დღეს ზურაბა კმაყოფილი მოდიოდა სასამართლოდან შინისაკენ.

მაგრამ, შინ რო მივიდა, მეზობლის დაჩაგვრის სიამოვნება საკუთარ მწუხარების ცეცხლათ გადაექცა: მისი ოდის და ბეღელის ნატმალიც არ მოიძებოდა.

აი რა მოხდა.

ზურაბა რო სასამართლოში წავიდა, იმავე ღამეს ვილაცამ კიდევ წაუკიდა ცეცხლი ზურაბას სახლებს. ბევრი იკივლეს და იჩხავლეს ბულქანამ და მისმა გოგომ, რომელთაც ძლივს გამოესწროთ კარში ცეცხლისათვის. მეზობლები მალე მოცვივდენ, მაგრამ ხელი აღარ გამოუღიათ, ისევ უკან დაბრუნდენ. ,,მადლობა ღმერთს, ქალები კარში არიან; სახლები კი დევ დაიწვეს: ახია მაგათზეო''—ამბობდენ ისინი: ,,რო მივეხმარეთ, რა ხეირი დაგვაყარა: საწყალი სესია კინხლამ ცეცხლში დაიწვა—და კიდევ იმას უჩივისო!.. დევ დაიწვეს, ამ ჩვენს კბილებსო''! სთქვეს იმათ და შინვე დაბრუნდენ.

ზურაბა—მეტი რაღა გზა ქონდა—სამზად სახლში მოთავსდა. ამ დროდგან დაიწყო მისი გაუბედურება, მისი უკანუკან სვლა.

ჩვენ ზევითაც ვსთქვით, რომ ზურაბა ხშირათ სესხულობდა ფულს, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც ეისმე დაემუშტრებოდა. აგრეთვე ხშირათ უჩივოდა თავის მეზობლებს: საჩივრის დაწყება და სასამართლოში სიარული ზურაბას შაქრის უტკბესათ მიაჩნდა. ოღონდ მოეგო საქმე, და

არაეითარ ხარჯს არ ზოგაედა. სულ რომ ესთქვათ, ორმოცჯერ მაინც ეყოლებოდა დაქრთამული სოფლის მოხელეები—მამასახლისი და მისი კომპანია; ორმოცჯერეე—თუ მეტათ არა—ქრთამებით იშოვნა მოწმეები და ისე მოიგო უკანონო საჩივრები.

ყველა ამას ფული სჭირდებოდა, და ზურაბაც, მამულების იმედით, სესხულობდა ფულებს.

ვალების გადახდის ვადა რო მოვიდა, ზურაბას ფული არ დაურჩა, და მოვალეებმა უჩიელეს და მამულები აუწერეს.

დაღარიბდა ზურაბა და თანაც აეათმყოფობა დაიწყო. ბულქანა ახლა იმას ხშირათ ეჩხუბებოდა და ხშირათაც აყვედრიდა: ,,აეი იყაეი და აეათაც შეიქენიო''! აბასობაში ზურაბა ერთხელ კიდეეაც გაციედა და ერთ კვირაზე ანთებისაგან სული დალია.

ზურაბას სიმდიდრეში არ ყოლია შვილი და, მისდა საუბედუროთ, სიღარიბეში შეეძინა: ცოლი ორსულათ დატოვა.

---

სესიას ამბავს თუ იკითხვეთ, ის კაი ხანია გაათავისუფლეს. საქმე აი როგორ მოხდა. სესიას დაჭერის შემდეგ ერთ თვეს არ გაუვლია, რომ ზურაბას ბიჭი გაექცა, მეზობლები ჩამოიარა და ყველას შესჩივლა: ,,მე ღმერთი კარგს არ მიზამს, სესიას ტყუილი დაეწამე, ზურაბამ ძალა დამატანაო''...

მეზობლებმა ურჩიეს ბლახუნიას, წასულიყო პრისტავთან, ან გამომძიებელთან და ეჩვენებია, რაც იცოდა. ბლახუნია შეშინდა, საპყრობილეში დამაბმენო, და ისევ გადაეარდნა არჩია: იმ ხანათ სოფლებში თავს იფარავდენ გაქცეული ტყვეები—და ბლახუნიაც შეუერთდა იმათ.

სესიას ცოლმა, სოფიომ, სხვების რჩევით, საქმე ოლქის

სასამართლოში გადიტანა და მოწმეებათ დანიშნა ყველანი, ეისაც ბლახუნია გაუტყდა თავის ცრუმოწმობაში. ოლქის სასამართლომ სესიას სიმართლე დაინახა და გაათავისუფლა იგი.

გაიარა ამას შემდეგ სამმა-ოთხმა წელმა-და სესიამ მიაწია თავის წადილს: პატარა ლამაზი ოდა დაიდგა და შიგ სული მოიბრუნა.

დღეს სესიასას ხშირათ ჩაირბენს ზურაბას პაწია ობოლი და სოფიოს შეეხვეწება: ,,ბიკო, პატალა მწადი მაწამეო''! სესიას და სოფიოს ძალიან უყვართ პატარა ქოწია: შეილსაეით უელიან მას, ეფერებიან, აკმეევენ და აცმევენ. სოფიო ხანდახან ქოწიას თვალებში ჩააცქერდება და მერმე თავის ქმარს კითხავს: ,,ნეტა, თუ იცი, ეკალი რომ შიგ ძირში მოსჭრა, ზედ კიდევ ეკალი ამოვაო''?

სილოვან.

ქუთაისი. 20—25 ენკენისთვეს, 1889 წ.

## „ქღელეს *) ჩამოდგა ოსი და მდვალი“.

(ხალხური სიმღერა, გაგონილი რაჭაში

ს. ფათეშიბისაგან.)

მაღლა მთას მოსდგა უცხო ფრინველი,
უცხო ფრინველი, ბოლო წითელი,
თეთრი ფრთიანი ქღელეს ჩამოდგა,
ქღელეს ჩამოდგა ოსი და მდვალი,
ოსი და მდვალი, სულა მდვალეთი,
სულა მდვალეთი, ფაიქომელი...
ომი შეიქნა ქალაქის თაესა,
ქალაქის თაესა, ციხკრისა ქამსა,
ბამთენიასა, მზის ამოსვლასა;
ქნეეა რხმალისა, ძგერა შუბისა;
შუბის ნალეწი ზეცას ცვიეოდა
და მესამე დღეს ძირსა ცვიეოდა,
ხრმალი ორპირი სისხლში ცურაოდა
სვეტი წაიქცა, სვეტი ოქროსი,
სვეტი ოქროსი; ჯაფარ გაიქცა.
—ჯაფარ, ვერ წახვალ შინა მშვიდობით!..
ცოლს ვერ მიუტან ლაშქრულ ანბავსა,
ლაშქრულ ანბავსა, წითელ კაბასა...
—თქვენი რა იქნენ მოწიფულები?
—მოწიფულები უკან მოდიან,—
უკან მოდიან თავნი გოდრითა
და წერილი წელი—ხელკალათითა.

---

*) ასეულ სოფელია ოსეთში, რაჭის საზღვარზე.

## სვანურიდან

ვაშა, ჰო, ერსა!...
ვაშა, ჰო, ერსა!...

შორს გაიხედეთ, ვინ მოდის ესა?...
შუქი მოადგა ამ მაღალ სერსა;
ეჰა, თამარი-მზე მოდის ჩვენსა,
წინ მოაკორავებს იმ ლურჯა ცხენსა!...
ვაშა, ჰო, ერსა!... და სხვ.

---

ზეჟი თაეს ხურაეს ოქროჭედილი,
საყურეები იაგუნდ-თლილი,
ბაგე ლალისა, მარგალიტ-კბილი.
მობრწყინვალებენ სხვე-შემოსილი!.—
ვაშა, ჰო, ერსა!...

---

ყელზე საკიდი ეშმა ელვარი,
ბარეთ მოსია ოქროს აბჯარი,
შიგნით აკვია წითელ-ყვითლარი,
სამაჯურები მხრებზე დამსხდარი!...
ვაშა, ჰო, ერსა!...

---

წერილთვალა რკინის პაჭიჭებათა,
მაზედ ჩექმები ფეხსაცმელათა,

ხასხასი ოქრო უნაგირათა,
თვლების კოპლები მოსართავათა!...
ვაშა, ჰო, ერსა!...

---

სამკერდეს უზის ოქროს ბუშტები,
რახტზე ყაარუებს ოქროს ეყენები,
ალვირ-ლაგამზე მარგალიტები,
ჯარათ მოსდევენ მას ცხენოსნები!...
ვაშა, ჰო, ერსა!.—

# მეფე ციმბელინი

(შექსპირიდან)

რომის იმპერატორის აგვისტოს მეფობის დროს ბრიტანეთში, რომელსაც ახლა ინგლისი ჰქვია, მეფობდა ციმბელინი. მას სამი შვილი ყავდა: უფროსი ქალი იყო და იმოგენა ერქვა. უმცროსნი ვაჟები იყვენ.

როცა ციმბელინის მეუღლე, ყოველად პატიოსანი და გულკეთილი დედოფალი გარდაიცვალა, ბავშები მეტად მცირეწლოვანი დარჩენ. იმოგენა სასახლეში იზრდებოდა და ვაჟები კი, ვილაცამ საბავშო ოთახიდამ უეცრად მოიპარა, სწორედ იმ დროს, როცა უფროსი ორის წლის თუ იქნებოდა და უმცროსი კი ძუძუს მწოვარი იყო. რამდენი ეძება საბრალო მეფემ, რავდენი საშვალება არ იხმარა, რომ რამე კვალისათვის მიეგნო, მაგრამ ყველაფერმა ამაოდ ჩაუარა: მიწამ ჩაყლაპა, ზღვამ შთანთქა, თუ ცაში აფრინდენ ეგ უსუსური ბავშები, მათი ვერა გაიგო-რა გულდამწვარმა მამამ.

ბანელო დრო-ჟამმა. მეფემ მეორე ცოლი შეირთო; მაგრამ ვაი ამისთანა შერთვას! ვერ მოუვიდა კარგი არჩევანი: ახალი დედოფალი მეტისმეტი ბოროტი და ცბიერი დედაკაცი გამოდგა. ბერი მეტადა სძულდა და ტანჯული ყავდა. იმოგენას მწუხარებას საზღვარი არა ქონდა, მაგრამ რას იქმოდა? დედინაცვლის ვერაგობისა და სიაფთრის შემხედვარე, მხოლოდ მწარე

მოთქმა ტირილს მოერთავდა ხოლმე, როცა თეისი მშვიდი და კეთილი დედა გახსენდებოდა.

დედოფალს თუმცა ძლიერა სურდა გერი, მაგრამ მაინც მოუდინებული იყო, რომე ფერად მოეხერხებია და იგი პირველი ქმრის ხელში ნაყოლი ეაჟისათვის მიეთხოვებია. ამას იმ განზრახვით შეკრებოდა, რომ იმის შვილი ძლოტენ, ეითარცა მეფის სიძე, ბრიტანეთის ტახტის მემკვიდრე გამხდარიყო. დედოფალმა კარგად იცოდა, რომ, თუ დაკარგული მეფის წულები არ მოიძებნებოდენ, ტახტი იმოგენას საკვიდრო შეეკნებოდა და ბრიტანეთი ძლოტენის სამეფლობლო გახდებოდა.

მაგრამ დედოფალს, დროს შაში ვერ მოუვიდა. მგ განზრახვა იმოგენამ ხელად ჩაუფუშა: მეფე-დედოფლის დაუკითხავად საქმრო აირჩია და კიდევაც გაყვა ერთს იმ დროს საუკეთესო, ლირსს და განათლებულს ჯაბუკს. მგ ყმაწვილი იყო ერთად ერთი მემკვიდრე მეფე ციმბელინის ნაერთგულევი კაცის, რომელმაც ციმბელინისათვის მოლაშქრედ ბრძოლის ველზე დალია სული; ამიტომ როგორც ერთად ერთს მემკვიდრეს პოსტუმი ერქვა. პოსტუმის დედა ქმრის ჯავრმა გადატანა, პოსტუმიც დაიბადა და მეორე დღეს დედა მისი ამ სოფელს გამოეთხოვა.

მეფეს შეებრალა თეისი ერთგულის ობოლი და თავის სასახლეში საპატრონოდ და ასაზრდელად მიიღო. ახლა იმოგენა და პოსტუმი სასახლეში ერთად იზრდებოდენ; ერთსა და იმავე მასწავლებელთან სწავლობდენ, ერთად თამაშობდენ. ამის გამო ყმაწვილებს ბავშობიდან ერთიმეორის სიყვარული გულში ჩაენერგათ, სიყვარული იკი წლითი-წლად იზრდებოდა, მტკიცე ფესვებს იდგამდა მათ გულსა და გონებაში და ბოლოს ქორწინებით გათავდა.

ლედოფალი კვალში უდგა იმოგენას საქციელს და, რაღა თქმა უნდა, რომ ეს საიდუმლო მისს გამქრიალს თვალებს და ეკვეანს გონებას არ დაემალებოდა. მეჯემაც გაიგო და განრისხდა. განრისხდა, მაგრამ როგორ განრისხდა?! რა კალამს შეუძლია მეფის აშკოთების აწერა! როგორ დაიკიწყა თვისი მაღალი შთამოელობა, როგორ არ იუიქრა რამე თვისს მერმისზე, როგორ გაყვა ეიღაც უბრალო ვიგინდარასო, ქუხდა მეჯე. მან აუკრძალა პოსტუმს სამშობლოში ცხოერება და უბრძანა წამსვე გამოთხოვებოდა სამშობლო ცასა და ქვეყანას და სამუდამოდ ბრიტანეთიდამ გასულიყო.

ლედოფალს კიდეე ქონდა იმედი თაეის სურეილის ასრულებისა და იმოგენას გულის მოგებას ცდილობდა: გულდამწვარ ქალს თაეი ისე აჩვენა, თითქო ახლა მისი დიდი თანამგრძნობელი იყოს, და მწუხარების შესამსუბუქებლად შეპირდა: მოგიხერხებ უკანასკნელად სადმე გამოსათხოერად შეგყარო პოსტუმსაო.

უკანასკნელს ჟამს, როცა პოსტუმი რომს უნდა გამგზაერებულიყო, უსამართლობით გაუბედურებულნი ცოლ-ქმარი შეიყარენ. შეიქნა მდუღარე ცრემლის ფრქვეეა. გამოეთხოვენ ერთი მეორეს. სამახსოეროდ ერთმანერთს ნიეთები გარდასცეს: იმოგენამ თაეის დედის სეული ბეჭედი მისცა პოსტუმს, რომელმაც ფიცით აუთქვა, ამ ძეირფასს ნიეთს ჩემს სიცოცხლეში არ მოეიცილებო. პოსტუმმაც თაეის სახსოვრად მეულლეს სამაჯე დაუტოეა და თანაც სთხოეა: მიიღე ეგე ჩემი მტკიცე სიყვარულის ნიშნადო. მაგრამ ერთიმეორის მოცილება გაუძნელდათ, მოთქმატირილს დასასრული არ მიეცა. ასეთი შეყრა და გამოთხოვება იშვიათად ჩაიელის უაღოქმოდ და შეუფიცრად. აქაც ასე მოხდა: აღთქმა, ფიცი მისცეს ერთმანერთს საუკუნო, უცვალებელი სიყვარულისა.

.აბა, როგორც იქნა, დასრულდა გამოსალმება. პოსტუმი წავიდა რომს, საღაც უნდა ეცხოვრა, რა ხანსაც საომბლოში დაბრუნების ნებას ვერ იშოვიდა; სირცხვილეული და ყველასაგან მოძულებული იმოგენა კი თავის ძმის სახლებში დარჩა.

მივიდა რომს თუარა პოსტუმი, მაშინვე მრავალი სხვადასხვა წოდებისა, ტომის და შეძლების ნაცნობები გაიჩინა. მთელ დღე-და-ღამეს ახალგაზდათა წრესა და ტოლ-ამხანაგებში ატარებდა. ასეთს მხიარულს ახალგაზდათა კრებას სჩვევია ქალთა შესახებ საუბრის ჩამოგდება; და მათაც ხშირად აუტყდებოდათ ხოლმე დედაკაცების გამო ბაასი. ყველა თავის ქვეყნის ქალებს აქებდა და განსაკუთრებით კი ცოლებს. პოსტუმს თავისი ცოლი ქებით ცამდე აყავდა, აქებდა და ადიდებდა მისს შეენიერს ხასიათს და თვისებას: მაზე უკეთესი ქალი ცასქვეშეთში არ მოიძებნებაო, ამბობდა ხოლმე თავმომწონე პოსტუმი რომაელ ახალგაზდათა წრეში.

ასეთი გადაჭარბებული ქება ბრიტანელის ქალისა, ასეთი წარჩინება მისი სხვა ქვეყნის და, განსაკუთრებით, რომაელ ქალთა შორის გულს უჩეთქდა ერთს რომაელს ჰაბუკს, იოკიმეს. იგი გამოესარჩლა თავის მამულიშვილის ქალებს და პოსტუმს დაექადა: თუ მოვინდომე, შენი საქები შეუღლის სიყვარულს, როცა მინდა, მაშინ გადავიბირებო... აუტეხეთ გაკბარებული ბაასი და ასეთი სანაძლეო დასდეს: პოსტუმი ყბულს იყო, თუ იოკიმე წაიდოდა ბრიტანეთს და იმოგენას დამეგობრებას და შეყვარებას მოახერხებდა. ბამარჯვების დასამტკიცებლად იმოგენასაგან უნდა ეშოვნა სამაჯე, რომელიც პოსტუმისაგან ნაჩუქარი ქონდა, როგორც მტკიცე და უკვალებელი სიყვარულის წინდი. თუ ვერ გაიმარჯვებდა, მაშინ იოკიმეს პოსტუმისათვის დიდი ფული უნდა გარდაეხადა. და თუ კი გამარჯვე-

ბული დაბრუნდებოდა, ბოროტ განზრახულებას ვერ ასრულებდა, პოსტუმს იოკიმეს თეის ბეჭედი უნდა მიეცა, ის ბეჭედი, რომელიც იმოგენასაგან ქონდა მიღებული უცვალებელი სიყვარულის ნიშნად.

პოსტუმი მტკიცედ იყო დაჯერებული, რომ იმოგენა მას არაოდეს არ ულალატებდა და სრულიადაც არ უფიქრია, რომ ასეთს გამოცდას საყვარელი ცოლქმრისათვის—ცუდი რამ მოყვებოდა. ქმარი დარწმუნებული იყო, რომ მისი მეუღლის სიყვარულს ვერაფერი შეასუსტებდა.

იოკიმე დიდი იმედით წავიდა ბრიტანეთს; უეცველად გამარჯვებას მოელოდა. იმოგენას პირველმა შეხვედრამ იმედი გაუორკეცა კიდევაც იოკიმეს: პატიოსანმა და გულ ებრყვილო ქალმა უცხო სტუმარი მეტისმეტად გულღიად და სათნო ხასიათით მიიღო. განსაკუთრებით მაშინ მიეალერსა, როცა იოკიმემ პოსტუმის ნაცნობად და მეგობრად წარუდგინა თავის თავი.

მაგრამ ბოროტ-გამზრახველს მალე მოეკვეთა იმედი: ჩამოუარაკა თუარა იოკიმემ სიყვარულის შესახებ, იმოგენამ აუწერელი მძულვარებით და ზიზღით დაუწყო ყურება ბოროტ-ამიყს. მაშინვე მიხვდა იოკიმე, რომ პატიოსანი გზით იმოგენას ვერ დაიყოლიებდა. რას იქმოდა? ნიძლევის მოგება ძლიერ უნდოდა! მრუდე გზას დაადგა, ოსტატობას მიყო ხელი: მოისყიდა მთელი სასახლის მოსამსახურეები და მათი შეშველობით შეიპარა იმოგენას საძილო ოთახში; აქ ჩაძვრა სკივრში, განაბა სული და, იმოგენას შამოსვლამდე და დაძინებამდე, უძრავად იჯდა. იმოგენაც შემოვიდა, გაიხადა, დაწვა და დაიძინა. იოკიმე ამოძვრა საფარიდამ, დათვალიერა მთელი ოთახი, უნახა იმოგენას ბოლის ყელზე თან დაყოლილი ნიშანი და ყველა ესენი და-

წერილებით დაიწერა. მერმე მძინარე ქალს შამოსხნა პოსტუმის მიერ სიყვარულის ნიშნად მიცემული სამაჯე და ამგვარად შეასრულა ყველაფერი, რაც მისთვის საჭირო იყო, და ისევ სკიერში ჩაწვა.

დიდად გახარებული და ეითომ გამარჯვებულიც Іოკიმე მეორე დღეს რომს გაეჩქარა. მიეიდა თუარა, პოსტუმს დიდი თავმოწონებით უთხრა: Іმოგენამ თავის საძილო ოთახში ღამე გამათენებიაო. აი, რა ნაირად უამბო პოსტუმს თავისი ეითომ და გამარჯვება: შენი მეუღლის ოთახი ეეცხლეულობით და აბრეშუმეულობით არის მოჩუთული, კედელზე გამოხატულია ამპარტავანი ძლეოპატრა, როცა იგი ანტონიუსს ეგებება. სწორედ პირველად მინახავს ასეთი საკვირველი ნაწარმოები მხატვრობის ხელოვნებისა. ეგ რა ეუყოთ მერმეო, უპასუხა პოსტუმმა, შენი თვალით რომ არ გენახა, სხვისაგანაც ადვილად გაიგონებდი მაგასო.

ბუხარი სამხრეთისკენ, ოთახის განაკიდეს არის ამოყვანილიო, განაგრძო Іოკიმემ, ბუხრის პირს აფარებული აქვს შიშველი ტანმობანავე Дიანა. Оჰ! უნდა გავტყდე, ჩემს თვალს უკეთესი ნაქანდაკები არსად უნახავს.—ამასაც სხვისაგან გაიგონებდიო, უთხრა Іოკიმემ, ბევრი სხვანიც ალტაცებაში მოდიან იმ ქანდაკის გამოო.

მერმე Іოკიმემ დაწერილებით აწერა ოთახის ჭერი, იატაკი და სთქვა:—ოჰო!. კინალამ არ დამავიწყდა! ბუხარში შეშის საწყობები კუპიდონებიეით სდგანან და ერთმანეთს თავს უჭნევენო.—ამასაც ადვილად მოკრავდი ყურს სხვისაგანო, გაუმეორა პოსტუმმა.

მაშინ Іოკიმემ ამოიღო ჯიბიდამ სამაჯე და სთქვა: პოსტუმ, გეცნაურებათ ეს ნიეთი? ოჰ, რა საშინელი თავბრუ

დამახეია მე ამ სამაჯეს! მას ორგვარი მნიშვნელობა აქვს ჩემოკის! ნეტამ თუ დამაიწყდეს, როგორი მოსიბელელი ტანის ხეევით და ალერსით გარდმომცა იმოგენამ ეს ძვირფასი ნივთი და თან დასძინა: მთელ ქვეყანას მერჩია ერთს დროს ეს სამკაულიო. ამასთანავე წყეულმა იოკიმემ დამწვარს მდუღარე იმითი დაასხა, რომ იმოგენას თანდაყოლილი ნიშანი აუწერა: შკენიერად აზის ბროლის ყელზე ამისთანა და იმისთანა ნიშანიო.

პოსტუმმა მთელი ამბავი ეჭვით მოისმინა, მაგრამ როცა უკანასკნელი სიტყვა გაიგონა ნიშნის შესახებ, გამ ბარდა. გაბრაზდა და თავის საყვარელი მეუღლისაკენ აუწერელი საყვედურის მეხები მიმართა: წაიძრო იმოგენას სახსოვარი ბრილიანტის ბეჭედი და, ეითარცა წაგებული ნიძლავი, იოკიმეს გარდასცა; დაჯდა, იმ წამსვე ეჭვით აღელვებულმა, თავის მევობარს, აზნაურს პიზანიოს ბარათი მისწერა; რაც საბუთი ხელთ ქონდა თავისი მეუღლის ღალატისა, ყველაფერი დაწერილებით აუწერა ბარათში და სთხოვა, როგორც ერთგულს მეგობარს და იმოგენასთან დაახლოებულს პირს, წაიყვანე ჩემი მეუღლე მილფორდ ბოვენის ტყეში და დააღრჩეე, როგორც ქმრის მოღალატე და შემარცხვენელიო. მეორე წერილი ცოლს გაუგზავნა: მე ველარ გაესძელი შენს უნახავად, სწერდა პოსტუმი, ჩემოსულო და გულო, ამ წერილის მიღების თანავე პიზანიოს წამოყვე მილფორდ ბოვენის ტყისაკენ, მე იქ დაგხვდები. თორემ ხომ იცი, ბრიტანეთს რომ მოვიდე, სიკვდილი არ ამშორდებაო..

ქეთილს იმოგენას ქმარზე გული დანდობილი ქონდა, მის ფიქრში ათენ-აღაქმებდა, მაზე უკეთესად ცის ქვეშ არაფინ მიაჩნდა, მისი ამბის გაგონებას შენატროდა და, როცა ნახვის იმედი

გაიგო, სიხარულით აკრინდა, სიჩქარით მოკმზადა, იმ ღამესავე პიზანიო წაიყვანა და მილკორდ-ბოვენისაკენ გაეჩქარა.

პიზანიო ორ ცეცხლს შუა იყო. მეგობრობა კარგია, მაგრამ ბოროტებაში ამბანოგობის გაწევა ძნელია კეთილსინდისიანი ადამიანისათვის. ბატყდა პიზანიო: შენი ქმარი მწერს, რომ დაგალრჩო, როგორც ქმრის მოღალატეო, უთხრა იმოგენას.

მტერს ისეთი მეხი, როგორიც იმოგენას დაეცა ამ სიტყვის გავონების დროს. საბრალო საყვარელი ქმრის შეხვედრას ეშურებოდა და სიკვდილის ზარმა კი დაურეკა. ჭეესკნელი გაარონინა ამ უეცარმა და უსამართლო ქმრის განკინებამ. აღარ იცოდა, რა ექნა და რა ეფიქრნა, რით აეხსნა ეს უეცარი და უმიზეზო მრისხანება საყვარელი შეულლისა.

ისევე პიზანიომ გამოუწყო რჩევა: ნუ სწუხარ და ნურც აჩქარებულხარ, მოითმინე, ვიდრე პოსტუმი აშკარად არ დაინახავს თვის შეცდომას და არ შეინანებს თვის ცოდვილს განზრახვასო.

მაგრამ სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილმა იმოგენამ გარდასწყვიტა რომს წასვლა. არა გზით არ შეისმინა, რომ დაბრუნებულიყო. მაშის სასახლეში. მაშინ პიზანიომ ურჩია ვაჟის ტანისამოსში მაინც გამოწყობილიყო და ისე დასდგომოდა გზას. პიზანიოს უკანასკნელი რჩევა ჭკუაში მოსაკალი იყო და ასე, ამ გვარად, ვაჟად გამოწყობილი ქალი შეუდგა მგზავრობას; ბარბაროსულმა ქმრის განაჩენმა ვერ შეურყია ღრმა სიყვარული იმოგენას. მას უნდოდა მაინც და მაინც ენახა თვისი გულის ბატონი.

შეოვა თუარა ტანისამოსი, პიზანიო მაშინვე გამოეთხოვა საბრალო ქალს; ეჩქარებოდა, რადგანაც სასახლეში დროზე უნდა მოსულიყო. მოლოდ გამოთხოვებისას ერთი რაღაც წამ-

ლით სავსე შუშა გადასცა: როცა დაიცალო, ან ავად გახდე, ცოტა მოსვიო, უთხრა პიზანიომ, მე იგი დედოფალმა მიწყალობა, როგორც უებარი წამალი ყოველი ავადმყოფობისაო.

დედოფალს ჭირიეითა სძულდა პიზანიო, რადგანაც, იგი პოსტუმისა და იმოგენას დიდი მეგობარი იყო. ამიტომ, პიზანიოს მოსაწამლავად, საწამლავი სთხოვა ექიმს, ვითომ ცხოველებზე უნდა ეშინჯა. ექიმმა კარგად იცოდა დედოფლის სიბოროტე და შუშაში ისეთი წამალი ჩაუსხა, რომელსაც არაფერი ვნება არ შეეძლო გარდა იმისა. რომ, ვინც რაოდენიმე ცვარს მიიღებდა, ისე ღრმად დააძინებდა, თითქო მკვდარი არისო. ეს შუშა მისცა დედოფალმა პიზანიოს, როგორც დიდი რამ მარგებელი წამალი. პიზანიომაც იმოგენას გადასცა.

ასე გამოწყობილი იმოგენა გზას დაადგა. მიდის თვალ-ცრემლიანი ქალი ამ უდაბურს ტყეში, მიდის და, სად მიდის, თითონაც არ იცის. აი, ავერ რაღაც სადგურს წააწყდა თავს. ეგ ის ხერელია, სადაც მისი ყმაწვილობისას დაკარგული ძმები სცხოვრობენ! ისინი ციმბელინის წარჩინებულს ბალარიოს მოუპარავს. თურმე ამას მეფე ღალატს ეწამებოდა უმართლოდ. ბელარიო მართალი იყო და უნდოდა მეფისათვის რამე სამაგიერო დაეშავებინა და აი, მისაგებელად ვაჟები მოპარა, ტყედ გაეიდა მათთან ერთად ხერელში სცხოვრებდა.

მეფის წულები თუმცა შურით იყვენ მოპარულნი, მაგრამ ბელარიოს ისინი თვისს შვილებს ერჩია, მეტად ზრუნავდა მათი აზრდისა და სიმრთელისათვის, და მართლაც ეს ყმაწვილები შვენიერი, მხნე და მამაცი ვაჟები შეიქნენ. ამათ სწყუროდათ რაღაც შესანიშნავი, საგმირო საქმე, გული იწვეოდა მათ დიდი და საძნელო საქმისაკენ. მათი უპირველესი საქმე ნადირობა იყო. ნადირობაში მეტის მეტად გაიწურთნენ, ჯან-ღონე გაუმაგ-

რდათ და ეაქკაკობაში დახელოვნებული შეიქნენ. თავიანთ მაძობილს ემუდარებოდენ, სადმე ლაშქარს წაგვიყვანეო.

დაინახა თუ არა ხერელი ივოგენამ, იმ წამსვე შიგ შეეიდა იმ იმედით, რომ აქ მცხოვრებთაგანი ვინმე შეიბრალებდა საწყალს მოგზაურს და საჭმელს და საგზალს რასმე მიაწოდებდა. პირველად ხერელი იგი სრულიად გამოცარიელებული მოეჩვენა; მერმე მიიხედ-მოიხედა და სადღაც კუთხეში ციცი საჭმელი ნახა, მიჯდა იქვე, საჭმელს ხელი მიყო. Ოტა რომ დაეჭამა, თავის გულში ლაპარაკი დაიწყო: ,,ოჰ, რა ძნელი ყოფილა მამაკაცური ცხოვრება ! როგორ დაეიღალე! ორი ღამეა, თბილი ქვეშაგებლის ნაცვლად, ციცი და შიშველი სოხანე მიგია. ის საქმე რომ არ მამხნევებდეს; რისთვისაც გზას ვადგავარ, აქამომდე სასიკვდინედ ავად გავხდებოდი. რა მოკლედ მომეჩვენა მილეგორდ-ბოვენის ტყემდე გზა, როცა პიზანიომ თითით მანიშნა''!! აქ გაახსენდა თავისი მეულლის პიზანიოსადმი ივოგენას მოკვლის შესახებ მკაცრი ბრძანება და ამოოხვრითა სთქვა: ოჰ, საყვარელო პოსტუმ, რა უსამართლო ხარ''!

აჰასობაში ივოგენას ძმები და ბელარიოც სანადიროდამ დაბრუნებულნი ხერელში მოვიდენ. ბელარიოს მეფის წულებისათვის სახელები გადაერქმია. ბეიდერისა და არვირაგის ნაცვლად პოლიდორე და ალადალი დაერქმია.

პირველად ბელარიო შემოვიდა ხერელში და შეხვდა თუ არა ივოგენას, განცვიფრდა, შესდგა, მიუბრუნდა ჯაბუკთა და შესძახა: ,,ნუ მოდიხართ აქ! ამ არსებას რომ ჩვენი საჭმელი არ ეჭამა, ზეციდამ ფოველიხებული მეგონებოდა''.—,,რა ამბავია'', კითხეს ახალ-გაზდებმა. ,,იუპიტერს გეფიცებით, ჩვენს ხერელში ზის ან ანგელოსი, ან რომელიმე ზეციური არსება'', გაიმეორა ბელარიომ. Უთუოდ ასეც უნდა მოჩვენებოდათ. შვენიერი იყო

იმოგენა ვაჟის ტანისამოსში.

როგორც კი ყური მოკრა კაცის ხმას იმოგენამ, იმ წამსვე ხერელიდამ გამოვიდა და შემდეგი სიტყვები მიმართა უცნობ ხერელის პატრონებს: ,,კაცნო კეთილნო, იმედი მაქვს არაფერს შეურაცხებას მომაყენებთ, მე იმის სათხოვრად შემოველ ხერელში, რითაც უკვე სული ჩავიბრუნე. მე არაფერი არ მომიპარავს, თუმცა ადვილად შემეძლო მესარგებლნა მარტო ყოფით: მთელი სოხანე ოქრო-ვერცხლით არის მოფარული. აი, სადილისათვის სასყიდლად ფული ინებეთ, უთქვენოდაც ვაპირებდი იმის დატოვებას; საჭმლით სულის მობრუნების შემდეგ ღმერთი უნდა მეხსენებია და ჩემს გრძელს გზას ვაედგომოდი.

მაშინ ბელარიომა კითხა: საიდამ სად მიდიხართ, ვინა ბრძანდებით და რა გქვიათო. ,,მე შიდელი მქვიანო'', უპასუხა იმოგენამ, ,,ერთი ჩემი ნათესავი იტალიაში წავიდა, მილფორდ ბოვენის ნაეთ სადგურიდამ გაემგზავრა, და ახლა მეც იქ მივდივარ, იქიდამ მინდა გავემგზავრო იტალიისკენ. უნდა გავტყდე, მწარე სიმშილმა გამაბედვინა ასეთი უწესობა, რომ სხვის სახლში პატრონის უკითხავად შევედი და სხვისი ნაჩიეი შევსჭამე''.

ამაზე ბელარიომაც მეტად ტკბილი სიტყვები მოაყოლა: ,,შვენიერო ახალგაზდა ქაბუკო, გეთაყვა არ იფიქროთ, ვითომ ჩვენ ღუნწობა გვქირდეს, ან ასეთს უბრალო სამსახურს რადმე ვავასებდეთ ამ უდაბურს ადგილზე. ჩვენ მეტისმეტი სტუმართ მოყვარე გახლავართ და სწორედ ბედათ შეგხვედით თქვენ ასეთს გაჭირვებაში. ახლა თვით ხედავ, რომ ღამეა, და რაღა მოესწრება? მოითმინეთ და, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ვახშმის უკეთესს სადილს მოგართმევთ, სადილსაც ადრე დაგიმზადებთ, ვიდრე გზას დაადგებოდეთ. ჩვენის მხრით დიდს მადლობასა გწირავთ, რომ ჩვენთან ღამე გაათევეთ და ჩვენი მასპინძლობა მიიღეთ''.

მერმე მიუბრუნდა მეჯის წულებს და უთხრა: „ყმაწვილებო, მიიღეთ ძვირფასი სტუმარი“.

ქეთილშობილ ბალღაზდებმა თვის ხერელში მოწიწებით მიიღეს სტუმარი და თან მოწიწებით მოახსენეს: „თქვენ, კეთილშობილო ჯაბუკო, ისე გვეყვარები, როგორც ღვიძლი ძმა. ამის შემდეგ ხერელში შეიდენ. ივოგენამ დიდი კმაყოფილება მიაყენა თვისს მასპინძლებს: ყველაფერს რიგზე და შვენიერად ალაგებდა სადგომში; ეხმარებოდა ვახშმის კეთებაში, შვენიერი ვახშამი მოამზადა ახალი ნანადირევისაგან. ახლა მიგვაჩნია საკვირველად, თორემ ივ დროში რაც უნდა მაღალი წოდების ვინმე ყოფილიყო, მზარეულობას და დიასახლისობას არავინ დედაკაცთაგანი არ იუკადრისებდა. ძიდევაც ამიტომ ივოგენამ დიდი ხელოვნება გამოიჩინა საქმლის მოამზადებაში, რითაც მასპინძლები ვეტად გააკვირა. ამასთანავე ივოგენამ თვისი ძმები ტკბილის გალობით შეაქცია. მართალია, ივოგენა ემღეროდა, იცინოდა კიდეც, მაგრამ ძმები ამჩნევდენ, რომ მისი სახე რაღაც ჩქარ-ჩქარა მწუხარედ შეიცვლებოდა, წამის ღიმილს მწუხარე ამოხვნეშა დაეცვლებოდა; ატყობდენ, რომ მათ სტუმარს რაღაც კაეშანი აწვა გულს და თავს ეძალებოდა, რომ არავის შეეტყობინა.

ამ ძვირფასი თვისების გამო, თუ იმიტომ, რომ რაღაც ახლობელს და ნათესავურს რასმე ამჩნევდენ, უყვარდათ იგი სულითა და გულით, თითქო ალმერთებდენ. ივოგენაც საკვირველად შეეჩვია მათ და, რომ საყვარელი პოსტუმის ხსოვნა არა, მგონი იგი სამუდამოდ ამ ველურ ყმაწვილებთან დარჩებოდა და შეიძლება, აქვე დაელია სიცოცხლეც. იგი დიდი სიამოვნებით დარჩა აქ მოსასვენებლად; კარგადაც მოისვენა. ეგონა, რომ სრულიად მხად იყო, მილეორე-ბოვენის ტყისკენ გამგზავრებულიყო.

როცა ნანადირევი გამოელიათ და ყმაწვილები ახლის საშოვრად წავიდენ, შიდელმა ვერ შესძლო მათი სანადიროდ გაყოლა: რაღაც უქეიფოდ შეიქნა. ცალკე ქმრის მრისხანე განაჩენმა და მისმა ასე უეცარმა გულის შეცვლამ და ცალკე მგზავრობამ მეტად შეაწუხა სუსტი არსება.

ქეთილშობილნი ჰაბუკნი გამოეთხოვენ თვისს ძვირფასს სტუმარს. წასვლისას დიდი ქება უთხრეს მისი კეთილგულისა და მომხიბლავი ყოფაქცევის გამო. იმოგენა დარჩა ხვრელში უქეიფოდ მჯდომარე. ამ დროს გაახსენდა ის შუშა წამალი, რომელიც პიზანიომ მისცა, თავი ახადა და მოსცა: მოსცა თუ არა. ის წამსვე მიეძინა და ისედაც მიეძინა, თითქო სამუდამოდ განისვენოს.

როცა ბელარიო და მისი გაზდილები სანადიროდამ სადგომში დაბრუნდენ, პოლიდორე უწინ შეეიდა ხვრელში და შეამჩნია, რომ იმოგენას ვითომ ჩეეულებრივ ეძინა, ფეხი გაიხადა და ისე დადიოდა სოხანეში, რომ ფეხსაცმლის ბაკი-ბუკს მინარე სტუმარი არ გამოელვიძებია. მერმე მიუახლოვდა, დააყურა და სრულიად დარწმუნდა, რომ იმოგენას ძილი ჩეეულებრივი არ იყო: ვერაფერმა ხმაურობამ იგი ვერ გააღვიძა. მაშინ დარწმუნდა, რომ უთუოდ მოკვდაო. ისე მწარედ მოსთქვა, ისე გულ ამომჯდარად იტირა, როგორც მკვდარი ძმა, როგორც დიდი ხნის შეჩვეული და ნასაყვარლეი მეგობარი.

ბელარიომ და მისმა გაზრდილებმა არჩიეს ტყეში, მწვანილოვანზე დაესვენებიათ მიცვალებული. აუსრულეს ყოველი წესი მიცვალებულსა, წაუკითხეს ფსალმუნები, საგალობლები იგალობეს, ერთი სიტყვით ისე, როგორც მოითხოვდა მაშინდელი ჩეეულება. მერმე მცხედარი წაასვენეს ტყისაკენ და ერთი ხის ძირს ჩეროში მწვანელოვანზე დაასვენეს. შემოსეს ცხედარი იგი

ფოთლებით და ყვავილებით და დაატირეს: ვიდრე აქ ვიცხოვრებთ, შენი გვამი, ძვირფასო შიდელ, მუდამ მწვანითა და ყვავილებით გვექნება შემკობილი. ასე გაათავეს დასაფლავების წესი და სახლში დაბრუნდენ ნაღელიანნი მეფის წულნი.

იმოგენა დიდს ხანს არ ყოფილა ასეთს მდგომარეობაში. რადგანაც წამლის მოქმედებას ძალა გამოელია, იმოგენაც გამოფხიზლდა; ყვავილ-მწვანილოვანი სამოსელი ჩამოიცალა, ეგონა სულ მეძინაო და სთქვა: ოჰ, სადა ვარ? მე ხომ იმ პატიოსანმა კაცებმა ხერელ-სადგურის მცველად და მხარეულად დამტოვესო. როგორ მოხდა, რომ ამ ჩეროში ყვავილ-მწვანილოვანით შემოსილი ვწევარ! გზას ველარ მიაგნო, არც არავინ შეხვდა ამ უდაბურს ტყეში, რომ სადგურის გზა ესწავლებინა. განცვიფრდა და გარდასწყვეტა: ღთუოდ რაც შემემთხვა, რაც ენახე: ძველი სადგური, მასში მცხოვრებნი, მათი სტუმართ მოყვარეობა, ყველა ესენი სიზმარი უნდა ყოფილიყოო. რალს იქმოდა! ისევ გზას დაადგა მილფორდ-ბოვენის ტაისაკენ. აქედამ ისპანიაში უნდა წასულიყო გემით. ხორცი საბრალო ქალისა აქ იყო, სული და აზრი მისი კი საყვარელი ქმრისაკენ მიუფრინავდა. შთუოდ უნდა ენახა თავისი ქმარი.

ამასობაში დიდი და შესანიშნავი ამბავი მოხდა, რომლის შესახებ იმოგენამ არა იცოდა რა: ციმბელინ მეფეს და რომის იმპერატორს აგვისტოს საშინელი ომი აუტყდათ; რომის ჯარი უკვე გამოვიდა ბრიტანეთს, ამ ქვეყნის აღება უნდოდათ და ლაშქარი პირდაპირ იქით მიიმართა, სადაც გზადაბნეული იმოგენა ტყე-ტყე დაეხეტებოდა. ამ ლაშქარში ერია პოსტუმიც, მაგრამ პოსტუმი თავისი მამელიშვილების საჩხუბრად როდის მიდიოდა! მას განზრახვა ქონდა—ციმბელინის ჯარში შერეოდა და მისი ღროშის ფრთეთა ქვეშე შუბი აემართა, თავისი გამა-

ძველელი მეფის სისხლი დაღვარა. პოსტუმს ახლა სრულიად დავიწყებული ყავდა თვისი მეუღლე. იგი მოკლული ეგონა; პიზანიოს მიეწერა: შენი მონდობილება და სურვილი ავასრულეო. ამიტომ სინიდისი მეტად აწუხებდა და სჯიდა: იგი ბრიტანეთში საცხოვრებლად კი არ ბრუნდებოდა. მას უნდოდა—ან ლაშქრობაში დაღუპულიყო, ან მეფეს მოეკლა, როგორც დამნაშავე, რომელმაც მეფის ბრძანება დაარღვია; გაძევებული იგი, მეფის უნებლიეთ, საშობლოში დაბრუნდა.

ვიდრე მილეორდ ბოეენის ნაესადგურში მიაწევდა, იმოგენა რომის ჯარს ტყვედ ჩაუვარდა ხელში. ამ ტყვის ყოფა-ქცევა და სახე მეტად მოეწონა რომის ჯარის სარდალს ლუცინის და იგი მ:ლებლად მიიღო.

ამასობაში ვოპირდაპირე ციმბელინის ჯარმაც ვოაწია მტრის შეს:ვედრად. პოლიდორე და ძადვალი მეფის ჯარს ჩაერიენ და ციმბელინს მიეშ:ერენ. ახალგაზდა მამ:ცთ საგმირო საქმე ს:წყუროდათ, თორემ ის რა იცოდენ, თუ მამას ეხმარებოდენ. მოხუცი ბელარიოც ამათთან მიდიოდა საომრად. ამასაც გული მოჯერებული ქონდა, მეფის ჯაერი უკვე ამოყრილი ქონდა, ახლა მეფის ძველი ერთგულება გაა:სენდა და უნდოდა მისი გულისათვის ებრძოლა. ახალგაზდობისას მარჯვე მ:ვედრად ითვლებოდა და უნდოდა უკანასკნელად კიდევ გამოეჩინა თვისი გმირობა და დიდი ხალისით მიდიოდა თვისი ბ:ბრძანებლის მოწინააღმდეგე მტრის შესაბ:ველად.

მტრის ჯარები შეიბენ. ასტყდა საშინელი სისხლის ღვრა. პოსტუმის საკვირველმა სიმამაცემ, ბელარიოს მხედრულმა გამოცდილებამ, ახალგაზდა მეფის წულთა თავგადადებულმა ვაჟკაცურმა ბრძოლამ ბრიტანეთის ჯარი ერთს ბეწვზე გადაარჩინა და თვით მეფე ციმბელინიც ტყვეობისაგან დაი:სნა. ამათ

მეოხებით. თითქო დღეს დაუბრუნდათ ბრიტანელებს ის ბედნიერი დრო, როცა ზედი-ზედ ამარცხებდენ და კუდით ქვეს ასროლიებდენ ახლა თავგასულს რომაელებს.

როცა ომი დაცხრა და პოსტუმს არ აუსრულდა თვისი საწადელი, ე. ი. ცოცხალი გადარჩა, იგი მიეიდა Ციმბელინის ერთს ოფიცერთან. გაუტყდა ყველაფერს და სთხოვა: მოახსენე მეფეს რომ აასრულოს თვისი განჩინება: მე საშშობლოდამ გაშეებული ვიყავი მეფის ბრძანებით, ახლა მის უნებლიედ დავბრუნდი და სიკვდილით დასჯის ღირსი ვარო.

Იმოგენა და მისი ბატონი Ციმბელინის ჯარის კაცთ ტყვედ წამოეყვანათ და მეფისათვის წარედგინათ; ამათთან ერთად ტყვედ მოყოლილ იყვნენ Იმოგენას დამლუპველი Იოკიმე, რომელიც რომაელს ჯარში ოფიცრად მსახურებდა. როცა ესენი მეფის წინაშე წარმოადგინეს, პოსტუმიც აქ მოიყვანეს, რომ მეფეს სასიკვდინე მსჯავრი დაედო სჯულგადამაელობისათვის. აქვე წარმოსდგენ ბელარიო და მისი გაზრდილნი, ახალგაზდა მამაკი მეფის წულები, რომელთაც მეფისაგან ჯილდო უნდა მიეღოთ იმ სამსახურისთვის, რომელიც მათ გაუწიეს მეფეს ამ უკანასკნელ ომის დროს. პიზანიოც აქ იყო, როგორც მეფის დაახლოებული პირი... ამ გვარად მეფის წინაშე წარსდგენ სხვადასხვა იმედის მექონნი პირნი. ზოგი სიკვდილს მოელოდა, ზოგი ჯილდოს.

პირველად ლაპარაკი რომის სარდალმა დაიწყო. სხვანი სულს არა ბერავდენ მეფის წინაშე, თუმც მისი აქ ბრძანება ყველას გულს სხვა-და-სხვა ნაირად აძგერებდა.

Იმოგენამ დაინახა თუარა პოსტუმი, იმ წამსვე სცნო, თუმცა იგი გლეხის ტანისამოსით იყო გამოწყობილი. პოსტუმი

კი, როგორ იუიქრებდა, რომ Iმოგენა ახლა ცოცხალი იქნებოდა და ეაჟის ტანისამოსში სარდლის მხლებლად ტყვექმნილი მეფის წინაშე იქნებოდა წარმოდგენილი! Iმოგენამ Iოკიმეც კი იცნო და შეამჩნია, რომ თითზე მისი ბეჭედი ქონდა წამოცმული; მაგრამ ის კი არ უფიქრია, თუ იგი იყო Iმოგენას დამღუპველი. ახლა Iმოგენა თვის მამის წინაშე სდგას, ვითარცა სამხედრო ტყვე და ტყვისებრ დასჯა მოელის.

პიზანიო კი იმ წამსვე მიხედა, რომ ეს სარდლის მხლებელი მისი ხელით ეაჟად გამოწყობილი მეფის ასული Iმოგენა იყო. ,,Iმ ჩემი ბატონის ასულიაო, სთქვა პიზანიომ, მადლობა ზეცას, დაილოცოს განგების სახელი, რომ აქამომდე მოაწია და დრო და შემთხვევა ან ავად გადასჭრის ამ საქმეს, ან კარგადაო. ბელარიომაც იცნო და ბადგვალოს ჩაუჩურჩულა: განა ეს კაცი მკედრეთით აღსდგაო? ამ ტყვისა და ჩვენი სტუმარი-შეღელის სახე ისე გვანან ერთმანერთს, როგორც ტყუბებიო.

—,,Oჰ, სწორედ ჩვენი სტუმარი გაცოცხლებულაო'', სთქვა პოლიდორემ. ,,არა, არა, ძნელი დასაჯერებელია, რომ ის ყოფილიყო, როგორ ხმას არ გაგვცემდაო; სთქვა კიდე ბელარიომ. ,,რატომ არა გჯერა? ჩვენ თვითონ არ დაემარხეთ! გვახსოვს, მისი სახეო'', გაიმეორა პოლიდორემ. ,,სუ გაჩუმდიო'', სიტყვა გააწყვეტინა ბელარიომ.

პოსტუმი კი გაჩუმებული იდგა და თავისს სანატრელს სასიკვდილე განჩინებას მოელოდა. Iგი არ ამხელდა, რომ Cიმბელინი ომში სიკვდილს გადაარჩინა და არ ამხელდა იმიტომ, რომ Cიმბელინი, როცა ამას გაიგებდა, პოსტუმს აპატიებდა და იმას სიცოცხლე აღარ უნდოდა, სიკვდილს ეწაფებოდა.

რომის სარდალმა ლუციომ, რომელმანც Iმოგენა თვის მფარველობის ქვეშ მიიღო, ვითარცა მხლებელი, პირველად

დაიწყო ლაპარაკი. ,,მგ სარდალი ძლიერ მამაცი კაცი იყო და ისე არ დაიმცირებდა თვისს ღირსებას, რომ რამე მხედრის შეუფერებელი ეთქვა მეფისათვის და ან მოეთხოვა''. აი, ასეთი სიტყვით მიმართა მეფეს: ,,მე ასე გამიგონია, მეფეო, რომ შენ ტყვის სახსარს არა ღებულობ; არამედ ვინც უნდა იყოს, ყველას სიკვდილითა სჯი. მე რომაელი გახლავარ და სიკვდილს არ დაეერიდები, შენც უწყი, მაგრამ აქ არის ერთი ადამიანი, იმისათვის მინდა შუამდგომლობა გავსწიო თქვენი უდიდებულესობის წინაშე. ესეც მოახსენა და Iმოგენა მეფის წინაშე წამოაყენა. აი, ეს ჰაბუკიო, განაგრძო სარდალმა, Iნგლისის მიწის შვილია, ნება მიბოძე, გამოვისყიდო, იგი ჩემი მხლებელია, მე ვფიქრობ, რომ ამისთანა მხლებელი არავის არ უნდა ყავდეს, ასეთი გამგონე, ასეთი სწრაფი, ასეთი ერთგული და ასეთი ახალგაზდა iშვიათად ეხლება ვისმეს. Iგი მართალია რომაელს ემსახურებოდა, მაგრამ გულში არ გაუტარებია ბრიტანელისათვის რამ სავნებელი. Uბოძე ამას სიცოცხლე''.

Uიმბელინი ჩააცქერდა თავისს ქალს. ასეთს ტანისამოსში აბა რას იცნობდა? მაგრამ ყოველად შემძლებელმა ბუნებამ თავისი გაიტანა. რაღაც გულმა უგრძნო და წარმოსთქვა: მე ეგ ყმაწვილი სადღაც უნდა მენახოსო, ამის სახე საშინლად მეცნაურებაო. მე თითონ არ ვიცი რატომ და რისთვისო, მაგრამ გეუბნები: ჰაბუკო, იცოცხლე და განმიცხადე რა მოწყალებასა თხოულობ, რომ დაუყონებლივ აგისრულოვო. აი, თუნდ ამ რომის წარჩინებულის სიკვდილისაგან განთავისუფლებაცა მთხოვო, მზადა ვარ აგისრულოვო.

,,ბულითადს მადლობას მოგახსენებ მეფეო'', მოახსენა Iმოგენამ. მოწყალების აღთქმა იმ დროში იმას ნიშნავდა, რომ რასაც ითხოვდა შებრალებული ტყვე, აუსრულებდენ,

არჩევანი კი მისი საქმე იყო. ამისათვის ყველა ფიქრობდა, რომ იგი ლუციოს განთავისუფლებას ითხოვდა, მაგრამ ლუციომ დაასწრო და სთქვა: მე არ ვითხოვ თავისუფლებას, მე არ ვაფასებ ჩემს სიცოცხლეს, ჭაბუკო, მაგრამ ვიცი, რომ შენ ჩემს შებრალებას ითხოვ მეფისაგან. ,,სრულიადაც არაო'', უპასუხა იმოგენამ, ,,მე სხვა სათხოვარი მაქვს; მე არ შემიძლია ახლა შენი დახსნისათვის მეფეს შევევედრო''.

ასეთმა უმადურობამ მეტად გააკვირა რომის სარდალი.

ამ დროს იმოგენამ იოკიმეს გადახედა და მეფეს ესა სთხოვა: უბრძანეთ ამ ოფიცერს, რო გატყდეს და სთქვას: სად და როდის იშოვა ის ბეჭედი, რომელიც ხელს აცვიაო.

იოკიმე გატყდა და ყველაფერი დაწყვრილებით აღიარა; თვისი სულის სიმდაბლე და ვერაგობა ყველაფერი საჯაროდ გამოაშკარავა. შამბოთ ისტორია, თუ რა ნიძლევი ქონდა პოსტუმთან და რა ბოროტად მოიხმარა მისი რწმენება.

აბა, რა კალამი ასწერს, რასა გრძნობდა პოსტუმი, როცა აშკარად და თვალსაჩინოდ მტკიცდებოდა მისი საყვარელი მეუღლის უმანკოება და გულის სიწმინდე. ველარ მოითმინა, წარმოსდგა მეფის წინაშე და აღიარა, რაოდენად მკაცრი განაჩენი დაედო მეფის ასულს და როგორ უბრძანა პიზანიოს ამ განჩინების ასრულება. მერმე რაღაც სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილივით წამოიყვირა: ,,ოჰ! იმოგენა, ჩემო დედოფალო, ჩემო მეუღლეე, ოჰ! იმოგენა, იმოგენა, იმოგენა''!

იმოგენამაც ველარ შესძლო საიდუმლოს გულში ჩაკვლა. საშინელს სურათს წარმოადგენდა სინიდისისაგან დატანჯული მეუღლე, მივარდა მასთან ამ სიტყვებით: ,,მე ვარ შენი იმოგენა, შენი საყვარელი მეუღლე''.

პოსტუმის სიხარულს საზღვარი არა ქონდა. ბულიდამ

მოშორდა მძიმე ტვირთად დაწოლილი უსჯულოება და მწუხარების ლოდი, ხელახლა მოიპოვა ადრინდელი სიყვარული თვისი მეუღლისა, რომელსაც ასე უსამართლოდ მოექცა Iოკიმეს წყალობით.

Cიმბელინს პოსტუმზე ნაკლებ არ გაბარებია, რომ ასე უეცრად დაკარგული ქალი რაღაც სასწაულით აქ გაჩნდა; შეურიგდა და თვის გულში მისს სიყვარულს ისევ ადგილი დაუთმო. პოსტუმს სიცოცხლეც უწყალობა და მკვიდრ სიძეთაც იცნო.

ბელარიომ სიხარულის წამით იდროვა და გაუტყდა მეფეს: მე დამნაშავე ვარ თქვენს წინაშე, მეფეო! მე მოვიპარე შენი ვაჟებიო და წარმოადგინა პოლიდორე და ქადვალი; ესენი გახლავთ თქვენი ბვედერი და ბერვირაგიო.

Cიმბელინმა შეუნდო მოხუცს ბელარიოს და განა შეეძლო, ვისმესი დასჯა მოენდომებია და ეფიქრნა ამ ბედნიერს წამს? მეტი სასიხარულო რაღა იქნებოდა! ამდენი ხნის დასვეპული შვილები ერთად ნახა და ყველა ამათი შემწეობით სამეფო და თვისი სიცოცხლე მტრის ხელისაგან დაიხსნა.

Iმოგენას ახლა თამამად შეეძლო თავისი ნაბატონარის სიცოცხლე უზრუნველ ყოფილი გაეხადა,—და ამითი მიეზღო სამაგიერო. მეფემ დიდი სიამოვნებით მიუტევა. ამ სარდლის საშვალებით და შუამავლობით ბრიტანიასა და რომს შორის ზავი ჩამოვარდა და დიდ ხანს შერიგებულნი იყვნენ. ბოროტმა დედოფალმა რომ ეს გაიგო, კინალამ გული გაუსკდა, მეტად შეწუხდა, ამას სინიდისის მხილებაც დაემატა, დამჯაერიანდა და მოკვდა. სიკვდილამდე იგი კიდევ იმითი დაისაჯა, რომ მისი ვაჟი ქლოტენი, რომლის გამეფებისათვისაც ყოველ საშვალებას ხმარობდა, ვილასაც წაეჩხუბა და თავი შეაკლა. ამ გვარად ყველამ თავ-თავის შესაფერი ჯილდო და სასჯელი მიიღო. მხოლოდ

Ოკიმე დარჩა დაუსჯელი, რადგანაც ამისმა ბოროტმა ნამოქმედარმა ბოლო ვერ გაიტანა და სხვისი საენებელი განზრახვა არ აღუსრულდა.

სამ. ყიფიანი.



# შ ე ნ ი შ ვ ნ

ამ წიგნის მეტის მეტად დაგვიანების გამო, დუტუ მეგრელის კომედიის ,,ეშმაკების ბუდე'' დაბეჭვდა გადაიდო შემდეგის წიგნისთვის.